



თბილისი ბანკი

---

---

# გავუმარტივოთ აღამიანებს ცხოვრება

---

მმართველობითი ანგარიში და  
ფინანსური ანგარიშგება 2019

---



20  
19



თიბისი ბანკი

**თიბისი ბანკი  
უმსხვილესი საბანკო  
ჯგუფი საქართველოში,  
რომელიც ემსახურება  
ქვეყნის ზრდასრული  
მოსახლეობის  
დაახლოებით 90%-ს**



## 306 პართი R306 ?

ჩვენ ვართ წამყვანი უნივერსალური ფინანსური ჯგუფი საქართველოში, ვფლობთ ბაზრის წილის 39.5% და 39.0%-ს მთლიანი სესხებისა და დეპოზიტების მიხედვით<sup>1</sup>. ასევე გვიჭირავს დომინანტური პოზიცია ჩვენს ყველა ძირითად ბიზნეს სეგმენტში - საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებში (MSME). ჩვენი სრულფასოვანი ფინანსური მომსახურებები მოიცავს როგორც ტრადიციულ საბანკო შეთავაზებებს, ასევე თანამედროვე გადაწყვეტებს. ჩვენ ვართ პიონერები რეგიონში<sup>2</sup> პირველი სრულად ციფრული ბანკის და შესაძლებლობების სრულიად ახალი სამყაროს შექმნით ჩვენი კლიენტებისთვის.

## ტრადიციული ფინანსური მომსახურებების სრული კომპლექტი



თიბისი ბანკი



თიბისი ლიზინგი



თიბისი კაპიტალი

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 16-33, 36-37 გვერდებზე

## სრულად ციფრული ბანკი



სფინსი

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 34-35 გვერდებზე

## R306ი მისია > გავემარტივოთ ადამიანებს ცხოვრება

### R306ი ხედვა

ჩვენ ვართ თიბისი, ტექნოლოგიური კომპანია, რომელიც არსებობს მომხმარებლებისთვის, იცნობს მათ და ზრუნავს მათზე .

ჩვენ გვყავს საუკეთესო გუნდი, რომელიც ინოვაციურად აზროვნებს და არ ეშინია შეცდომების.

თიბისი ადამიანების ყოველდღიურობის მნიშვნელოვანი ნაწილია და ემსახურება მათ ციფრულად.

### თიბისის კულტურა დაფუძნებულია გუნდზე, როგორც არის:

- ▶ გამარჯვებული;
- ▶ ბედნიერი;
- ▶ ცნობისმოყვარე;
- ▶ შედეგზე ორიენტირებული;
- ▶ ღია ახალი შესაძლებლობებისთვის;
- ▶ კეთილსინდისიერი;
- ▶ და ყოველთვის ასრულებს დანაპირებს.

1 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2 მოცემულ კონტექსტში რეგიონში შედის: სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო

## მყარი ფინანსური მაჩვენებლები

ლ **545.7** მლნ  
+ 25.9% YoY  
წმინდა მოგება

ლ **10,112.0** მლნ  
+ 7.1% YoY  
მთლიანი დავრობები

**23.8%**  
+ 1.1pp YoY  
უკუგება კაპიტალზე

ლ **12,662.0** მლნ  
+ 22.1% YoY  
მთლიანი სესხები

## საუკეთესო ციფრული შესაძლებლობები

- ▶ მსოფლიოში საუკეთესო მობაილ ბანკი 2019<sup>1</sup>
- ▶ 93% საცალო განტვირთვის კოეფიციენტი



## მომხმარებელთა შეუღარებალი კმაყოფილება

- ▶ საუკეთესო მომსახურების კომპანია საქართველოში<sup>2</sup>

## თანამშრომელთა კმაყოფილების მაღალი დონე

- ▶ 1.76 თანამშრომელთა ბედნიერების ინდექსი<sup>3</sup>

## ქლიერი ბრენდი

- ▶ 100% ცნობადი ბრენდი საქართველოს მოსახლეობაში<sup>4</sup>
- ▶ 41% Top of mind საბანკო სექტორში<sup>4</sup>

1 დასახელებული Global Finance Magazine-ის მიერ.  
 2 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის IPM მიერ ჩატარებული გამოკითხვების თანახმად საცალო სეგმენტში 2019 წლის დეკემბერში.  
 3 ინდექსი გამოთვლილია -3 -დან +3 მასშტაბით [+3 ნიშნავს ძალიან ბედნიერს] შიდა გამოკითხვების საფუძველზე, რომელიც შეიქმნა მსოფლიოს წამყვან საკონსულტაციო ფირმასთან თანამშრომლობით ჩატარდა თანამშრომლებს შორის 2019 წლის დეკემბერში.  
 4 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის TNS მიერ ჩატარებული გამოკითხვების თანახმად 2019 წლის ოქტომბერში.



## ძვირფასო აქციონერებო,

სიამოვნებით მოგასხენებთ, რომ კიდევ ერთი წარმატებული წელი გვქონდა 2019 წელს. ჩვენი დისციპლინირებული მიდგომა და დაჟინებული ძალისხმევები აისახა ძლიერ ფინანსურ და საოპერაციო შედეგებში.

## ფინანსური შედეგები

ჩვენმა წმინდა მოგება შეადგინა 545.7 მილიონი ლარი, რაც 26.0%-ით აღემატება წინა წლის მონაცემებს, გამოწვეულია წმინდა საკომისიო შემოსავლებისა და საპროცენტო შემოსავლების ზრდით. წმინდა მოგების ზრდას ასევე ხელი შეუწყო სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შემცირებამ, რაც განპირობებული იყო გაუმჯობესებული შედეგებით ყველა სეგმენტში, ასევე ცვლილებით პროდუქტის ასორტიმენტში. ჩვენ ვაგრძელებთ ფოკუსირებას ხარჯების ეფექტურობაზე და მკაცრად ვაკონტროლებთ საოპერაციო ხარჯებს ჯგუფის ფარგლებში. შედეგად ხარჯების შემოსავალზე ფარდობამ შეადგინა 37.7%. იმავე პერიოდში ცალკე ბანკის ხარჯების შემოსავალზე ფარდობა სტაბილური დარჩა წინა წელთან შედარებით და შეადგინა 35.9%.<sup>1</sup> ასევე, უკუგება კაპიტალზე შეადგინდა 23.8%, ხოლო უკუგებამ აქტივებზე - 3.3%.

საბალანსო ზრდის კუთხით ვინარჩუნებთ წამყვან პოზიციას სესხების და დეპოზიტების საბაზრო წილების მიხედვით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ისინი შეადგენს 39.5% და 39.0%-ს.

ჩვენი კაპიტალის პოზიციის და ლიკვიდობის დონეები მყარი რჩება. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩვენი ძირითადი პირველადი კაპიტალი (CET 1), პირველადი კაპიტალი (Tier 1) და საზედამხებველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი Basel III-ის მიხედვით იყო 12.0%, 14.6% და 19.1%, ხოლო რეგულატორის მინიმალური მოთხოვნა შეადგენდა 10.4%, 12.5% და 17.5%. ჩვენი ლიკვიდობის კოეფიციენტი შეადგენდა 110%-ს მინიმალურ მოთხოვნასთან შედარებით, რომელიც 100%-ს შეადგენს. ხოლო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) Basel III -ის მიხედვით შეადგენდა 127%, მინიმალური მოთხოვნა - 100%.

## სტრატეგიული პროგრესი

ჩვენ განვაგრძობთ წინსვლას ახალ ეპოქაში საუკეთესო ციფრული გადაწყვეტების მოწოდების, მონაცემთა ანალიტიკური შესაძლებლობების გამოყენების და კლიენტებისთვის საუკეთესო მომსახურების გაწევის გზით ჩვენს მრავალარხიან სისტემაში:

- ▶ ჩვენი განტვირთვის კოეფიციენტი შეადგინა 92.7% 2019 წლის ბოლოს, რაც 2.1 pp-ით მეტია წინა წელთან შედარებით, რაც ძირითადად გამოწვეული იყო მობილურ საბანკო მომსახურებაში ტრანზაქციების ზრდით. ასევე ვამაყობთ იმით, რომ Global Finance Magazine -მა დაგვასახელა 2019 წელს მსოფლიოში საუკეთესოდ მობილურ საბანკო მომსახურებაში, გარდა ამისა, მოგვნიჭა სხვადასხვა პრიზები რეგიონულ და ქვეყნის დონეზე ციფრულ კატეგორიებში.
- ▶ 2019 წლის ნოემბერში ჩვენმა „ნეობანკმა“, „სფეისმა“ ხელი მოაწერა პარტნიორობის ხელშეკრულებას ციფრული გადახდების მსოფლიოს ლიდერთან - Visa - ინოვაციური საბანკო მომსახურებების ერთობლივად განვითარების მიზნით. „სფეისი“ სულ უფრო პოპულარული ხდება ქართულ ბაზარზე, რეგისტრირებული კლიენტების საერთო რაოდენობამ 181,000 მიაღწია. სასუსხო პორტფელმა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 27.0 მილიონი ლარი შეადგინა. ჩვენ ასევე დავწერეთ ახალი პროდუქტი, ყულაბა-ანაბარი სფეიში, რომელიც წარმოადგენს ტრადიციული დეპოზიტების ალტერნატივას.
- ▶ ვინაიდან ვისწრაფვით მონაცემებით მართულ ორგანიზაციად ტრანსფორმირებისკენ, ჩვენ განვახორციელეთ სხვადასხვა მოწინავე ანალიტიკური პროექტები ბანკის მასშტაბით, რომელიც შემუშავდა მსოფლიოს წამყვანი კონსულტანტების დახმარებით. გარდა ამისა, ჩვენ შევიმუშავეთ კომპანიის შიგნით მონაცემთა ანალიტიკური შესაძლებლობები საუკეთესო სპეციალისტების მოზიდვის და ტრენინგის გზით.
- ▶ ჩვენ ვინარჩუნებთ მომხმარებელთა კმაყოფილების უმაღლეს შეფასებებს არა მხოლოდ საქართველოს საბანკო ინდუსტრიაში, არამედ ასევე ქვეყნის წამყვან საცალო პროვაიდერებს შორის<sup>2</sup>.



- სწრაფად ცვალეზად გარემოში სწრაფად უნდა ვადაპტირდეთ, აქედან გამომდინარე agile ტრანსფორმაცია დაგვეხმარება მივალწიოთ კომპანიის შიგნით უფრო ეფექტურ თანამშრომლობას და გავაძლიეროთ ჩვენი, როგორც ციფრული ნოვატორების, სტატუსი. 2018 წლის ბოლოს ჩვენ დავიწყეთ agile ტრანსფორმაციის პროექტი მთელი კომპანიის მასშტაბით. 2019 წლის განმავლობაში ეს პროექტი წარმატებით განხორციელდა საცალო, MSME და IT დეპარტამენტებში და ვგეგმავთ მის განხორციელებას სხვა დეპარტამენტებში 2020 წლისთვის.

### ცვლილებები მენეჯმენტში

2019 წელს ჩვენ განვახორციელეთ ცვლილებები ტოპ მენეჯმენტის შემადგენლობაში. დავით ჭყონიამ, რისკის მართვის დირექტორმა, დატოვა ბანკი საკონტრაქტო ვადის ბოლოს სხვა კარიერული შესაძლებლობების რეალიზების მიზნით. შედეგად გენერალური დირექტორის მოადგილე, ნინო მასურაშვილი, რომელიც მანამდე მუშაობდა საცალო საბანკო მომსახურების მიმართულებით, დაინიშნა რისკის მართვის დირექტორად და თორნიკე გოგიჩაიშვილი, გენერალური დირექტორის მოადგილე და ბანკის საოპერაციო დირექტორი (COO) დაინიშნა საცალო საბანკო მომსახურების ხელმძღვანელად. ფუნქციები, რომლებსაც მანამდე ასრულებდა საოპერაციო დირექტორი გადაინაწილდა ფინანსურ დირექტორსა და SME & მიკრო საბანკო საქმიანობის დირექტორს შორის.

მსურს მადლობა გადავუხადო დავით ჭყონიას მისი მნიშვნელოვანი ღვაწლისთვის რისკის მართვის სისტემის გაუმჯობესებაში და ვუსურვო კარიერული წინსვლა და წარმატება მომავალში. ასევე წარმატებას ვუსურვებ ნინო მასურაშვილს და თორნიკე გოგიჩაიშვილს ახალ თანამდებობებზე.

### მაკროეკონომიკური მიმოხილვა

სტრუქტურულმა რეფორმებმა და შემოდინებების დივერსიფიკაციებმა წყაროებმა 2019 წელს კიდევ ერთხელ გამოიღო პოზიტიური ეფექტი საქართველოს ეკონომიკისათვის. ბოლო წლებში მაღალი ზრდის პოტენციალთან ერთად, მდგრადობა საქართველოს ეკონომიკის კიდევ ერთი გამორჩეული ნიშანი გახდა, რაც ასევე აისახა ქვეყნის სუვერენულ საკრედიტო რეიტინგებში. 2019 წელს, საქონლის ექსპორტის, ტურისტული და ფულადი გზავნილების შემოდინება, აშშ დოლარში, წინა წელთან შედარებით შესაბამისად 12.4%, 1.4% და 9.7%-ით გაიზარდა. ივლისში რუსეთის მიერ ფრენის აკრძალვის მიუხედავად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 5.1%-მდე გაუმჯობესდა, წინა წელს 6.8%-თან შედარებით, რაც გამოწვეული იყო როგორც საქონლით ვაჭრობის ბალანსის გაუმჯობესებით, ასევე ფულადი გზავნილების ზრდით. მიმდინარე ანგარიშის ბალანსი სრულად დაბალანსდა წმინდა FDI-ს ის შემოდინებებით, და შეადგინა მშპ-ს 5.6%, ხოლო წლიდან წლამდე გაიზარდა 0.3 pp-ით. 2019 წელს ეკონომიკას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს

ფისკალური სტიმული, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი იყო 2018 წელს განხორციელებული ავანსებისა და ინფრასტრუქტურული დანახარჯების მაღალი მულტიპლიკატორის გათვალისწინებით.

გამოწვევებით აღსავსე წლის მიუხედავად, საბანკო სისტემის დაკრედიტება წინა წელთან შედარებით 16.1%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე). ზრდა ძირითადად განპირობებული იყო ბიზნეს სესხებით, ხოლო საცალო სეგმენტის დაკრედიტება შენელდა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაციის მიერ განსაზღვრული შეზღუდვების გამო, რომელიც 2019 წლის იანვრიდან შევიდა ძალაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი ჩარჩო ხელს უწყობს საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესებას, საბანკო სექტორში არსებულ მაკრო და მიკრო რისკების მართვის წარმატებულ გამოცდილებასთან ერთად.

ჩვენი პირველადი პროგნოზით 2020 წელს მშპ-ს ზრდა, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და რუსეთთან ფრენების შეზღუდვის მოხსნის გათვალისწინების გარეშე, დაახლოებით 5.0% უნდა ყოფილიყო. Covid-19-თან დაკავშირებული კრიზისიდან გამომდინარე, ველით რომ 2020 წელს ეკონომიკა შემცირდება, თუმცა ზრდა დადებით ნიშნულზე უნდა დაბრუნდეს 2021 წლისათვის. მოსალოდნელია, რომ შოკი საკმაოდ მკაცრი იქნება და მასთან დაკავშირებული გაურკვევლობებიც მაღალი რჩება, თუმცა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული დახმარება მნიშვნელოვან შემარბილებელ ფაქტორს წარმოადგენს. ასევე, აღსანიშნავია, რომ წინა პერიოდში არ შეიმჩნეოდა ეკონომიკაში ან/და საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე გადახურების ნიშნები და ჯანსაღი საბანკო სექტორის პირობებში მოსალოდნელია, რომ შოკის ზეგავლენა ეკონომიკასა და ფინანსურ სექტორზე მართვადი უნდა იყოს

### ჩვენი პასუხი COVID-19-ზე

ჩვენ განვახორციელეთ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ქმედებებისა, რათა დავიცვათ ჩვენი მომხმარებელი და თანამშრომლები და თავი ავარიდოთ ჯგუფის ოპერაციების შეფერხებას COVID-19-ის დროს. COVID-19-ზე საპასუხო ქმედებების შემუშავებისას გავითვალისწინეთ საუკეთესო გლობალური კომპანიების მეთოდები, ასევე გადავხედეთ ისეთი ორგანიზაციების პრაქტიკას, როგორიცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოს მთავრობასთან, ეროვნულ ბანკთან და ქვეყნის სხვა ბანკებთან.

ჩვენი პრიორიტეტია თანამშრომლებისა და მომხმარებლის ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა. ფილიალების ქსელში წარმოვადგინეთ უსაფრთხოებისა და ინფექციის

- 1 შეფარდების გამოთვლისთვის ყველა რელევანტური ჯგუფის პერიოდული ხარჯი განაწილდა ბანკზე.
- 2 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის IPM მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, საცალო სეგმენტში 2019 წლის დეკემბერში..

## გენერალური დირექტორის წერილი გაგრძელება

პრევენციის დამატებითი ღონისძიებები. ასევე შემოვიღეთ დისტანციური მუშაობის პრაქტიკა სათაო ოფისის და უკანა ხაზის თანამშრომლებისათვის. დღეს, სათაო და უკანა ხაზის ოფისების (მათ შორის სატელეფონო ცენტრები) 95% მუშაობს სახლიდან. ჩვენი წამყვანი ციფრული საბანკო პლატფორმა საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, განაგრძონ საბანკო ოპერაციები სახლიდან გაუსვლელად, უსაფრთხოდ.

იმისთვის, რომ მომავალ რთულ თვეებში დავცხმართ ჩვენს მომხმარებელს, შემოვიღეთ სამთვიანი საშელავათო პერიოდი სესხის ძირსა და პროცენტზე ჩვენი ყველა ინდივიდუალური და მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების (MSME) მომხმარებლებისთვის და ასევე იმ კორპორატიული მომხმარებლებისთვის, რომელთა ბიზნესი ყველაზე მეტად დაუცველია მიმდინარე პერიოდში.

ეროვნულმა ბანკმა განახორციელა კონტრციკლური ღონისძიებები საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობად და მიმდინარე მოვლენების შედეგად დაზარალებული ეკონომიკის სექტორების ფინანსური დახმარების უზრუნველსაყოფად. ეს ღონისძიებები მოიცავს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების მნიშვნელოვან შემცირებას და ლიკვიდობის მხარდაჭერის ინიციატივებს. ამასთან, ეროვნული ბანკი კოორდინაციას უწევს შესაბამისი სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნას. დამატებითი დეტალები მოცემულია რეპორტის რისკის მართვის ნაწილში.

ფინანსური მდგომარეობის თვალსაზრისით, ჩვენი ლიკვიდობის და კაპიტალის პოზიციები რჩება ძლიერი. ვალუტის გაუფასურების გავლენისა და COVID-19-ის პოტენციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი რეზერვის (რომელმაც ადგილობრივი რეგულირების სტანდარტით სესხის პორტფელის 3.1% შეადგინა) შედეგად ჩვენი ძირითადი პირველადი კაპიტალი, პირველადი კაპიტალი და მთლიანი საზედამხებველო კაპიტალის კოეფიციენტებმა, 2020 წლის მარტის მდგომარეობით შეადგინა 9.1%, 12.0%, 16.7% შესაბამისად, რაც აღემატება შემსუბუქებულ მინიმალური მოთხოვნებს - 6.9%, 8.8%, 13.3% შესაბამისად. ამავდროულად, ჩვენი წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) და ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) იყო 124.7% და 107.6% შესაბამისად.

მეორეს მხრივ, ვმუშაობთ ხარჯების სტრუქტურის ოპტიმიზაციაზე, პროცესების გადაწყობასა და ხარჯების პრიორიტეტების განსაზღვრაზე. ჩვენი მიზანია, რომ თიხისი ბანკის ხარჯის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიახლოებული იყოს 2019 წლის მაჩვენებელთან.

## პერსპექტივა

2019 წელს ჩვენ მივალწიეთ ძლიერი ფინანსური შედეგებს და მნიშვნელოვან პროგრესს ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტების თვალსაზრისით, დიდი ენთუზიაზმით ვუდგებით ჩვენს სამომავლო ამბიციურ გეგმებს. მსურს მადლობა გადავუხადო თიხისის მთლიან გუნდს მათი თავდადებისთვის და მივულოცო ჩვენი მიღწევები 2019 წელს. ასევე მადლობელი ვარ გუნდის, რადგან შეძლო COVID-19-ით გამოწვეულ ამჟამინდელ ვითარებასთან სწრაფად ადაპტირება და საქმიანობის გაგრძელება მინიმალური შეფერხებით.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თანამედროვე ციფრული შესაძლებლობები და მონაცემთა ანალიტიკური შესაძლებლობები, გუნდის ძლიერ სულისკვეთებასთან ერთად, განაპირობებს ჩვენს მდგრად ზრდას და საუკეთესო შედეგებს მოუტანს აქციონერებს საშუალოვადიან პერიოდში, მიუხედავად COVID 19-ით გამოწვეული ხანმოკლე უარყოფითი ზემოქმედებისა.

ვახტანგ ბუცხრიკიძე  
2020 წლის 28 აპრილი

# კოვიდ-19-ის შედეგები

COVID-19-ის ვირუსის გავრცელებამ სერიოზული გამოწვევები შეუქმნა ეკონომიკას და ბიზნესს მსოფლიოს მასშტაბით და არც საქართველოა გამონაკლისი. თუმცა, ამ დრომდე ჩვენმა ქვეყანამ, მთავრობის მიერ დროულად განხორციელებული მკაცრი ზომების წყალობით, სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო ეფექტურად მოახერხა COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლა. ამას კი შედეგად მოჰყვა შედარებით ნაკლები დაინფიცირების შემთხვევები.

ეკონომიკური თვალსაზრისით, COVID-19-ის პანდემიამ საქართველოში გამოიწვია ეკონომიკური ზრდის შენელება, უმუშევრობის ზრდა, ლარის გაუფასურება, პროდუქტებისა და უძრავი ქონების ფასების შემცირება და კერძო სექტორის გადახდისუნარიანობის შესუსტება. იქიდან გამომდინარე, რომ მნიშვნელოვანია ტურიზმის წვლილი საქართველოს ეკონომიკაში, გავლენაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის 14 აპრილის პროგნოზით, 2020 წელს მოსალოდნელია საქართველოს ეკონომიკის 4.0%-ით შემცირება, ხოლო 2021 წლისთვის მოსალოდნელია ზრდის მაჩვენებლის დაბრუნება 3.0%-ზე. თიბისი კაპიტალის პროგნოზის თანახმად საქართველოს ეკონომიკისთან დაკავშირებით, 2020 წელს მშპ-ს ვარდნა შეიძლება 4.0%-ზე მეტი იყოს, თუმცა 2021 წელს ზრდა საგრძობლად აღდგება და 3.0%-ზე მაღალი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ დარტყმა მძიმეა და გაურკვეველობა მაღალია, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერა მნიშვნელოვანი შემამსუხუქებელი ფაქტორია. ასევე, პანდემიის დაწყებამდე ეკონომიკასა და უძრავი ქონების ბაზარზე გადახურების ნიშნები არ ყოფილა. შესაბამისად, ეკონომიკასა და ფინანსურ სექტორზე დარტყმა უნდა იყოს მართვადი.

მთავრობის განცხადების მიხედვით, 15 მარტის მდგომარეობით, დაახლოებით 1.7 მილიარდი აშშ დოლარი, ან 2019 წლის მშპ-ს 10%, იქნება მობილიზებული, რათა მოხდეს მთავრობის მიერ დაფინანსებული და ნაწილობრივ ცენტრალური ბანკის საერთაშორისო რეზერვების მხრდაჭერა. გარდა ამისა, დაახლოებით 1.5 მილიარდი აშშ დოლარი იქნება გამოყენებული კერძო სექტორის დასახმარებლად.

ეროვნული ბანკი ახორციელებს კონტრაციულ ღონისძიებებს საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობის ხელშესაწყობად და მიმდინარე მოვლენების შედეგად დაზარალებული ეკონომიკის სექტორების ფინანსურად დახმარების უზრუნველსაყოფად.

კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით, ეს ნიშნავს:

- ▶ 2020 წლის მარტში დაგეგმილი პირველადი კაპიტალის მოთხოვნების ზრდის (საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკისა და წმინდა GRAPE ბუფერისთვის) დროებით გადავადებას, რასაც 0.44 pp ეფექტი ქონდა ძირითად პირველად კაპიტალზე;
- ▶ ბანკებისთვის შემსუბუქებულ კაპიტალის მოთხოვნებს, რაც გულისხმობს კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის და პილარ 2-ის ბუფერის ნაწილის (არაპეტირებული საკრედიტო რისკის ბუფერის 2/3) გაუქმებას, ამის შედეგად გამოთავისუფლდა 1.0-2.0% ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალის და მთლიანი კაპიტალის;
- ▶ ასევე ბანკებს ეძლევათ შესაძლებლობა რომ საჭიროების შემთხვევაში გამოთავისუფლდეს ყველა „პილარ 2“-ის ბუფერი (დარჩენილი 1/3 არაპეტირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი, კონცენტრაციის რისკის ბუფერი და წმინდა GRAPE ბუფერი).

ლიკვიდობის მოთხოვნებთან დაკავშირებით, ეროვნულმა ბანკმა წარადგინა სვოპ პროგრამა. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს დამატებით ზომებს:

- ▶ ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) ლიმიტების შემცირება;
- ▶ სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნების შემცირება უცხოურ ვალუტაში;
- ▶ კრიტერიუმების განახლება ფასიანი ქაღალდების ან რეპოს გარიგებებისთვის, ლარის ლიკვიდობის მხარდასაჭერად.

ჩვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თვალსაზრისით, მივიღეთ მთელი რიგი ზომები, რომელთა საშუალებითაც ბანკს შეუძლია შევცვალოს ყოველდღიური ოპერაციები, რათა ადაპტირდეს მიმდინარე, უპრეცედენტო საოპერაციო გარემოსთან, ამასთანავე შეინარჩუნოს თანამშრომლებისა და მომხმარებლის ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა, როგორც ნომერ პირველი პრიორიტეტი:

- ▶ ჩვენს ფილიალებში შემოვიტანეთ უსაფრთხოებისა და ინფექციის პრევენციის დამატებითი ზომები, მათ შორის შუშის ბარიერები და ანტისეპტიკური საშუალებები ჩვენი თანამშრომლებისთვის და მომხმარებლებისთვის.
- ▶ ჩვენ ძალიან სწრაფად შევცვალეთ საოპერაციო მოდელი, ისე რომ სათაო და უკანა ხაზის ოფისის თანამშრომლების 95%, 2,200-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის ქოლცენტრის თანამშრომლები, მუშაობენ სახლიდან.
- ▶ ჩვენ შევქმენით მომხმარებლის წახალისება, რომ გამოიყენონ ჩვენი წამყვანი ციფრული საბანკო პლატფორმა. ვინაიდან განტვირთვის კოეფიციენტი 93%-ია, ეს ამტკიცებს, რომ ასეთ რთულ დროს სასარგებლო აღმოჩნდა.
- ▶ ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ეროვნულ ბანკთან, მთავრობასთან და სხვა ბიზნესებთან.
- ▶ ჩვენ გადაწყვიტეთ, რომ შემოგველო სამთვლიანი საშეღვათო პერიოდი სესხის ძირსა და პროცენტზე ჩვენი ყველა ინდივიდუალური, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების (MSME) მომხმარებლებისთვის და ასევე იმ კორპორატიული მომხმარებლებისთვის, რომელთა ბიზნესი ყველაზე მეტად დაუცველია მიმდინარე პერიოდში.
- ▶ გარდა ამისა, სტრეს-ტესტის სავარჯიშოს ფარგლებში, გავანალიზეთ მრავალი სცენარი, იმისთვის რომ დავრწმუნდეთ რომ ბანკს აქვს საკმარისი ლიკვიდურობა და კაპიტალი, რომ დააკმაყოფილოს მარეგულირებელი კაპიტალის და ლიკვიდურობის განახლებული დონეები;
- ▶ მოსალოდნელია რომ 2020 წლის პირველ კვარტალში შექმნილი სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვი შეადგენს 1.7%-2.0%-ს საშუალო სასესო პორტფელის, რისი ძირითადი გამომწვევი მიზეზიც იქნება COVID-19-თან დაკავშირებული მოვლენები;
- ▶ ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, ტოპ მენეჯმენტმა გადაწყვიტა უარი ეთქვა 2020 წლის მთელ წლიურ ბონუსებზე;

2020 წელს ჩვენი პრიორიტეტები იქნება კაპიტალის და ლიკვიდობის პოზიციების პრუდენციული მენეჯმენტი და ჩვენი ეფექტური რისკების მართვის სისტემით პროაქტიულად ვმართავთ და გავაკონტროლებთ აქტივების ხარისხს.


პარალელურად, ჩვენ ვფოკუსირდებით ხარჯების ოპტიმიზაციაზე, რათა შევინარჩუნოთ ბანკის 2020 წლის ხარჯის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი 2019 წლის დონეზე, შემოსავლებზე ზეწოლის, ვალუტის გაუფასურებისა და ტრანზაქციების გაზრდილი რაოდენობის მიუხედავად.

ამავდროულად, კრიზისმა ჩვენი ციფრული სტრატეგია კიდევ უფრო გაამტკიცა და გამოავლინა უამრავი შესაძლებლობები, რომლებსაც გამოვიყენებთ ოპერაციული მოდელის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

## ეკონომიკური ზრდა და საგარეო საქმეები

მშპ-ს ზრდამ 2019 წელს 5.1% შეადგინა. ზრდა ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში აღინიშნებოდა, მათ შორის ვაჭრობის (+8.8%), უძრავი ქონების (+6.1% YoY), ინფორმაციის და კომუნიკაციების (+15.2% YoY) და ტრანსპორტის (+7.4% YoY) სექტორებმა ეკონომიკის ზრდაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

მშპ-ს რეალური ზრდა




წყარო: საქსტატი

რუსეთის მიერ ფრენების აკრძალვის უარყოფითი გავლენის მიუხედავად, 2019 წელს შემოდინებების ზრდა მდგრადი აღმოჩნდა. ივლისში, რუსეთიდან ფრენების შეზღუდვის შემდეგ, ტურისტული ნაკადები შემცირდა, თუმცა ზრდა სწრაფად დაუბრუნდა ჩვეულ ნიშნულს ევროკავშირიდან, მეზობელი ქვეყნებიდან, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ისრაელის ჩათვლით და შუა აზიის ქვეყნებიდან ვიზიტორთა რაოდენობის სწრაფი მატების ხარჯზე. 2019 წლის განმავლობაში ტურისტული შემოდინებების წლიური ზრდა დადებითი დარჩა და აშშ დოლარში 1.4% შეადგინა. ამავე პერიოდში საქონლის ექსპორტი 12.4%-ით გაიზარდა, ხოლო ფულადი გზავნილების მატებამ წინა წელთან შედარებით 9.7% შეადგინა, უმეტესწილად ევროკავშირიდან გადმორიცხვების ხარჯზე.

მთლიანობაში, საგარეო ბალანსის დინამიკა ჯანსაღი იყო. ტურისტული შემოდინებების დაბალი ზრდიდან გამომდინარე, მომსახურებით ვაჭრობის ბალანსი შემცირდა მშპ-ის 12.7%-დან, 2018 წელს, მშპ-ის 12.2%-მდე 2019 წელს. აღნიშნული დანაკლისი განეიტრადა საქონლით ვაჭრობის დეფიციტის გაუმჯობესების შედეგად (შემცირდა მშპ-ს 2.3%-ით). შედეგად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-თან თანაფარდობამ 5.1% შეადგინა, რაც ისტორიულად დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს. შედარებისთვის, 2018 წელს იგივე მაჩვენებელი 6.8% იყო. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი სრულად დაფინანსდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) წმინდა შემოდინებით, რომელიც წინა წელთან შედარებით 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 2019 წელს მშპ-ის 5.6% შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი წინა რამდენიმე წლის საშუალო მონაცემებთან შედარებით ნაკლებია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) შემოდინებების არსებული დონე კვლავ მაღალია როგორც მეზობელ, ასევე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით.


მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და წმინდა FDI (ფარდობა მშპ-თან, %)



■ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ■ წმინდა FDI

წყარო: NBG, საქსტატი

ვიზიტორთა წლიური ზრდა ქვეყნების / რეგიონების მიხ. (%)



■ რუსეთი ■ თურქეთი ■ ევროკავშირი  
■ ირანი ■ სხვა ქვეყნები — ვიზიტორები ჯამურად


წყარო: GNTA

## გაცვლითი კურსი, მონეტარული პოლიტიკა და კრედიტი

2019 წლის ბოლოს ინფლაცია 7.0%-მდე გაიზარდა რისი განმაპირობებელი მთავარი ფაქტორიც 2019 წლის ივნისიდან ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება იყო. ინფლაციის ზრდის ტენდენციის საპასუხოდ, სებ-მა გაამკაცრა მონეტარული პოლიტიკა, რაც გამოიხატა პოლიტიკის განაკვეთის ზრდაში 6.5%-დან სექტემბრის დასაწყისში 9.0%-მდე 2019 წლის ბოლოს. ლარში გამკაცრებულმა მონეტარულმა პოლიტიკამ, ძლიერ საგარეო სექტორთან ერთად, ლარის გამყარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. 2019 წლის ბოლოს აშშ დოლარი /ლარის გაცვლითი კურსი 2.87 ნიშნულამდე გამყარდა სექტემბერში პიკური გაუფასურებისას დაფიქსირებული 2.98-დან.

ლარში გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის მიუხედავად, ძირითადად უცხოურ ვალუტაში გაზრდილი დაკრედიტების გამო, ჯამურად კრედიტის ზრდა 2019 წლის ბოლოს ძლიერი იყო. უცხოურ ვალუტაში დაკრედიტებას ხელს უწყობდა შემცირებული სარეზერვო მოთხოვნები და საბანკო სექტორში არსებული უცხოური ვალუტის მაღალი ლიკვიდობა. 2019 წლის ბოლოს საბანკო კრედიტის ზრდამ, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 16.1% შეადგინა, ძირითადად ბიზნისის დაკრედიტების შედეგად (+23.3% წლიური ზრდა, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით), რამაც ასევე ხელი შეუწყო ეკონომიკის ზრდას. იმავდროულად, საცალო სეგმენტის ზრდის ტემპი გამკაცრებული პრუდენციული რეგულაციების გამო შედარებით დაბალი იყო (+6.0% წლიური ზრდა, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით). უცხოურ ვალუტაში დაკრედიტების ზრდის მიუხედავად, ფინანსური სექტორის დედოლარიზაცია ცენტრალური ბანკის პრიორიტეტად რჩება. ამასთან მომავალში მოსალოდნელია, რომ შედარებით მეტი აქცენტი გაკეთდება ვალდებულებების მხარეს.

წლიური ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)



წყარო: საქსტატი, NBG

## ფისკალური ხარჯები

2019 წელს ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ს 2.4%<sup>1</sup> შეადგინა და ფისკალურმა ხარჯებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 2019 წელს ეკონომიკის ზრდას. ფისკალური სექტორის ფაქტობრივი გავლენა ზრდაზე უფრო მაღალი იყო, 2018 წლის ბოლოს განხორციელებული ავანსებისა და კაპიტალური ხარჯების მაღალი მულტიპლიკატორის გათვალისწინებით. სახელმწიფო ვალის დონე სტაბილური დარჩა შიდა ვალის შედარებით მზარდი წილით. 2019 წლის ბოლოს სახელმწიფო ვალის მშპ-თან თანაფარდობამ 41.1% შეადგინა, წინა წელს - 40.4%-თან შედარებით, რაც ძირითადად შიდა ვალის ზრდას ასახავს (მშპ-ის 8.8% -დან 2018 წელს მშპ-ის 9.7%-მდე), ხოლო საგარეო ვალი მცირედით, 0.1 პროცენტული პუნქტით, შემცირდა და მშპ-ის 31.5% შეადგინა, წლის განმავლობაში ლარის გაუფასურების მიუხედავად.

## მოლოდინები

2019 წელს 5.0%-ზე მაღალი ეკონომიკური ზრდა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს ეკონომიკის მდგრადობას და ზრდის მაღალ პოტენციალს. ზრდის აღნიშნული მაჩვენებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2019 წელს არსებული ეკონომიკური გამოწვევების, განსაკუთრებით კი რუსეთის მიერ ფრენების აკრძალვის ფონზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის 14 აპრილის<sup>2</sup> პროგნოზით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკის 4.0%-იანი კლება ნავარაუდელი, ხოლო 2021 წელს 3.0%-იანი ზრდა. თიბისი კვლევების იმავე პერიოდის პროგნოზით 2020 წელს ეკონომიკის მცირედით მეტი ვარდნა ნავარაუდელი, თუმცა ამასთან 2021 წელს მოსალოდნელია, რომ ზრდაც 3%-ზე მნიშვნელოვნად მაღალი იქნება.

მეტი ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსური სექტორის შესახებ იხილეთ ბმულზე [www.tbcresearch.ge](http://www.tbcresearch.ge)

1 მოდიფიცირებული დეფიციტი IMF მეთოდოლოგიის საფუძველზე.  
2 სხვ. World Economic Outlook, აპრილი 2020.

## ჩვენი ბიზნეს მოდელი

ჩვენ გვაქვს მომხმარებელზე ორიენტირებული ბიზნეს მოდელი, რომელიც, მიზნად ისახავს საუკეთესო მომსახურების უზრუნველყოფას ჩვენი მომხმარებლებისთვის მათი ყოველდღიური მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესში. ჩვენი სტრატეგია ეფუძნება მდგრადი განვითარების, ინოვაციებისა და ეფექტიანობის ძირითად პრინციპებს. ჩვენი მიზანია ღირებულებების შექმნა ყველა დაინტერესებულ მხარისთვის.

### ჩვენი გამორჩეული კონკურენტული უპირატესობა...

- ▶ საუკეთესო ციფრული შესაძლებლობები
- ▶ მონაცემთა ანალიზისი მონივრე შესაძლებლობები
- ▶ მომხმარებელთა მაღალი დონის კმაყოფილება
- ▶ ძლიერი ბრენდი და რეპუტაცია
- ▶ საქართველოში პირველი ნეობანკი - სფეისი
- ▶ ძლიერი კორპორატიული კულტურა
- ▶ გამოცდილი მმართველი გუნდი და კორპორაციული მართვის მაღალი ხარისხი
- ▶ რისკის ეფექტური მართვა

### ... ძლიერ ფინანსურ და საოპერაციო შედეგებში აისახება...

- ▶ მომგებიანობის მაღალი დონე
- ▶ მაღალი ეფექტურობა
- ▶ ბიზნესის მდგრადი განვითარება
- ▶ აქტივების მაღალი ხარისხი
- ▶ მაღალი ლიკვიდობის დონე
- ▶ კაპიტალის ადეკვატური პოზიცია
- ▶ დიჯიტალიზაციის მაღალი დონე
- ▶ მომხმარებელთა მაღალი დონის კმაყოფილება
- ▶ აქტიური მომხმარებლების რაოდენობის ზრდა
- ▶ მოტივირებული და ჩართული გუნდი

### შესაძლებლობას გვაძლევს გავუზიაროთ ყველა ჩვენს დაინტერესებულ პირს ჩვენი ღირებულებები

- ▶ გრძელვადიანი და მდგრადი ფინანსური შედეგების მიღწევა;
- ▶ კარგად მორგებული გადაწყვეტილებებისა და მომხმარებელთა უმაღლესი დონის კმაყოფილების უზრუნველყოფა;
- ▶ ჩვენი თანამშრომლებისთვის გამოწვევებით სავსე და საინტერესო კარიერის შეთავაზება
- ▶ საზოგადოების მხარდაჭერა ფართო სპექტრის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობებით;
- ▶ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს დაცვა
- ▶ ეკონომიკური ზრდის და დასაქმების ხელშეწყობა..

1 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიების IPM და ACT მიერ ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე.

2 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის TNS მიერ ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე 2019 წლის ოქტომბერში.

3 The Banker, EMEA finance, Euromoney, Global Finance.

# ჩვენი გამორჩეული კონკურენტული უპირატესობები

## საუკეთესო ციფრული შესაქვებლობები

- ▶ ჩვენი ციფრული გადაწყვეტილებები, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებლების კმაყოფილებაზე, ჩვენი სადისტრიბუციო არხების ძირითადი ნაწილია და ყველა ტრანზაქციის 93% ამ ციფრულ არხებში ხორციელდება;
- ▶ ჩვენს გვაქვს მოწინავე ინტერნეტ და მობილური საბანკო აპლიკაციები, ვფლობთ მსოფლიოში „საუკეთესო მობაილ ბანკის ჯილდოს 2019“-ს, ჟურნალ „Global Finance Magazine“-ის მიერ მონიჭებულ მრავალ ჯილდოსთან ერთად ციფრული მომსახურების მიმართულებით ქვეყნის და რეგიონის. მასშტაბით.

## მონაცემთა ანალიზისი მოწინავე შესაქვებლობები

- ▶ 4 მონაცემთა ანალიტიკური პროექტი დაინერგა, 5 მიმდინარეობს;
- ▶ 8.9 მილიონი ლარის დამატებითი მოგება მივიღეთ 2019 წელს;
- ▶ ჩვენი ანალიტიკური შესაქვებლობების გაძლიერება, მონაცემთა ანალიტიკის აკადემიის, სახელწოდებით „Avalanche“ შექმნის გზით.

## მომხმარებელთა მაღალი დონის კმაყოფილება

- ▶ “მომხმარებელი უპირველეს ყოვლისა” მიდგომა - ჩვენ ვაყენებთ მომხმარებლებს ჩვენი ყველა საქმიანობის და მომსახურებების ცენტრში;
- ▶ ვისწრაფვით უწყვეტი განვითარებისკენ ინოვაციების, ციფრულ არხებში ინვესტირებისა და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვის გზით;
- ▶ მრავალი წელია მიყოლებით ვინარჩუნებთ კმაყოფილების უმაღლეს მაჩვენებლებს საქართველოს საბანკო სექტორში<sup>1</sup>.

## ქლიერი ბრენდი და რეპუტაცია

თიბისი ბანკი არის ფართოდ აღიარებული ბრენდი საქართველოში, რომელიც ცნობილია თავისი სანდოობით, მაღალი ხარისხით, ინოვაციებითა და საზოგადოების სამსახურით.

- ▶ ჩვენი ბრენდის ცნობადობის მაჩვენებელი 100%-ს შეადგენს<sup>2</sup> საქართველოს მოსახლეობაში;
- ▶ Top of mind საბანკო სექტორში - 41%<sup>2</sup>;
- ▶ „საქართველოს საუკეთესო ბანკის“ 38 ჯილდოს მფლობელი 2002 წლიდან მსოფლიოს წამყვანი ფინანსური ჟურნალებიდან<sup>3</sup>.

## პირველი ნომერი საქართველოში, სფინისი

- ▶ „სფინისი“, რომელიც გაეშვა 2018 წლის მაისში, არის უახლესი თაობის მობილური აპლიკაცია ყოველდღიური ფინანსების სამართავად, რომელიც გამოწვევას უქმნის ტრადიციულ საბანკო გამოცდილებას, გვთავაზობს უნიკალურ მომხმარებლის გამოცდილებას მარტივი პროცედურებისა და პროდუქტების და ინტუიციური დიზაინის და მომენტალური მიწოდების საშუალებით.

## ქლიერი კორპორატიული კულტურა

- ▶ კორპორატიული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობასა და ერთგულებას;
- ▶ ინვესტიციები ჩვენს თანამშრომლებში, რომლებიც ორიენტირებულია მათ პროფესიულ განვითარებაზე, კმაყოფილებაზე და კეთილდღეობაზე..

## გამოცდილი მმართველი გუნდი და მაღალი ხარისხის კორპორატიული მმართველობა

- ▶ მაღალი კვალიფიკაციის მქონე და დივერსიფიცირებული საზედამხედველო საბჭო, რომელიც არის კორპორაციული მმართველობისა და ბიზნესის გამჭვირვალობის უმაღლესი სტანდარტების ერთგული..

## რისკის ეფექტური მართვა

- ▶ დახვეწილი რისკების მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის მდგრადობას და გამძლეობას;
- ▶ ჩვენი გონივრული მოდგომა ითარგმნება რისკის დაბალ ფასში, აქტივების მაღალ ხარისხსა და ძლიერი კაპიტალის და ლიკვიდობის პოზიციებში..

# ჩვენი სტრატეგია

ჩვენი მისიის - **გავუმარტივოთ ადამიანებს ცხოვრება** - შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ ჩვენს მოწინავე ციფრულ შესაძლებლობებს ყველაზე ინოვაციური და თანამედროვე გადაწყვეტილებების შემუშავებისთვის, რომელიც აკმაყოფილებს მომხმარებლების მოთხოვნილებებს. ჩვენ ასევე ვავითარებთ ჩვენს ნეობანკ სფეროს, რომელიც გამოწვევას უქმნის ტრადიციულ საბანკო მომსახურებას სრულყოფილი ციფრული გამოცდილების, ინტუიტიური ინტერფეისებისა და მარტივი პროცესებისა და მექანიზმების შექმნით. პარალელურად ჩვენ აქტიურად ვავითარებთ ჩვენს ფინანსურ პროდუქტებს და ვუზრუნველყოფთ სერვისის გაუმჯობესებას ჩვენი კორპორატიული, MSME და საცალო მომხმარებლებისთვის, ასევე, ვაგრძელებთ agile ტრანსფორმაციის პროექტის განხორციელებას ორგანიზაციის შიგნით, ინვესტირებას ჩვენს თანამშრომლებში და მათ განვითარებაზე ზრუნვას.

## ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტები | პროგრესი 2019 წელს

### 1. ჩვენი ძირითადი ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების ეფექტური გამოყენება

როგორც ქვეყნის უმსხვილესი ბანკი, ჩვენი მიზანია შევინარჩუნოთ ლიდერის პოზიცია და ბაზართან ერთად ზრდა ჩვენს ყველა სეგმენტსა და პროდუქტებში, მუდმივი ფინანსური შეთავაზებებით [მეტი ინფორმაცია იხილეთ სეგმენტების მიმოხილვაში 16-35 გვერდებზე]. საპროცენტო შემოსავალი რჩება შემოსავლის გენერირების ძირითად მიმართულებად და ჩვენ ორიენტირებული ვიქნებით შევინარჩუნოთ წმინდა საპროცენტო მარჟის (NIM) დონე მომხმარებელთა სათანადო სეგმენტაციითა და საფასო სტრატეგიით. პარალელურად, ჩვენ გავზრდით საკომისიოზე დაფუძნებულ მომსახურებებს, როგორცაა საბარათე ბიზნესი, ვაჭრობის დაფინანსება, ბროკერობა და სანვესტიციო საბანკო საქმიანობა.

#### მყარი ზრდა

- ▶ საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 22.1% წინა წელთან შედარებით.
- ▶ 39.5% ბაზრის წილი სესხებში გაიზარდა 0.7 pp-ით.

#### მაღალი მოგებაუნობა

- ▶ უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) გაიზარდა 1.1 pp -ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 23.8%
- ▶ უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) გაიზარდა 0.1. pp -ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 3.3%.

### 2. ციფრული შესაძლებლობების უფრო მეტად გაქლიერება

ჩვენი ტექნოლოგიურ კომპანიად გარდაქმნის მისწრაფებების შესაბამისად, მუდმივად ვხვებით ჩვენს ციფრულ შესაძლებლობებს და ვავითარებთ ინოვაციურ გადაწყვეტილებებს ჩვენი მომხმარებლებისათვის მონაცემთა ანალიზისი მოწინავე შესაძლებლობებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. წელს ჩვენ გამოვუშვით მთელი რიგი ინოვაციები, მათ შორის voice გადახდა მობაილ ბანკში, Apple Pay და QR გადახდები.

პარალელურად ჩვენ აქტიურად ვავითარებთ „ნეობანკ სფეროს“- Neobank Space, რომელიც გასულ წელს გაეშვა საქართველოში, და წარმოადგენს სრულად უნიკალურ საბანკო გამოცდილებას ციფრულად გათვითცნობიერებული მომხმარებლებისთვის და გამოწვევას ქართული საბანკო სექტორისთვის „სფეროსით“, ჩვენ ვქმნით მნიშვნელოვან ცოდნის ბანკს, რომელიც დაგვეხმარება ადვილად დავერგოთ „სფეროსი“ სხვა ბაზრებზე.

#### განტვირთვის კოეფიციენტი

- ▶ 92.7% გაიზარდა 2.1 pp-ით წინა წელთან შედარებით

#### მოხილური საბანკო მომსახურების პენეტრაციის კოეფიციენტი

- ▶ 40.0% გაიზარდა 3.0 pp-ით წინა წელთან შედებით

#### სფერისი

- ▶ 508,000 ჩამოტვირთვა
- ▶ 181,000 რეგისტრირებული მომხმარებელი

1 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის IPM მიერ ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე საცალო სეგმენტში 2019 წლის დეკემბერში.



### 3. მომხმარებლის მომსახურების უფრო მეტად გაუმჯობესება

ჩვენი მიზანია ვიყოთ საუკეთესო მომსახურების პროვაიდერი საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ დიდ დროსა და ენერჯის ვუთმობთ მომხმარებელთა საბანკო საჭიროებების შესწავლას, მათი პრეფერენციების განსაზღვრას და ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურებების შესაბამისად გარდაქმნას, რათა ვუზრუნველყოთ მაღალი მომსახურების დონე ჩვენი ყველა სადისტრიბუციო არხის მეშვეობით. ამგვარი ქმედება და ჩვენი მოწინავე ციფრული შესაძლებლობების გამოყენება, საშუალებას გვაძლევს არამხოლოდ დაკავშირდეთ ჩვენი მომხმარებლები, არამედ ასევე გავითვალისწინოთ მათი სურვილები.

დასახელდა „საქართველოში საუკეთესო მომსახურების მიმწოდებლად“<sup>1</sup>

### 4. AGILE კომპანიად ტრანსფორმაცია

ჩვენ ვაცნობიერებთ მოქნილი საორგანიზაციო სტრუქტურის მნიშვნელობას არსებული სწრაფად ცვლადი ბაზრის პირობებში, სადაც კომპანიებმა უნდა შეძლონ სწრაფად ადაპტირება და წარმოქმნილ ბიზნეს-საჭიროებებზე რეაგირება. ამ მიზნით ჩვენ გადავწყვიტეთ კომპანიის შიგნით agile ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც დაგვეხმარება გავზარდოთ შიდა თანამშრომლობა, მივალწიოთ საწარმოო ეფექტურობას და შევამციროთ დანერგვის ვადა. ასევე ხელს შეუწყობს განსაკუთრებული სამუშაო გარემოს შექმნას, სადაც თანამშრომლები უფრო უფლებამოსილებად და მოტივირებულად იგრძნობენ თავს. 2019 წლის განმავლობაში, ჩვენ წარმატებით განვახორციელეთ agile ტრანსფორმაცია საცალო, MSME და IT დეპარტამენტებში და ვგეგმავთ მის გაფართოებას სხვა დეპარტამენტებში 2020 წლის განმავლობაში.

სისტემების უმრავლესობის დანერგვის ვადა<sup>1</sup>

▶ გაიზარდა 2.3-ჯერ

თანამშრომელთა ბედნიერება<sup>1</sup>

▶ გაიზარდა 16%-ით

FTE პროდუქტიულობა

▶ გაიზარდა 10%-ით

მოქნილობის "Agility" მაჩვენებელი<sup>1</sup>

▶ გაიზარდა 4.3%-ით

### 5. იწვევსტირება ადამიანურ კაპიტალში

ვინაიდან ვთვლით, რომ ხალხი არის ჩვენი მთავარი კონკურენტული უპირატესობა, ჩვენს ვაძლიერებთ ჩვენს ძალისხმევებს სწავლისა და განვითარების მიმართულებით. წელს თიბისის აკადემიის გაფართოების გარდა, რომლის ფარგლებშიც ტარდება კურსები სხვადასხვა სფეროში, ჩვენ შევადგინეთ რამდენიმე ახალი საგანმანათლებლო პროგრამა ჩვენი ახალი ბიზნეს ინიციატივების მხარდასაჭერად:

- ▶ ბიზნეს სკოლა – მორგებული სასწავლო პროგრამა კორპორაციული, ფინანსური და რისკის მართვის სპეციალისტებისთვის, რომელიც მოიცავს 8 მოდულს და გრძელდება 2 თვის განმავლობაში;
- ▶ Agile აკადემია – ზოგადი ტრენინგი agile და scrum მეთოდოლოგიაში;
- ▶ მონაცემთა ანალიტიკა – ზოგადი მონაცემთა მართვის კურსი, ასევე კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგი მონაცემთა ანალიტიკა და ინჟინერია;
- ▶ IT აკადემია – იწვევს და ამზადებს ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა დეველოპერებს Front-end და Back-end სასწავლო კურსებზე. ასევე ახდენს შეხვედრების და ჰაკათონების ორგანიზებას ინფორმაციული ტექნოლოგიების პოპულარიზაციისთვის.

ჩვენ ვგეგმავთ დამატებით განვავითაროთ აღნიშნული პროგრამები და დავამოთ მეტი ონლაინ კურსი მომდევნო წელს.

ბიზნეს სკოლა

▶ 80 გადამზადებული პირი

Agile აკადემია

▶ 545 გადამზადებული პირი

მონაცემთა ანალიტიკა

▶ 500 გადამზადებული პირი

IT აკადემია

▶ 117 ახალი პირი გადამზადდა და 25 ახალი მონაწილე.

# შედეგების ძირითადი მაჩვენებლები

ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით პროგრესს ჩვენი სტრატეგიის შესაბამისად და შევიმუშავეთ შედეგების ძირითადი მაჩვენებლები (KPIs), რომლითაც იზომება ჩვენი ფინანსური და საოპერაციო საქმიანობით მიღწეული შედეგები. აღნიშნული KPIs მაჩვენებლები შესაბამისობაშია ჩვენს სტრატეგიასთან და უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას და მდგრად ზრდას.


2019 წელს ჩვენი წმინდა მოგება გაიზარდა 25.9%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 545.7 მილიონი ლარი, ხოლო უკუგება კაპიტალზე იყო 23.8% და უკუგება აქტივებზე - 3.3%.

2019 წელს ჩვენმა საოპერაციო მოგებამ შეადგინა 1,093.2 ლარი, გაიზარდა 2.5%-ით წინა წელთან შედარებით, რაც განპირობებული იყო წმინდა საკომისიო შემოსავლისა და წმინდა საპროცენტო შემოსავლის ზრდით. წმინდა საპროცენტო შემოსავლის ზრდა დაკავშირებული იყო სავალუტო სვოპების რეკლასიფიკაციასთან 28.6 მილიონი ლარის ოდენობით სხვა საოპერაციო შემოსავლიდან. ამ ზრდამ დააკომპენსირა წმინდა საპროცენტო შემოსავლის შემცირება, რაც გამოწვეული იყო, 2019 წლის 1 იანვარს შემოღებული პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაციის მეშვეობით, რომლის მიხედვითაც შეიზღუდა ბანკის შესაძლებლობა გასცეს სესხი მაღალშემოსავლიანი საცალო კლიენტებზე და ასევე პროდუქტის ასორტიმენტში ცვლილებით. შედეგად წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) შემცირდა 1.3 პროცენტით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 5.5%. წმინდა მოგებაში ზრდა ასევე განპირობებული იყო სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შემცირებით, გაუმჯობესებული შედეგების საფუძველზე ყველა სეგმენტში. შედეგად ჩვენი რისკის ფასი შეადგენდა 0.7%-ს 2019 წელს, 2018 წელს - 1.6%. 2019 წელს ჩვენი საოპერაციო ხარჯი გაიზარდა 4.1%-ით წინა წელთან შედარებით, შედეგად ხარჯების შემოსავალთან თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგინა 37.7% და გაიზარდა 0.6% -ით წინა წელთან შედარებით. იმავე პერიოდში ბანკის განცალკევებული ხარჯის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი დარჩა მყარი და შეადგინა 35.9%.

საბალანსო ზრდის კუთხით, ჩვენი საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 22.1%-ით წინა წელთან შედარებით ან 17.9%-ით, მუდმივი კურსის პირობებში, რაც ძირითადად განპირობებული იყო კორპორატიულ და MSME სეგმენტებში ზრდით. შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვენი საკრედიტო პორტფელის საბაზრო წილმა შეადგინა 39.5%, გაიზარდა 0.7 პროცენტით წინა წელთან შედარებით. ჩვენი კაპიტალის პოზიცია დარჩა ძლიერი. იმავე პერიოდში, ჩვენი პირველადი და საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები Basel III-ის მიხედვით იყო 14.6% და 19.1% , ხოლო რეგულატორის მინიმალური მოთხოვნები შეადგენდა 12.5% და 17.5% შესაბამისად.

ჩვენ ვალწევთ სტაბილურ შედეგებს დიჯიტალიზაციის კუთხით. ჩვენი საცალო ტრანზაქციების განტვირთვის კოეფიციენტი განაგრძობს ზრდას, რაც განპირობებულია ძირითადად მოხაილ ბანკის ტრანზაქციებით. ასევე ვინარჩუნებთ წამყვან პოზიციას საცალო ინდუსტრიაში საქართველოში საუკეთესო მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს კოლეგებზე ზრუნვა და წლის განმავლობაში ჩვენ შემოვიღეთ თანამშრომლის ბედნიერების ინდექსი, რომელიც სათანადოდ გაკონტროლდება მომავალში.

## ფინანსური KPIs



**ხარჯების  
ფარდობა  
შემოსავალთან  
ზრდა 0.6pp**




**თიბისი ბანკის  
განცალკევებული  
ხარჯების ფარდობა  
შემოსავალთან<sup>1</sup>  
ზრდა 0.3pp**



**რისკის ფასი**

**შემცირება 0.9pp**



**საკრედიტო პროცენტის  
საბაზრო ნილი<sup>2</sup>**

**ზრდა 0.7pp**



**პირველადი  
კაპიტალი CAR  
(BASEL III)**

**ზრდა 1.8pp**



**საზღადავადი  
კაპიტალი  
CAR (BASEL III)**

**ზრდა 1.2pp**



**არაფინანსური KPIS**

**თანამშრომლის  
კმაყოფილება<sup>3</sup>**

**ზრდა 15.8%**



**მომხმარებლის მომსახურება**

საუკეთესო მომსახურების პროვაიდერი საქართველოში  
(კონკურენტ ბანკთან შედარებით)<sup>4</sup>

**ზრდა 0.4pp**



**მობაილ ბანკის  
კანეტირების კოეფიციენტი**

**ზრდა 3.0pp**



**საცალო ტრანზაქციების  
განხორციელების კოეფიციენტი**

**ზრდა 2.1pp**



1 კოეფიციენტის გამოთვლისთვის, ყველა შესაბამისი ჯგუფის მიმდინარე ხარჯები განაწილდა ბანკზე.  
2 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე  
3 ინდექსი გაიზომა -3 -დან +3-მდე (+3 ნიშნავს ძალიან ბედნიერს) შკალით, შიდა გამოკითხვის საფუძველზე, მსოფლიოს წამყვანი საკონსულტაციო ფირმასთან თანამშრომლობით, agile სტრუქტურის მონაწილე თანამშრომლებს შორის.  
4 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის IPM მიერ ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე საცალო სეგმენტს შორის.

# საცალო საბანკო მომსახურება

## 2019 ძირითადი მაჩვენებლები

**40.0%**

საცალო სესხების ბაზრის წილი<sup>1</sup>

**c.2.5 mln**

მომხმარებლების რაოდენობა

**37.9%**

საცალო დეპოზიტების ბაზრის წილი<sup>1</sup>

**93%**

განტვირთვის კოეფიციენტი

**39.9%**

საცალო სესხების წილი მთლიან პორტფელში

**56.1%**

საცალო დეპოზიტების წილი მთლიან პორტფელში



### მიმოხილვა

თიბისი ბანკი ლიდერია საქართველოს საცალო საბანკო მომსახურებაში, რომელიც ემსახურება 2.5 მილიონ კლიენტს, რაც ქვეყნის ზრდასრული მოსახლეობის 90%-ს შეადგენს. ჩვენს კლიენტებს ვთავაზობთ საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების სრულ სპექტრს ციფრულ სადისტრიბუციო არხებზე ფოკუსირებით, რომლებიც მორგებულია მათ მოთხოვნილებებზე. ჩვენ ვამაყობთ კლიენტის კმაყოფილების უმაღლესი დონით<sup>2</sup> საქართველოს საბანკო ინდუსტრიაში, და გვიკავია წამყვანი პოზიცია ყველა მსხვილ საცალო კომპანიას შორის.

2019 წელს, ჩვენი საცალო საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 7.5%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 5,053 მილიონი ლარი, რაც ძირითადად განპირობებული იყო იპოთეკური კრედიტების ზრდით, რომელიც გაიზარდა 17.0%-ით წლიდან წლამდე. იმავე პერიოდში საცალო დეპოზიტები გაიზარდა 11.2%-ით - 5,674 მილიონ ლარამდე. მეტი ინფორმაცია საცალო სეგმენტის ფინანსური შედეგების შესახებ წარმოდგენილია ფინანსური განხილვის ნაწილში გვერდებზე 94-107

**158**

ფილიალი

**22,414**

POS ტერმინალი

**c.560,000**

ინტერნეტ ან მობაილ ბანკის მომხმარებელი

პირველი ხმის ბიომეტრიული ამოცნობის სისტემა ქოლ-ცენტრში.

**3,671**

გადახდის აპარატი

**c.1,350**

ATMs<sup>3</sup>

**40%**

მობილური საბანკო მომსახურების პენეტრაციის კოეფიციენტი

პირველი ქართულად მოსაუბრე ჩეთ-ბოტი, Ti-Bot ხელმისაწვდომობა Facebook Messenger აპლიკაციით

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; მოცემულ კონტექსტში საცალო გულისხმობს ინდივიდუალურ მომხმარებლებს.

<sup>2</sup> დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის IPM მიერ ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე საცალო სეგმენტში 2019 წლის დეკემბერში.

<sup>3</sup> თიბისი ბანკი ATMs მათ შორის პარტნიორი ბანკები.



**მაღალშემოსავლიანი მომხმარებლები**

ეს სეგმენტი მოიცავს დაახლოებით 2,500 რეზიდენტ და არარეზიდენტ მაღალშემოსავლიან ფიზიკურ პირებს, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ საქართველოსთან. ჩვენ ასევე გვყავს წარმომადგენლობა ისრაელში - TBC Invest, რომელიც ისრაელში მყოფ კლიენტებთან შუამავლობას გვიწევს და საშუალებას გვაძლევს მივაწოდოთ ინფორმაცია თიბისი ბანკის პროდუქტების შესახებ.

ჩვენ ვემსახურებით მაღალშემოსავლიან კლიენტებს VIP სერვის ზონებში, რაც აერთიანებს კომფორტს, ფუფუნებასა და პრივატულობას. ჩვენი მაღალკვალიფიციური პერსონალური ბანკირები არიან კონსულტანტები და ეხმარებიან მომხმარებლებს ქონების განკარგვაში, ასევე, უზრუნველყოფენ სპეციალური მომსახურებების ფართო ასორტიმენტს, მათ შორის ტრადიციულ საბანკო და ცხოვრების სტილზე მორგებულ გადაწყვეტილებებს. ჩვენ აქტიურად ვუკავშირდებით ჩვენს კლიენტებს, მათი მიზნებისა და მისწრაფებების უკეთ გაგების და დახმარების მიზნით, რათა დავეხმაროთ ჩვენი დახვეწილი შეთავაზებების სრული სარგებლის მიღებაში.

ჩვენ ასევე ვთავაზობთ საბროკერო და კაპიტალის მართვის მომსახურებებს ჩვენი შვილობილი კომპანიის „თიბისი კაპიტალის“ მეშვეობით. 2019 წელს ჩვენმა მაღალშემოსავლიანმა კლიენტებმა შეიძინეს დაახლოებით 44 მილიონი აშშ დოლარის ობლიგაციები „თიბისი კაპიტალის“ მეშვეობით.



## ჩვენი სტრატეგიული მიმართულებები 2019 წელს

ჩვენ ვისწრაფვით რომ გავხდეთ მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანია და ვუზრუნველყოთ მომხმარებლების პერსონალიზებული და ეფექტური მომსახურება, ჩვენი მრავალარხიანი პლატფორმის ფარგლებში, თანამედროვე ციფრული შესაძლებლობებისა მონაცემთა ანალიზის მეშვეობით.

### მომხმარებელზე ორიენტირებულ კომპანიად ჩამოყალიბება

წელს, ჩვენ სრულად გადავაჯგუფეთ ჩვენი სტრუქტურა საცალო ბიზნესში, ჯგუფების შექმნით მომხმარებლების და არა პროდუქტების გარშემო. შედეგად, ჩვენმა ფოკუსმა პროდუქტების და მომსახურებების გაყიდვებიდან გადაინაცვლა მომხმარებლების საჭიროებების გაგებაზე და ვისწრაფვით შევასრულოთ მათი მოთხოვნები სხვადასხვა პროდუქტების შემუშავების გზით. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენს value proposition-ს და შესაძლებლობას მისცემს მომხმარებლებს მიიღონ დამატებითი პროდუქტები და მომსახურებები.

2019 წლის განმავლობაში ჩვენ გამოვუშვით რამდენიმე საცალო პროექტი, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი არის ონლაინ პლატფორმა „დღესვე“ ([www.dgesve.ge](http://www.dgesve.ge)). აღნიშნული მომხმარებელზე მორგებული პლატფორმის მიზანია დაეხმაროს ადამიანებს სურვილების მომენტალურად შესრულებაში და სთავაზობს არა მხოლოდ სესხებს, ასევე დამატებითი მომსახურებების სრულ პაკეტს, რომელიც მათ შესაძლოა დასჭირდეთ სხვადასხვა მიზნებისთვის. მაგალითად, თუ მომხმარებელს სჭირდება ავტოსესხი, ის ასევე მიიღებს სპეციალურ ფასდაკლებას ავტომობილის დაზღვევაზე, ასევე ავტომობილთან დაკავშირებულ სხვადასხვა საჩუქარს და შეთავაზებას პარტნიორი კომპანიებისგან. ეს პლატფორმა სთავაზობს ცხრა სხვადასხვა ტიპის სესხს, მათ შორის სამოგზაურო, ავტო, სტუდენტური და სხვა. თავდაპირველი შედეგები საკმაოდ იმედისმომცემი იყო, გამოშვებიდან კერძოდ ნოემბრიდან გამოიყო 1,128 სესხი, რომლის თანხა შეადგენს 2.7 მილიონ ლარს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ახალგაზრდა თაობა კვლავ რჩება საცალო ბიზნესის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად. ჩვენი მიზანია გავხდეთ #1 არჩევანი და ყველაზე საყვარელი ბრენდი ამ სეგმენტისთვის, განათლებაზე და ცხოვრების სტილზე მორგებული შეთავაზებებით.

- ▶ 2019 წელს ჩვენ გამოვუშვით ახალგაზრდების პლატფორმა სკოლის მოსწავლეებისთვის ([www.TBCKids.ge](http://www.TBCKids.ge)), რაც შესაძლებლობას აძლევს მშობლებს შეუკვეთონ სადებიტო ბარათები თავიანთი შვილებისთვის დისტანციურად. ბარათი არ მოიცავს საბანკო გადასახადებს, მათ შორის წლიური მომსახურების საკომისიოსა და ATM საკომისიოს თიბისი ბანკის ბანკომატებიდან. მშობლებს შეუძლიათ დაუწესონ მაქსიმალური ლიმიტი შვილებს გადასახადებსა და თანხის განაღდებაზე, ხოლო ბავშვებს შეუძლიათ დააგროვონ და დახარჯონ ერთგული ქულები. გარდა ამისა, ეს პლატფორმა ბარათის მფლობელებს სთავაზობს სხვადასხვა ფასდაკლებებს და აქტივობებს ბარათის მფლობელებს, რომლებიც მათ ინტერესებზეა მორგებული. წელს თიბისი ასევე იყო საგანმანათლებლო ღონისძიებების, მათ შორის Kings Olympics, Book Fair და Tbilisi Kids Fest სპონსორი.
- ▶ ჩვენ ასევე ბევრი საინტერესო შეთავაზება გვაქვს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, მათ შორის საგანმანათლებლო და გასართობი პროგრამები. საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ჩვენ ჩავატარეთ რიგი ლექციები სხვადასხვა საგანში სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენ ასევე ვთავაზობთ YourCard, სპეციალურ ბარათს, გამორჩეული ბენეფიტებით, რომლებიც მორგებულია სტუდენტების ინტერესებზე. ბარათის მფლობელებს შეუძლიათ ისარგებლონ ფასდაკლებებით 50-ზე მეტ პარტნიორ კომპანიაში. 2020 წელს ჩვენ ვგეგმავთ გამოვუშვათ პლატფორმა სტუდენტებისთვის, რომელიც წარმოადგენს ეკოსისტემას ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის, რომელიც აერთიანებს საგანმანათლებლო, დასაქმების და სხვა ბევრ შეთავაზებას.

შედეგად ახალგაზრდა მომხმარებლების რაოდენობა<sup>1</sup> გაიზარდა 10%-ით წინა წელთან შედარებით და მიაღწია 144,260-ს 2019 წლის ბოლოს.

2017 წლიდან ჩვენ ავამოქმედეთ ფართომასშტაბიანი ლოიალურობის პროგრამა - ერთგული, რომელიც გვეხმარება ჩვენს კლიენტებთან ურთიერთობების გაძლიერებაში და მათი ჩართულობის გაზრდაში. ჩვენ ვატარებთ რეგულარულ კამპანიებს და ვპარტნიორობთ 270 ორგანიზაციასთან მომხმარებლისთვის საუკეთესო შეთავაზებების მიწოდებისთვის. შედეგად „ერთგული“ ბარათის მფლობელთა რაოდენობამ

<sup>1</sup> მომხმარებლები 6-23 წიანად

მიაღწია 1.5 მილიონს 2019 წლის ბოლოს, ხოლო POS ტრანზაქციების რაოდენობამ მიაღწია 85 მილიონს, ეს მაჩვენებელი 2018 წელს შეადგენდა 60 მილიონ და 2017 წელს 40 მილიონს.

**მონაცემების საფუძველზე ოპერირებად კომპანიად გარდაქმნა**

ჩვენ ვისწრაფვით შევინარჩუნოთ მოწინავე პოზიცია ქვეყანაში და გავხდეთ მომხმარებელზე ორიენტირებული ორგანიზაცია ჩვენი მაღალი დონის ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერებით. ეს დაგეხმარება შეუდარებელი კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში საქართველოში.

გასულ წელს, მსოფლიოს წამყვანი კონსულტანტის მხარდაჭერით შევიმუშავეთ 3 წლიანი ანალიტიკური სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს 23 მონაცემთა ანალიტიკურ პროექტს ბანკის მასშტაბით. ჩვენი მიზანია გამოვიმუშავოთ დამატებითი 100 მილიონი ლარი წლიური მშინდა მოგება 2023 წლისთვის.

2019 წლის ბოლოს ჩვენ გამოვუშვით მონაცემთა ანალიზის პროექტები, რომლებმაც მოიტანა დამატებითი 8.9 მილიონი ლარის მოგება:

- ▶ **სამომხმარებლო კრედიტის ღირებულების ოპტიმიზაცია** – ეს პროექტი დაიწყო 2018 წელს და სამიზნე კლიენტები იყვნენ ხელფასიანი მომხმარებლები. ხარჯების დინამიკისა და სხვა მახასიათებლების დეტალური ანალიზის საფუძველზე, ჩვენ განვსაზღვრეთ ფასების მგრძობელობა თითოეული მომხმარებლისთვის და შევიმუშავეთ თითოეულ ინდივიდუალურ კლიენტზე მორგებული შეთავაზებები.
- ▶ **Affluent value proposition** – 2019 წლის აპრილში, ჩვენ დავნერგეთ პირველი ციფრული პერსონალური საბანკო მომსახურება საქართველოში, რომელიც მომხმარებლებს აძლევს სრული ციფრული რეგისტრაციის და ციფრული საბანკო ოპერაციების დამოუკიდებლად მართვის, ასევე თიხისი სტატუსის ბენეფიტების მიღების შესაძლებლობას. ეს პროექტი მეტად წარმატებული აღმოჩნდა და 2019 წლის ბოლოს სტატუს კლიენტების რაოდენობა გაორმაგდა და მნიშვნელოვნად გადააჭარბა ჩვენს მთავარ კონკურენტს.
- ▶ **ბიზნესის მფლობელების განვრცობა** – 2019 წლის ივნისში, ბიზნესისთვის გამოვუშვით B-COM, ინოვაციური მომსახურების მოდელი, რომელიც გულსხმობს განვრცობაზე დაფუძნებულ საბანკო გადაწყვეტილებას, მომხმარებლებისათვის პროდუქტების და მომსახურებების ნაკრების შეთავაზებას და ასევე სხვადასხვა ტრენინგს ფიქსირებულ ყოველთვიურ ან წლიურ საფასურად. ამ მომსახურების დანერგვიდან დღემდე ჩვენ უკვე მოვიზიდეთ 9,000 გამომწერი.

- ▶ **საცალო დეპოზიტის ფასი** – ეს პროექტი გამოვუშვით 2019 წლის ოქტომბერში და მისი მიზანია საცალო დეპოზიტების ეფექტურად მართვა კლიენტებზე მორგებული შეთავაზებების გზით. ვადიანი დეპოზიტის გახსნისას თითოეული მომხმარებელი იღებს ალტერნატიულ შეთავაზებას, რომელიც მისთვის საუკეთესო შეთავაზებაა მოცემულ პირობებში. 2019 წლის დეკემბერში კი ახლად გახსნილი ან განახლებული ვადიანი დეპოზიტების 50%-ს განახლებული პირობები შეთავაზეთ.

გარდა ამისა დავაფუძნეთ ანალიტიკური აკადემია, სახელწოდებით Avalanche ანალიტიკის სკოლა. მონაცემთა ანალიტიკაში და ინჟინერიაში საუკეთესო კადრების მოზიდვის, გადამზადების, შენარჩუნებისა და ასევე მონაცემთა ანალიტიკის მნიშვნელობის შესახებ საერთო ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, ბანკის მასშტაბით, 2019 წელს, ჩვენ გადავამზადეთ 500 ადამიანზე მეტი მონაცემთა ანალიტიკის პრინციპებში.

**გაუმჯობესებული ციფრული შესაძლებლობები**

ჩვენ ციფრული მოგზაურობა დავიწყეთ 2012 წლიდან, მოწინავე ტექნოლოგიებში ინვესტირებით და საუკეთესო ციფრული გადაწყვეტილებების დანერგვით ჩვენი მომხმარებლებისთვის, მათ შორის ჩვენი მრავალგზის ჯილდო მოპოვებული ინტერნეტ და მობილური საბანკო აპლიკაციებით. ჩვენ ასევე ვართ ლიდერები ბაზარზე ინოვაციების კუთხით და პირველებმა დავნერგეთ საქართველოში: P2P გადახდები, ქართულენოვანი ჩეთბოტი, რომელიც ხელმისაწვდომია Facebook messenger აპლიკაციით, პერსონალური ფინანსური მენეჯერი ინტერნეტ და მობილურ საბანკო საქმიანობაში და ბიომეტრიული ხმის ამოცნობის სისტემა ჩვენს ქულ ცენტრში. შედეგად ყველა ტრანზაქციის 93% ხორციელდება ციფრულად, მობილური საბანკო საქმიანობა არის კომუნიკაციის ყველაზე პრიორიტეტული არხი ჩვენი მომხმარებლებისთვის.

განსაკუთრებით ვამაყობთ იმით, რომ თიხისი ბანკი დასახელდა საუკეთესო ბანკად მობილურ საბანკო საქმიანობაში 2019 წელს ჟურნალ Global Finance-ის მიერ და დგას მსოფლიოს ისეთ წამყვანი ბანკების რიგებში, როგორებიცაა DBS, Citi და Sberbank. ეს არის ჯილდო ჩვენი ციფრული შესაძლებლობებისთვის და მოწინავე ტექნოლოგიების უწყვეტი განვითარებისთვის. გარდა ამისა, ჩვენ მივიღეთ სხვადასხვა ჯილდოები რეგიონის და ქვეყნის მასშტაბით Global Finance-ის მიერ სხვადასხვა ციფრულ კატეგორიებში, როგორიცაა საუკეთესო ციფრული ბანკი საქართველოში 2019 წ, საუკეთესო მობილური საბანკო მომსახურება და საუკეთესო მობილური საბანკო აპლიკაცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 2019 წ.



ჩვენ არ გავჩერდებით მიღწეულ შედეგებზე და გავაგრძელებთ ჩვენი საუკეთესო ინტერნეტ და მობილური საბანკო აპლიკაციების გაუმჯობესებას, ჩვენ კლიენტებთან კავშირის საფუძველზე. წელს ჩვენ დავამატეთ რამდენიმე მახასიათებელი, მათ შორის ხმის ამოცნობის ვირტუალური დამხმარე, რაც ჩვენს მომხმარებლებს აძლევს მარტივი საბანკო ტრანზაქციების განხორციელების შესაძლებლობას. ჩვენ ასევე გვაქვს ინტეგრირებული QR გადახდები ჩვენს მობილურ აპლიკაციაში, რაც მომხმარებლებს აძლევს გადახდის სხვადასხვა ოფციონების გამოყენების შესაძლებლობას ერთი აპლიკაციის მეშვეობით. ჩვენ გავამდიდრეთ ჩვენი ინტერნეტ და მობილური საბანკო შეთავაზებები მესამე მხარის მონაცემებით და ინფორმაციით ჩვენი კლიენტების სახელმწიფო საპენსიო ფონდის შენატანების შესახებ. გარდა ამისა პერსონალური შეთავაზებების შესამუშავებლად ვიყენებთ ჩვენს მონაცემთა ანალიტიკურ შესაძლებლობებს, რომლებიც წარმოდგენილია ჩვენი მობაილ და ინტერნეტ ბანკის აპლიკაციების მეშვეობით.



DGESVE.GE

## კლათფორმა დღესვე

ეს არის ინოვაციური პლათფორმა, რომელიც საცალო მომხმარებლებს სთავაზობს აისრულონ სურვილები მომენტალური სამომხმარებლო სესხის საშუალებით





მშენებლობის მსახურს  
სწავლება

სწავლება  
სწავლება

მშენებლობის

სწავლება

# კორპორატიული საინვესტიციო საბანკო მომსახურება

## 2019 ძირითადი მაჩვენებლები

**38.9%**

კორპორატიული საკრედიტო ბაზრის წილი<sup>1</sup>

**36.8%**

კორპორატიული სესხების წილი მთლიან პორტფელში

**40.6%**

კორპორატიული სადეპოზიტო ბაზრის წილი<sup>1</sup>

**32.1%**

კორპორატიული დეპოზიტების წილი მთლიან პორტფელში

**50.2%**

კორპორატიული გარანტიების და აკრედიტივის საბაზრო წილი<sup>1</sup>

**3,232**


მომხმარებელთა რაოდენობა

### მიმოხილვა

თიბისი ბანკი არის წამყვანი კორპორატიული და საინვესტიციო ბანკი საქართველოში, და არის ლიდერი ყველა ძირითადი საზომით. ჩვენ გვაქვს კონსულტაციაზე ორიენტირებულ ბიზნეს მოდელი და ვისწრაფვით, რომ გავხდეთ სანდო პარტნიორი ჩვენი კლიენტებისთვის. ჩვენს კლიენტებს ემსახურებიან ყველა მსხვილ ეკონომიკურ დარგში ფართო გამოცდილების მქონე კორპორატიული ბანკირები, რომლებიც ეხმარებიან მათ ფინანსური სტრუქტურის ოპტიმიზაციაში. ჩვენ ასევე გვაქვს ძლიერი ვაჭრობის დაფინანსების (Trade finance) შესაძლებლობები, რომლებიც მხარს უჭერენ ქართულ კომპანიებს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გაღვივებაში. რადგან მსხვილ კომპანიებში საინვესტიციო საბანკო გადაწყვეტილებების მოთხოვნის ზრდა შეინიშნება, ჩვენ, ასევე, აქტიურად ვავითარებთ ჩვენს კორპორატიულ საკონსულტაციო, საბროკერო და კვლევით მომსახურებებს შვილობილი კომპანიის „თიბისი კაპიტალის“ მეშვეობით.

### დივერსიფიცირებული პორტფელი საქართველოს ეკონომიკის ყველა დარგში

- ენერჯეტიკა და კომუნალური მომსახურებები
- უძრავი ქონება
- კვების ინდუსტრია
- სასტუმროები და დასვენება
- მშენებლობა
- ვაჭრობა
- ჯანდაცვა
- ნავთობი და გაზი
- ავტო-ტექ მომსახურება
- მეტალურგია და სამთომომპოვებითი მრეწველობა
- ფინანსური მომსახურება
- სოფლის მეურნეობა
- სხვა



<sup>1</sup> სებ-ის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით; ამ კონტექსტში კორპორატიული ნიშნავს იურიდიულ პირებს.

## კორპორატიული საბანკო მომსახურება

ჩვენ გვაქვს კარგად დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი, რომელიც ემსახურება 3,232 კორპორატიულ კლიენტს და მოიცავს ეკონომიკის ყველა მსხვილ დარგს. 2019 წელი იყო ძლიერი წელი კლიენტების შექმნისა და პორტფელის ზრდის თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი საშუალო კორპორატიული ქვე-სეგმენტისთვის. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვენი საერთო კორპორატიული საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 46.7%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 4,660 მილიონი ლარი, რაც განპირობებული იყო როგორც მსხვილი, ასევე საშუალო კორპორატიული კლიენტების შექმნით, ასევე, 2019 წლის პირველ კვარტალში, კონკრეტული კლიენტების რე-სეგმენტაციით MSME სეგმენტიდან. შედეგად, ჩვენი საშუალო კორპორატიული სეგმენტის წილი გაიზარდა და მთლიანი კორპორატიული პორტფელის 41.0% შეადგინა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წელს კი ეს მაჩვენებელი შეადგენდა 27.0%-ს.

მეტი ინფორმაცია კორპორატიული სეგმენტის ფინანსური შედეგების შესახებ, გთხოვთ, იხილეთ ფინანსური მიმოხილვის ნაწილში, გვერდებზე: 94-107.

ჩვენ ვინარჩუნებთ წამყვან პოზიციას საქართველოში ვაჭრობის დაფინანსების (Trade finance) კუთხით, როგორც დივერსიფიცირებული პროდუქტის შეთავაზებით, ასევე საკონსულტაციო მომსახურებებით. ასევე გვაქვს კარგი პარტნიორობა მსხვილ კონტრაგენტ ბანკებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. ჩვენმა საგარანტიო და აკრედიტაციის პორტფელმა შეადგინა 1,713 მილიონი ლარი, რომელიც 39.2%-ით არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით. ჩვენი დაულაღვი შრომის შედეგად, მოვიპოვეთ რამდენიმე პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდო: „საუკეთესო პარტნიორი ვაჭრობის დაფინანსებაში 2019“ – Commerzbank-სგან, „2020 წლის საუკეთესო ვაჭრობის დაფინანსების პროვაიდერი საქართველოში“ – Global Finance-სგან, ასევე „2020 წლის ბაზრის ლიდერი საქართველოში“ და „2020 წლის საუკეთესო მომსახურების პროვაიდერი საქართველოში“ – Euromoney-სგან.

გარდა ამისა, ჩვენი კორპორატიული საბანკო საქმიანობა ითვალისწინებს სხვადასხვა საოპერაციო პროდუქტების ჯვარედინ გაყიდვებს (cross selling), მათ შორის გადახდებს<sup>1</sup>, სახელფასო ანგარიშებსა და ტრანზაქციებს უცხოურ ვალუტაში. 2019 წელს, კორპორატიული კლიენტების სახელფასო ანგარიშებმა მიაღწია 161,953 ლარს, სტაბილური დარჩა წინა წელთან შედარებით, ხოლო სახელფასო ფონდი გაიზარდა 23.0%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 302.7 მილიონი ლარი. კორპორატიულ საბანკო საქმიანობას ასევე აქვს მყარი შედეგები გადახდების ტრანზაქციების რაოდენობაში, რომელმაც შეადგენს 94.5 მილიონს, გაიზარდა 52.4%-ით წინა წელთან შედარებით. უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციების მოცულობამ კი 2019 წელს შეადგინა 12,095 მილიონი ლარი, რომელიც გაიზარდა

38.7%-ით წინა წელთან შედარებით, ხოლო უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციების რაოდენობა გაიზარდა 51.4%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 130,397 ლარი.

როგორც დიდი ხნის პარტნიორი და მრჩეველი, ვისწრაფვით შევქმნათ დამატებითი ღირებულება ჩვენი მომხმარებლებისთვის, მათთვის მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით. წელს ჩვენ უნიკალური შესაძლებლობა მივცეთ ჩვენს მსხვილ კორპორატიულ კლიენტებს დასწრებოდნენ INSEAD-ის, მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ბიზნეს სკოლის, 2 დღიან პროგრამას - „TBC Bank Strategic Leadership Executive Education Programme“. პროგრამა სპეციალურად შეიქმნა ჩვენი პარტნიორებისთვის და მოიცავს შემდეგ თემებს: cultural agility, კარგი პარტნიორობა, ბაზრის პოტენციალის გრძელვადიანი შესაძლებლობების შეფასება, კონკურენცია ბაზრებზე პლათფორმებითა და ეკოსისტემებით.

## საინვესტიციო საბანკო მომსახურება

წელს, თიბისი კაპიტალმა გამოუშვა საჯარო განთავსების „თეგეტა მოტორსისა“<sup>2</sup> და „ნიკორა თრეიდის“<sup>3</sup> ობლიგაციები, რომელმაც შეადგინა 30 და 28 მილიონი ლარი, ასევე გამოუშვა პირადი განთავსების ობლიგაცია 2.2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. გარდა ამისა, თიბისი კაპიტალმა, წამყვან საერთაშორისო საინვესტიციო ბანკებთან ერთად გამოუშვა „სილქნეტის“<sup>4</sup> ევროობლიგაცია. ტრანზაქციამ შეადგინა 200 მილიონი აშშ დოლარი და 425 მილიონი აშშ დოლარი, და დაილისტა როგორც საქართველოს, ასევე ირლანდიის საფონდო ბირჟაზე. სილქნეტის ევროობლიგაცია იყო პირველი კერძო, არა-ფინანსური ინსტიტუტის მიერ გამოშვებული ბონდი საქართველოში, ხოლო თიბისი ბანკს ჰქონდა მინიმალურ საპროცენტო განაკვეთი სენიორ (senior) ობლიგაციებზე და დაბალი კუპონის განაკვეთი პირველად (Tier 1) ობლიგაციებზე საქართველოში. შედეგად, ობლიგაციები გამოუშვა და დაილისტა<sup>5</sup> „თიბისი კაპიტალმა“ წლის განმავლობაში, და ჯამში შეადგინა 1,805 მილიონი ლარი, და იკავებს 2019 წლის განმავლობაში, საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამოშვებული და დაილისტული ობლიგაციების 76%-ს.<sup>6</sup>

თიბისი ბანკი აგრძელებს საუკეთესო საბროკერო სერვისების მიწოდებას თავისი კლიენტებისთვის სხვადასხვა მომსახურებების შეთავაზებით. წელს ჩვენ მივალწიეთ მნიშვნელოვან ეტაპს Clearstream-თან თანამშრომლობის დაწყებით. იგი მსოფლიოში

1 გადახდები მოიცავს e-commerce და POS ტერმინალის ტრანზაქციებს  
 2 თეგეტა მოტორის არის წამყვანი ავტო პროდუქტების და მომსახურების პროვაიდერი კომპანია საართველოში  
 3 ნიკორა თრეიდი არის წამყვანი საკვები პროდუქტების მწარმოებელი კომპანია  
 4 სილქნეტი არის წამყვანი სატელეკომუნიკაციო კომპანია საქართველოში  
 5 IFI ობლიგაციების გარდა

## ღივიზიების მიმოხილვა **გაგრძელება**

ერთ-ერთი უმსხვილესი ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარია და ჩვენ ერთობლივად წარმატებით გამოვუშვიტ "ლისი ლეიქ დეველოპმენტის" პირველი ქართული კორპორატიული ობლიგაცია<sup>7</sup> აღნიშნული პლატფორმის მეშვეობით. ეს პლატფორმა ქართულ კომპანიებს მისცემს მსხვილი საერთაშორისო საინვესტიციო ბაზარზე წვდომას და კაპიტალის უფრო ეფექტურად მოზიდვის შესაძლებლობას. გარდა ამისა, ჩვენ ვაგრძელებთ პარტნიორობას Interactive Brokers-თან, აშშ-ს უმსხვილეს ონლაინ საბროკეროსთან, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია ონლაინ სავაჭრო შესაძლებლობები შევთავაზოთ ჩვენს კლიენტებს პირდაპირი წვდომით 120-ზე მეტ ბაზარზე, 30 ქვეყანაში და 22 ვალუტაში.

თიბისი კაპიტალი აქტიურად ავითარებს სექტორულ კვლევებს. 2019 წლის განმავლობაში, ჩვენ წარმოვადგინეთ კვლევები რომელიც მოიცავს: თბილისისა და ბათუმის საცხოვრებელ ბაზრებს, ტურიზმს, ფიქსირებული შემოსავლის ფასიანი ქაღალდები, სწრაფად მოძრავი სამომხმარებლო საქონლის (FMCG) სექტორი და ენერჯეტიკა. კვლევები იხილეთ ვებ-გვერდზე: [www.tbcresearch.ge](http://www.tbcresearch.ge). წელს თიბისი კაპიტალმა დააორგანიზა ექვსი საჯარო ღონისძიება, სადაც სექტორული კვლევები წარუდგინა დაინტერესებულ პირებს. ჩვენი კვლევები მიიღო, როგორც კერძო სექტორმა, ასევე სახელმწიფო სექტორმა და გაშუქდა სხვადასხვა მედია საშუალებებით. პერსპექტივაში, ჩვენი მიზანია სრულად მოვიცვათ საქართველოს ეკონომიკის ყველა დარგი ღრმა სექტორული კვლევებითა და მათი რეგულარული განახლებებით.



30 მილიონ ლარიანი 3 წლიანი ობლიგაცია;  
საჯარო განთავსება;  
სებ + 4.25%  
განთავსების სააგენტო



28 მილიონ ლარიანი 3 წლიანი ობლიგაცია  
საჯარო განთავსება  
TIBR3M + 4.00%  
განთავსების სააგენტო



200 მილიონ დოლარიანი 5 წლიანი ევრობონდი  
საჯარო განთავსება  
11%  
Co-Lead მართვა

<sup>6</sup> IFI ობლიგაციების და ორმაგი ლისინგის ობლიგაციების და საქართველოს ბანკის AT1-ის გარდა არსებული ობლიგაციები, რომლებიც არ არის მითითებული საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

<sup>7</sup> ლისი დეველოპმენტი არის წამყვანი დეველოპერი კომპანია საქართველოში



## საქტორული კვლევა

თიბისი კაპიტალი სხვადასხვა სექტორებზე აქტიურად ატარებს კვლევებს, რომლებიც მოიცავს: თბილისისა და ბათუმის საცხოვრებელ ბაზრებს, ტურიზმს, ფიქსირებული შემოსავლის ფასიან ქაღალდებს, სწრაფად მოძრავი სამომხმარებლო საქონელსა (FMCG) და ენერჯეტიკის სექტორებს.







# MSME

## 2019 ძირითადი მარკენაბლები

**62%<sup>1</sup>**  
ახლად რეგისტრირებული იურიდიული პირები ირჩევენ თიბისი ბანკს

**11.7%**  
MSME წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში

**c.147,418**  
მომხმარებლები

**93%<sup>2</sup>**  
MSME განტვირთვის კოეფიციენტი

**23.3%**  
MSME წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში

**75%<sup>3</sup>**  
NPS

### მიმოხილვა

თიბისი ბანკი არის ნომერ პირველი პარტნიორი ბანკი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის (MSMEs) ქვეყანაში, ახლად რეგისტრირებული იურიდიული პირების 62%<sup>1</sup> ირჩევს თიბისი ბანკს. ჩვენ გამოგვარჩევს: მომხმარებლების მომსახურების გამოცდილება, საუკეთესო ფინანსური პროდუქტები, ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამები და ასევე ძლიერი ციფრული შესაძლებლობები.

წელს ჩვენ MSME სეგმენტში დავნერგეთ agile სტრუქტურა, რომელიც უკეთ არის მორგებული ბიზნეს საჭიროებებზე და ბაზრის მოთხოვნებზე. შეიქმნა სეგმენტზე ორიენტირებული ჯგუფები (agile ჯგუფები), რაც შესაძლებლობას გვაძლევს შევქმნათ დამატებითი ღირებულება კლიენტებისთვის და გავხდეთ მომხმარებელზე უფრო მეტად მორგებული ჩვენი პროდუქტებითა და სერვისებით. პროცესზე ორიენტირებული ჯგუფები გვეხმარება პროცესების მართვაში, ხოლო ციფრული ჯგუფები, რომლებიც განაწილებულია სხვადასხვა ბიზნესებზე, უზრუნველყოფენ ციფრული არხების გაუმჯობესებასა და ყველა ჩვენი პროდუქტის ციფრულად ხელმისაწვდომობას.

2019 წელს, ჩვენი MSME საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 18.1%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 2,948 მილიონი ლარი, რაც განპირობებული იყო სასტუმროების და დასვენების, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის და სავაჭრო სექტორების ზრდით. იმავე პერიოდში MSME დეპოზიტები გაიზარდა 16.8%-მდე და შეადგინა 1,188 მილიონი ლარი. მეტი ინფორმაცია MSME სეგმენტის ფინანსური შედეგების შესახებ წარმოდგენილია ფინანსური მიმოხილვის ნაწილში გვერდებზე: 84-107

დივერსიფიცირებული MSME პორტფელი ძლიერი დინამიკით სოფლის მეურნეობის, სასტუმრო და დასვენება და ვაჭრობა



## ჩვენი სტრატეგიული მიმართულებები 2019 წელს

ჩვენ ვისწრაფვით, რომ საუკეთესო მომსახურება გავუწიოთ ჩვენს MSME კლიენტებს ჩვენი სადისტრიბუციო არხებით, ინოვაციური და ხელმისაწვდომი შეთავაზებებით, ეფექტური საოპერაციო პროცესებითა და ფართო სპექტრის არაფინანსური მომსახურებებით.

### საუკეთესო სადისტრიბუციო არხები

მუდმივი ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენს მომხმარებლებს წარვუდგინოთ ბაზარზე წამყვანი ციფრული შეთავაზებები და ციფრულად დავეუკავშირდეთ მათ. ჩვენ ვამაყობთ, რომ გვაქვს საუკეთესო ინტერნეტ და მობაილ ბანკი. აქტიური MSME კლიენტების დაახლოებით 84% სარგებლობს ინტერნეტ ბანკით და ხოლო 37% სარგებლობს მხოლოდ მობაილ ბანკით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ვინაიდან ინტერნეტ საბანკო მომსახურება ყველაზე პოპულარული საკომუნიკაციო არხია ჩვენს მომხმარებლებთან, ჩვენ მუდმივად ვარეგულირებთ მას მომხმარებლების უკუკავშირის საფუძველზე. წელს ჩვენ დავამატეთ რამდენიმე ახალი მახასიათებელი და განვავსოვეთ ინტერფეისები, იმისათვის, რომ ინტუიციური და გამოსაყენებლად მარტივი ყოფილიყო.

მომავალ წელს, ჩვენ ასევე ვგეგმავთ შევიმუშავოთ სპეციალურად ბიზნესზე მორგებული მობაილ ბანკის აპლიკაცია, რომელიც დააკმაყოფილებს ბიზნესის საჭიროებებს და შესაძლებლობას მისცემს ჩვენს მომხმარებლებს მარტივად მართონ თავიანთი ბიზნესი აპლიკაციის მეშვეობით. შიდა განვითარება შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სწრაფად მოვახდინოთ რეაგირება ჩვენი მომხმარებლების საჭიროებებზე და ვუზრუნველყოთ ურთიერთქმედება აპლიკაციებთან.

გარდა ამისა გვაქვს ქოლ ცენტრები MSME სეგმენტისთვის, რომელიც ხელმისაწვდომია 24/7, და წარმოადგენს ძლიერ არხს როგორც გაყიდვების, ასევე მომხმარებლის გამოკითხვისთვის. გაყიდვების დაახლოებით 53% ხორციელდება ქოლ ცენტრების მეშვეობით.

ჩვენ ვართ ერთადერთი ბანკი რეგიონში<sup>4</sup> რომელიც სრულად ციფრულ რეგისტრაციას ვთავაზობთ მომხმარებლებს, საშუალებას აძლევს იურიდიულ პირებს გახდნენ ჩვენი მომხმარებლები ონლაინ რეგისტრაციის გზით შემდეგ ვებ-გვერდზე: [www.businessregistration.ge](http://www.businessregistration.ge).

[businessregistration.ge](http://businessregistration.ge). რეგისტრაციას ქირდება მხოლოდ რამდენიმე წუთი, რის შემდეგაც კომპანია ხდება თიბისის მომხმარებელი, ყველა საბაზო პროდუქტზე წვდომით. 2019 წელს, ახლად რეგისტრირებული მომხმარებლების 22% ციფრულად იყო დარეგისტრირებული.

### ინოვაციური და ხელმისაწვდომი შეთავაზებები

ჩვენი მისიის - გავუმარტივოთ ჩვენს მომხმარებლებს ცხოვრება - შესაბამისად, მუდმივად ვახლებთ ჩვენს შეთავაზებებს, რათა მაქსიმალური ღირებულება შევუქმნათ ჩვენს მომხმარებლებს. საკრედიტო და საოპერაციო პროდუქტების სრული სპექტრის გარდა, ჩვენს MSME კლიენტებს ასევე ვთავაზობთ "tailor made" პროდუქტებსა და ციფრულ გადაწყვეტილებებს, მათი სტარტაპებისათვისა და მიკრო და მცირე ბიზნესებისთვის.

2017 წლიდან ჩვენ წამოვიწყეთ პროექტი „სტარტაპერი“, ინოვაციური პროგრამა, რომლის მიზანია დამწყები ბიზნესის მხარდაჭერა, მათთვის როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური მომსახურებების მიწოდება. ამჟამად ჩვენ ვთავაზობთ შემდეგი სახის სესხებს სტარტაპებს: ზოგადი და სპეციალური სესხი რესტორნებისთვის, სასტუმროებისთვის და აგრო-ბიზნესისთვის. პროგრამამ სტარტაპერი მოიპოვა დიდი პოპულარობა და მოიზიდა დაახლოებით 34,800 კომპანია დაწყების დღიდან. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასეთი სესხების პორტფელი შეადგენდა 120 მილიონ ლარს, ხოლო სესხების რაოდენობა კი - 550-ს.

სოფლის მეურნეობის წახალისებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს ადგილობრივ ბიზნესს ხელმისაწვდომი დაფინანსების უზრუნველყოფით. სახელმწიფო პროგრამებთან პარტნიორობით: „აწარმოე საქართველოში“ და „სოფლის მეურნეობის პროექტი“, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის, წარმოების და სასტუმროების სექტორის მხარდაჭერა, ჩვენ ერთობლივად გამოვიყავით დაფინანსება ადგილობრივი ბიზნესებისათვის. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში, მსესხებლებს შეუძლიათ მიმართონ სუბსიდიის მოთხოვნით სახელმწიფოს სპროცენტო ხარჯის შესამცირებლად. 2019 წელს ჩვენ გავაცით 46 სესხი, რომელიც შეადგენდა 29 მილიონ ლარს. მთლიანობაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, MSME-ს მთლიანი საკრედიტო პორტფელის 34% გამოვიყენეთ უმსხვილესი სექტორების დასაფინანსებლად, როგორცაა სოფლის მეურნეობა, სასტუმრო და დასვენება და ვაჭრობა, რომელთა წილებმა შეადგინა 39%, 10% და

- 1 მონაცემები FY 2019, წყარო: [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- 2 სალარო ოპერაციების გარდა
- 3 დამოკიდებული კვლევითი კომპანიის IPM მიერ ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე MSME სეგმენტს შორის 2019 წლის ოქტომბერში
- 4 რეგიონში ამ კონტექსტში მოიცავს აზერბაიჯანს, სომხეთს და საქართველოს.

9%, შესაბამისად. შედეგად, ჩვენ დავხედავთ 29,000-ზე მეტ მსესხებელს სოფლის მეურნეობაში თავიანთი ბიზნესის გასაფართოვებლად.

2019 წლის მაისში ჩვენ გამოვუშვიტ B-COM, ინოვაციური, გამოწერაზე დაფუძნებული საბანკო მომსახურება, რომელიც MSME კლიენტებს სთავაზობს როგორც პროდუქტებისა და სერვისების ნაკრებს, ასევე სხვადასხვა ტრენინგებს, ფიქსირებული ყოველთვიური და წლიური გადასახადით. მისი გაშვებიდან ჩვენ უკვე მოვიზიდეთ დაახლოებით 9,000 გამომწერი, რომელთაგანაც 34% ირჩევს წლიურ გამოწერას. B-com სათანადოდ არის მორგებული სხვადასხვა ბიზნეს საჭიროებებზე და იძლევა ხარჯის ოპტიმიზაციის ხშირ ტრანზაქციებზე.

2019 წელს, ჩვენ გამოვუშვიტ TPay აპლიკაცია, უნივერსალური გადახდის სისტემა, რომელიც აერთიანებს გადახდის აპარატებსა და ონლაინ QR გადახდებს. ეს არის უფრო სწრაფი, იაფი და დაცული გადახდის მეთოდი, რაც იძლევა უნაღდო ტრანზაქციების შესაძლებლობას მიკრო მოვაჭრეებში, ძირითად სოფლად, სადაც ამჟამად მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორება არის მიღებული. მოვაჭრეებს შეუძლიათ გამოიყენონ ამობეჭდილი QR სტენდი, სტიკერი ან აირჩიონ TPay აპლიკაცია QR გადახდებისთვის, ხოლო საცალო მომხმარებლებს შეუძლიათ განახორციელონ QR გადახდა ჩვენი მობაილ ბანკის მეშვეობით, ასევე TPay აპლიკაციით არა-თიბისის მომხმარებლებისთვის. ამჟამად 2,267 ონლაინ და ოფლაინ მოვაჭრე უკვე იყენებს TPay სისტემას.

2019 წლის ოქტომბერში ჩვენ დავნერგეთ ინოვაციური ახალი ბანკომატი, რომელიც აერთიანებს როგორც სალარო აპარატებს, ასევე POS ტერმინალებს, ჩვენი MSME მომხმარებლების ყოველთვიური ხარჯების შემცირების მიზნით. აღნიშნული ტერმინალი შესაძლებლობას აძლევს მერჩანტებს თავიანთი კლიენტებს შესთავაზონ იგივე მომსახურება უფრო კომფორტული და ხელმისაწვდომი გზით. მისი დანერგვიდან 483-ზე მეტმა მერჩანტმა შეცვალა ძველი ტერმინალები ახლით, ან დაიწყო ჩვენი ტერმინალების არჩევა.

მომდევნო წელს ვგეგმავთ გავაფართოვოთ ჩვენი ონლაინ საკრედიტო პორტფელი, რომელიც მნიშვნელოვნად გაამარტივებს და დააჩქარებს სესხის გაცემის პროცესს ბიზნეს მომხმარებლებისთვის და სავარაუდოდ მინიმუმამდე შეამცირებს ბანკის გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

**საოპერაციო პროცესის ოპტიმიზაცია**

2019 წელს, ჩვენ მოვახდინეთ ჩვენი სტრუქტურის ოპტიმიზაცია MSME ბიზნესში არასაჭირო პროცესების აღმოფხვრითა და კონკრეტული ფუნქციების გაუმჯობესებით ჩვენი კლიენტების რეგისტრაციის დროის შესამცირებლად. ასევე, გაუმჯობესდა საერთო მომსახურების დრო.

წლის ყველაზე აღსანიშნავი ინიციატივა იყო ჩვენი რეგისტრაციის პლატფორმის სრული ტრანსფორმაცია MSME კლიენტებისთვის. ახალი პლატფორმა ინტეგრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან (NAPR) და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლებს და ინფორმაციის უმეტესობის ავტომატურად ავსებას. ასევე ჩვენს თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ დაარეგისტრირონ ახალი მომხმარებლები, გაუწიონ ყველა საბანკო მომსახურება სულ რაღაც 10-15 წუთის განმავლობაში, 70%-ზე მეტ შემთხვევაში კი არ საჭიროებენ ბექ-ოფისის ჩართულობას. წარსულში ახალი მომხმარებლის რეგისტრაციას სჭირდებოდა 40 წუთი და ახალი ანგარიშის აქტივაციას 24 საათი, თითქმის ყველა შემთხვევაში ბექ-ოფისის ჩართულობით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი იყო სესხის დამტკიცების პროცესის გამარტივება, რომელმაც შეამცირა განაცხადის წარდგენასა და სესხის დამტკიცებას შორის დრო 2 დღიდან 30 წუთამდე:

- ▶ 2019 წლის მარტიდან, 20,000 ლარამდე მინი ბიზნესისა და მინი აგრო სესხების გაცემა შესაძლებელია პლანშეტების მეშვეობით. კრედიტის ოფიცრები სტუმრობენ კლიენტებს ადგილზე, ამტკიცებენ სესხებს შეფასების საფუძველზე და არეგისტრირებენ კლიენტებს ადგილზე. 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ამ ტიპის სესხების 85%-ზე მეტი გაიცა პლანშეტების გამოყენებით.
- ▶ გარდა ამისა, 2019 წლის ნოემბრიდან, ჩვენ ავტომატურად ვამტკიცებთ ბიზნეს სესხებს 100,000 ლარამდე შეფასების სისტემის გამოყენებით. წლის ბოლოს ყველა ასეთი სესხის 40% ავტომატურად დამტკიცდა.

**ფართო სექტორის არა-ფინანსური მომსახურებები**

ჩვენ ვართ ერთადერთი ბანკი საქართველოში, რომელიც სთავაზობს სრულ-მასშტაბიან ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამას, რომელიც მოიცავს განათლებას, ბიზნეს ბლოგს, ბიზნესის მხარდაჭერის ინსტრუმენტებს, წლიურ ბიზნეს ჯილდოს და სტარტაპის პროგრამას. ყველა აღნიშნული მომსახურება გაერთიანებულია ერთ პლატფორმაზე: [www.tbcbusiness.ge](http://www.tbcbusiness.ge).

აზიის განვითარების ბანკთან (ADB) და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ფონდთან (EFSE) პარტნიორობის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით ჩვენ ვატარებთ ტრენინგებს, კონფერენციებს და ორგანიზებას ვუწვევთ ინდივიდუალურ კონსულტაციებსა და აგრო ფორუმებს. ყველა აღნიშნული მომსახურება განეულებს უფასოდ. ჩვენი მიზანია მეწარმეების დახმარება, რათა გაიუმჯობესონ უნარები ისეთ სფეროებში, როგორცაა მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები და დაბეგვრა, რაც დაეხმარება მათ თავიანთი ბიზნესის განვითარებაში. 2019 წელს, ჩვენ გადავამზადეთ 4,000-ზე მეტი ბიზნესის

წარმომადგენელი სხვადასხვა სფეროში და მოვაწყვეთ ოთხი ბიზნეს ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 800-მა პირმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. წლის განმავლობაში ასევე ჩავატარეთ ექვსკვირიანი ინტენსიური კურსი ჩვენი SME კლიენტებისთვის, "IFRS – SMEs-თვის", მთლიანობაში ტრენინგი გაიარა 160-მა მონაწილემ.

ბიზნესის საწყის ეტაპზე მხარდაჭერა ჩვენს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება და ჩვენ ვაგრძელებთ ახალი პროდუქტების დანერგვას ჩვენი ინოვაციური პროგრამის „სტარტაპერის“ ფარგლებში. „სტარტაპერის“ მიზანია მეტი წარმატებული სტარტაპის შექმნა საქართველოში. მისი ხელშეწყობით მარტივად ხელმისაწვდომია კაპიტალი, სარეკლამო კამპანიებისთვის ციფრული პლატფორმა, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამები და კონფერენციები. წლის განმავლობაში, სხვადასხვა სფეროში გადამზადდა 700 სტარტაპერი. 2019 წელს, ჩვენ ასევე გამოვუშვით „სტარტაპის განხილვები“, ყოველთვიური ცოდნის გაზიარების პლატფორმა სტარტაპის დამფუძნებლებისთვის, წარმატებული სტარტაპერებისგან ცოდნის მიღების მიზნით. ეს ინიციატივა წარმატებული გამოდგა და მოიზიდა დაახლოებით 100 მონაწილე ყოველ თვეში.

2016 წლიდან, EFSE პარტნიორობის ფარგლებში ასევე ვატარებთ ყოველწლიურ ბიზნეს დაჯილდოებას მეწარმეების დასახმარებლად საქართველოში. ეს ცერემონია გახდა წლის მთავარი ბიზნეს მოვლენა ქვეყანაში, რომელმაც მოიზიდა 2,000 ადამიანი. ამ წელს 350-ზე მეტი ბიზნესი მონაწილეობდა დაჯილდოების ცერემონიაში და გამოცხადდა ხუთი გამარჯვებული შემდეგ კატეგორიებში:

- ▶ წლის პროდუქტი/მომსახურება;
- ▶ წლის დამსაქმებელი;
- ▶ განსაკუთრებული კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა;
- ▶ წლის ინოვაცია; და
- ▶ წლის სტარტაპი.

ლონისძიება გაშუქდა პრესაში და სოციალურ მედიაში, რომელსაც 25 მილიონი მნახველი ჰყავდა. როდესაც გამოკითხვა ჩატარდა დამოუკიდებელი კვლევითი სააგენტოს - ACT -ის მიერ, აღმოჩნდა, რომ პროექტის ცნობადობამ მიაღწია 72%-ს 2019 წელს.



## 2019 წლის ძირითადი მაჩვენებლები

**508 ათასი** ჩამოტვირთვა

**2.6 მლნ** ტრანზაქცია  
2019 წლის განმავლობაში

**27 მლნ ლარი** საკრედიტო პორტფელი

**121 ათასი** ბარათი

**4.9 ვარსკვლავი** Apple store-ზე

**5.9 ათასი** მიმოხილვა

პარტნიორობის ხელშეკრულება ვიზასთან

**181 ათასი** რეგისტრირებული  
მომხმარებელი

**154 მლნ ლარი** ტრანზაქციის  
მოცულობა 2019 წელს

**10 ათასი** მსესხებელი

**65 ათასი** გაცემული სფეისი ბარათი

**4.8 ვარსკვლავი** Google play-ზე

**6.0 ათასი** მიმოხილვა

### მიმოხილვა

სფეისი არის პირველი ქართული ნეობანკი, აპლიკაცია ტრადიციული ფილიალების გარეშე. სფეისი, როგორც ავტონომიური ბიზნესი, არის ინოვაციური აპლიკაცია, ყოველდღიური ფინანსების სამართავად. იგი წარმოადგენს გამოწვევას და ახლებურად განკარგავს ტრადიციულ საბანკო მომსახურების გამოცდილებას. და მისი მიზანია საბანკო მომსახურება იყოს მარტივი, მომხმარებელზე მორგებული, მეგობრული და სასიამოვნო. ეს არის ფინტეკის სტარტაპ პროექტი: ადამიანებიდან კორპორატიულ კულტურამდე.

სფეისი არის სრულად ციფრული გადაწყვეტა, რომელიც შეიქმნა ტრადიციული სისტემების ინტეგრაციის სირთულის დასაძლევად. მისი მოქნილი IT სისტემა იძლევა ახალი პროდუქტების უფრო სწრაფად დანერგვის საშუალებას, ტრადიციულ საბანკო მომსახურებასთან შედარებით.

სფეისი გაეშვა 2018 წლის მაისში საქართველოში და უკვე მოიზიდა დაახლოებით 181 ათასი მომხმარებელი, მათგან 46% მანამდე იყო არააქტიური თიბისის მომხმარებელი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სფეისის საკრედიტო პორტფელმა შეადგინა 27 მილიონ ლარი, ხოლო მსესხებლების რაოდენობამ კი 10 ათასს მიაღწია. ასევე 2019 წელს, ტრანზაქციების რაოდენობამ შეადგინა 2.6 მილიონი, ხოლო ტრანზაქციების მოცულობა იყო 154 მილიონი ლარი.

### პროდუქტის აღწერა და მისი მთავარი ბენეფიტი

სფეისი გამორჩეულია მარტივი და ინტუიციური დიზაინით, უნიკალური მომსახურებით, ფასის გამჭვირვალობითა და უწყვეტი მიწოდების სერვისით.

ამჟამად სფეისი სთავაზობს შემდეგ პროდუქტებსა და შესაძლებლობებს:

- ▶ ანგარიშის დისტანციურად გახსნა 5 წუთში;
- ▶ მომენტალური სამომხმარებლო სესხები 24/7-ზე 50,000 ლარამდე;
- ▶ დანაზოგები;
- ▶ ფულის მომენტალური გადარიცხვა ნებისმიერ ბანკში 24/7;
- ▶ გადასახადების გადახდა;
- ▶ სადებეტო ბარათი,
- ▶ საფულე, რომელშიც შესაძლებელია სხვა საბანკო ბარათების მიბმა;
- ▶ Apple pay;
- ▶ QR განვადება e-commerce და ოფლაინ მაღაზიებისთვის.

დაგროვების ყულაბები, რომელიც გამოვუშით 2019 წლის დეკემბერში, არის ტრადიციული ანაზღაურებისა და სადეპოზიტო პროდუქტების თანამედროვე ალტერნატივა. რომელიც შესაძლებლობას აძლევს მომხმარებლებს შეინახონ ფული მარტივად. და აქვს შესაძლებლობა, რომ მომხმარებლებმა განსაზღვრონ ფულის დაგროვების მიზნობრიობა, ავტომატური დაგროვება და მოქნილი წვდომის ოფციები. მომხმარებელს შეეძლება ნებისმიერ დროს შეუზღუდავად ჰქონდეს წვდომა თავის დაგროვილ



ფულზე. მომხმარებელს ასევე შეუძლია გაუზიაროს თავისი ყულაბა მეგობრებს ფულის დაგროვებისთვის და კოლექტიურად შეაგროვონ ფული ისეთი შემთხვევებისთვის, როგორცაა დაბადების დღე, საჩუქრები და სხვა.

2019 წლის ივლისში სფეისმა დანერგა უნიკალური ქეშბექის პროგრამა, რომელიც სთავაზობს ქეშბექს ყველა კვების ობიექტში მსოფლიოს მასშტაბით. 5% ქეშბექი გაცემულია მომხმარებლებზე, რომლებიც იხდიან სფეისის ბარათით კაფეებში, რესტორნებში, სწრაფი კვების ობიექტებში ან საკვების მიწოდების აპლიკაციით შეკვეთის შემთხვევაში, როგორცაა Glovo ან Wolt. 2019 წლის განმავლობაში დაახლოებით 13 ათასმა მომხმარებელმა ისარგებლა ამ მომსახურებით.

გარდა ამისა, ჩვენი მომხმარებლების სურვილების საპასუხოდ, 2019 წლის ივლისში დავნერგეთ ყოველკვირული გემიფიკაცია - თამაში, რომელიც განსხვავებულია ტრადიციული ლოიალობის პროგრამისგან. მომხმარებლები ეჯიბრებიან ერთმანეთს ჯილდოს მოპოვებაში. ქულები, რომლებსაც ეწოდება „ვარსკვლავები“ ენიჭება სფეის ბარათით ტრანზაქციების შესრულებისთვის, მეგობრების მოწვევისთვის სფეისში, კომუნალურების გადახდისთვის და სფეის თამაშისთვის, რომლებიც არის აპლიკაციაში. ყოველ პარასკევს 300 ტოპ მომხმარებელი იღებს ჯილდოს 5ლარიდან 150 ლარამდე. სფეისის საერთო მომხმარებლების 28%-ზე მეტი აქტიურად მონაწილეობს ამ შეჯიბრში და 2,705 მომხმარებელმა მიიღო ფულადი ჯილდო 2019 წლის 31 დეკემბრისთვის.

ერთ-ერთი მიღწევა 2019 წელს იყო საპარტნიორო ხელშეკრულების გაფორმება „ვიზასთან“ ინოვაციური საბანკო მომსახურების ერთობლივად განვითარების და თანამედროვე, მომხმარებელზე მორგებული და უსაფრთხო საბანკო გადაწყვეტების დანერგვის მიზნით.

**ევგენ ლისნიაკი, სტრატეგიული პარტნიორების, Fintech & Ventures“ უფროსი დირექტორი (Visa, CISSEE), აღნიშნავს: “ჩვენ გვჯერა, რომ ვიზასთან პარტნიორობის ფარგლებში ჩვენს მდიდარ გამოცდილებასა და ინოვაციურ გადაწყვეტილებებს გავუზიარებთ გადახდების სფეროში ისეთ ახალ მოთამაშეებს, როგორცაა „სფეისი“. ვიმყოფებით რა ფინტექ ეკოსისტემის ეპიცენტრში, ჩვენი მიზანია მოხდეს ცოდნის, საუკეთესო გამოცდილების და ტექნოლოგიური პარტნიორობის კავშირების გაზიარება „სფეისისთვის“ ციფრული ფინანსური მომსახურებების არეალის გაფართოების მიზნით. დღეს ჩვენ ვართ ფინანსური საბანკო სექტორის სწრაფი ტრანსფორმაციის მომხმარებელი, სადაც ახალი მოთამაშეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ნეობანკები მომხმარებელზე ორიენტირებულიები, მოქნილები და ინოვაციურები არიან, და თანამედროვე მომხმარებელს სრულიად ახალ ფინანსურ გადაწყვეტებს და ახალ ციფრულ საბანკო გამოცდილებას სთავაზობენ**

## მთავარი შვილობილი კომპანიები



თიბისი ლიზინგი არის თიბისი ბანკის შვილობილი კომპანია და წამყვანი სალიზინგო კომპანია საქართველოში, რომლის საბაზრო წილი<sup>1</sup> შეადგენს 68.0%-ს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თიბისი ლიზინგი დაფუძნდა 2003 წელს თიბისი ბანკის მიერ და მას შემდეგ მნიშვნელოვნად გაიმყარა პოზიციები ქართულ ბაზარზე, ემსახურება დაახლოებით 4,000 მომხმარებელს, ხოლო მისი სალიზინგო პორტფელი შეადგენს 258.3 მილიონ ლარს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

თიბისი ლიზინგი ემსახურება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს და სთავაზობს მათ სრულფასოვან სალიზინგო გადაწყვეტილებებსა და საკონსულტაციო მომსახურებებს, მათ შორის ფინანსური ლიზინგს, საოპერაციო ლიზინგს, გაყიდვებსა და დაგირავებას, რომლებიც მორგებულია მომხმარებლის საჭიროებებზე. ჩვენი პორტფელის დაახლოებით 84.6%-ს შეადგენს იურიდიული პირები, ხოლო ყველაზე დიდი წილი უჭირავს მომსახურების მიმწოდებელ, საშენებლო, ჯანდაცვისა და წარმოების სექტორებს. ჩვენი საცალო პორტფელი შედგება ახალი და მეორადი ავტომობილებისგან, რომელთა წილი შესაბამისად შეადგენს 43.8%-ს და 56.2%-ს. საცალო მომხმარებლებს ვემსახურებით სერვის-ცენტრებში, ხოლო MSME-სა და კორპორატიული კლიენტებისთვის ვიყენებთ ბანკის სადისტრიბუციო არხებს.

კომპანია ასევე აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო პროექტებთან „აწარმოე საქართველოში“ და „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ (APMA), რომელთა მიზანია წარმოების, მომსახურების, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა კომპანიების საპროცენტო ხარჯების სუბსიდირების გზით. 2019 წლის განმავლობაში, ჩვენ გავყვით 34 მილიონი ლარის იჯარა ამ პროგრამების ფარგლებში. და ჩვენი პორტფელი გაიზარდა 80.8%-ით წინა წელთან შედარებით და მიაღწია 53 მილიონ ლარს. ასევე ვცდილობთ გავზარდოთ ცნობადობა სალიზინგო გადაწყვეტილებების შესახებ სტარტაპ კომპანიებისთვის, რომელთათვისაც ლიზინგი ხელმისაწვდომი და განსაკუთრებით ხელსაყრელი ვარიანტია საჭირო აღჭურვილობის შესაძენად.

გარდა ამისა, თიბისი ლიზინგი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს უმსხვილეს მომწოდებლებთან ტრანსპორტირების, მშენებლობისა და წარმოების დარგებში, ახალი სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობის გაყიდვების ხელშეწყობისა და დაფინანსების კუთხით. 2019 წლის განმავლობაში თეგეტა მოტორსთან, დიდხინის

პარტნიორთან და ავტო პროდუქტებისა და მომსახურების ინდუსტრიის ლიდერთან ერთად, თიბისი ლიზინგი ატარებს აქტიურ კამპანიებს ახალი სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობის გაყიდვების ხელშეწყობად.

ამასთან, თიბისი ლიზინგი აქტიურად მოაწოდებს ჯანსაღი და ენერგოეფექტური აქტივების დაფინანსებაში. 2019 წლის განმავლობაში, SOCAR Georgia Petroleum და SCANIA Georgia-სთან თანამშრომლობით, კომპანიამ უზრუნველყო 4.5 მილიონი ლარის ოდენობით საწვავის გადამზიდი მძიმე ტექნიკის დაფინანსება, რომელიც წარმოებულია SCANIA-ს მიერ Euro 6 ემისიის სტანდარტის შესაბამისად და არის ეკოლოგიური და ენერგოეფექტური. გარდა ამისა, 2019 წელს თიბისი ლიზინგმა მოიპოვა მულტისავალუტო კრედიტი 30 მილიონი ლარის ოდენობით FMO-სგან, თანხის 30% გამოყენებული უნდა იყოს ენერგოეფექტურ პროექტებში.

ჩვენი მიმართულება 2020 წელს რჩება ლიზინგის ბიზნესის ზრდა საქართველოში, ასევე მომსახურების გაუმჯობესება ჩვენი კლიენტებისთვის ჯგუფის მისიის შესაბამისად - „გავუმარტივოთ ადამიანებს ცხოვრება“.



„თიბისი ფი“ არის საქართველოს წამყვანი გადახდების კომპანია. ის დაფუძნდა 2008 წელს თიბისი ბანკის მიერ და მისი შვილობილი კომპანიაა. „თიბისი ფი“ მართავს გადახდის აპარატებს ფართო ქსელს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც საშუალებას აძლევს ფიზიკურ პირებს განახორციელონ სხვადასხვა სახის ყოველდღიური გადახდები მომენტალურად, ინტერაქტიულ რეჟიმში, 24 საათის განმავლობაში. გადახდები შეიძლება განხორციელდეს როგორც ნაღდი ფულით ისე სადებეტო ან საკრედიტო ბარათის გამოყენებით. კომპანიას ასევე აქვს ონლაინ პლატფორმა ([www.tbcpay.ge](http://www.tbcpay.ge)), რომელსაც იგივე ფუნქციები აქვს რაც გადახდის აპარატებს.

„თიბისი ფი“ ასევე სთავაზობს ფულადი სახსრების მართვის მომსახურებებს იმ კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ დიდი ოდენობის ნაღდი ფულის ოპერირებას, და საშუალებას აძლევს მათ განათავსონ ფული პირდაპირ თავიანთ საბანკო ანგარიშზე, რაც წამიერად აისახება მათ ელექტრონულ ამონაწერში.

2019 წელს, კომპანიამ მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი საქმიანობა როგორც გადახდების ბიზნესის, ასევე ფულადი სახსრების მართვის კუთხით. გადახდის აპარატებით ტრანზაქციების რაოდენობა



წინა წელთან შედარებით გაიზარდა 7.9%-ით და შეადგინა 46.7 მილიონი, ხოლო ტრანზაქციების მოცულობა გაიზარდა 37.3%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 3,194.7 მილიონი ლარი, რაც ტრანზაქციების საერთო რაოდენობის და მოცულობის 88%-ს შეადგენს. ეს განპირობებული იყო გადახდის აპარატების რაოდენობის ზრდით და ასევე აღნიშნული აპარატების შესაფერისი ადგილმდებარეობის სწორად განსაზღვრით. ამჟამად, თიბისი ფეის ექსპლუატაციის აქვს 3,671 გადახდის აპარატი, წინა წელს ეს რიცხვი 3,281-ს შეადგენდა. აღნიშნულ პერიოდში ფულადი სახსრების მართვის ოპერირების მოცულობამ შეადგინა 990.4 მილიონი ლარი 2019 წელს, რაც წინა წელთან შედარებით 114%-ით ზრდას ასახავს, ხოლო ასეთი ტერმინალები რაოდენობა 454-მდე გაიზარდა, წინა წელს ეს მაჩვენებელი 131-ს შეადგენდა. ჩვენს მსხვილ კლიენტებს შორის არიან წამყვანი ნავთობკომპანიები, ფარმაცევტული კომპანიები და სურსათის მწარმოებლები საქართველოში. შედეგად, 2019 წელს ჩვენი მშინა შემოსავალი წინა წელთან შედარებით 14%-ით გაიზარდა და შეადგინა 35.1 მილიონ ლარი, ხოლო ჩვენი EBITDA წინა წელთან შედარებით გაიზარდა 14%-ით და შეადგინა 18.3 მილიონი ლარი.

ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი ციფრული შეთავაზებების გაუმჯობესებას 2019 წელს, ჩვენ ვავამდიდრებთ ჩვენი ვებ-პლატფორმა რამდენიმე ფუნქციით, რომელიც მომხმარებლებს აძლევ საშუალებას უფრო მარტივად და სწრაფად გადაიხადონ კომუნალური გადასახადები. ჩვენ ასევე დაგენერეთ ელექტრონული საფულე, რომელიც შესაძლებლობას აძლევს თიბისი ფეის კლიენტებს განახორციელონ ელექტრონული ოპერაციები საკრედიტო ბარათების გამოყენების გარეშე. მომხმარებლებს პერიოდულად სჭირდებათ ელ-საფულის ბალანსის შევსება. გარდა ამისა ჩვენ გამოვუშვით თიბისი ფეის მობილური აპლიკაცია, როგორც iOS ასევე Android მომხმარებლებისთვის. იგი არის პირველი მობილური გადახდის აპლიკაცია, რომელიც საშუალებას აძლევს კლიენტებს გამოიყენონ მომსახურებები დამატებითი მობილური ინტერნეტის გადასახადის გარეშე.

2020 წლისთვის ჩვენი მთავარი პრიორიტეტი რჩება ჩვენი ციფრული შეთავაზებების გაუმჯობესება, განსაკუთრებული ფოკუსით მობილურ აპლიკაციაზე, ასევე მომხმარებლის კმაყოფილების დონის გაუმჯობესება საქართველოს მოსახლეობისა და ბიზნესისთვის ყველაზე კომფორტული და ეფექტური მომსახურების გაწევის მიზნით.



„თიბისი კაპიტალი“ არის თიბისი ბანკის შვილობილი საინვესტიციო ბანკი და ლიცენზირებული საბროკერო-დილერი საქართველოში. ის არის თიბისი ბანკის კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო ფრანჩაიზის განუყოფელი ნაწილი. მისი ძირითადი საქმიანობა მოიცავს კორპორატიულ საკონსულტაციო მომსახურებას, როგორც საკრედიტო ასევე კაპიტალის ბაზრებს, საბროკერო მომსახურებას და ბაზრის კვლევას. „თიბისი კაპიტალი“ ასევე არის „საქართველოს საფონდო ბირჟის“ აქციონერი და

აქტიურ როლს თამაშობს მისი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და შიდა კაპიტალის ბაზრის საერთაშორისო ბაზრებზე ინტეგრირებაში.

მთავრობის საპენსიო ფონდის ამოქმედება წლის დასაწყისში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საქართველოში კაპიტალის ბაზრების მხარდასაჭერად. საპენსიო ფონდის აქტიური ჩართვა კაპიტალის ბაზრებზე განსაკუთრებით შეუწყობს ხელს ახალი აქციების გამოშვებას, რაც ჯერ კიდევ რთული მისაღწევია, ხოლო ობლიგაციების გამოშვება მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლებში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო ფონდმა დააგროვა დაახლოებით 506.8 მილიონი ლარი, რაც მშპ-ს 1.0%-ს შეადგენს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა იყო თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის (TIBR) პოპულარიზაცია, პირველი კორპორატიული ობლიგაციის განთავსებით<sup>2</sup> TIBR-თან დაკავშირებით, და არა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) რეფინანსირების განაკვეთის საფუძველზე. აღნიშნული ინიციატივა დამატებით აძლიერებს საქართველოს კაპიტალის ბაზრებს, შესაბამისად განისაზღვრება უფრო სტაბილური კრიტერიუმები საორიენტაციო განაკვეთის სახით, რომელიც უფრო ზუსტად ასახავს მიმდინარე საბაზრო პირობებს და უზრუნველყოფს უფრო სამართლიან საფასო ოფციონს, ვიდრე სებ-ის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი.

გარდა ამისა თიბისი კაპიტალი აქტიურად დაეხმარა სილქნეტსა<sup>3</sup> და თიბისი ბანკს მათი ევროობლიგაციების დალისტინგში როგორც საქართველოს, ასევე ირლანდიის საფონდო ბირჟაზე. ეს ხელს უწყობს ადგილობრივი სავალუტო ბაზრის განვითარებას, შესაბამისად ადგილობრივ ინვესტორებს, რომლებსაც არ აქვთ პირდაპირი წვდომა საერთაშორისო ბაზრებზე, შეუძლიათ ინვესტიცია ადგილობრივი კომპანიების მიერ გამოშვებულ ევროობლიგაციებში (მეტი ინფორმაცია ევროობლიგაციების შესახებ იხილეთ კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების ნაწილში 24-29 გვერდებზე).

2020 წელს ჩვენი მთავარი ფოკუსი რჩება ადგილობრივი კაპიტალის ბაზრების განვითარების მხარდაჭერა, ასევე ჩვენი საბროკერო და კვლევითი ბიზნესი გაძლიერება. ჩვენ ასევე დიდ პოტენციალს ვხედავთ M&A ოპერაციებში ადგილობრივ ბაზარზე. რამდენიმე სექტორში რიგი მოთამაშეები აქტიურად ეძებენ კონსოლიდაციის შესაძლებლობებს, რაც, ჩვენი აზრით, კარგი ბაზაა ბაზრის განვითარებისთვის. დიდი კომპანიების გარდა, ჩვენი ვარაუდით, კონსოლიდაციას ასევე განახორციელებენ საშუალო კომპანიები, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ბაზარს.

მეტი ინფორმაცია თიბისი კაპიტალის შესახებ იხილეთ კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების ნაწილში 24-29 გვერდებზე.

<sup>1</sup> შიდა შეფასებების საფუძველზე  
<sup>2</sup> აღნიშნული ობლიგაცია გამოშვებულია სს ნიკორას, საქართველოში ხორც-პროდუქტების მწარმოებლის და საცალო კომპანიის მიერ.  
<sup>3</sup> სილქნეტი არის წამყვანი სატელეკომუნიკაციო მომსახურების პროვაიდერი საქართველოში.

## ჩვენ ორიენტირებულები ვართ შევქმნათ პასუხისმგებლიანი და მდგრადი ბიზნესი და ღირებულება შევქმნათ ყველა დაინტერესებულ მხარეს.

### ჩვენი მომხმარებლები

ჩვენ ვზრუნავთ მომხმარებლის კმაყოფილებაზე და მის მუდმივ გაუმჯობესებაზე, შესაბამისად ვთავაზობთ მათზე მორგებული პროდუქტებსა და სერვისებს, ხელმისაწვდომი და გაუმჯობესებული ფორმით. ასევე ბიზნეს-სექტორის განვითარების მხარდაჭერით, ხელს ვუწყობთ ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას.

#### საბანკო პასუხისმგებლობა, ციფრული განვითარება და ფინანსურ მომსახურებაზე წვდომის გაფართოება

ჩვენი მიზანია მომხმარებელს მივაწოდოთ პასუხისმგებლიანი საბანკო პროდუქტები და მომსახურებები, რომლებიც კარგად არის მორგებული მათ საჭიროებებზე, არის მარტივად გასაგები და აქვს მარტივი საკომისიო სტრუქტურა. 2019 წლის იანვარში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) შემოიღო პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაცია, რაც დამატებით შეუწყობს ხელს კრედიტზე წვდომას მომხმარებლებისთვის, და უზრუნველყოფს მათ გრძელვადიან განვითარებასა და ზრდას. გარდა ამისა ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობთ სებ-ის ლარიზაციის ინიციატივაში, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივი ვალუტის რყევებთან საქართველოში, ამ ინიციატივის მიზანია სავალუტო რისკების შემცირება და ადგილობრივ ვალუტაში დაკრედიტების წახალისება. 2019 წელს ჩვენ გავცვიტო, ლარში დენომინირებული 669 მილიონი იპოთეკური და 1,096 მილიონი სამომხმარებლო სესხი. 2018 წლის დეკემბრიდან ლარში სესხების წილი მთლიან საცალო პორტფელში გაიზარდა 4.8 pp-ით - 47.2%-მდე<sup>1</sup>, უცვლელი კურსის საფუძველზე.

ვინაიდან ჩვენი მიზანია გავამარტივოთ ჩვენი მომხმარებლების ცხოვრება, ჩვენ ვამუშავებთ მრავალ-არხიან სადისტრიბუციო პლატფორმას, რომელიც ორიენტირებულია ციფრულ არხებზე და შესაძლებლობას აძლევს ჩვენს მომხმარებლებს ადვილად და დისტანციურად აწარმოონ თავიანთი ყოველდღიური ოპერაციები. ჩვენი მოწინავე მობილურის აპლიკაცია და ინტერნეტ ბანკინგი, რომლებსაც მრავალი ჯილდო აქვთ მოგებული, რჩება ყველაზე პოპულარულ საკომუნიკაციო არხად და შეადგენს ყველა ტრანზაქციის 42.0%-ს. სხვა ფართოდ

გამოყენებული არხი არის თვითმომსახურების ტერმინალები, რომელიც გავრცელებულია ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის იმ ადგილებში, სადაც არ არის მარტივი წვდომა ფიზიკურ ფილიალებზე, ამ ტერმინალების მეშვეობით საბანკო მომსახურება ადვილად ხელმისაწვდომია შორეულ რაიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის. 2019 წლის ბოლოს ყველა ტრანზაქციის 17.0% განხორციელდა აღნიშნული ტერმინალების მეშვეობით.

ჩვენ ასევე ორიენტირებულნი ვართ შევიმუშავოთ ინოვაციური გადაწყვეტები, რომლის მიზანაცაა მიკრო ბიზნესების და იმ მოსახლეობის მოცვა, რომელსაც არ აქვს წვდომა საბანკო მომსახურებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, ხელს ჩვენ შემოვიღეთ რამდენიმე ახალი პროდუქტი MSME სეგმენტში, რომელიც მოიცავს:

- ▶ მინი სესხების დამტკიცება ტაბლეტების გამოყენებით, რაც საშუალებას აძლევს მიკრო ბიზნესის მფლობელებს, რომლებიც დაშორებულ ტერიტორიაზე არიან დაფუძნებული, მიიღონ დამტკიცებული სესხები ადგილზე, ფილიალებში მისვლის გარეშე; და
- ▶ TPay აპლიკაციას, რომელიც უნივერსალური გადახდის სისტემაა და იძლევა მიკრო მეწარმეებში უნაღდო ტრანზაქციების შესაძლებლობას, ძირითადად ისეთ რაიონებში, სადაც ამჟამად მხოლოდ ნაღდი ფული არის მიღებული.

გარდა ამისა ჩვენ ვიყენებთ ჩვენს მოწინავე მონაცემთა ანალიტიკურ შესაძლებლობებს პერსონალური ხელსაყრელი შეთავაზებების შემუშავებისთვის იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებსაც არ აქვთ წვდომა საბანკო მომსახურებებზე, მათი ხარჯების დინამიკის და სუფთა შემოსავლის გათვალისწინებით.

<sup>1</sup> ან 48.8% - 31.12.2018 კურსი



### მომხმარებელთა კმაყოფილება

თიბისი ბანკისთვის, როგორც სერვის კომპანიისთვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულებაა, მომხმარებელზე ზრუნვა, მისი კეთილდღეობა და კმაყოფილება. ჩვენ რეგულარულად ვითხოვთ უკუკავშირს ჩვენი მომხმარებლებისგან, იმისთვის რომ გავანალიზოთ მათი საჭიროებები, და შემდგომ გავუკეთოთ მათზე მორგებული შეთავაზებები. ჩვენ ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ჩვენი მომხმარებლის უკმაყოფილებას და გვაქვს სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც აგვარებს მომხმარებელთა საჩივრებს. ჩვენ დაუყოვნებლივ ვრეაგირებთ თითოეულ შემთხვევაზე და მჭიდროდ ვმუშაობთ მომხმარებელთან მისი პრობლემის გასაგებად.

ჩვენ რეგულარულად ვაფასებთ მომხმარებელთა კმაყოფილების დონეს დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ ჩატარებული სხვადასხვა გამოკითხვების საშუალებით და ვინაჩრუნებთ უმაღლეს ქულებს საქართველოს საბანკო სექტორში. ასევე გვიჩირავს წამყვანი პოზიცია ქვეყნის მთელ საცალო ვაჭრობის სფეროში.

ჩვენი მომხმარებელზე ორიენტირებული კულტურის გაძლიერების მიზნით, წელს ჩავატარეთ გამოკითხვა და დავადგინეთ თანამშრომლები, რომლებმაც განსაკუთრებული ზრუნვა გამოიჩინეს მომხმარებლების მიმართ. აღნიშნული თანამშრომლები დასახელდნენ მომსახურების ლიდერებად და გადაეცათ სპეციალური საჩუქრები.

### მომხმარებელთა კოფიდეცილობის დაცვა და მონაცემების უსაფრთხოება

კლიენტების პერსონალური ინფორმაციის დაცვა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ ჩვენი კონტროლის სისტემების განახლებაზე, რათა უზრუნველყოთ მომხმარებელთა კონფიდენციალურობა და მონაცემთა უსაფრთხოება მაღალ დონეზე. ჩვენ ვიყენებთ მონინავე საინფორმაციო უსაფრთხოების ტექნოლოგიებს ნებისმიერი თაღლითური ქმედების გამოსავლენად და აღსაკვეთად. კიბერუსაფრთხოების რისკების მინიმუმამდე დაყვანის და კიბერ საფრთხეების უფრო ეფექტურად გამოვლენის მიზნით, ჩვენ მუდმივად ვაძლიერებთ დაცვის სისტემებს ხელოვნური ინტელექტის საშუალებით.

ჩვენ რეგულარულად ვატარებთ გარე აუდიტებს და კიბერ-შეტევებისთვის საფრთხისთვის მზად ყოფნის სავარჯიშოებს, რაც გვაძლევს პრაქტიკულ სურათს ჩვენს პოზიციონირებაზე კიბერუსაფრთხოების საკითხებში. ესევე ზემო სხენებული პრაქტიკა გვეხმარება სწორება გავაკეთოთ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებზე და განვსაზღვროთ მზადყოფნის დონე რეალური კიბერ საფრთხეების მიმართ. ამ ყველაფერს ვიყენებთ ჩვენი უწყვეტი

გამუჭობების ციკლში. ბოლო ანალიზი ჩატარდა 2019 წელს Deloitte UK-ის მიერ და დადასტურდა რომ ჩვენი სისტემები უზრუნველყოფს კიბერ საფრთხეებისგან საიმედო დაცვას.

ჩვენ ასევე ვუზრუნველყოფთ სრულ გამჭვირვალობას ჩვენი მომხმარებლების, თანამშრომლების, მომწოდებლების და ბიზნეს პარტნიორების პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით და ვამუშავებთ მათ მონაცემებს მხოლოდ კონკრეტული ბიზნეს მიზნებისთვის. ნებისმიერ დროს შეუძლიათ ფიზიკურ პირებს მოითხოვონ პერსონალური მონაცემების შეცვლა, შეზღუდვა ან წაშლა, რომლებსაც ვფლობთ ჩვენ კონტრაქტის საფუძველზე, ელ-ფოსტით: [compliance@tbcbank.com.ge](mailto:compliance@tbcbank.com.ge) ან ფოსტით. ამ მიზნებისთვის შევიმუშავეთ კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, მათ შორის საქართველოს რეგულაციას და ევროკავშირის ზოგადი მონაცემების დაცვის რეგულაციის (GDPR) კონკრეტულ მოთხოვნებს, და სათანადოდ ვაკონტროლებთ მათთან შესაბამისობას.

ცნობიერების ამაღლების მიზნით და იმისთვის, რომ დავეხმაროთ ჩვენს მომხმარებლებს მათი მონაცემების უსაფრთხოების დაცვაში, ჩვენ მათ პერიოდულად ვუგზავნით გაფრთხილებებს, ინტერნეტ და მობილური საბანკო მომსახურების აპლიკაციების მეშვეობით, გავრცელებული კიბერთაღლითობის შესახებ და ვაძლევთ რჩევებს თუ როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევებში.


ჩვენ ასევე ვატარებთ რეგულარულ სავალდებულო ტრენინგებს კიბერუსაფრთხოების და მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის საკითხებზე ყველა ჩვენი თანამშრომლისთვის იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ იცოდნენ პოტენციური საფრთხეების შესახებ და მუდამ სიფრთხილე გამოიჩინონ.

### ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

თიბისი რჩება ფინანსური მომსახურებების მნიშვნელოვან მიმწოდებლად MSME-სთვის, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მთავარი ფაქტორია. 2019 წელს ჩვენ დაახლოებით 2,549 მილიონი ლარი გავეცით ჩვენს MSME კლიენტებზე, 26%-ით მეტი 2018 წელთან შედარებით. მთავარი დაფინანსებული სექტორები იყო სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა.

რადგან MSME-ს შემოსავლების უმეტესი ნაწილი გენერირებულია ლარში, ჩვენი მიზანია მივაწოდოთ მათ ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსები ადგილობრივ ვალუტაში. ეს შესაძლებლობას მისცემს ჩვენს კლიენტებს შეამცირონ სავალუტო რისკი და უზრუნველყონ გრძელვადიანი ზრდა და განვითარება. 2019 წელს MSME სესხების 52% დენომინირებული იყოს ადგილობრივ ვალუტაში.

# #1 BUSINESS SUPPORTER IN GEORGIA



ახალგაზრდა მეწარმეების, სოფლებში მოქმედი ბიზნესების, ქალების მიერ მართული MSME ბიზნესების, ინოვაციური პროექტების, ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგო პროდუქტების და ასევე საგარეო ვაჭრობის მხარდასაჭერად ჩვენ გამოვიყენეთ სპეციალური დანიშნულების სახსრები, მოზიდული სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან. ჯამური თანხა, აღნიშნული პროექტებისთვის, შეადგენდა 569 მილიონ ლარს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

გარდა ამისა ჩვენ უზრუნველვყოფთ არაფინანსურ მხარდაჭერას MSME-სთვის, ჩვენი ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის მეშვეობით და ვეხმარებით ბიზნესის წარმომადგენლებს საჭირო კვალიფიკაციის შექენაში, ინვესტიციების და პარტნიორების მოძიებაში, მათი საქმიანობების განვითარებაში და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაში. მეტი ინფორმაცია ამ პროგრამის შესახებ იხილეთ MSME ნაწილის 30-33 გვერდებზე.

# ბედნიერი და საქმიანი კოლეგები ჩვენი წარმატების და მდგრადი განვითარების მთავარი საწინდარია. ერთიანი და მეგობრული სამუშაო გარემოს წახალისებით, ჩვენ ვისწრაფვით შევქმნათ agile კულტურა, რომელშიც თითოეულ თანამშრომელს საშუალება ექნება აიღოს მეტი პასუხისმგებლობა და განავითაროს თავისი სრული პოტენციალი.

## ჩვენი კოლეგები

### AGILE ტრანსფორმაცია

2019 წელი იყო დიდი ორგანიზაციული ტრანსფორმაციის წელი თიბისისთვის, რადგან მივალწიეთ დიდ წარმატებას, გავხდით agile და მოქნილი ორგანიზაცია სწრაფად ცვალეზადი ბაზრის გარემოზე პროაქტიულად რეაგირების და ჩვენს თანამშრომლებს შორის ინოვაციური აზროვნების სტიმულირების მიზნით. agile რეორგანიზაციის პროცესი წარმატებით განხორციელდა საცალო, MSME და IT დეპარტამენტებში. მთავარი მიზანია არასაჭირო პროცესების და ბიუროკრატიების აღმოსაფხვრა და უფრო დინამიკური, ადაპტირებადი და მომხმარებელზე ორიენტირებული კულტურის შექმნა. ახალი სტრუქტურაში ყველა ორიენტირებულია საერთო მიზნის მიღწევაზე, რაც ხელს უწყობს ჯგუფის წევრების კრეატიულობის და ინოვაციურობის წახალისებას და მათი პასუხისმგებლობების გაზრდას. ჩვენ რეორგანიზაციის პროცესი დავიწყეთ შიდა ვაკანსიების გამოცხადებით და საშუალება მივეცით ჩვენს თანამშრომლებს გაეკეთებინათ განცხადება მათთვის სასურველ პოზიციებზე. შედეგად თანამშრომლების 30%,-ს რომლებიც მონაწილეობდნენ agile ტრანსფორმაციის პროცესში და დაქირავებული იყვნენ სხვადასხვა პოზიციაზე, მიეცათ განვითარების შესაძლებლობა მათთვის მეტად საინტერესო და ახალ სფეროში.

agile სტრუქტურა შესაძლებლობას გვაძლევს შევქმნათ განსაკუთრებული სამუშაო გარემო ჩვენი თანამშრომლებისთვის და მივეცით მათ დამოუკიდებლობა და სივრცე შემოქმედებისთვის. ამ მიზნით პარასკევი გამოვაცხადეთ „ოფისის გარეთ სამუშაო დღე“, რაც შესაძლებლობას აძლევს ჩვენს თანამშრომლებს იმუშაონ უფრო თავისუფალ და კომფორტულ გარემოში. ასევე agile კულტურაში შევცდომები მისაღებია და განიხილება სასწავლო მრუდის ნაწილად.

ვინაიდან უკუკავშირი და სწავლება agile ტრანსფორმაციის არსებითი ნაწილია, ჩვენ ჩავატარეთ ინტენსიური agile ტრენინგი ჩვენი თანამშრომლებისთვის ახალ გარემოში ადაპტირებაში დასახმარებლად. გარდა ამისა ჩვენ შემოვიღეთ 360 გრადუსიანი შეფასების სისტემა, რაც თითოეულ თანამშრომელს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს დაბალანსებული ინფორმაცია ყველა მხარისგან და გაიუმჯობესონ პროფესიული შედეგები და ზრდა.

agile ტრანსფორმაციის პროექტის პირველი შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავია. FTE პროდუქტიულობა გაიზარდა 10%-ით 2019 წლის დეკემბერში წინა წელთან შედარებით, ჩვენი ორგანიზაციული დინამიურობის ქულა<sup>1</sup> გაუმჯობესდა 4.3%-ით და თანამშრომელთა ბედნიერების ინდექსი<sup>2</sup> გაიზარდა 16%-ით იმავე პერიოდში.

ჩვენ ვგეგმავთ ავამოქმედოთ agile ტრანსფორმაცია სხვა დეპარტამენტებშიც 2020 წელს.

### ახალი ტალანტების მოზიდვა

რადგან ადამიანები ჩვენი ყველაზე ღირებული აქტივია, ჩვენი მიზანია მოვიზიდოთ ახალი ტალანტები შესაბამისად ვქმნით პოტენციური კანდიდატების მონაცემთა ბაზას, რომელსაც მუდმივად ვანახლებთ. შერჩევის პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს და მორგებულია თითოეული პოზიციის კონკრეტულ საჭიროებებზე. შერჩეულ კანდიდატებს ვთავაზობთ მიზიდველ დასაქმების პირობებს, რომელიც მოიცავს ფიქსირებულ ხელფასს და ეფექტურობაზე დაფუძნებულ ბონუსს, ასევე ბენეფიტების სათანადო პაკეტს.

2011 წლიდან ჩვენ ასევე ვახორციელებთ ფართომასშტაბიან სტაჟირების პროგრამას საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების საუკეთესო სტუდენტებისთვის, მათთვის გამოცდილების მიღების და ცოდნის გაფართოების შესაძლებლობის მიცემის მიზნით. ეს პროგრამა ძალიან წარმატებული აღმოჩნდა და დაგვეხმარა გვეპოვა ყველაზე ნიჭიერი სტუდენტები, რომლებიც დღეს ჩვენი გუნდის წევრები არიან. წელს შეირჩა 80 სტუდენტი სტაჟირებისთვის და 47 დასაქმდა სხვადასხვა დეპარტამენტებში, მათ შორის ფინანსურ, რისკის, კორპორაციულ, მარკეტინგის, IT და მონაცემთა ანალიტიკის დეპარტამენტებში. მაქსიმალური მოთხოვნა იყო IT და მონაცემთა ანალიტიკის სპეციალისტებზე, დიჯიტალიზაციაზე და მონაცემთა ანალიტიკაზე ჩვენი ფოკუსირების გათვალისწინებით.

- 1 შიდა გამოკითხვის საფუძველზე, რომელიც აფასებს კომპანიის უნარს უპასუხოს სწრაფად ცვალეზად გარემოს.
- 2 შიდა გამოკითხვის საფუძველზე





## STARTUP-LEAVE / სტარტაპ-დეკრეტი

ვინაიდან ჩვენი მიზანია ინოვაციური იდეების წახალისება კომპანიის შიგნით, მელს ჩვენ გამოვუშვიტ უპრეცედენტო პროექტი საქართველოში - Startup-leave. ეს ინიციატივა შესაძლებლობას აძლევს ჩვენს თანამშრომლებს დაიწყონ საკუთარი სტარტაპი ექვსთვიანი ანაზრაურებადი შვებულების ალებით, ბიზნესის გასავითარებლად. 2019 წლის ივნისში თიბისი ბანკმა ორგანიზება გაუკეთა პირველ Startup leave-ს თავისი თანამშრომლებისთვის. აპლიკანტებს სთხოვეს წარმოედგინათ ორიგინალური ბიზნეს იდეები, რომელიც ხელს შეუწყობდა საქართველოს ბაზრის განვითარებას. 24 ჯგუფი მონაწილეობდა ამ კონკურსში და თავიანთი იდეები წარუდგინეს დამოუკიდებელ ჟიურის. 2019 წლის სექტემბერში შეირჩა სამი პროექტი:

- ▶ Inventors.ge - არის ონლაინ პლატფორმა, რომელიც იღებს შეკვეთებს ადამიანებისგან ახალ და გამოყენებულ ავტონაწილებზე და აწვდის მათ სახლის მისამართზე.
- ▶ Ge Parts - მისი მიზანია ონლაინ პლატფორმის შექმნა, რომელიც გაყიდის ავტონაწილებს, სხვადასხვა მცირე მეწარმისგან.
- ▶ Soko - მისი მიზანია ონლაინ პლატფორმის შექმნა სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებისთვის.



# სოკო

“სოკო”-ს დამფუძნებელი არის თორნიკე კაჭკაჭიშვილი, თიბისი ბანკის ბიზნეს მობაილბანკის ჯგუფის ციფრული სერვისის ექსპერტი; იდეა გულისხმობს პლატფორმის შექმნას, რომელიც დაეხმარება ადამიანებს სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებაში მარტივი და კომფორტული გზით, მათი მომსახურების პროვაიდერებთან დაკავშირებით. პლატფორმა ღია იქნება ყველა დაინტერესებული მხარისთვის და მასზე წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია სხვადასხვა სერვისების დეტალების და ხელმისაწვდომობის შესახებ, ასევე საშუალებას მისცემს მომხმარებელს შეაფასოს მომსახურების პროვაიდერები, რაც დაეხმარება მომავალ მომხმარებლებს მიიღონ უფრო ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

“მადლობელი ვარ თიბისი ბანკის, რომ მომცა ეს უნიკალური შესაძლებლობა. ჩემი დიდიხნის ოცნება იყო მეწარმეობა მეცადა და ახლა მე მაქვს დრო ავისრულო სურვილი” განაცხადა გამარჯვებულმა თორნიკე კაჭკაჭიშვილმა.

პროგრამა სპეციალურად იყო შედგენილი თიბისის გრძელვადიანი პრიორიტეტებისთვის, სესიის ფოკუსი იყო agile ტრანსფორმაცია და ადამიანების მართვა და მისი მიზანი იყო თიბისის მენეჯმენტს სხვადასხვა პერსპექტივიდან დაენახა ბიზნესი და გაჩენოდა ახალი იდეები.

### თანამშრომელთა მოტივაცია და ჩართულობა

ჩვენ თანამშრომელთა მოტივაციისთვის ვაორგანიზებთ სხვადასხვა სოციალურ აქტივობებს, მათ შორის შიდა კლუბებს, ჩემპიონატებსა და გასვლით ტურებს. თიბისის კლუბები აერთიანებს თანამშრომლებს მათი ინტერესებისა და ჰობის საფუძველზე. 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით ჩვენ გვაქვს 10 ასეთი კლუბი, რომელიც აერთიანებს 2000 თანამშრომელს. ჩვენ ასევე რეგულარულად ვაწყობთ შიდა ჩემპიონატებს სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის, ინტელექტუალურ თამაშს "რა? სად? როდის?" და სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს. 2014 წლიდან ჩვენმა თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ მსოფლიო რბენის მართონში „Wings for Life World Run“, რომლის მიზანია ფულის შეგროვება ზურგის ტვინის დაზიანებათა კვლევისა და მკურნალობისთვის. გარდა ამისა ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობთ არაფულად ჯილდოებს, მათ შორის სხვადასხვა ღონისძიებების ბილეთებს, და ასევე სპეციალურ ფასდაკლებებს. ჩვენი თანამშრომლების პატარა შვილებისთვის ჩვენ გვაქვს სკოლაში დაბრუნების სასაჩუქრე პაკეტი, რომელიც მოიცავს ბრენდირებულ ჩანთებს და საკანცელარიო ნივთებს ჩვენი ბრენდირებული მაღაზიიდან. თიბისის ონლაინ მაღაზია შექმნილია ჩვენი კოლეგებისათვის და მოიცავს სხვადასხვა აქსესუარებს, ტანსაცმელს და საჩუქრებს. წელს ჩვენ ჩავატარეთ მასიური კამპანია ბანკის მასშტაბით რაგბის მსოფლიო თასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს რაგბის ნაკრები. ამ კამპანიის ფარგლებში გავანაწილეთ რაგბის მასიურები და დავაორგანიზეთ რაგბის მატჩების ონლაინ მაუწყებლობა ჩვენი თანამშრომლებისთვის.

ვინაიდან ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, 2009 წელს შევქმენით თიბისი ფონდი. ეს არის საქველმოქმედო ფონდი, რომელიც ფარავს ჩვენი თანამშრომლების და მათი ახლო ნათესავების სამედიცინო მომსახურების ხარჯებს მძიმე დაავადებების შემთხვევაში. ჩვენი თანამშრომლების 80% რეგულარულად აკეთებს შემოწმებებს ამ ფონდში მათი ხელფასის 2%-მდე ოდენობით, ფონდი დაარსებიდან დღემდე უკვე 1,500-ზე მეტ ადამიანს დაეხმარა.

თანამშრომელთა კმაყოფილებისა და ჩართულობის დონების სწორად შეფასების მიზნით, ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ უკუკავშირის გამოკითხვას წამყვან საერთაშორისო

უნივერსიტეტებთან და კვლევით კომპანიებთან თანამშრომლობით. ხდება კვლევის შედეგების ანალიზი და გათვალისწინება მენეჯმენტის სამომავლო ქმედებებში.

### სამუშაოს შესრულების შეფასება და ჯილდო

ჩვენთან დანერგილი სამუშაოს შესრულების შეფასების სისტემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჯგუფის საერთო მიზნებთან და სამ ძირითად პრინციპთან: სიხადაე, სამართლიანობა და კეთილსინდისიერება. ჩვენ ვზრუნავთ, რომ თანამშრომლები კარგად აცნობიერებდნენ თავიანთ როლს კომპანიაში და აქტიურად ისახავდნენ პირად მიზნებს. გუნდის ხელმძღვანელები უწევენ თანამშრომლებს მენტორობას, რომ მათ შეძლონ დასახული მიზნების მიღწევა. თანამშრომლების რეგულარული უკუკავშირი და კონსტრუქციული დიალოგი მნიშვნელოვანი ნაწილია სამუშაოს შესრულების შეფასების სისტემის.

ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა შეფასების სისტემას წინა ხაზის და უკანა ხაზის თანამშრომლებისთვის და ეს განსხვავდება მათ მიერ დაკავებული პოზიციების მიხედვით. უკანა ხაზის თანამშრომლებს ვაფასებთ „ამოცანების მიხედვით მართვის“ (MBO) სისტემით, რომელიც არის პერსონალის მართვის ტექნიკა სადაც მენეჯერები და თანამშრომლები ერთობლივად მუშაობენ იმისათვის, რომ დასახონ და ჩაწერონ მიზნები და შემდეგ მოახდინონ ამ მიზნების მონიტორინგი ფინანსური წლის განმავლობაში. მიზნების ჩაწერა ყოველწლიურად ხდება და მათი მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება მენეჯერების მიერ მიღწერული პროგრესის შემოწმებლად, მათ შორის ნახევრადწლიური პირდაპირი უკუკავშირი ხელმძღვანელისგან. გასამრჯელოს გაცემა ხდება მიზნების მიღწევის საფუძველზე. ჩვენ გვაქვს ქულათა მინიჭების ერთიანი სისტემა ყველა თანამშრომლისთვის MBO-ს ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობას მთელს ორგანიზაციაში.

შუა რგოლის მენეჯერებისთვის ასევე დანერგილი გვაქვს 360-გრადუსიანი უკუკავშირი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს თითოეულ თანამშრომელს მიიღოს უკუკავშირი მის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით მისი ხელმძღვანელისგან, კოლეგებისგან და დაქვემდებარებული პირებისგან. 360-გრადუსიანი უკუკავშირი საშუალებას აძლევს ჩვენს თანამშრომლებს გაიგონ, თუ როგორ აღიქმება მათ მიერ შესრულებული სამუშაო სხვების მიერ და ეს ეხმარება მათ უკეთ გამოავლინონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები და ასევე შეიძინონ ახალი უნარები.

წინა ხაზის თანამშრომლებისთვის ჩვენ ვიყენებთ მიზანზე დაფუძნებული შესრულების შეფასების სისტემას, რა შემთხვევაშიც თანამშრომლის მიერ თავისი სამუშაოს შესრულება დაკავშირებულია

კონკრეტულ KPI-თან, მათ შორის რაოდენობრივ და ხარისხობრივ კომპონენტებთან. მიზანზე დაფუძნებული სისტემის ფარგლებში თანამშრომლები ფასდებიან ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად ან ყოველწლიურად, მათი პოზიციების მიხედვით.

ჩვენ ვთავაზობთ თანამშრომლებს ანაზღაურების კონკურენტულ პაკეტს, რომელიც მოიცავს ყოველთვიურ ხელფასს, ბონუსს შესრულებული სამუშაოს მიხედვით და ბენეფიტების პაკეტს. ეს უკანასკნელი გულისხმობს საპანსიო შენატანებს, სამედიცინო დაზღვევას, კორპორატიულ მობილურ ტელეფონის ნომრებს, წლიურ ანაზღაურებად შვებულებას ავადმყოფობის პერიოდებს, ასევე სრულად ანაზღაურებად ექვსთვიან დეკრეტულ შვებულებას დედებისთვის და მამებისთვის. სხვა ბენეფიტები მოიცავს ფულად საჩუქრებს ქორწინებისა და შვილის ყოლის შემთხვევაში და კომპენსაციას სერიოზული ავადმყოფობის ან გარდაცვალების შემთხვევაში. გარდა ამისა, 2013 წლიდან გვაქვს სპეციალური კლუბი დიდი ოჯახებისთვის. ეს სოციალური პროგრამა გულისხმობს ერთჯერადად 10,000 ლარის საჩუქრად გადაცემას თიბისი ბანკის ყველა თანამშრომლისთვის მეოთხე და მეხუთე შვილის დაბადების შემთხვევაში და 50,000 ლარის ერთჯერადად საჩუქრად გადაცემას - მეექვსე და მეტი შვილის დაბადების შემთხვევაში. კლუბის დაფუძნებიდან გაცემული გვაქვს დაახლოებით 1 მილიონი ლარის ფულადი საჩუქარი 56 თანამშრომელზე.

ჩვენ დავწერეთ გადავადებული აქციების ბონუსების სქემა შუა რგოლის მენეჯერებისთვის, რომლის თანახმადაც საერთო წლიური ბონუსის 15% -25%-ის გადახდა ხდება TBC PLC-ის აქციების სახით, სამწლიანი უწყვეტი მუშაობის პირობით და ფლობის პერიოდით: 33% და 33% გადაეცემა პირველი და მეორე წლის ბოლოს შესაბამისად, ხოლო დარჩენილი 34% კი გადაეცემა მესამე წლის ბოლოს. ეს სქემა ემსახურება გრძელვადიანი მუშაობის წახალისებას და თანხვედრაში მოყვას შუა რგოლის მენეჯერების ინტერესები აქციონერთა ინტერესებთან. 2020 წელს, ბონუსის სახით 100,931 აქციის გადაცემა მოხდა შუა რგოლის მენეჯერებისთვის. გარდა ამისა წელს ჩვენ დავწერეთ გადავადებული აქციების ბონუსების სქემა ჩვენი თანამშრომლებისთვის, რომლებიც შედიან agile სტრუქტურაში, შესაბამისად საერთო წლიური ანაზღაურების 10% გადახდილი იქნა TBC PLC-ის აქციების სახით, სამწლიანი უწყვეტი მუშაობის პირობით და ფლობის პერიოდით: 2020 წელს 42,709 აქცია გადაეცა ასეთ თანამშრომლებს ბონუსის სახით.

## თანასწორობა და მრავალფეროვნება

ჩვენ შევქმენით მდგრადი და წარმატებული ბიზნესი, სადაც ყველა თანამშრომელს ექცევიან თანაბრად, სამართლიანად და ეხმარებიან წარმატების მიღწევაში. ჩვენ ვზრუნველყოფთ დაცულ სამუშაო გარემოს ნებისმიერი დისკრიმინაციისაგან, სადაც თითოეულ თანამშრომელს აფასებენ, პატივს სცემენ და ეპყრობიან თანასწორად მიუხედავად სქესისა, ასაკისა, ოჯახური მდგომარეობისა, სექსუალური ორიენტაციისა, რასისა, ეთნიკურობისა, რელიგიისა, პოლიტიკური შეხედულებებისა თუ შეზღუდული უნარებისა. გასანაკურთხებით ვზრუნავთ შეზღუდული შესაძლებლობების კოლეგებზე და ვისწრაფვით გავაუმჯობესოთ სამუშაო გარემო და უფრო მოქნილი გავხადოთ მათთვის. გარდა ამისა ვზრუნავთ, რომ სწავლა, განვითარება და დასაქმების შესაძლებლობები ანალოგიურად იყოს ხელმისაწვდომი მათთვის.

ჩვენ ვემხრობით გენდერულად დაბალანსებულ სამუშაო გარემოს და ჩვენი კულტურის ნაწილია ქალების მხარდაჭერა. თანამშრომლების 67%-ზე მეტი ქალია, ხოლო ქალების წილი, რომელთაც უკავიათ მაღალი პოზიციები, შეადგენს 36%-ს. ჩვენ ვეგემავთ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ გენდერული ბალანსი მენეჯერულ პოზიციებზე.


## გენდერული სტატისტიკა

ასევე გვყავს თანამშრომელთა კარგი კომბინაცია, ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილებით და ნიჭიერი ახალგაზრდები, ინოვაციური იდეებით, რომლებმაც დაამთავრეს საქართველოს და მსოფლიოს ცნობილი უნივერსიტეტები. ჩვენ ვთვლით, რომ ასაკობრივი მრავალფეროვნება ქმნის უფრო დინამიურ და კარგად მომუშავე გუნდს, რომელიც გვაძლევს უკეთეს შედეგს.


ბიზნესის კეთების პასუხისმგებლობა გავრცელება

მენდერული სტატისტიკა


ღირებულორთა საბჭო




მაღალი რგოლის მენეჯმენტი




საშუალო რგოლის მენეჯმენტი\*



ყველა თანამშრომელი



ასაკობრივი სტატისტიკა 2019



\* პირდაპირი ანგ. მაღალი რგოლის მენეჯმენტის წინაშე

## ეთიკის სტანდარტები, პასუხისმგებლიანი ქცევა და უსაფრთხოება

ჩვენი მიზანია ისეთი ბიზნესის წარმართვა, რომელიც ეფუძნება მაღალ ეთიკურ სტანდარტებს, ღირებულებებს და პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მოუწოდებს თანამშრომლებს იმოქმედონ კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობის დაცვით ერთმანეთთან, ისევე როგორც ჩვენს მომხმარებლებთან, ბიზნეს-პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

2019 წელს ჩვენ განვაახლეთ შიდა პოლიტიკა და პროცედურები და ყურადღებით ვაკვირდებით მათ შესრულებას:

- ▶ ეთიკის კოდექსი
- ▶ ქვევის კოდექსი
- ▶ მექრთამეობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და გადასახადებისგან თავის არიდების პრევენციის პოლიტიკა.
- ▶ ინციდენტის მართვის პოლიტიკა

„ეთიკის კოდექსი“ და „ქვევის კოდექსი“ განსაზღვრავს ეთიკის პრინციპებს და პროფესიული ქვევის სტანდარტებს, ადგენს კოლეგებთან, კლიენტებთან, პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის შესაბამის ნორმებს, რომლებიც უნდა დაიცვას ჯგუფის ყველა თანამშრომელი. თიბისი ბანკის თანამშრომლები ყოველთვის უნდა მოქმედებდნენ პროფესიული ქვევის სტანდარტების დაცვით, კეთილსინდისიერად და განზრახვით და ქვევით უნდა აკმაყოფილებდნენ ყველა მოქმედი კანონსა და რეგულაციას. თანამშრომლები ასევე პატივისცემით უნდა მოექცნენ ყველა დაინტერესებულ მხარეს და მათთან მიმართებაში იმოქმედონ სამართლიანად და პასუხისმგებლობის დაცვით. მომხმარებლებთან ურთიერთობისას ჩვენ ვზრუნველყოფთ, რომ ჩვენი პროდუქტები და მომსახურება მორგებული იყოს მათ საჭიროებებს, იყოს მკაფიო და ადვილად გასაგები. ჩვენ ასევე ვზრუნავთ, რომ კლიენტებს არ შეექმნათ გაყიდვების შემდგომი ბარიერები, შეცვალონ პროდუქტი, წარმოადგინონ პრეტენზია ან საჩივარი. მომწოდებლებთან და სხვა ბიზნეს პარტნიორებთან მიმართებაში, ჯგუფი მონაწილეობს მხოლოდ თავისუფალ გარიგებებში. ჩვენი თანამშრომლებისთვის ვქმნით უსაფრთხო და მეგობრულ გარემოს რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი შეურაცხყოფისგან, დისკრიმინაციისაგან (მათ შორის რასის, წინაპრების, კანის ფერის, რელიგიის, ეროვნული წარმომავლობის, მოქალაქეობის, ოჯახური მდგომარეობის, ვეტერანის სტატუსის, სქესის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით) ან შეუსაბამო ქვევისგან. ყველა წამომწყებაში, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები ჩვენთვის დგას წინა პლანზე.

ადამიანური რესურსების მართვისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტები რეგულარულად ახორციელებენ ჯგუფის ეთიკის და ქვევის კოდექსთან შესაბამისობის მონიტორინგს. შიდა აუდიტის დეპარტამენტი პერიოდულად ატარებს აუდიტს, რათა გამოავლინოს აღნიშნულ პოლიტიკასთან

დაკავშირებული დარღვევები ან არასათანადო ქცევა. 2019 წელს არ დაფიქსირებულა არსებითი დარღვევები ჯგუფის ეთიკის ან ქვევის კოდექსის თვალსაზრისით.

მექრთამეობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და გადასახადებისგან თავის არიდების პრევენციის პოლიტიკა შეესაბამება ყველა ადგილობრივ და საერთაშორისო კანონსა და რეგულაციას და ვრცელდება ჯგუფის ყველა თანამშრომელზე. ეს პოლიტიკა მოიცავს სრულყოფილ სახელმძღვანელო მითითებებს იმ სახის ქვევაზე, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონების და/ან უკანონო ფინანსების შესახებ კანონის დარღვევა და აძლიერებს პატიოსნებისა და გულწრფელობის კულტურას თანამშრომლებს შორის.

თანამშრომელთა დაცვისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად დანერგულია ინციდენტის მართვის პოლიტიკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის და მიზნად ისახავს იმ პოტენციური დარღვევების გამოვლენასა და მათზე რეაგირებას, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან ეფექტურ მუშაობას. ეს პოლიტიკა ხელს უწყობს ყველა თანამშრომლის მიერ საეჭვო დარღვევის ღიად, სამაგიეროს გადახდის შიშის გარეშე მხილების წახალისებას. გარდა ამისა, თიბისი ბანკს აქვს მხილების ანონიმური არხები (მათ შორის ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული ფოსტის ან წერილის საშუალებით) ნებისმიერი პირისთვის, რომელსაც სჯერა, რომ დაირღვა შიდა სტანდარტები ან სამართლებრივი მოთხოვნები, მაგრამ ეუხერხულეა ამის შესახებ საუბარი ჩვეულებრივი არხების საშუალებით. ჩვენი სახელმძღვანელოს მითითებების მიზანია პრეტენზიების აღრიცხვა და თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნეგატიური უკუკავშირისგან.

შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი რეგულარულად ატარებს თანამშრომელთა ტრენინგს, კორუფციისა და მექრთამეობის საწინააღმდეგო საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მათი მნიშვნელობის ხაზგასმის მიზნით. ასევე, შიდა აუდიტის დეპარტამენტი პერიოდულად ატარებს აუდიტებს ნებისმიერი დარღვევის ან შეუსაბამო ქვევის გამოვლენის მიზნით. 2019 წლის განმავლობაში ასეთი შემთხვევები არ გამოვლენილა.

მუდმივად ვაუმჯობესებთ სამუშაო პირობებს თანამშრომლებისთვის და ვისწრაფვით შევქმნათ უსაფრთხო და კომფორტული გარემო. 2019 წლის ოქტომბერში, თიბისი ბანკმა დაიქირავა დამოუკიდებელი საკონსულტაციო კომპანია შრომის უსაფრთხოების საკითხებზე. კომპანია დაგვეხმარება მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ შრომის და უსაფრთხოების პოლიტიკა ჯგუფის ფარგლებში და დავნერგოთ საჭირო ზომები სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად. ჩვენ ასევე დავინწყეთ ტრენინგების ჩატარება თანამშრომლებისთვის მათი ინფორმირებულობის ასამაღლებლად შრომის და უსაფრთხოების საკითხებზე.

## ჩვენი საზოგადოება

ჩვენ ვაცნობიერებთ ჩვენს პასუხისმგებლობას და როლს საქართველოს საზოგადოებაში და აქტიურად ვართ ჩართულები ისეთი სფეროების განვითარებაში, როგორცაა ახალგაზრდა თაობა, ხელოვნება & კულტურა და სპორტი.

### ახალგაზრდა თაობა

მრავალი წელია ჩვენი პრიორიტეტია ნიჭიერი ახალგაზრდების, მხარდაჭრა პროფესიულ განვითარებაში და ვაგრძელებთ ამ მიმართულებით ახალი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას.

2016 წლიდან თიბისი არის „ახალგაზრდა მკვლევართა და ნოვატორთა კონკურსის ლეონარდო და ვინჩის“ მთავარი პარტნიორი. ეს არის ყოველწლიური ღონისძიება, რომლის მიზანია STEM (მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის მეცნიერებათა) საგნების პოპულარიზაცია ახალგაზრდებს შორის. ეს არის მსხვილმასშტაბიანი ღონისძიება, რომელიც ტარდება მოსწავლეებს შორის ქვეყნის მასშტაბით. მონაწილე ჯგუფებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ ინოვაციური სამეცნიერო იდეა, რომელიც გამყარებული იქნება კვლევებითა და ექსპერიმენტებით. წელს კონკურსში 45 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებულმა ჯგუფმა მიიღო ერთწლიანი სტიპენდია თიბისი სტატუსისგან, ჩვენი შეძლებული საცალო სეგმენტისგან, რომელიც პროექტის განსახორციელებლად უნდა იქნას გამოყენებული.

2018 წელს თიბისიმ ითანამშრომლა „ათასწლეულის ინოვაციების კონკურსთან“, რომლის მიზანაც იყო საქართველოს მასშტაბით STEM დარგებში ინოვაციების წახალისება ახალგაზრდებს შორის. 2019 წელს, თიბისიმ, ფინანსურად მხარი დაუჭირა გამარჯვებული გუნდის გამგზავრებას აშშ-ში, კონკრეტულად ჰუსტონში, „NASA“-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტში.

თიბისი ასევე მხარს უჭერს საბავშვო ფესტივალებს, რაც მოიცავს სხვადასხვა საგანმანათლებლო და გასართობ ღონისძიებებს. 2019 წელს ჩვენ ვითანამშრომლებთ თიბისის წიგნის საქრთაშორისო ფესტივალთან, ეს არის ფართომასშტაბიანი ღონისძიება, სადაც უამრავი წიგნი იყიდება, როგორც ქართული ისე მსოფლიო ლიტერატურიდან. ღონისძიება არის ფართო მასშტაბიანი და ბევრი ადამიანი სტუმრობს მთელი როგორც დიდი ქალაქებიდან ისე საქართველოს რეგიონებიდან.

გარდა ამისა 2017 წლიდან ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს ნიჭიერ ახალგაზრდებს ჩვენი პირველი საქველმოქმედო პლატფორმის [www.statusdonates.ge](http://www.statusdonates.ge)-ს საშუალებით. თიბისი ამ პლატფორმის

მეშვეობით ეხმარება ნიჭიერ ახალგაზრდებს, თითოეულ მათგანზე კეთდება მოკლე ფილმი და იტვირთება საიტზე. STATUS DONATES-ის ფარგლებში უკვე დაფინანსდა 45 პროექტი, მთლიანად დაფინანსების თანხამ შეადგინა 170,000 ათასი ლარი და ამ მხარდაჭერამ 90-ზე მეტი ადამიანის ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალა.

2018 წლის ბოლოს, ჩვენ განვახორციელეთ ახალი პროექტი, სახელწოდებით „თიბისის სტიპენდიატები“, რომლის მიზანია ახალგაზრდა, ნიჭიერი სკოლის მოსწავლეების დახმარება, სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სპორტის, მეცნიერების და ხელოვნების სფეროებში. გამოშვებიდან 300-მდე ახალგაზრდამ მიიღო წლიური სტიპენდია ცოდნის და პროფესიული უნარების განსავითარებლად.

### ხელოვნება და კულტურა

თიბისი კულტურისა და ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერია საქართველოში. ჩვენ ტრადიციულად ვაგრძელებთ როგორც კულტურული ინსტიტუციების, ისე ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობას.

2019 წლის მთავარი პროექტი დავით კაკაბაძის 130 წლის იუბილე იყო, რომელიც დავით კაკაბაძის ფონდთან პარტნიორობით მომზადდა. დავით კაკაბაძე იყო ცნობილი ქართველი მხატვარი, მეცნიერი, გამომგონებელი და ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. იუბილე მრავალეტიპიანი პროექტით აღინიშნა:

- ▶ აკადემიური გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო შემოქმედის ნამუშევრები, ჩანაწერები და ესკიზები სახელმწიფო კულტურული ინსტიტუციებიდან, მხატვრის ოჯახიდან და კერძო კოლექციებიდან;
- ▶ “თიბისი არტ გალერეამ” უმანსპინკლა მულტიმედია პროექტს, სახელწოდებით GAMMA. პროექტის ფარგლებში სამმა ქართველმა ახალგაზრდამ არტისტმა დავით კაკაბაძის კონცეფციებით მიღებული შთაგონებით და ადამიანისა და სინათლის ინტერაქციის კვლევის მიზნით, ციფრულ მედიაში აუდიოვიზუალური, სივრცითი ინსტალაციები შექმნა.
- ▶ დაიბეჭდა დავით კაკაბაძის საიუბილეო გამოცემა, რომელიც აერთიანებს ხელოვანის ნამუშევრებს და სამეცნიერო ტექსტებს მისი შემოქმედების შესახებ.

- ▶ თიბისიმ მხარი დაუჭირა დავით კაკაბაძის ციფრული არქივის შექმნას, რომელიც მოიცავს როგორც დავით კაკაბაძის ოჯახში არსებულ დოკუმენტაციას, ისე საიუბილეო წლის ფარგლებში შექმნილი სხვადასხვა შემოქმედებითი პროექტის ამსახველ მასალებს.
- ▶ ფართო საზოგადოებისთვის, მემკვიდრეობასთან ღია და თანამედროვე გზით წვდომის მიზნით, საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა მუზეუმსა და თეატრში არსებული, დავით კაკაბაძის ნამუშევრების კოლექციები სრულად გაციფრულდა.
- ▶ თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების, კულტურული და სამეცნიერო კვლებების პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა ახალი ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პლატფორმა - BAZA. ეს იქნება ისეთი სივრცე, რომელიც დააკავშირებს პროფესიონალ არტისტებს, მკვლევარებს, სტუდენტებს ან, უბრალოდ, ამ თემებით დაინტერესებულ ადამიანებს. ამ სივრცის პირველი სიმპოზიუმი მიეძღვნა დავით კაკაბაძის 130 წლის იუბილეს.

2019 წელს თიბისი საქართველოს ეროვნული მუზეუმის პარტნიორი გახდა და ის მხარს დაუჭერს რომ უძველეს ქალაქ ვანში, თანამედროვე მუზეუმი გაიხსნას, რომელშიც ვანის არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ნივთები გამოიფინება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თიბისის ღონისძიება იყო ცნობილი ქართველი ფოტოგრაფის გურამ ნიბახაშვილის ფოტო-გამოფენის მოწყობა: გამოფენაზე იყო ნაჩვენები 1990-იანების საქართველოს ისტორია და მიზნად ისახავდა პოსტსახბოთა პერიოდზე ხალხის ცნობებების გაზრდას.

გრძელვადიანი პროექტების ფარგლებში ვაგრძელებთ ქართული ლიტერატურისა და ქართული დამწერლობის პოპულარიზაციას:

- ▶ საბა ქვეყნის მთავარი ლიტერატურული მოვლენაა. პრემია თიბისის მიერ 2003 წელს დაფუძნდა და 2019 წელს მეჩვიდმეტედ ჩატარდა. წლების განმავლობაში სხვადასხვა კატეგორიაში 160-ზე მეტი ჯილდო გაიცა, რის საერთო ღირებულებამაც 750, 000 ლარზე მეტი შეადგინა. SABA Reader კი არის აპლიკაცია, როგორც 6000-ზე მეტი ელექტრონული წიგნია განთავსებული და რომელსაც 190,000-ზე მეტი მკითხველი ჰყავს როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.
- ▶ ქართული ენის პოპულარიზაციისა და ქართული ანბანის ციფრულ სამყაროში ინტეგრაციის მიზნით, 2016 წელს დაიწყო პროექტი #წერე ქართულად. 2017 წელს, კომპანია „Microsoft“-თან პარტნიორობით შეიქმნა პირველი ქართულენოვანი პლატფორმა [www.kartulad.ge](http://www.kartulad.ge). 2018 წელს „მაიკროსოფტთან“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ქართულიდან ინგლისურად ითარგმნა 100,000-ზე მეტი წინადადება და გუნდი უკვე მუშაობს ქართული ენის „მაიკროსოფტის“

პროგრამებში ინტეგრაციაზე. 2019 წელს მეორედ ჩატარდა კონკურსი „ქართული ა“, რომელშიც ქართველი კალიგრაფისტების 200-მდე ნამუშევარმა მიიღო მონაწილეობა და მათგან 16 საუკეთესო დაჯილდოვდა. გამარჯვებული შრიფტები გაციფრულდება და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება.

## სკორი

თიბისი 2015 წლიდან „საქართველოს რაგბის კავშირის“ გენერალური სპონსორია. რაგბი არის ეროვნული, ქართველი ხალხისთვის ძალიან საყვარელი თამაში და ის ხელს უწყობს ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველოს რაგბის კავშირთან პარტნიორობის ფარგლებში, ჩვენი მიზანია სხვადასხვა კამპანიის დახმარებით ავამაღლოთ საზოგადოების ცნობიერება რაგბის შესახებ, ამავე მიზანს ემსახურებოდა რაგბის ბარათების გამოშვება ჩვენი მომხმარებლებისთვის და Win a Trip to Japan კამპანიის სპონსორობა. ჩვენ ასევე მხარს ვუჭერთ რაგბის ახალგაზრდა ტალანტებს და 2019 წელს პირველად მოვანწყვეთ რაგბის ბანაკი რაგბის გამორჩეული შესაძლებლობების მქონე 27 ახალგაზრდა სპორტსმენისთვის.

## დავით კაკაბაძე 130

---

პროექტმა გაიმარჯვა  
ნომინაციაში „სხვადასხვა  
სექტორთა პარტნიორობა  
გაზიარებული პასუხისმგებლობა“,  
საქართველოს პასუხისმგებელი  
ბიზნესის კონკურსში Meliora 2019








მხატვარი: სერგეი კაკაბაძე

სურათი: სერგეი კაკაბაძე

მასალა: ხაზი

ფერები: სურათი

ს. ს. ს. ს.  
KAKABADZE



# ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტი

ჩვენ მივისწრაფვით, რომ ვმართოთ ჩვენი საქმიანობა პასუხისმგებლობით და მდგრადად და ვიღებთ შესაბამის ზომებს, რომ შევამციროთ და აღმოვფხვრათ ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებული პირდაპირი და ირიბი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები. ეს მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს, შევამციროთ გარემოზე ნევაგტიური ზემოქმედება რესურსების ეფექტურად გამოყენებით და ჩვენი როლი შევასრულოთ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ გარემოსადმი მეგობრული აქტივობების განხორციელებით.

ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკა ჯგუფის მასშტაბით განსაზღვრავს ჩვენს გარემოსდაცვით მართვის სისტემას (EMS) და უზრუნველყოფს, რომ შესაბამისობაში ვიყოთ გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და შრომის დაცვის მოქმედ რეგულაციებთან და გამოვიყენოთ შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკები. პოლიტიკა ასევე უზრუნველყოფს, რომ ჩვენი კლიენტები შესაბამისობაში იყვნენ ჩვენს გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან და თავიანთი ბიზნესის მართვის დროს შეასრულონ გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობები. ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკა სრულად შეესაბამება საქართველოს გარემოსდაცვის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს.

გარემოსდაცვითი პოლიტიკა:

- ▶ თიბისი არტ გალერეამ უმანსპინძლა მულტიმედია პროექტს, სახელწოდებით GAMMA. პროექტის ფარგლებში სამმა ქართველ
- ▶ განსაზღვრავს ჩვენი ბიზნეს სამქინაობის გარემოსდაცვითი ასპექტებსა და ზემოქმედებებს;
- ▶ განსაზღვრავს გარემოზე ჩვენი უარყოფითი ზემოქმედებების შემარბილებელ ზომებსა და ღონისძიებებს
- ▶ განსაზღვრავს რესურსების ეფექტურ და პასუხისმგებლიან მართვის პრინციპებს ;
- ▶ უზრუნველყოფს ჩვენ მიერ გარემოს, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და შრომის დაცვის რეგულაციების შესრულებას;
- ▶ ამალღებს გარემოსდაცვით ცნობიერებას თანამშრომლებს შორის.
- ▶ განსაზღვრავს გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის მქონე საქმიანობებს, რომლებსაც ბანკი არ დააფინანსებს.
- ▶ ხელს უწყობს მდგრადი ფინანსირების განვითარებას კლიენტებს შორის.

თიბისი ბანკს ჰყავს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის (ESRM) ჯგუფი, ჩვენი ESRM გუნდი პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი მართვის სისტემის (EMS) განხორციელებაზე, ზედმასხედველობასა

და გარემოსდაცვითი გეგმებისა და შედეგების კვარტალურ გარემოსდაცვით კომიტეტებზე წარდგენასა და ანგარიშგებაზე. ჩვენი ESRM გუნდი არის SME და კორპორატიული ბიზნესის საკრედიტო რისკების დეპარტამენტის ნაწილი, რომელიც პირდაპირ ანგარიშვალდებულია რისკების მართვის დირექტორის წინაშე.

ჩვენი EMS ეფუძნება ოთხ მიმართულებას / პილარს:

- ▶ შიდა გარემოსდაცვითი ზომები;
- ▶ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა ბიზნეს დაკრედიტების დროს;
- ▶ მდგრადი ფინანსირება;
- ▶ გარე კომუნიკაცია.

### მიმართულება I - შიდა გარემოსდაცვითი ზომები:

ვინაიდან საბანკო საქმიანობა არ არის მაღალდამაბინძურებელი საქმიანობა, შიდა გარემოსდაცვითი მართვის სისტემის დანერგვა ჯგუფის მასშტაბით რესურსის ეფექტურად მოხმარების მიმართულებით, მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ მოახდენს გარემოზე. თუმცა, თიბისი ბანკმა გადახედა თავის ყველა საოპერაციო საქმიანობას, შესყიდულ პროდუქტსა და გარე მომსახურებას, რომელთა შესაბამისად მართვა და კონტროლი შესაძლებელია(ახლანდელი და დაგეგმილი) და განსაზღვრა ყველა არსებითი გარემოსდაცვითი ასპექტი. შესაბამისი შეფასებისა და ანალიზის სისტემის გამოყენებით, აღნიშნული გარემოსდაცვითი ასპექტები დაიყო ირიბ და პირდაპირ სპექტებად და იმართება შესაბამისად.

თიბისი ბანკმა ჯგუფის მასშტაბით შექმნა ყოვლისმომცველი შიდა გარემოსდაცვითი სისტემა სათბური აირების გაფრქვევების სამართავად და ცდილობს, საწვავის, ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის მოხმარების მკაცრი კონტროლისა და მონიტორინგის გზით შეამციროს გაფრქვევები. სათბური აირების გაფრქვევების გაზომვების დამოწმებისათვის თიბისი ბანკმა დაიქირავა ჯანმრთელობის, შრომითი უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი (HSE) საკონსულტაციო კომპანია, შპს. G&L Management.

ფინანსური წლის მონაცემები	სულ CO2 გაფრქვევები (ტონა)			KPIs
	2017	2018	2019	2020
<b>მასშტაბი 1*</b>				
საწვავის გამოყენება (გათბობის, ტრანსპორტისა და გენერატორებისთვის)	2,054	2,144	1,897	-7%
<b>მასშტაბი 2</b>				
(ელექტროენერჯის მოხმარება)	1,206	1,214	1,088	-4%
<b>მასშტაბი 3</b>	321	575	564	-
<b>ჯამური გაფრქვევები (tCO2)</b>	<b>3,581</b>	<b>3,933</b>	<b>3,549</b>	<b>-5%</b>
<b>ჯამური გაფრქვევები თითო შტატიდან თანამშრომელზე (CO2t/pp)</b>	<b>0.55</b>	<b>0.62</b>	<b>0.57</b>	<b>-5%</b>
წყლის მოხმარება თით. თანამშრომელზე (m3/pp)	12.37	16.68	14.40	-6%
საბექტი ქალაქი თითო პირზე (დასტა)	23.52	17.52	19.62	-3%

მონაცემები მოცემულია მხოლოდ ბანკისთვის

\*მასშტაბი 1:

- a) 1,318 CO2e ემისია ტონებში (საწვავის მოხმარება (NG) თიბისი ბანკის მასშტაბით) 2019 წელს, ხოლო 2018 წელს - 1,441 CO2e, და 2017 წელს - 1,474 CO2e.
- b) 491 CO2e გაფრქვევები ტონებში (თიბისი ბანკის კუთვნილი ავტომობილებისგან) 2019 წელს, ხოლო 2018 წელს შეადგენდა - 617 CO2e და 478 CO2e 2017 წელს c) 88 CO2e გაფრქვევები ტონებში (თიბისი ბანკის კუთვნილი გენერატორებიდან) 2019 წელს, ხოლო 2018 წელს შეადგენდა - 86 CO2e და 2017 წელს 102 CO2e.

2019 წელს მთლიანი სათბური აირების გაფრქვევები შემცირდა 10%-ით წინა წელთან შედარებით, რაც ძირითადად განპირობებული იყო გათბობის, სატრანსპორტო საშუალებებისა (ბანკის ავტოპარკის ჩანაცვლება ჰიბრიდული და ელექტრო ავტომობილებით) და ელექტროენერჯის ეფექტური მოხმარებით. თიბისი ბანკის წყლის მოხმარება შემცირდა 14%-ით, სხვადასხვა შენობაში გაყვანილობის შემთხვევების პრევენციის გამო.

2020 წლისთვის, ჩვენი მიზანია, ჯამური გაფრქვევები შევამციროთ 5%-ით, შემდეგი ზომების განხორციელებით: თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება ელექტროენერჯის და ბუნებრივი აირის მოხმარების მიმართულებით, ცენტრალური გათბობის სისტემების მონიტორინგით, ასევე ელექტროავტომობილების წილის გაზრდით მთლიან მანძილზე მგზავრობის დროს. რაც შეეხება წყლის მოხმარებას, ჩვენ ვგეგმავთ დავამონტაჟოთ უფრო მეტი წყლის წნევის მარეგულირებელი მოწყობილობები შერჩეულ შენობებში, რაც უზრუნველყოფს წყლის გაყვანის პრევენციას.

**გამოთვლის მეთოდი**

სათბური აირების ინვენტარიზაციისთვის შემდგომი ნაბიჯები განისაზღვრა: ორგანიზაციის საზღვრები, საოპერაციო საზღვრები, მონაცემთა შეგროვება და ნახშირორჟანგის (CO2) ეკვივალენტის გაანგარიშება. ეს ანგარიში აღწერს გაფრქვევების ყველა წყაროს, რომელიც გათვალისწინებულია 2006 წლის „კომპანიების აქტით“ (სტრატეგიული ანგარიში და დირექტორების ანგარიშები), 2013 წლის რეგულაციებით (Scope 1 და 2) და ასევე მასშტაბი 3-ის ფარგლებში არსებული გაფრქვევებით, რომელიც ვრცელდება ბიზნეს-საქმიანობაზე. გაფრქვევების მონაცემების მომზადებისას გამოყენებულ იქნა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის „2017 წლის კომპანიის ანგარიშებისთვის სათბური აირების კონვერსიის ფაქტორები“. ხოლო ელექტროენერჯის შემთხვევაში „ეროვნული IPCC“-ის ემისიის ფაქტორები (tCO2\*/ MWh). ბანკის ძირითადი საქმიანობების საზღვრებისთვის საჭირო მონაცემები შემდეგნაირად შეგროვდა:

**მასშტაბი 1** (საწვავის წვა და შენობა-დაგებობების ფუნქციონირება) მოიცავს საკუთრებაში არსებულ ან კონტროლს დაქვემდებარებულ ადგილებზე მოწყობილობა-დანადგარების მიერ ბუნებრივი აირის, დიზელის ან/და ბენზინის წვის შედეგად გამოყოფილ აირებს. ასევე, სატრანსპორტო საშუალებების მიერ ბენზინის, დიზელის, ბუნებრივი აირის და ა.შ. წვის შედეგად გამოყოფილ აირებს.

**მასშტაბი 2** (საკუთარი გამოყენებისთვის შექნილი ელექტროენერჯია (განათება, საოფისე აღჭურვილობა, გაგრილების სისტემა და ა.შ.) მოიცავს გაფრქვევების შემდეგ წყაროებს: საკუთრებაში არსებულ ან კონტროლს დაქვემდებარებულ ადგილებზე მოხმარებული ელექტროენერჯია; გაფრქვევების გაანგარიშებისთვის გამოყენებულ იქნა კონვერსიის ფაქტორი „ეროვნული IPCC“ გაფრქვევების ელექტროენერჯის ფაქტორებიდან (tCO2\*/MWh);

**მასშტაბი 3** მოიცავს მივლინებების დროს საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობის შედეგად მიღებულ გაფრქვევებს. (მოკლე მანძილებზე, საშუალო მანძილებზე, შორ მანძილებზე და საერთაშორისო ფრენებს); უნდა აღინიშნოს, რომ გათვალისწინებული იქნა ინფორმაცია ფრენის კლასთან დაკავშირებით და ემისიების გამოსანაგარიშებლად გამოყენებულ იქნა „ეკონომ-კლასის“ კონვენსიის ფაქტორი შემდეგი ბმულიდან: [www.atmosfair.de/en/offset/flight](http://www.atmosfair.de/en/offset/flight)

ადგილობრივ გარემოსდაცვით რეგულაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, თიბისი ბანკი ყოველწლიურად აწარმოებს შიდა გარემოსდაცვით შემოწმებას. ჩვენი გარემოსდაცვითი საკითხების საკანონმდებლო რეესტრი განსაზღვრავს კონკრეტულ საკანონმდებლო მოთხოვნებსა და რეგულაციებს, რომელიც ეხება თიბისი ბანკს და ასევე ასახავს რა სახით ვრცელდება აღნიშნული მოთხოვნები თიბისი ბანკის გარემოსდაცვით ასპექტებზე. საკანონმდებლო რეესტრი ბოლოს განახლდა 2019 წლის სექტემბერში.

ასევე, წლის განმავლობაში განახლდა და დამტკიცდა შემდეგი დოკუმენტები:

- ▶ თიბისი არტ გალერეა უმანსპინძლა მულტიმედია პროექტს, სახელწოდებ
- ▶ მწვანე შესყიდვების რეკომენდაციები – დოკუმენტი განსაზღვრავს შესყიდვების ზოგად რეკომენდაციებს და ასევე აიდეტიფიცირებს პროდუქტის ჯგუფებს, სადაც უპირატესობა ენიჭება ეკოლოგიურად სუფთა ან ენერგოეფექტურ პროდუქტებს ჩვეულებრივ საქონელთან შედარებით. შესყიდვების ხელშეკრულებას დაემატა გარემოსდაცვის მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ადგილობრივი სტანდარტების დაცვის მოთხოვნებს. მიწოდების ჯაჭვის განვითარების პროექტის ფარგლებში შეიქმნა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასების საკონტროლო ჩამონათვალი გრძელვადიანი მომწოდებელი კომპანიებისთვის. მომწოდებელი კომპანიების შეფასება ხორციელდება რეგულარულად. 2019 წლის განმავლობაში შემოწმდა რამდენიმე მომწოდებელი კომპანია. ეს პროცესი გაგრძელდება 2020 წლის განმავლობაში.
- ▶ ნარჩენების მართვის სახელმძღვანელო – ამ დოკუმენტში აღწერილია ნარჩენების კატეგორიები, (რომელთა სეპარირებასა და მართვას ახორციელებს თიბისი ბანკი), ასევე ნარჩენების კატეგორიებად დაყოფის სახელმძღვანელო პრინციპები, შეგროვების სიხშირე და მეთოდი. 2019 წელს ნარჩენების მართვის საცდელი პროექტის ფარგლებში, ჩვენ აღჭურვით ჩვენი სათავო ოფისების შენობები ნარჩენების სეპარირების ურნებით. გარდა ამისა, გაფორმდა მემორანდუმი სპეციალურ სერვის პროვაიდერთან სეპარირებული ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანიებისთვის

მიწოდების მიზნით. დაქუცმაცებული ქალაქები მიეწოდება კომპანიას, რომელიც აწარმოებს წიგნებს, წიგნები მოგვიანებით მიეწოდება საქართველოს მალალმთიანი რეგიონების ბიბლიოთეკებს მინის / თუნუქის ნაწარმი მიაქვთ გადამამუშავებელ საწარმოებს, ხოლო პლასტმასი ქუცმაცდება ექსპორტისთვის საზღვარგარეთ შემდგომი დამუშავებისთვის და გრანულების წარმოებისთვის. ამჟამად, ჩვენ ვმუშაობთ მომსახურების პროვაიდერთან სპეციალური ელექტრონულინარჩენების ურნების სათავო ოფისებში დასამატებლად. ნარჩენების მართვის პროექტები მომავალ წელს გაგრძელდება გაფართოვდება ჩვენს ფილიალებშიც.

ბანკი ასევე ამუშავებს მწვანე ავტოპარკს. ბანკის სატრანსპორტო საშუალებების დაახლოებით 70% არის ჰიბრიდული და ელექტროავტომობილები, რაც დაახლოებით 30%-ით ამცირებს საწვავის ყოველთვიურ მოხმარებას. პროექტის ფარგლებში საქართველოში, 14 ლოკაციაზე დამონტაჟდა ელექტროდამტენები. რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია თანამშრომლებისა და კლიენტების მიერ, ისე საზოგადოების სხვა წევრების მიერაც. მომავალში იგეგმება ელექტროდამტენების რაოდენობის გაზრდა.

გარდა ამისა თანამშრომლებისთვის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩვენ ჩავატარეთ წლიური სემინარები და ამ მიმართულებით არსებული სიახლეებისა და აქტივობების შესახებ მუდმივად ვაწვდით ინფორმაციას ჩვენს კოლეგებს. 2019 წელს ბანკის ყველა თანამშრომელმა გაიარა სავალდებულო ონლაინ EMS e-სასწავლო კურსი და წარმატებით ჩააბარა ტესტი.

პილარ II - გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა დაკრედიტების დროს

ყველა კომერციულ ტრანზაქციის დროს თიბისი ბანკი ცდილობს უზრუნველყოს, რომ მომხმარებლებს ჰქონდეთ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის ორგანიზაციული და სისტემური მიდგომა და შესაბამისობა იყვენ აღგილობრივი გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების რეგულაციებთან და სტანდარტებთან.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, თიბისი ბანკმა შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის (ESRM) პროცედურები, რათა დაკრედიტების დროს უზრუნველყოს მწვანე მისი, რისკებზე დამყარებული, სექტორების სპეციფიკების მიხედვით გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასება. აღნიშნული პროცედურები სრულად არის ინტეგრირებული თიბისი ბანკის საკრედიტო რისკის მართვის პროცესში და ვრცელდება ყველა კომერციულ ტრანზაქციაზე. პროცედურები მოიცავს IFC-ს სამოქმედო სტანდარტებს (PSs), EBRD's სამოქმედო მოთხოვნებს (PRs) და ADB's უსაფრთხოების მოთხოვნებს (SRs).


აღნიშნული პროცედურები მოიცავს:

- ▶ ტრანზაქციის კვალიფიკაცია და რისკის კატეგორიზაცია;
- ▶ იდენტიფიკაცია და შეფასება;
- ▶ შერბილება და კონტროლი;
- ▶ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მონიტორინგი და ანგარიშგება.


ბიზნეს კლიენტების საკრედიტო რისკების ანალიზის ფარგლებში გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების შეფასებითა და მონიტორინგით, ხელს უწყობს მომხმარებლებს, რომ გამოიყენონ გარემოსდაცვითი საუკეთესო პრაქტიკები თავიანთ ბიზნეს საქმიანობებში და ახალისებს მდგრად დაფინანსებას. თიბისი ბანკი მიისწრაფვის, რომ შეამციროს გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა თავის მიერ დაფინანსებულ საქმიანობებში.

**ბიზნეს სესხები**

E&S რისკის კატეგორიები სესხის მოცულობის მიხ.



E&S რისკის კატეგორიები სესხის რაოდენობის მიხ. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



**დაბალი რისკი** - ტრანზაქციები, რომელსაც აქვს მინიმალური ან საერთოდ არ აქვს უარყოფითი გარემოსდაცვითი, ან სოციალური ზემოქმედება, ზოგადად, ასეთი შემთხვევების შემდგომი ანალიზი აღარ ხორციელდება (გამოვლენის და იდენტიფიცირების შემდეგ). მოთხოვნები გულისხმობს მხოლოდ კლიენტის დასაბუთებას, სერტიფიცირებას, ან დასტურს გარემოსდაცვითი, ჯანრთელობის, უსაფრთხოების, და შრომის ადგილობრივ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის/შეუსაბამობის შესახებ.

**საშუალო რისკი** - ოპერაციები სოციალურ, ან ბუნებრივ გარემოზე საზიანო ეფექტის შეზღუდული პოტენციალით. ასეთი შემთხვევები მცირე რაოდენობისაა და ადგილმდებარეობის მიხედვით განისაზღვრება, მეტწილად გამოსწორებადია, უდაოდ შეიძლება მისი გამოვლენა შეფასების ეტაპზე და თავისუფლად გვარდება რისკის შემცირების ზომების გამოყენებით. ამას ტიპურად სჭირდება შეზღუდული, ან აქცენტირებული გარემოსდაცვითი და/ან სოციალური შეფასება. მეორე ალტერნატივაა გარემოსდაცვითი ზომების, დაბინძურების ნორმების, დიზაინის კრიტერიუმების, ან სამშენებლო სტანდარტების პირდაპირი გამოყენება

**მაღალი რისკი** - ოპერაციები პოტენციურად უდაოდ მაღალი, უარყოფითი და/ან გრძელვადიანი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ეფექტით, რომლის მასშტაბების განსაზღვრაც შეიძლება რთული იყოს სესხზე განაცხადის წარმოდგენისას. ამას სჭირდება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ეფექტის ანალიზი ბანკის კლიენტის ფუნქციონირების გავლენის მთლიანი არეალის კონტექსტში. რისკის შეფასების სფეროში კლიენტი გამოავლენს ცალკეულ პირებს და ჯგუფებს, რომლებზეც მისი წარმოების გავლენა განსხვავებული, ან არაპროპორციული შეიძლება იყოს.

**კატეგორია A** - პოტენციურად მაღალი საზიანო ეფექტით სოციალურ, ან ბუნებრივ გარემოზე, რაც შეიძლება გახდეს მრავალმხრივი, გამოსწორებელი ან უპრეცედენტო. შესწავლა მოითხოვს დამოუკიდებელი გარეშე ექსპერტების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტების ჩართვას სიღრმისეული შესწავლისა და შეფასების პროცესში .

ESRM პროცედურების წარმატებით განხორციელებისთვის, თიბისი ბანკი ატარებს კრედიტ ოფიცრების რეგულარულ ტრენინგებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან (IFIs) თანამშრომლობით და ეფუძნება საჯაროდ ხელმისაწვდომი სხვადასხვა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის ინსტრუმენტების გამოყენებას, მათ შორის და არა მხოლოდ: ადგილობრივი რეგულაციები, EBRD-ს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის სახელმძღვანელო (e-Manual v4.0); ვებ-გვერდი, IFC მხარდაჭერით: [https:// firstforsustainability.org/](https://firstforsustainability.org/); FMO-ს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასების (შემდეგ E&S) სექტორული სახელმძღვანელოები და ADB-ს ESMS ნიმუში ბანკებისთვის და ფონდებისთვის, რომლებიც ინტეგრირებულია თიბისი ბანკის მიერ შემუშავებულ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასების (ESDD) ფორმებში.

ჩვენს პარტნიორთან საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურები ბოლოს განახლდა 2019 წლის პირველ კვარტალში.

განხორციელდა შემდეგი შესწორებები:

- ▶ მშვანე შესყიდვების რეკომენდაციები – დოკუმენტი განსაზღვრა
- ▶ ბიზნეს სექტორის კატეგორიზაცია (სექტორი / დარგი / ქვე-დარგი) შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების E&S რისკის კატეგორიზაციასთან;
- ▶ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სექტორული სახელმძღვანელოებისა და ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნების თიბისი ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასების ფორმებში ინტეგრირება.
- ▶ მოხდა E&S რისკის კატეგორიზაციისა და ანგარიშგების პროგრამული უზრუნველყოფა, მათ შორის, კვარტალური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მონიტორინგისთვის შემუშავდა შემთხვევითი შერჩევის ფუნქცია.
- ▶ შეიქმნა საკანონმდებლო მოთხოვნების (ლიცენზიები და ნებართვები) ჩამონათვალი ბიზნეს სექტორების მიხედვით.

E&S რისკის შეფასების პროცესის ავტომატიზაცია უზრუნველყოფს თანამშრომლების მეტ მოქნილობას და ამცირებს მათ ხელით სამუშაოს, რაც თავის მხრივ ამცირებს შეცდომებს რისკის კლასიფიკაციისა და შეფასების პროცესში.

ზემოაღნიშნული ცვლილებების შესახებ თანამშრომლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ჩატარდა 12 ინტენსიური E&S ტრენინგი და გადამზადდა 96 თანამშრომელი, მათ შორის SME კრედიტ ოფიცერი, კრედიტის ანალიტიკოსი, საკრედიტო რისკების მართვის მენეჯერები და ბიზნესის SME დაკრედიტების / გაყიდვების კოორდინატორები. გარდა ამისა, ჩვენი

გარემოსდაცვითი ჯგუფის წევრებმა წარმატებით გაიარეს IFC-ის ელ-სასწავლო პროგრამის (STEP) ონლაინ კურსი და მიიღეს სერტიფიკატი.

მიწოდების ჯაჭვის განვითარების პროექტის ფარგლებში, თავის კრედიტორებთან და პარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით, თიბისი ბანკმა ჩაატარა რამდენიმე ღონისძიება, რომლებიც ESG საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა.


- ▶ 2019 წლის 27-28 ივნისს, პირველად კავკასიის რეგიონში თიბისიმ და FM-მ ჩაატარეს ერთობლივი ორდღიანი საერთაშორისო E&S მასტერკლასები თბილისში. ღონისძიებას ესწრებოდნენ როგორც ადგილობრივი კომერციული ინსტიტუტების E&S რისკების მართვის თანამშრომლები, ასევე ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და უზბეკეთიდან. თიბისიმ და FMO-მ წარმოადგინეს E&S რისკის მართვის არსებული სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკები, ჩაატარეს ინტერაქტიული განხილვები და ჯგუფური სამუშაოები, მათ შორის ადგილზე ვიზიტები და სავლელ გასვლები.
- ▶ “Doing Makes the Difference” – FMO და თიბისიმ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში (ISET) სტუდენტებისთვის ჩაატარეს ერთობლივი საჯარო ლექცია E&S რისკის მართვის საკითხებზე.
- ▶ 2019 წლის 25-26 ივლისს თიბისიმ და GCPF-მა ჩაატარეს ორდღიანი სემინარი ენერჯო სექტორის დაფინანსების თემაზე (განახლებადი ენერჯის პროექტი) ქრისტიან ერის გრუტიმ, საერთაშორისო ექსპერტმა ენერჯოსექტორში, თიბისის კლიენტებისთვის ჩაატარა სემინარები განახლებადი ენერჯის პროექტების დაფინანსების შესახებ.

**პილარ III - მდგრადი ფინანსირება**

თიბისი ბანკი აგრძელებს მდგრადი დაკრედიტების განვითარებას და აქტიურად არის ჩართული მდგრადი დაფინანსების მიმართულებით, მათ შორის ენერჯოეფექტური, განახლებადი ენერჯის და რესურსების ეფექტური დაფინანსების სტანდარტების შემუშავებაში ფიზიკური პირებისა და ბიზნეს კლიენტებისთვის. ჩვენ ვთანამშრომლობთ „Green Growth Fund“-თან (GGF), რათა ჩავატაროთ ადგილობრივი ბაზრის კვლევა, შევიმუშაოთ მშვანე დაფინანსების კრიტერიუმი და დავწეროთ შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ არსებული მშვანე დაკრედიტების პროცესი კომპანიაში. გარდა ამისა, ჩვენმა ESRM ჯგუფის უფროსმა წარმატებით დაასრულა განახლებადი ენერჯის აკადემიის ონლაინ კურსი „მშვანე დაფინანსების ექსპერტის სერტიფიკაცია“, რომელიც უზრუნველყოფილი იქნა „Green Growth Fund-ის“ (GGF) ტექნიკური დახმარების (TA) მხარდაჭერით. გარდა ამისა ჩვენი ESRM და სასესხო კაპიტალის ბაზრის ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს IFC-ის მშვანე ობლიგაციებისა და მდგრადი დაფინანსების პროგრამაში.

შენიშვნა: განახლებადი ენერჯის სექტორის გარდა რომელიც მოიცავს ბანკის მიერ დაფინანსებულ ყველა ჰიდროელექტრო სადგურის პროექტს, ჩვენი მდგრადი ფინანსირების პორტფელი მოიცავს სესხებს, რომლებიც დაფინანსებულია კონკრეტული მიზნობრივი ფონდებით, რომლებიც მოზიდულია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან.

**ბანკის მდგრადი საკრედიტო პორტფელის დინამიკა მილიონ აშშ დოლარებში**



**პილარ IV - გარე კომუნიკაციები**

გამჭვირვალად და ღია კომუნიკაცია ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის არსებითი ნაწილია. უკუკავშირი და ჩვენი დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული რეკომენდაციები გვაძლევს ჩვენი საქმიანობის უწყვეტი გაუმჯობესების შესაძლებლობას. ამ სახით ჩვენ შევიძულებით საჩივრების მიღების მექანიზმი, რაც შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგინონ თავიანთი საჩივრები E&S საკითხებზე. ნებისმიერი კომუნიკაცია, მათ შორის, საჩივრების მიღების პროცედურის მიხედვით დაბრუნებული პასუხები არქივდება. დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ თავიანთი შეკითხვები გამოგზავნონ ვებ-გვერდზე <http://www.tbcbank.ge/web/en/web/guest/e-s> ან ელ-ფოსტის მისამართზე: E&Srisk@tbcbank.com.ge. 2019 წლის განმავლობაში გარემოსდაცვითი და სოციალური საჩივარი არ დაფიქსირებულა.

თიბისი ბანკი ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებს ქვეყნის გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობის შემუშავების მხარდაჭერაში. ჩვენი ESRM გუნდი არის საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის მიერ ორგანიზებული რეგულარული გარემოსდაცვითი კომიტეტების, საქართველოს ბიზნეს ასოციაციისა (BAG) და ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის კომიტეტების წევრი.

2019 წელს, ჩვენმა ESRM გუნდმა ასევე მიიღო მონაწილეობა სემინარში, რომლის ერთობლივი ორგანიზება მოახდინეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH), რომლის მიზანია საქართველოში ეფექტური ადაპტაციის გეგმების განხორციელებისთვის ადგილობრივი კლიმატის ეკონომიკური სტრატეგიების შემუშავება და შესაბამისი მაკროეკონომიკური მოდელირების ინსტრუმენტების დანერგვა.

**პერსპექტივა**

ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემის საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით, ჩვენ ჩავუშვით მოსამზადებელი პროექტი ISO 14001:2015 სერტიფიკაციის მოსაპოვებლად. აღნიშნული უნდა დასრულდეს 2020 წელს.



## ენერგოეფექტურობის ჯილდო, ინვესტიცია კვების პროდუქციაში

### შპს ლიდერფუდი

ლიდერფუდი ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა საქართველოს ხორც-პროდუქტების წარმოების ბაზარზე, რომლის საბაზრო წილი 25%-ს შეადგენს, აწარმოებს სოსისებს, ლორს, ნახევარფაბრიკატებს, როგორცაა პელმენები და სხვა. 2008 წლიდან (დაფუძნებიდან) ლიდერფუდი განთავსებული იყო ძველ შენობაში. 2016 წელს თიბისი ბანკმა ლიდერფუდს გამოუყო სესხი კომპანიის რეზერენდირებისთვის, ასევე ჩადო ინვესტიცია ახალი ენერგოეფექტურ შენობაში საწარმოო საზისთვის.

პროექტის ფარგლებში, კომპანიამ შეიძინა ახალი სამაცივრე მოწყობილობა და ააშენა ენერგოეფექტური შენობა, საერთო ინვესტიციამ შეადგინა 0.5 მილიონი აშშ დოლარი. შედეგად ლიდერფუდი ზოგავს 657 MW/h ენერჯის ყოველწლიურად და CO2 ემისიები შემცირდა 335 ტონით ყოველწლიურად.

## ენერგოეფექტურობის ჯილდო, ინვესტიცია ენერგოსექტორში

### შილდა ჰესი

2012 წელს თიბისი ბანკმა დააფინანსა შპს ენერჯი, წამყვანი მწარმოებელი კომპანია საქართველოში ორიენტირებული იყო განახლებადი ენერჯის პროექტებზე, შილდას ჰიდროელექტროსადგურის (შილდა ჰესი) ასაშენებლად. შილდა ჰესის სიმძლავრე შეადგენს 5 MW და აწარმოებს 32 GWh ელექტროენერჯის ყოველწლიურად. პროექტის ფარგლებში კომპანიამ შეისყიდა ტურბინები, გენერატორები და სხვა ელექტრომომწყობილობა.

32 GWh ელექტროენერჯის წარმოებით, შილდა ჰესმა შეძლო 10,000 ტონაზე მეტი CO2 ემისიის შემცირება საქართველოში ყოველწლიურად.



# EBRD ჭილდოები

ჩვენი ძალისხმევების აღიარების ნიშნად მწვანე პროექტების დაფინანსების კუთხით EBRD-ს მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, წელს ჩვენ მივიღეთ გამორჩეული ჭილდო EBRD-გან კორპორაციული საბანკო მომსახურების სექტორში ბრწყინვალე შედეგებისთვის და მწვანე დაფინანსებაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოში.

გარდა ამისა ჩვენმა კლიენტებმა ლიდერფუდმა და შილდამ მიიღო ენერჯოეფექტურობის ჭილდო EBRD-გან.

## **მელიორას** ჟილდო

თიბისი ბანკმა მიიღო „მელიორას“ მწვანე ინიციატივის ჟილდო “მწვანე ავტოპარკის” პროექტისთვის, საქართველოს პასუხისმგებლიანი ბიზნესის ჟილდოები 2019.





სტრატეგია სითბოლო  
აქტივობები

სტრატეგია სითბოლო  
აქტივობები

ბათუმი

დინამიკური  
აქტივობები

# ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკების მართვა წარმოადგენს ჯგუფის სტრატეგიის კრიტიკულად მნიშვნელოვან საყრდენს და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მოსალოდნელი რისკებისა და გაურკვევლობების აღმოჩენაში, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ ჯგუფის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე. ამ ნაწილში გაანალიზებულია ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლის წინაშეც დგას ჯგუფი. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ჯგუფის მუშაობის შედეგებზე შესაძლოა გავლენა იქონიონ ჯერ კიდევ უცნობმა რისკებმა და გაურკვევლობებმა, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ქვემოთ. რისკების მართვის პრაქტიკის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია 76-93-ე გვერდებზე.

სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბებული აქვს ძირითადი და მოსალოდნელი რისკების შეფასების მოქნილი მექანიზმი, რომელიც თიხის ბანკის გრძელვადიანი საქმიანობის შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს ბანკის შესაძლებლობას, განაგრძოს ოპერირება და შესარულოს დასახული მიზნები. განხილვისა და ანალიზის საფუძველზე, სამეთვალყურეო საბჭომ დაადასტურა, რომ მათ აქვთ ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის გონივრული მოლოდინი მომდევნო სამი წლის განმავლობაში, 2023 წლის 1 იანვრამდე, და რომ ჯგუფი შეძლებს ოპერირების გაგრძელებას და თავისი ვალდებულებების შესრულებას სამი წლის განმავლობაში, 2020 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე.

## ძირითადი რისკი და გაურკვევლობები

### 1. საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ბიზნეს-საქმიანობის განუყოფელი ნაწილი

როგორც საბანკო მომსახურების მიმწოდებლისთვის, საკრედიტო რისკი ყველაზე მატერიალური რისკია ჯგუფისთვის, რაც დაკავშირებულია მომხმარებლის ან მესამე პირის (კონტრაქტენტის) მიერ ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების გადაუხდელობასთან შეთანხმებულ ვადებში, და ამის შედეგად გამოწვეულ ზარალთან.

#### რისკის აღწერა

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფისთვის ყველაზე მატერიალურ რისკს, ვინაიდან ჯგუფი ჩართულია ტრადიციულ საკრედიტო საქმიანობაში. ჯგუფის მომხმარებლები არიან როგორც იურიდიული პირები, ისე ინდივიდუალური მსესხებლები.

საქართველოს ფინანსური სექტორის მაღალი დოლარიზაციის დონიდან გამომდინარე, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სავალუტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია არაპეჯირებულ მსესხებლებზე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების გაცემასთან საკრედიტო

რისკი ასევე მოიცავს კონცენტრაციის რისკს, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუარესებასთან დაკავშირებულ რისკს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ერთ მსესხებელზე ან ერთმანეთთან დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფებზე დიდი მოცულობის პორტფელის შექმნით ან პორტფელის კონცენტრაციით გარკვეულ დარგებში. ზარალი შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს არახელსაყრელი მაკროეკონომიკური პირობების გამო. ეს რისკები უფრო დეტალურადაა აღწერილი, როგორც ცალკემდგომი ძირითადი რისკები.

#### რისკის მიტიგაცია

საკრედიტო რისკების ეფექტურად მართვის მიზნით, ბანკი იყენებს საკრედიტო რისკების შეფასების სულყოფილ ჩარჩოს, რომელშიც მკაფიოადაა ერთმანეთისგან გამიჯნული საკრედიტო ანალიზისა და კრედიტის დამტკიცების პროცესში მონაწილე მხარეთა მოვალეობები. საკრედიტო შეფასების პროცესი განსხვავდება სეგმენტების მიხედვით, ამასთანავე დიფერენციაცია ხდება პროდუქტის სახეობათა მიხედვითაც, აქტივთა კლასების განსხვავებული მახასიათებლების გათვალისწინების მიზნით. კორპორაციული, მცირე და საშუალო ბიზნესის, მსხვილი საცალო და მიკრო სესხების შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, მაშინ როცა გადაწყვეტილების მიღების პროცესი მცირე საცალო და მიკრო სესხების შემთხვევაში მეტწილად ავტომატიზირებულია. ინდივიდუალური და ავტომატიზირებული დაკრედიტების წესები განსაზღვრულია რისკების განყოფილებების მიერ, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სესხის გამცემი და ბიზნეს განვითარების ერთეულებისგან.

ჯგუფი იყენებს მონიტორინგის გამართულ სისტემას, რათა სწრაფად მოახდინოს რეაგირება მაკრო და მიკრო მოვლენებზე. მონიტორინგის სისტემა ასევე საშუალებას იძლევა მოხდეს საკრედიტო პორტფელში სისუსტეების იდენტიფიკაცია, რის შემდეგაც ხდება ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება რისკის მართვის კუთხით. მონიტორინგის პროცესი მორგებულია ცალკეულ სეგმენტებზე და მოიცავს ინდივიდუალური სესხების მონიტორინგს, პორტფელის საერთო მონიტორინგსა და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე. ამასთან, ჯგუფი იყენებს პორტფელის მონიტორინგის კომპლექსურ სისტემას იმისათვის რომ დააიდენტიფიციროს შესუსტებული მახასიათებლების მქონე კრედიტები და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები.

ჯგუფის საკრედიტო პორტფელი სტრუქტურულად დივერსიფიცირებულია მომხმარებელთა ტიპების, პროდუქტის ტიპებისა და სეგმენტების მიხედვით, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს საკრედიტო რისკი ჯგუფის დონეზე. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საცალო სეგმენტი შეადგენდა მთლიანი პორტფელის 39.9%-ს, რომელიც

დაყოფილია იპოთეკურ და არაიპოთეკურ სესხებად, 62.7% და 37.3% შესაბამისად. 2019 წლის ბოლოს ბიზნეს პორტფელში არცერთი სექტორი არ აღემატებოდა მთლიანი პორტფელის 8.6%-ს.

სესხის უზრუნველყოფა წარმოადგენს ჯგუფისთვის საკრედიტო რისკის ყველაზე მნიშვნელოვან მიტიგაციის საშუალებას. ამიტომ უზრუნველყოფაში არსებული ქონების ეფექტური მართვა საკრედიტო რისკების მართვის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ჯგუფის მიერ გაცემული სესხების უზრუნველყოფა შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შეიზღუდებოდეს შემდეგით: უძრავი ქონება, ფულადი დეპოზიტები, სატრანსპორტო საშუალებები, მოწყობილობა-დანადგარები, ინვენტარი, ძვირფასი ლითონები, ფასიანი ქაღალდები და მესამე პირის გარანტიები.

ჯგუფის პორტფელის ყველა სეგმენტი უმეტესწილად უზრუნველყოფილია, ხოლო უზრუნველყოფის საშუალებებში მნიშვნელოვან წილს წარმოადგენს უძრავი ქონება. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის პორტფელის 72.5% უზრუნველყოფილი იყო ნაღდი ფულით, უძრავი ქონებით, ან ოქროთი. უზრუნველყოფის მართვის გამართული სისტემა იძლევა იმის გარანტიას, რომ უზრუნველყოფის ობიექტი წარმოადგენდეს საკრედიტო რისკის მიტიგაციის ადეკვატურ საშუალებას.

**2. ჯგუფის წინაშე დგას სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკი, რადგან ჯგუფის პორტფელში სესხების დიდი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.**

ლარის გაუფასურება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკია, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე, ჯგუფის ბალანსზე არსებული უცხოური ვალუტის მაღალი წილის გამო. კურსის ცვლილების გამო, არაპეჯირებულ მსესხებლებს შესაძლოა გაეზარდოთ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები.

**რისკის აღწერა**

ჯგუფის სასესხო პორტფელის მნიშვნელოვანი წილი (და მთლიანად საქართველოში საბანკო სექტორის სესხების დიდი წილი) დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად აშშ დოლარში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშის მიხედვით, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წილი მთლიან საბანკო სექტორში 55.4%-ია. იმავე თარიღით, ჯგუფის მთლიანი სესხების (სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის დაკლებამდე) 58.7% დენომინირებული იყო უცხოურ ვალუტაში.

მომხმარებელთა დიდი ნაწილის შემოსავალი წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში, საზღვარგარეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების, ტურიზმის, ან ექსპორტის გამო. მიუხედავად ამისა, მომხმარებლები შეიძლება

არ იყვნენ დაცულნი ლარის გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი მერყეობისგან სესხის ვალუტის მიმართ. 2019 წლის განმავლობაში USD/GEL გაცვლითი კურსი არასტაბილური იყო, წლიდან წლამდე ლარი გაუფასურდა 7.1%-ით. საქართველოში მოქმედებს მსურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი. მსგავსი რეჟიმის არსებობის პირობებში, გაცვლითი კურსი, შიდა და გარე ფაქტორების გავლენით, ხასიათდება მერყეობით და იწვევს ვალუტის გაუფასურებას.

**რისკის მიტიგაცია**

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გაცვლითი კურსით გამოწვეულ საკრედიტო რისკს იმის გამო, რომ პორტფელის სესხების უმეტესი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ხშირად ხორციელდება სავალუტო კურსის გაუფასურების მონიტორინგი, რათა, საჭიროების შემთხვევაში, მოხერხდეს სამოქმედო გეგმის სწრაფი შემუშავება. სავალუტო კურსის გარკვეული დონით გაუფასურება გათვალისწინებულია დაკრედიტების სტანდარტებშიც, რაც გულისხმობს ვალუტის გაუფასურების რისკის ბუფერის გათვალისწინებას არაპეჯირებული მომხმარებლებისათვის. ამასთან, ჯგუფი მნიშვნელოვან კაპიტალს ფლობს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკისგან დასაცავად.

ვალუტის ბოლოდროინდელი მერყეობის შედეგად მიღებული გამოცდილებისა და ცოდნის გათვალისწინებით, ჯგუფს შეუძლია, რომ დროულად მოახდინოს წარმოქმნილი სავალუტო კურსის გაუფასურების რისკის მიტიგაცია. 2019 წლის იანვარში სახელმწიფო უწყებებმა განაგრძეს აქტიური მუშაობა უცხოურ ვალუტით დაფინანსებაზე ეკონომიკის დამოკიდებულების შესამცირებლად და გაზარდეს ზედა ზღვარი 200,000 ლარამდე, რომლის ფარგლებშიც სესხები უნდა გაიცეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ინიციატივის ფარგლებში, დააწესა უფრო კონსერვატიული PTI და LTV ზღვრები არაპეჯირებული საცალო მსესხებლებისთვის, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის აპრილიდან. მოსალოდნელი ცვლილებები უფრო მეტად შეეხება პეჯირებულ მსესხებლებს. არაპეჯირებული მსესხებლების PTI და LTV ზღვრები რჩება უფრო კონსერვატიული. შედეგად, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წილი საცალო სეგმენტში შემცირდა 52.8%-მდე 2019 წელს, მაშინ როდესაც წინა წელს ის შეადგენდა 56.1%-ს.

**3. ჯგუფის საქმიანობის შედეგებს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ეკონომიკურ გარემოში განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა**

საქართველოში ეკონომიკური ზრდის შენელება და მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მსესხებლების გადახდისუნარიანობაზე, რაც ზღუდავს მათ მომავალ საინვესტიციო და გაფართოების

გეგმებს. ეს მოვლენები აისახება ჯგუფის პორტფელის ხარისხსა და მომგებიანობაზე, რაც ასევე აფერხებს პორტფელის ზრდის ტემპს. უარყოფითმა მაკროეკონომიკურმა მოვლენებმა შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ჯგუფის მუშაობის შედეგები, რაც განპირობებული იქნება სხვადასხვა პარამეტრებით, როგორცაა ვალუტის გაუფასურება, საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა, უმუშევრობის დონის ზრდა, შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავლის შემცირება, ქონების ღირებულებების შემცირება, სესხების უზრუნველყოფის დონის, ან კომპანიების გადახდიუნარიანობის გაუარესება გაყიდვების შემცირების გამო. მეზობელ და ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში პოტენციურმა პოლიტიკურმა ან ეკონომიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიმდინარე ანგარიშის გაუარესებით (მაგ.: შემცირებული ექსპორტი, შემოღობვა ტურიზმის სექტორიდან, ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები).

**რისკის აღწერა**

„საქსტატ“-ზე დაყრდნობით, 2019 წელს რეალური მშპ 5.1%-ით გაიზარდა. 2019 წლის განმავლობაში 5.0%-ზე მცირედით მეტი ზრდა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს მაღალი ზრდის პოტენციალს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რუსეთის მიერ ფრენების აკრძალვისა და სხვა გამოწვევების ფონზე იყო, რომლებიც ეკონომიკაში 2019 წელს დაფიქსირდა. ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება და მიზნობრივ მაჩვენებელს ზემოთ ინფლაცია 2019 წელს დამატებით გამოწვევად დარჩა, თუმცა მაკრო პოლიტიკის რეაგირება შესაბამისი იყო. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაამკაცრა მონეტარული პოლიტიკა და რეფინანსირების განაკვეთი სექტემბრის დასაწყისში 6.5%-დან 2019 წლის ბოლოს 9.0%-მდე გაიზარდა.

გამკაცრებულმა მონეტარულმა პოლიტიკამ ლართან მიმართებაში, უფრო ძლიერ საგარეო სექტორთან ერთად, ლარის გამყარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. 2019 წლის ბოლოს USD/GEL გაცვლითი კურსი შეადგენდა 2.87-ს, რაც წინა კვარტლთან შედარებით 3.0%-იანი შემცირებაა. ასევე, ყოველთვიური ფასების დინამიკა წლის ბოლოს ინფლაციის შერბილებაზე მიუთითებს.

ფისკალურმა ხარჯებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 2019 წლის ზრდას. ბიუჯეტის დეფიციტმა ამ წელს შეადგინა მშპ-ს 2.4%. თუმცა, ფისკალური სექტორის ფაქტობრივი გავლენა ზრდაზე უფრო მაღალი იყო: 2018 წლის ბოლოს განხორციელებული ავანსების გადახდების გათვალისწინებით.

სისტემის დონეზე საკრედიტო ზრდასთან დაკავშირებით, პენეტრაცია გაიზარდა, კრედიტის შეფარდება მშპ-ს კოეფიციენტთან კვლავ ახლოს იყო მის გრძელვადიან ტენდენციასთან, განსაკუთრებით მუდმივი გაცვლითი კურსით შეფასებისას. უცხოურ ვალუტაში დაკრედიტების გარკვეული აჩქარების

მიუხედავად, ფინანსური სექტორის დე-დოლარიზაცია რჩება ცენტრალური ბანკის პრიორიტეტად, თუმცა მომავალში მოსალოდნელია შედარებით მეტი ყურადღება დაეთმოს ვალდებულებების მხარეს. მთლიანობაში, 2019 წელს მაკრო პერსპექტივიდან სისტემის მასშტაბით რისკების დაგროვება არ შეინიშნებოდა. იმავდროულად, საქართველო რჩება კვლავ მგრძობიარე გარე და გარკვეულწილად შიდა შოკების მიმართ, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს საქართველოს ეკონომიკაზე, რადგან გამოიწვევს ზრდის ტემპის შენელებას ან უკიდურესი გარემოების დროს – ეკონომიკის შემცირებას. ამ მოვლენებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ლარის გაცვლით კურსზეც.

**რისკის მიტიგაცია**

ეკონომიკური ციკლებისა და ფაქტორების მიმართ მგრძობიარეობის შესამცირებლად, ჯგუფი უზრუნველყოფს ციკლური ინდუსტრიების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს სექტორული კონცენტრაციის ლიმიტებს რისკის აპეტიტის ჩარჩოში.

ჯგუფში შექმნილია მაკროეკონომიკური მონიტორინგის პროცესი, რომელიც ეფუძნება საქართველოში და ასევე მის მეზობელ ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკური მოვლენებზე გულდასმით და მრავალჯერად დაკვირვებებს, რათა დროულად მოხდეს ეკონომიკური რისკების ადრეული გამაფრთხილებელი სიგნალების იდენტიფიცირება. ეს პროცესი საშუალებას აძლევს ჯგუფს, სწრაფად შეაფასოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები და გააანალიზოს მათი გავლენა ჯგუფის მუშაობის შედეგებზე. იდენტიფიცირებული რისკები შესაბამისად აისახება კონკრეტულ სამოქმედო გეგმებში. ეს გულისხმობს სესხის გაცემის სტანდარტების და რისკ-აპეტიტის მაჩვენებლების ან შეზღუდვების გადახედვას, რაც ასევე მოიცავს ყველაზე სენსიტიურ ინდუსტრიებში არსებულ შეზღუდვებს. ამასთან, დაკრედიტების განხილვისა და პორტფელის მონიტორინგის პროცესებში გამოყენებული სტრეს-ტესტები და სცენარული ანალიზი საშუალებას აძლევს ჯგუფს წინასწარ შეაფასოს მაკროეკონომიკური შოკების გავლენა მის ბიზნესზე. მდგრადობა ცვალებადი მაკროეკონომიკური გარემოს მიმართ გათვალისწინებულია ჯგუფის დაკრედიტების სტანდარტებში. ამგვარად მოსალოდნელია, რომ მსესხებლები გაუძლებენ გარკვეულ უარყოფით ეკონომიკურ გავლენას გონივრული ფინანსური მდგომარეობის, სესხის მომსახურების შესაძლებლობებისა და სათანადო უზრუნველყოფით.

**4. ჯგუფი დგას კაპიტალის რისკის წინაშე, რაც გულისხმობს მინიმალური მარგულირებული მოთხოვნების ვერ დაკმაყოფილებას კაპიტალის მზარდი მოთხოვნების პირობებში, რამაც**

**შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ზრდა და სტრატეგიული მიზნების მიღწევა. დამატებით, უარყოფითმა ცვლილებებმა გაცვლით კურსებში შესაძლოა გავლენა მოახდინოს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებზე.**

**რისკის აღწერა**

2017 წლის დეკემბერში ეროვნულმა ბანკმა შემოიღო კაპიტალის ადეკვატურობის ახალი ჩარჩო. განახლებული რეგულაციის თანახმად კაპიტალის მოთხოვნა მოიცავს „პილარ 1“-ის მინიმალურ მოთხოვნას, კომბინირებულ ბუფერებს (სისტემური რისკის, კონტრციკლური და კონსერვაციის ბუფერები) და „პილარ 2“-ის ბუფერებს, რომლებიც ეტაპობრივად დაინერგება ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში. 2018-თან შედარებით 2019 წლის ბოლოს, ბანკის მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა გაიზარდა 0.6%-ით ძირითადი პირველადი კაპიტალისთვის; 0.7%-ით პირველადი კაპიტალისთვის და 0.8%-ით მთლიანი საზედამხებელო კაპიტალისთვის. მინიმალური მოთხოვნების ზრდა მეტწილად გამოწვეულია სისტემური რისკის ბუფერის დაგეგმილი ზრდით 0.5%-ით.

ბანკის კაპიტალიზაცია 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 12.0%-ს, 14.6%-ს და 19.1%-ს მარეგულირებელ მინიმალურ მოთხოვნებთან: 10.4%, 12.5% და 17.5%-თან შედარებით, შესაბამისად ძირითადი პირველადი, პირველადი და მთლიანი საზედამხებელო კაპიტალისთვის. ეს კოეფიციენტები გაცილებით აღემატება მოთხოვნილ მინიმალურ მაჩვენებლებს. 2019 წელს ბანკმა დამატებით გააძლიერა და მოახდინა კაპიტალის პოზიციის ოპტიმიზაცია დამატებითი პირველადი ინსტრუმენტის გამოშვებით 125 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

COVID-19-ის პანდემიის შედეგად, ეროვნულმა ბანკმა განახორციელა გარკვეული კონტრციკლური ღონისძიებები, კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით:

- ▶ 2020 წლის მარტში დაგეგმილი პირველადი კაპიტალის მოთხოვნების ზრდის (საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკისა და წმინდა GRAPE ბუფერისთვის) დროებით გადავადება;
- ▶ ბანკებისთვის შეამსუბუქებუქა კაპიტალის მოთხოვნები, რაც გულისხმობს კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის და; პილარ 2-ის ბუფერის ნაწილის (არაპეჯირებული საკრედიტო რისკის ბუფერის 2/3) გაუქმებას;
- ▶ ასევე ბანკებს ეძლევათ შესაძლებლობა რომ საჭიროების შემთხვევაში გამოთავისუფლდეს ყველა „პილარ 2“-ის ბუფერი (დარჩენილი 1/3 არაპეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი, კონცენტრაციის რისკის ბუფერი და წმინდა GRAPE ბუფერი).

იმ დროის განმავლობაში, როცა ბანკი იყენებს კონსერვაციის და „პილარ 2“-ის ბუფერებს, შეზღუდულია კაპიტალის განაწილება.

თუ ეროვნული ბანკი შეცვლის გადაწყვეტილებას კაპიტალის ადეკვატურობის ლიმიტებთან დაკავშირებით, საბანკო სექტორს აქვს ერთი წელი, რომ შეასრულოს ცვლილებები.

COVID-19-ის პანდემიის მოსალოდნელი უარყოფითი გავლენის გარდა, ლარის რყევა კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობისთვის. ლარის 10%-ით გაუფასურება გამოიწვევს 0.80pp, 0.69pp და 0.51pp კლებას, შესაბამისად. ბანკის ძირითად პირველად, პირველად და მთლიან საზედამხებელო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებში..

**რისკის მიტიგაცია**

ჯგუფი ახორციელებს სტრეს-ტესტებსა და სენსიტიურობის ანალიზს, რათა მოახდინოს დამატებითი კაპიტალის მოხმარების რაოდენობის განსაზღვრა სხვადასხვა სცენარების შემთხვევაში. ასეთი ანალიზი მიუთითებს, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი კაპიტალი, მარეგულირებლის მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ბანკის დირექტორთა საბჭოსა და რისკების კომიტეტის ჩართულობით, აქტიურად ხორციელდება კაპიტალის პროგნოზების, ასევე სტრეს-ტესტირების და სხვადასხვა შესაძლო სცენარების შედეგების მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას გონივრული მართვა და, საჭიროების შემთხვევაში, დროული ღონისძიებების გატარება.

ეროვნულ ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობით ბანკმა დამატებით შექმნა სესხის დანაკარგების რეზერვის ბუფერი, იმისთვის, რომ მზად იყოს საქართველოს ეკონომიკაზე COVID-19-ის პანდემიის მოსალოდნელი უარყოფითი გავლენისთვის. 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით თიბისი ბანკმა ადგილობრივი სტანდარტების შესაბამისად გამოყო დამატებით რეზერვები სესხის პორტფელის დაახლოებით 3.1%-ის ოდენობით.

**5. ჯგუფს აქვს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკი.**

ბანკის საქმიანობა აქტიურად რეგულირდება და, შესაბამისად, ექვემდებარება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკებს. საქართველოს ეროვნულ ბანკს, შეუძლია პრუდენციული მოთხოვნები გაუზარდოს როგორც მთელ სექტორს, ასევე კონკრეტულ ინსტიტუტებს ამ სექტორში. აქედან გამომდინარე, ჯგუფის მომგებიანობას და მუშაობის შედეგებს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას გაზრდილმა მოთხოვნებმა, მათ შორის საზედამხებელო კაპიტალის შედარებით მაღალმა მოთხოვნამ.

**რისკის აღწერა**

ეროვნული ბანკი სავალდებულო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან ერთად ადგენს დაკრედიტების ლიმიტებსა და სხვა ეკონომიკურ

კოეფიციენტებს (მათ შორის, დაკრედიტების, ლიკვიდურობისა და საინვესტიციო კოეფიციენტებს).

2019 წლის დასაწყისში „სებ“-მა შემოიღო პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სრული ვერსია, რომელიც ზღუდავს სამომხმარებლო სესხების ზრდას. რეგულაცია განსაზღვრავდა შემოსავლის ვერიფიკაციის მეთოდოლოგიას და შემოიღო ზღვრები სესხის მომსახურების (PTI) კოეფიციენტებზე, სესხის უზრუნველყოფის (LTV) კოეფიციენტებზე და საცალო სესხების მაქსიმალური დაფარვის ვადაზე; გამკაცრებული ზღვრები გამოიყენება უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე.

„სებ“-ი ასევე პასუხისმგებელია კონკრეტულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით გამოძიების ჩატარებაზე, საქართველოს ფინანსურ კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულთან დაკავშირებით ბანკი ექვემდებარებოდა „სებ“-ის მიერ შემოწმებას გარკვეულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით, რომლებიც განხორციელდა 2007 და 2008 წლებში. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ეს ტრანზაქციები ბანკსა და გარკვეულ კომპანიებს შორის ტექნიკურად არ შეესაბამებოდა ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობას. 2019 წლის თებერვალში ბანკის მშობელმა კომპანიამ, ბანკმა და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რითაც დაადასტურეს ამ გამოძიების დასრულება და ის, რომ ბანკი სრულად აკმაყოფილებს „სებ“-ის მიერ დადგენილ ეკონომიკურ ნორმატიულ მოთხოვნებსა და ლიმიტებს.

პარალელურად საქართველოს პროკურატურამ დაიწყო გამოძიება იმავე საკითხზე და ბრაილი წაუყენა ბანკის დამფუძნებლებს. დამფუძნებლების სასამართლო საქმე მიმდინარეობს. თუმცა მათ დატოვეს ყველა პოზიცია ჯგუფში და ბანკში.

საქართველოს საბანკო რეგულაციების თანახმად, ბანკი ვალდებულია, აკმაყოფილებდეს მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებსა და სავალდებულო ფინანსურ კოეფიციენტებს და რეგულარულად წარმოადგენდეს პერიოდულ ანგარიშებს. ბანკი ასევე რეგულირდება საგადასახადო კოდექსით ან საქართველოში მოქმედი სხვა შესაბამისი კანონებით.

ჯგუფი იღებს საოპერაციო ზომებს სრული შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის ყველა შესაბამის კანონმდებლობასთან და რეგულაციასთან. ჯგუფს ასევე აღებული აქვს ვალდებულება, დააკმაყოფილოს ფინანსური კოეფიციენტები და რეგულარულად წარადგინოს პერიოდული რეპორტები. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ “ჯგუფის აუდიტებულ ფინანსური ანგარიშგებათა” 225 გვერდი.

### რისკის მიტიგაცია

საკანონმდებლო მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ბანკს შექმნილი აქვს შესაბამისი მართვის სისტემები და პროცესები, რომლებიც გათვალისწინებულია ჯგუფის ოპერაციების ყველა დონეზე. შესაბამისობის რისკის მართვის განყოფილება პასუხისმგებელია საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკის მართვაზე და ანგარიშვალდებულია უშუალოდ აღმასრულებელი დირექტორის წინაშე. ჯგუფის “რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის კომიტეტი” პასუხისმგებელია რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე. საბანკო რეგულაციებისა და საქართველოს საგადასახადო სისტემის თვალსაზრისით, ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობს მარეგულირებელ ორგანოსთან, რათა უზრუნველყოს ახალი პროცედურებისა და მოთხოვნების დეტალური განხილვა მათ განხორციელებამდე. ფართო დიალოგი გაიმართა მარეგულირებელთან ასევე პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ახალ რეგულაციასთან დაკავშირებით. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ახალი რეგულაციის პარალელურად, მთავრობამ წამოაყენა ინიციატივები, რათა უზრუნველყოს უწყვეტი დაფინანსების ფართო ხელმისაწვდომობა. აღნიშნული მოიცავს საგადასახადო კოდექსის გამარტივებას შემოსავლების რეგისტრაციის სტიმულირების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ჯგუფის კონტროლის ფარგლებს სცდება, მნიშვნელოვან მარეგულირებელ ცვლილებებს ხშირად წინ უსწრებს საკონსულტაციო პერიოდი, რაც საშუალებას აძლევს ყველა ფინანსურ ინსტიტუტს, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და, შესაბამისად, თავისი ბიზნესპრაქტიკა მოარგოს ცვლილებებს.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2019 წლის თებერვალში ჩატარებულ გამოძიებას, კომპანიამ, ბანკმა და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელიც ადასტურებს გამოძიების გადაწყვეტილებას. საპასუხოდ დამფუძნებელმა აქციონერებმა დატოვეს თანამდებობები ჯგუფში და ბანკში. ბანკმა გარეშე მრჩევლების დახმარებით განიხილა ბანკის შიდა კონტროლის სისტემები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული განხილვებით არ დადგინდა რაიმე არსებითი ხარვეზები, ბანკის არსებულ შიდა კონტროლში და შესაბამისობის სისტემებში, ბანკი ითვალისწინებს მათ მიერ მოცემულ კონკრეტულ ტექნიკურ რეკომენდაციებს ბანკის მიმდინარე პროცესებში და პროცედურებში.

### 6. ჯგუფს აქვს კონცენტრაციის რისკი

როგორც წესი, განვითარებად ბაზარზე მოქმედი ბანკების წინაშე თავს იჩენს კონცენტრაციის რისკები როგორც ცალკეულ მომხმარებლებზე, ისე სექტორებზე. ცალკეულ მსესხებლებს აქვთ მაღალი ინდივიდუალური დავალიანებები ჯგუფის



მიმართ, რომელთა პოტენციური დეფოლტი გულისხმობს გაზრდილ საკრედიტო დანაკარგებსა და სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მაღალ ხარჯს. ჯგუფის პორტფელი არის კარგად დივერსიფიცირებული სექტორების მიხედვით, რაც განაპირობებს სექტორული კონცენტრაციის რისკის ზომიერ ნიშნულს. თუმცა, თუ გაიზრდება ჯამური დავალიანება ძირითად რისკის მატარებლებზე, შესაბამისად გაიზრდება რისკებიც.

**რისკის აღწერა**

ჯგუფის საკრედიტო პორტფელი კარგად დივერსიფიცირებულია და მაქსიმალური დავალიანება ერთ სექტორზე (ენერჯეტიკა და კომუნალური გადახდები), შეადგენს საკრედიტო პორტფელის 8.6%-ს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოცემული მაჩვენებელი გონივრულია და გვიჩვენებს საკრედიტო პორტფელის ადეკვატურ დივერსიფიკაციას. 2019 წლის ბოლოს 20 უმსხვილესი მსესხებლის დავალიანება შეადგენს მთლიანი სასესხო პორტფელის 12.3%-ს, რაც შესაბამისობაშია ჯგუფის მიზნებთან კონცენტრაციის რისკის შემსუბუქებასთან დაკავშირებით.

**რისკის მითიგაცია**

ჯგუფი განუწყვეტლივ ამოწმებს კონცენტრაციის რისკს, როგორც ცალკეული მსესხებლების, ასევე სექტორებისა და ძირითადი რისკის მატარებლების მიმართ და აწესებს ლიმიტებს რისკის მითიგაციის მიზნით. რისკ-აპეტიტის ჩარჩოს ფარგლებში, ჯგუფი აწესებს ლიმიტებს, როგორც ინდივიდუალური, ისე სექტორული კონცენტრაციებისთვის. საქართველოში ან მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებისას, ჯგუფის მიერ თავიდან ფასდება რისკ-აპეტიტის კრიტერიუმები წარმოქმნილი კონცენტრაციის რისკის შესამცირებლად. ლიმიტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ეფექტური მონიტორინგის საშუალებები. გარდა ამისა, ჯგუფში გამოყოფილია რესტრუქტურისაციის განყოფილებები გადახდისუნარო მსესხებლების სამართავად. საჭიროების მიხედვით, კლიენტები გადაეცემა რესტრუქტურისაციის

განყოფილებებს უფრო ეფექტური მართვისა და საკრედიტო ზარალის შემცირებისთვის. საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ახალი ჩარჩოს მიხედვით, „პილარ-2“-ის ფარგლებში წარმოდგენილია კონცენტრაციის ბუფერი, რაც ბანკს ეხმარება იმის უზრუნველყოფაში, რომ შეინარჩუნოს ადეკვატური კაპიტალის დონე კონცენტრაციის რისკის მითიგაციისთვის.

**7. ლიკვიდურობის რისკი დამახასიათებელია ჯგუფის ოპერაციებისთვის.**

მიუხედავად იმისა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს აზრით, ჯგუფის ვალდებულებების დროულად დასაფარავად ამჟამად ხელმისაწვდომია საკმარისი

ფინანსური რესურსი, ლიკვიდურობის რისკი საბანკო ოპერაციებისთვის თანდაყოლილია და შეიძლება მრავალმა ფაქტორმა გაზარდოს კიდევ. აღნიშნული ფაქტორები მოიცავს დაფინანსების კონკრეტულ წყაროზე ზედმეტად დაყრდნობას ან მის ხელმიუწვდომლობას, ასევე ცვლილებებს საკრედიტო რეიტინგებში ან ბაზრის მასშტაბით ისეთ ფენომენს, როგორცაა გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელიც 2007 წელს დაიწყო. განვითარებად ბაზრებზე კომპანიებისათვის კრედიტის ხელმისაწვდომობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტორის ნდობის დონე, ამიტომ ფაქტორებს, რომლებიც მასზე ზემოქმედებენ (მაგ.: საკრედიტო რეიტინგის შემცირება, ეროვნული ბანკის ან სახელმწიფოს ჩარევები, ან ვალის რესტრუქტურისაცია შესაბამის სექტორში), შეუძლიათ შეცვალონ აღნიშნულ ბაზარზე მოქმედი კომპანიების დაფინანსების ფასი ან ხელმისაწვდომობა

**რისკის აღწერა**

2019 წლის პირველ კვარტალში ბანკს ჰქონდა შედარებით მაღალი სადეპოზიტო ნაკადების რყევა. შემცირება ძირითადად განპირობებული იყო საცალო დეპოზიტების შემცირებით (ძირითადად იანვარში და თებერვალში), „სებ“-ის გამოძიების დასრულებამდე, თუმცა ასევე აისახა სეზონურობის ეფექტები.

2019 წლის განმავლობაში ჯგუფი შესაბამისობაში იყო ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ლიკვიდობის მინიმალურ მოთხოვნებთან. 2017 წელს ეროვნულმა ბანკმა შემოიღო ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, რომელშიც დეპოზიტის გადინების კოეფიციენტების შესაფასებლად გამოიყენეს „ბაზელ-3“-ის სახელმძღვანელო მითითებებით განსაზღვრული მოთხოვნების დამატებითი კონსერვატიული მიდგომა კლიენტთა ჯგუფების კონცენტრაციის გათვალისწინებით.

2019 წლის სექტემბერში, „სებ“-მა ასევე შემოიღო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა სესხების ფარდობა დეპოზიტებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსების ჯამთან იყო 104.3%, ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი იყო 110.1%, ხოლო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი იყო 126.7%. ყველა მათგანი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს ან შესაბამის სახელმძღვანელო მითითებებს საკმაოდ აღემატება.

COVID-19-ის პანდემიის შედეგად ეროვნული ბანკი საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს კონტრციკლურ ღონისძიებებს ლიკვიდობის მოთხოვნებთან დაკავშირებით:

- ▶ ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) ლიმიტების შემცირება;
- ▶ სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნების შემცირება უცხოურ ვალუტაში;

- ▶ კრიტერიუმების განახლება ფასიანი ქაღალდების ან რეპოს გარიგებებისთვის, ლარის ლიკვიდობის მხარდასაჭერად.

### რისკის მიტიგაცია

მოცემული რისკის მიტიგაციის მიზნით, ჯგუფს უჭირავს მყარი ლიკვიდობის პოზიცია და თანხის გატანის სცენარებს აანალიზებს როგორც ჩვეულებრივი, ისე სტრესული გარემოებებისათვის იმაში დასარწმუნებლად, რომ მას აქვს საკმარისი ლიკვიდური აქტივები და ფულადი ნაკადების შემოდინება. ჯგუფი ინარჩუნებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ სტრუქტურას შესაბამისი ლიკვიდობის რისკის სამართავად. სამეთვალყურეო საბჭოს ხედვით, ლიკვიდობა საკმარისია იმისათვის, რომ გაუძლოს მომხმარებლების მიერ დეპოზიტების გატანას, თუმცა დეპოზიტების არსებითი თანხების მოულოდნელმა და სწრაფად გატანამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და/ან პერსპექტივაზე. ჯგუფს ლიკვიდობის მართვის ჩარჩოს ფარგლებში აქვს ალტერნატიული ლიკვიდობის გეგმა, რომელშიც მოცემულია რისკის მაჩვენებლები სხვადასხვა სტრესული სცენარისათვის და შესაბამისი სამოქმედო გეგმები. "აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი" (ALCO) ახორციელებს ლიკვიდობის რისკის პოზიციისა და შიდა ლიმიტებთან შესაბამისობის მჭიდრო მონიტორინგს.

### 8. ჯგუფის წმინდა საპროცენტო შემოსავლის ან წმინდა საპროცენტო მარჟის ნებისმიერმა შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს მომგებიანობის შემცირება

წმინდა საპროცენტო შემოსავალი შეადგენს ჯგუფის საერთო შემოსავლების დიდ ნაწილს. შესაბამისად, წმინდა საპროცენტო მარჟის ნებისმიერი მერყეობა გავლენას ახდენს ოპერაციების შედეგებზე. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტებთან დაკავშირებულმა ახალმა რეგულაციამ, ასევე მაღალმა კონკურენციამ შეიძლება გამოიწვიოს საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რაც რისკის ქვეშ აყენებს ჯგუფის მომგებიანობას. ამავდროულად, დაფინანსების დანახარჯები მეტწილად დამოუკიდებელია ჯგუფისგან და ემყარება ლოკალურ და საერთაშორისო ბაზრებს

### რისკის აღწერა

ჯგუფის მთლიანი მოგების უმეტესი ნაწილი მიიღება წმინდა საპროცენტო შემოსავლიდან. აქედან გამომდინარე, წმინდა საპროცენტო მარჟის მერყეობა გავლენას ახდენს ჯგუფის შედეგებზე. 2019 წელს წმინდა საპროცენტო მარჟა შემცირდა წინა წელთან შედარებით 1.3 pp-ით 5.5%-მდე, შემცირება გამომწვეული იყო პასუხისმგებლიანი საკრედიტო რეგულაციის შემოღებით 2019 წლის 1 იანვრიდან, რაც ზღუდავს ბანკის შესაძლებლობას გასცეს მაღალ-შემოსავლიანი სესხი საცალო მომხმარებლებზე.

ჯგუფი მართავს მასზე LIBOR-ისა და ადგილობრივი რეფინანსირების განაკვეთების პირდაპირ მოქმედებას შესაბამისი ლიმიტებისა და ფასდადების საშუალებით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5,788 მილიონი ლარის აქტივები (32%) და 3,813 მილიონი ლარის ვალდებულებები (24%) იყო მცურავი, მიზმული LIBOR/FED/ECB (დეპოზიტის) განაკვეთებთან და ასევე შიდა შეფასების გათვალისწინებით, ხოლო 5,320 მილიონი ლარის აქტივები (29%) და 3,360 მილიონი ლარის ვალდებულებები (21%) იყო მცურავი და მიზმული „სებ“-ის რეფინანსირების განაკვეთებთან. მცურავ ინდექსზე მიზმული ვალდებულებების გადაფასების პერიოდი ერთწლიან პერსპექტივაში აღემატება მცურავ ინდექსზე მიზმული აქტივების შესაბამის გადაფასების პერიოდს.

### რისკის მიტიგაცია

წმინდა საკომისიო შემოსავლის და სხვა საოპერაციო შემოსავლის ზრდა იცავს ჯგუფს მარჟისა და მომგებიანობის შემცირებისგან. სესხების შესაძლო დანაკარგის რეზერვის შემცირება, რომელიც განპირობებული იყო გაუმჯობესებული მაჩვენებლებით ყველა სეგმენტში, ასევე ხელს უწყობს ბანკის მომგებიანობას.

ვადების მიხედვით აქტივებისა და ვალდებულებების შეუთავსებლობის შესამცირებლად იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება სესხების გადაფასების პერიოდის დაგრძელება მცურავი ინდექსის ნაცვლად ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის პირობებით, საპროცენტო განაკვეთის რისკი აისახება ფასნაშედეგებში, რაც საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისგან დაცვის საშუალებაა.

### 9. ბოლო წლებში კიბერშეტევებით გამოწვეული საფრთხე გაიზარდა და კიდევ უფრო იმატებს. უფრო დახვეწილი, პოტენციური კიბერშეტევების რისკმა, შეიძლება უსაფრთხოება მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე დააყენოს. მსგავსი რისკები სწრაფად იცვლება და მოითხოვს განუწყვეტელ ყურადღებასა და მონიტორინგს.

### რისკის აღწერა

ბოლო წლებში ქართულ კომერციულ ბანკებზე რაიმე სერიოზული კიბერშეტევა არ განხორციელებულა. მიუხედავად ამისა, ჯგუფის მზარდი დამოკიდებულება საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებზე ზრდის მის მიმართ პოტენციური კიბერშეტევების რისკს.

### რისკის მიტიგაცია

ჯგუფი აქტიურად შეისწავლის და თავიდან იცილებს კიბერშეტევების რისკს. თანამშრომლები აკვირდებიან მოვლენებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე, რათა ამაღლონ ცნობიერება კიბერშეტევების ახალი ფორმების მიმართ. შეღწევის პრევენცია და განაწილებული უარყოფის სერვისი (DDoS) დამცავი სისტემებია, რომლებიც შეიქმნა ჯგუფის დასაცავად

გარე კიბერსაფრთხეებისაგან. არსებული უსაფრთხოების ინციდენტისა და მოვლენების მონიტორინგის სისტემები, შესაბამის პროცესებსა და პროცედურებთან ერთად, უზრუნველყოფენ კიბერინციდენტების ეფექტურად მოგვარებას. ახალ პოტენციურ საფრთხეებზე რეაგირების მიზნით მუდმივად ახლდება და უმჯობესდება პროცესები. არსებული მონაცემების აღდგენის პოლიტიკა უზრუნველყოფს ბიზნესის უწყვეტობას სერიოზული კიბერშეტევების შემთხვევაში. გარდა ამისა, "საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის კომიტეტი" აქტიურად არის ჩართული საინფორმაციო უსაფრთხოებისა და ბიზნესის უწყვეტობის მართვის პროცესების გაუმჯობესებაში, საინფორმაციო უსაფრთხოების რისკების მინიმუმის მიზნით.

COVID 19-ის პანდემიის შედეგად, ბანკმა გაააქტიურა უსაფრთხო დისტანციურად მუშაობის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სახლიდან მუშაობისას გარემო დაცულია კიბერ-საფრთხისგან და უსაფრთხოების გუნდი ეფექტურად უწევს ზედამხედველობას სატელეკომუნიკაციო არხებს.

**10. ჯგუფის საქმიანობის თანდაყოლილი საოპერაციო რისკის ნაწილია გარე და შიდა თაღლითობის რისკები. საბანკო სექტორის დიჯიტალიზაციასთან ერთად ოპერაციების მზარდი სიჩქარისა და მრავალფეროვნების გამო იზრდება თაღლითობის რისკები. პროაქტიული მართვისა და მონიტორინგის გარეშე დარჩენილმა თაღლითობის შემთხვევებმა შეიძლება არსებითი ზეგავლენა მოახდინონ ჯგუფის მომგებიანობასა და რეპუტაციაზე.**

**რისკის აღწერა**

გარე თაღლითობა ჯგუფის საინანაღმდეგოდ შეიძლება მომდინარეობდეს მესამე მხარის ქმედებებისგან. ყველაზე ხშირად აღნიშნული შემთხვევები დაკავშირებულია ბარათებსა და ნაღდ ფულთან. შიდა თაღლითობა მომდინარეობს ჯგუფის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ქმედებებისგან და მსგავსი შემთხვევები შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ხდება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჯგუფში დაფიქსირდა თაღლითობის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, რომელთაც არაარსებითი გავლენა ქონდა ჯგუფის მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. მიუხედავად ამისა, თაღლითობი იყენებენ ახალ ტექნიკას და მიდგომებს, ფულის უკანონოდ მისათვისებლად. აქედან გამომდინარე, თუ არ მოხდა ამ საკითხის სათანადოდ მონიტორინგი და მართვა, პოტენციური ზემოქმედება შეიძლება არსებითი იყოს.

**რისკის მიტიგაცია**

ჯგუფი ახორციელებს აქტიურ მონიტორინგს, აღმოაჩენს და თავიდან იცილებს თაღლითობის რისკებს. შექმნილია მუდმივი მონიტორინგის პროცესები უჩვეულო ქმედებების დროულად აღმოსაჩენად. რისკისა და კონტროლის

თვითშეფასების პროცესში ყურადღება გამახვილებულია ძირითადი პროცესების ნარჩენ რისკებზე, რომელთა გამოსწორება შესაძლებელია. თაღლითობის რისკების მონიტორინგსა და მიტიგაციაზე ჩვენი მუდმივი ძალისხმევის შედეგად და შიდა პროცესების დიდი სიჩქარის მიუხედავად, ჯგუფი უზრუნველყოფს თაღლითური საქმიანობის დროულად აღმოჩენასა და კონტროლს.

**11. ჯგუფს აქვს რეპუტაციის რისკი**

საქართველოში მედია გაშუქება ბანკის დამფუძნებლების შესახებ წარმოადგენს ჯგუფის რეპუტაციის რისკს (მეტი ინფორმაცია მოცემულია 91 გვერდზე).

**რისკის აღწერა**

არსებობს ძირითადი რისკები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას თიბისი ბანკის უარყოფითი გაშუქებით მედიაში და საზოგადოების მიერ როგორც ბანკის, ისე მთლიანი ქართული საბანკო სექტორის აღქმით. კერძოდ, მედია გაშუქება თიბისი ბანკთან და მის დამფუძნებლებთან დაკავშირებით მოიცავს უარყოფით გავლენას ბანკის ოპერაციებზე. რეპუტაციის რისკის მართვის ვერ შესრულებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბანკზე და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე, მათ შორის კლიენტებზე, თანამშრომლებზე და აქციონერებზე

**რისკის მიტიგაცია**

რეპუტაციის რისკის შერბილების მიზნით, ბანკი მუდმივად მუშაობს იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ძლიერი ბრენდის ცნობადობა თავის დაინტერესებულ მხარეებს შორის. ბანკი აქტიურად აკონტროლებს ბრენდის ღირებულებას დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღებით. ჯგუფი ცდილობს დაადგინოს პროაქტიულად დააიდენტიფიციროს რეპუტაციის ან ბრენდის პოტენციური ზიანის შესახებ, მისი შერბილების და აგრეთვე, სამეთვალყურეო საბჭოსთვის შეტყობინების მიზნით. შიდა და გარე მარკეტინგის და კომუნიკაციის ჯგუფი პასუხისმგებელია რისკების მონიტორინგზე, სცენარების შემუშავებაზე და სამოქმედო გეგმების შექმნაზე.

**12. ჯგუფს აქვს რისკი, რომ სტრატეგიული ინიციატივები არ გარდაიქმნება გრძელვადიან მდგრად მატერიალურ ღირებულებაში დაინტერესებული მხარეებისთვის.**

ჯგუფის ბიზნეს სტრატეგია შესაძლოა არ იქნას ადაპტირებული მუდმივად ცვალებად სამომხმარებლო საჭიროებების გარემოზე.

**რისკის აღწერილობა**

ჯგუფს შესაძლოა ჰქონდეს ბიზნეს სტრატეგიის განვითარების რისკი, რომელიც ვერ შექმნის გრძელვადიან ღირებულებებს ცვალებად სამომხმარებლო საჭიროებების გარემოში,

კონკურენტულ გარემოში და მარეგულირებელ შეზღუდვების პირობებში. გარდა ამისა, ჯგუფს შესაძლოა ჰქონდეს რისკი იმისა, რომ ვერ შეძლოს სტრატეგიული პრიორიტეტების ეფექტურად განხორციელება და გრძელვადიანი ღირებულების შექმნა.

**რისკის მიტიგაცია**

ჯგუფი ატარებს წლიურ სტრატეგიულ სხდომებს, რომელშიც მონაწილეობენ ბანკის უმაღლესი და შუა რგოლის ხელმძღვანელები, სადაც ანალიზებენ ბაზრის ძირითად ტენდენციებს და სხვადასხვა პრაქტიკებს რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე, რათა დარწმუნდნენ რომ სწორი მიმართულებით მიდიან და შეაფასონ საქმიანობის ეფექტურობა სხვადასხვა პერსპექტივით. გარდა ამისა, ბანკი უწყვეტად მუშაობს მსოფლიოს წამყვან კონსულტანტებთან მისი სტრატეგიის გასაუმჯობესებლად. ასევე ჯგუფი ატარებს კვარტალურ ანალიზს და აკონტროლებს სტრატეგიის განხორციელების შედეგების მართვას გამოყენებულ საზომებს და მნიშვნელოვანი გადახრის შემთხვევაში უზრუნველყოფს გამოსწორების და მიტიგაციის ზომების შემუშავებას.

**13. ჯგუფს აქვს რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვასთან და მათ შენარჩუნებასთან.**

ძლიერი თანამშრომლების ბაზა არსებითად მნიშვნელოვანია ჯგუფის წარმატებისთვის.

**რისკის აღწერა**

ჯგუფს აქვს ძირითადი პერსონალის დაკარგვის ან კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვის, განვითარების და შენარჩუნების რისკი. კერძოდ სტრატეგიული გადაწყვეტილება ციფრულ კომპანიად გარდაქმნის შესახებ ითვალისწინებს გაზრდილ მოთხოვნას მაღალი კვალიფიციური IT პროფესიონალებზე ჯგუფის მასშტაბით. გარდა ამისა სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოზე მორგების მიზნით, ჯგუფმა უნდა შეუწყოს ხელი "Agile" კულტურის დანერგვას და აღჭურვოს თანამშრომლები სათანადო უნარებით.

**რისკის მიტიგაცია**

ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადამიანური კაპიტალის მართვის სტრატეგიებს და პოლიტიკას, რომელიც მოიცავს ნიჭიერი პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნების და განვითარების მიდგომებს და სთავაზობს კონკურენტულ ანაზღაურების პაკეტს თავის თანამშრომლებს. ჯგუფმა ასევე შეიმუშავა და განახორციელა "Agile" ტრანსფორმაცია, რომლის მიზანია თანამშრომელთა ჩართულობის გაზრდა და კმაყოფილება. გარდა ამისა ბანკმა შექმნა IT აკადემია ახალგაზრდა პროფესიონალების მოზიდვისა და გადამზადებისთვის. საუკეთესო სტუდენტები დასაქმდებიან ბანკში. გარდა ამისა, ბანკს აქვს შიდა აკადემია, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა კურსებს თანამშრომლებისთვის სხვადასხვა სფეროში.

**მოსალოდნელი რისკები**

მოსალოდნელი რისკები არის რისკები, რომლებსაც აქვთ უცნობი კომპონენტები და შესაძლოა გავლენა მოახდინონ ჯგუფის საქმიანობის ეფექტურობაზე გრძელვადიან პერსპექტივაში.

ჩვენ ვთვლით, რომ აღნიშნული რისკებს აქვთ მნიშვნელოვანი ზრდის პოტენციალი და შესაძლოა ისეთივე გავლენა მოახდინონ ჯგუფზე, როგორც ძირითადმა რისკებმა.

**1. ჯგუფს აქვს რისკი, რომელიც წარმოიშობა კლიმატის ცვლილებით**

**რისკის აღწერა**

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები ხასიათდება როგორც ფიზიკური ზემოქმედებით, რომელიც წარმოიშობა უფრო ხშირი და რთული მეტეოროლოგიური ცვლილებებით, ასევე ტრანზიტული ზემოქმედებით, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს პოლიტიკურ, იურიდიულ და ტექნოლოგიურ ცვლილებებს ოჯახების და ბიზნესების ეკოლოგიური ზემოქმედების შესამცირებლად. ჯგუფისთვის აღნიშნული რისკები შესაძლოა განხორციელდეს აქტივების ღირებულების გაუფასურებით და ჩვენი მომხმარებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ჯგუფის მომგებიანობის შემცირება. ჯგუფს ასევე შეიძლება ჰქონდეს რეპუტაციის რისკი ისეთი მომხმარებლების დაკრედიტების ან მათთან სხვა ბიზნეს ოპერაციების შედეგად, რომლებსაც წვლილი მიუძღვით კლიმატის ცვლილებაში.

**რისკის მიტიგაცია**

ჯგუფის მიზანია იმოქმედოს პასუხისმგებლიანად და მართოს ეკოლოგიური და სოციალური რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მის ოპერაციებთან, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად. ეს მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს, შევამციროთ ჩვენი ეკოლოგიური ზემოქმედება რესურსების ეფექტურად გამოყენებით და გარემოსდაცვითი ზომების ხელშეწყობით კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნით.

ჯგუფს აქვს გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც არეგულირებს გარემოსდაცვითი მართვის სისტემას ("EMS") და უზრუნველყოფს ჯგუფის ოპერაციების შესაბამისობას მოქმედ გარემოსდაცვით, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების და შრომის დაცვის რეგულაციებთან და პრაქტიკებთან. ჩვენ ვიღებთ ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენმა მომხმარებლებმაც შეასრულონ ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობები. ეკოლოგიური და სოციალური რისკების მართვა შეტანილია ჯგუფის საკრედიტო პროცესში "EMS" გამოყენების გზით. ჯგუფმა შეიმუშავა რისკის მართვის პროცედურა ეკოლოგიური და სოციალური რისკების დადგენის, მართვის და მონიტორინგის მიზნით. აღნიშნული

პროცედურები სრულად არის ინტეგრირებული ჯგუფის საკრედიტო რისკის მართვის პროცესში. ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკა სრულად შეესაბამება საქართველოს გარემოსდაცვის კანონმდებლობას და საერთაშორისო წესებს.

**2. ჯგუფის საქმიანობაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ლონდონის ბანკთაშორის განაკვეთის ("LIBOR")-ის შეწყვეტამ და შემდგომ ტრანსფორმაციის პროცესმა**

**რისკის აღწერა**

ჯგუფის საბალანსო უწყისზე არსებობს სხვადასხვა ტიპის ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან თითოეულს აქვს საპროცენტო განაკვეთი, მიხმული ლონდონის ბანკთაშორის შეთავაზებულ განაკვეთთან ("LIBOR"). "LIBOR" ასევე გამოიყენება ჯგუფის მიერ რისკის გაზომვაში, აღრიცხვაში და შეფასების პროცესებში. 2017 წელს "FCA"-მ გამოაცხადა, რომ შეუთანხმდა "LIBOR" ჯგუფის ბანკებს "LIBOR"-ის შენარჩუნებაზე 2021 წლამდე და მოუწოდა ფინანსური სექტორის მონაწილეებს დაეწყოთ მუშაობა სხვა საბაზო განაკვეთებზე გადასვლის მიმართულებით. "LIBOR"-ის შეწყვეტა და გადასვლის პროცესი ქმნის ჯგუფისთვის აღსრულების, წარმოების, ფინანსურ და საოპერაციო რისკებს და შესაძლოა გამოიწვიოს შემოსავლების არასტაბილურობა, მომხმარებლის პრეტენზიები და სამართლებრივი პროცესები ან სხვა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის საქმიანობაზე და ოპერაციებზე.

**რისკის მიტიგაცია**

ჯგუფი ადგენს სხვა საბაზო განაკვეთებზე გადასვლის შედეგებს თავის რისკის პროფილზე აღსრულების, წარმოების, ფინანსური და საოპერაციო რისკების ანალიზით და ასეთი რისკების აღმოფხვრის საშუალებების დადგენით. თიბისი ბანკი აქტიურად მუშაობს ბაზრის მონაწილეებთან, როგორცაა „სებ“-ი, საქართველოს საბანკო ასოციაცია და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ("IFI") კრედიტორები, სხვა საბაზო განაკვეთებზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნით. ჯგუფი ზომების მიღებას იწყებს ინფორმირებულობის ამაღლებით გადასვლის შესახებ, როგორც ჯგუფის შიგნით, ასევე მის გარეთ, იმისათვის, რომ პერსონალს ჰქონდეს საჭირო ცოდნა და შესაძლებლობა ტრანსფორმაციის ხელშეწყობისთვის და ჯგუფის ყველა მომხმარებელს მოეპყრონ სამართლიანად. ჩვენ აქტიურად ვაკონტროლებთ საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ გადასვლასთან დაკავშირებულ მოვლენებს ჯგუფის გადასვლის პროცესის დარეგულირების და მისი საბაზრო პრაქტიკასთან შესაბამისობის მიზნით.

**3. კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება გამოიწვევს გაუთვალისწინებელ ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს**

**რისკის აღწერა**

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება, რომელიც მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემიად გამოაცხადა, დაიწყო ჩინეთში და სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში 2020 წლის დასაწყისში. COVID-19-ის პანდემიამ უკვე გამოიწვია მნიშვნელოვანი ეკონომიკური შეფერხებები, შეაჩერა გადაადგილება ქვეყნებს შორის და გამოიწვია ქვეყნების იზოლაცია. COVID-19-ის პანდემიამ გამოიწვია ეკონომიკის ზრდის შემცირება საქართველოში, უმუშევრობის გაზრდა, ლარის გაუფასურება, დაზარალა კერძო სექტორის გადახდისუნარიანობა და გაზარდა ჯგუფის ფინანსური და არაფინანსური რისკები.

რადგანაც ტურიზმს საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი წილი ეკავა, შედეგი საგრძობი იქნება. ზრდაზე უარყოფითად იმოქმედებს ასევე შემცირებული ექსპორტი, ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოღინება, ისევე, როგორც საყოველთაო კარანტინი ვირუსის გავრცელების აღკვეთისთვის. ამავდროულად, იმპორტიც შესაბამისად შეიცვლება. მიუხედავად ამისა, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი გაიზრდება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ძალიან აქტიურად მოქმედებს საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისგან მხარდაჭერის მოსაპოვებლად. 15 მარტს ხელისუფლების ოფიციალური განცხადების თანახმად, დაახლოებით 1.7 მილიარდი აშშ დოლარი, ან 2019 წლის მშპ-ის 10% იქნება მოხილვებული ძირითადად სახელმწიფოს ფინანსური საჭიროებებისთვის, ხოლო ნაწილი კი ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების შესავსებად. ამასთან ერთად, დაახლოებით 1.5 მილიარდი აშშ დოლარი იქნება გამოყენებული კერძო სექტორის დასახმარებლად. მოსალოდნელია, რომ ეს შემოღინებები COVID-19-ის კრიზისის უარყოფით შედეგებს მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ 14<sup>1</sup> აპრილს გამოქვეყნებული გათვლების თანახმად, საქართველოს ეკონომიკის შემცირება 2020 წელს მოსალოდნელია 4.0%-ით, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია ზრდის ტემპის აღდგენა და ის მიაღწევს 3.0%-ს.

1 მსოფლიო სავალუტო ფონდი (IMF), "World Economic Outlook", აპრილი 2020

## ძირითადი რისკები და გაურკვევლობები გავრცელება

საერთაშორისო მხარდაჭერასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ საქართველოს ეკონომიკას, უძრავი ქონების ბაზრის ჩათვლით, არ აღენიშნებოდა გადახურების ნიშნები სტრესის წინა პერიოდში. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ COVID-19 არის უპირველესად დროებითი და არა მუდმივი შოკი, ინდუსტრიების უმეტესობამ უნდა შეძლოს აღდგენა შედარებით მოკლე ვადაში, ტურიზმის ინდუსტრიის გარდა, რომლის აღდგენაც დანარჩენ ინდუსტრიებს გარკვეული დროით სავარაუდოდ ჩამორჩება.

### რისკის მიტიგაცია

ჯგუფი აქტიურად აანალიზებს COVID-19-ის პანდემიის ეკონომიკური შედეგების სხვადასხვა სცენარებს. ჩვენ შემოვიღეთ სამთვლიანი საშეღავათო პერიოდი ძირი და პროცენტის თანხის გადახდაზე ყველა საცალო, მიკრო და მცირე და საშუალო მეწარმეების (MSME) მომხმარებლისთვის და რამდენიმე განსაკუთრებით დაზარალებული კორპორატიული მსესხებლისთვის.

ჩვენ გვაქვს ახლო კომუნიკაცია ჩვენს ბიზნეს მომხმარებლებთან, ვმსჯელობთ მათ სტრატეგიებზე და ვუზიარებთ მათ ჩვენს ხედვასა და პოზიციას ეკონომიკასა და მის ძირითად სექტორებზე.

ამასთანავე, სტრეს-ტესტების ჩარჩოს ფარგლებში, ჩვენ გავაანალიზეთ მრავალი სცენარი, რათა დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი ლიკვიდურობა და კაპიტალი, რომ შეძლოს განახლებული კაპიტალისა და ლიკვიდურობის მოთხოვნების შესრულება. „სებ“-მა მათგან კონტრციკლური ქმედებები, საბანკო სისტემის სტაბილურობის მხარდასაჭერად საჭიროების შემთხვევაში კაპიტალის და ლიკვიდურობის მოთხოვნების შემსუბუქებით. მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ კაპიტალის რისკვის მართვის ნაწილი 85-89 გვერდზე.

დამატებით, სახელმწიფომ, ბიზნესებისა და ეკონომიკის მხარდასაჭერად, შემოიღო რამდენიმე ინიციატივა, როგორცაა (ა) მოგების გადასახადის გადავადება ტურიზმის სექტორში მოქმედი კომპანიებისთვის, (ბ) საპროცენტო ხარჯების სუბსიდირება მცირე და საშუალო ზომის სასტუმროებისთვის, (გ) დღგ-ის ანაზღაურების გაორმაგება კომპანიებისთვის, (დ) კაპიტალური დანახარჯების გაზრდა და დამატებითი ეკონომიკური ინიციატივების ჩატარება.

**მიმოხილვა**

ჯგუფში მოქმედებს რისკის მართვის ბიზნესზე ორიენტირებული, მძლავრი და დამოუკიდებელი სისტემა. მისი ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს რისკის გათვალისწინებით შეფასებული უკუგების მდგრადობას რისკის მართვის ეფექტიანი სისტემის მეშვეობით. მიზნების უკეთ მისაღწევად ჯგუფი იყენებს რისკის მართვის ოთხ ძირითად პრინციპს:

- ▶ რისკების გამჭვირვალედ მართვა ურთიერთგაგებისა და ნდობის მოსაპოვებლად. რისკთან დაკავშირებული პროცესებისა და პოლიტიკის თანმიმდევრულობა და გამჭვირვალობა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ნდობის მოპოვების წინაპირობაა. რისკის მიზნებისა და სტრატეგიული პრიორიტეტების სწორი და სრულყოფილი კომუნიკაცია მმართველ ორგანოებთან და ანგარიშვალდებულების ფარგლებში სრულყოფილი რეაგირება რისკის მართვაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების ძირითადი პრიორიტეტებია
- ▶ რისკების გონივრული მართვა ზრდისა და მდგრადობის ხელშესაწყობად. რისკების მართვის სისტემა უზრუნველყოფს ჯგუფის დაცვას გადაჭარბებული რისკებისგან; კაპიტალის ადეკვატურობის მართვა და მძლავრი, მომავალზე ორიენტირებული მართვის ინსტრუმენტები და გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს ჯგუფის მდგრადობას.
- ▶ რისკის მართვის მეშვეობით სტრატეგიის გაძლიერების უზრუნველყოფა. რისკის მართვაში ჩართული თანამშრომლების მიერ რისკების დროული იდენტიფიცირებით, ადეკვატური შეფასებითა და რისკის მიტიგაციისკენ მიმართული ქმედებებით უზრუნველყოფილია ჯგუფის მიზნების განხორციელება და მიზნობრივი უკუგება.
- ▶ რისკის მართვის გამოყენება კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. სრულყოფილი, გამჭვირვალე და გონივრული რისკის მართვა ხელს უწყობს სხვადასხვა ჩართული მხარის მაღალ სანდოობას, ჯგუფის გრძელვადიან

**რისკის მართვის სტრუქტურა**


ჯგუფის რისკის მართვის სისტემა მოიცავს რისკის მართვისათვის საჭირო ყველა აუცილებელ კომპონენტს და შედგება ორგანიზაციული, საკრედიტო, ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის, რისკების ანგარიშგებისა და სხვა დამხმარე, გამაერთიანებელი რისკების ინსტრუმენტებისაგან, როგორებიცაა: IT-ინფრასტრუქტურა, კაპიტალის მართვა, სტრუქტურები და სხვა ანალიტიკური საშუალებები. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ნაჩვენებია რისკის მართვის სტრუქტურა.

**ორგანიზაციის რისკის მართვა**  
 > რისკის აპატიტი > რისკის სტრატეგია > ბიზნესის ღაგაგება

	საკრედიტო რისკი			ფინანსური რისკი		არაფინანსური რისკი	
	კორპორატიული	MSME	საცალო	ბაზარი	ლიკვიდობა	საოპერაციო	სხვა
<b>რისკის ფორმირება და მართვა</b>	მართვის სტრატეგია	ღაცვის საბი ღოწე	კომიტეტები	პოლიტიკა	საქმიანობის შეღაგების მართვა	რისკის კულტურა	
<b>რისკის რაპორტიწეწი</b>	რისკის აწგარიშგება და აწალიწი						
<b>სისტემაბი და მოწაწემაბი</b>	იწწრასტრუქტურა, საიწწწოწაწიწი თაწწწოწოწიწაბი და სისტემაბი						
<b>რისკის მოღაღაბი, მეთოღოღიწაბი და პროწწწაწაბი</b>	ღაკრედიტაბის პროწწწაწი	აბტიწაბის და ვაღღაბუღაბაბის მართვა (ALM) და ლიკვიღოღის რისკის მოღაღიწაბა და პროწწწაწაბი			საოპერაციო რისკის მოღაღიწაბა და პროწწწაწაბი		
<b>რისკის ჰვარაღიწი აწალიწი</b>	კაპიტაღის აღაკვაბტურობის მართვა და სტრეწ-თეწტები						

## მმართველობა

რისკების მართვას ჯგუფი ახორციელებს რისკების მართვას ერთიანი სისტემის ფარგლებში. რისკების მართვის პროცესში ყველა მმართველი რგოლის ჩართულობა, უფლებამოსილების ნათლად გამიჯვნა და სხვადასხვა დანაყოფს შორის ეფექტური კომუნიკაცია ხელს უწყობს ჯგუფის სტრატეგიისა და რისკის მიზნების ნათლად წარმოჩენასა და მათ შესაბამისობას რისკის დადგენილ აპეტიტთან. ჯგუფის მართვის სტრუქტურა უზრუნველყოფს ადეკვატურ ზედამხედველობას, ანგარიშვალდებულებისა და მოვალეობების მკაფიო გამიჯვნას. რისკების მართვის უმაღლესი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც გასაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას და ზედამხედველობას უწევს სტრატეგიული მიზნების შესრულებას. ხოლო დირექტორთა საბჭო ხელმძღვანელობს და წარმართავს ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობას.



რისკის მართვის სტრუქტურა შედგება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსგან, თითოეულში შედის შესაბამისი რისკის კომიტეტები. სამეთვალყურეო საბჭოს ექვემდებარება რისკის კომიტეტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ჯგუფის რისკის პროფილსა და რისკის მართვის პრაქტიკას, აგრეთვე არსებობს აუდიტის კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელებაზე და დანერგვაზე, შიდა და გარე აუდიტორების საქმიანობის ხელშეწყობაზე. დირექტორთა საბჭოს რისკის კომიტეტი შეიქმნა ჯგუფის მასშტაბით რისკის მართვის ღონისძიებების წარმართვისა და ძირითადი რისკის ტენდენციების მონიტორინგისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს რისკის პროფილის შესაბამისობა დადგენილი რისკის აპეტიტთან. დირექტორთა საბჭოს საოპერაციო რისკის კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს საოპერაციო რისკის მართვასთან დაკავშირებით, ხოლო აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი ("ALCO") პასუხისმგებელია აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის განხორციელებაზე. სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოები რისკების მართვას ახორციელებენ რისკების აპეტიტის მეშვეობით, რომელშიც დადგენილია რისკის სასურველი პროფილი და რისკის ლიმიტები სხვადასხვა ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით. რისკ-აპეტიტის ჩარჩო მოიცავს ასევე მონიტორინგსა და რეპორტირებს, სხვადასხვა გამომწვევი მოვლენისათვის ესკალაციის გზებსა და რისკების მიტიგაციის ქმედებების განხორციელებას იმ შემთხვევაში, თუ ის სცილდება ჯგუფის მიერ დადგენილ საზღვრებს. ჯგუფის რისკის აპეტიტის ყოველდღიურ ოპერაციებში უფრო ეფექტურად ასახვისთვის რისკის აპეტიტის ინდიკატორები ჩამოიშალა დეტალურ ლიმიტებად ბიზნესრეტელის დონეზე, რომელიც ახდენს რისკის განაწილებას სხვადასხვა სეგმენტსა და საქმიანობას შორის.

რისკის აპეტიტის დადგენა და ვასკადირება ხორციელდება ბიზნესის დაგეგმვის პარალელურად. ბიზნესისა და რისკის გეგმების ინტერაქტიული შემუშავება უზრუნველყოფს გეგმების შეჯერებას ამ პროცესში რისკისა და უკუგების ურთიერთკავშირის განსაზღვრით, რაც ხელს უწყობს მიზნების მიღწევას. სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე ზედამხედველობა ჯგუფის რისკის მართვაში, უფროსი მენეჯმენტის ჩართულობასთან ერთად და რისკების top-down განაწილება ორგანიზაციული რისკების მართვის განყოფილების მიერ უზრუნველყოფს რისკების მიზნების სიხვადას, რისკის პროფილის ინტენსიურ მონიტორინგს რისკის აპეტიტთან მიმართებით, დროულ რეაგირებას რისკთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოსასწორებელი ღონისძიებების სწრაფად შემუშავებას. ცალკეული რისკების ყოველდღიური მართვა ემყარება დაცვის სამი დონის პრინციპს. რისკების ძირითადი მყარო და პასუხისმგებელი ბიზნესსეგმენტები არის, ხოლო რისკის გუნდი ასრულებს დაცვის მეორე დონის ფუნქციას ტრანზაქციების სანქცირებით, რისკის იდენტიფიცირების, ანალიზის, გაზომვის, მონიტორინგისა და რეპორტირების



საშუალებებით. კომიტეტები, რომლებიც ფუნქციონირებენ ოპერაციულ დონეზე, დელეგირების ფარგლებში იღებენ ტრანზაქციული დონის გადაწყვეტილებებს, დამყარებულს "ოთხი თვალის" პრინციპზე. ყველა ახალი პროდუქტი და პროექტი გადის რისკის ჯგუფების ხელში, რათა სრულყოფილად გაანალიზდეს რისკები. კონტროლის ეს მექანიზმები გარანტიას იძლევა, რომ ჯგუფი იღებს სათანადოდ შეფასებულ, ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს, ჯგუფის დადგენილ ზღვრებს შიგნით საკრედიტო, ლიკვიდურობის, ბაზრის, საოპერაციო და სხვა არაფინანსურ რისკებს მართავენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. ჯგუფის რისკის მართვის მძლავრი და დამოუკიდებელი სტრუქტურა ყველა საჭირო ფუნქციის შესრულების საშუალებას იძლევა დაცვის მეორე დონის ფარგლებში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების წყალობით, რომლებიც ფლობენ დაბალანსებულ ცოდნას საბანკო მომსახურებისა და უძრავი ქონების სფეროში ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. რისკების დირექტორზე დაქვემდებარებული რისკის გუნდების გარდა, შესაბამისობის რისკის მართვის განყოფილება ანგარიშვალდებულია უშუალოდ გენერალური დირექტორის წინაშე და პასუხისმგებელია ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასა და შესაბამისობის რისკის მართვაზე. მესამე დონის დაცვას წარმოადგენს შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რომელიც ბანკს აძლევს დამოუკიდებელ და ობიექტურ რწმუნებას, ამასთანავე, უწევს რეკომენდაციას დამატებით ოპერაციებისა და რისკების მართვის გასაუმჯობესებლად.

## ორგანიზაციის რისკის მართვა

ცენტრალიზებული ორგანიზაციის რისკების მართვის ("ERM") განყოფილება უზრუნველყოფს რისკის სტრატეგიისა და რისკის აპეტიტის ეფექტურად შემუშავებას, კომუნიკაციასა და დანერგვას ჯგუფის მასშტაბით. ორგანიზაციის რისკების მართვის განყოფილება ხელს უწყობს რისკის ჯვარედინ დონისძიებებს, როგორებიცაა: აგრეგირება, ანალიზი და რეპორტირება და ეხება ისეთ პრობლემებს, რომლებიც არაა სპეციფიკური რომელიმე ერთი ტიპის რისკისათვის. შესაბამისად, "ERM"-ის ფუნქცია ავსებს რისკის სხვა ფუნქციებს, რათა მოიცვას ძირითადი რისკის დონისძიებები და პასუხისმგებლობები და წარმოქმნას ცენტრალიზებული გუნდის შესაძლებლობები. ორგანიზაციის რისკების მართვის ძირითადი ფუნქციები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

- ▶ რისკის აპეტიტის განსაზღვრა, კასკადირება და მონიტორინგი ჯგუფის სტრატეგიის აუცილებელი ელემენტებია. რისკის ბიუჯეტი ნაწილდება ცალკეულ ბიზნეს მიმართულებებზე, რათა მიღწეულ იქნეს მაჩვენებლები აგრეგირებულ დონეზე.
- ▶ სტრეს-ტესტები რისკის იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მითიგაციის ერთ-ერთი ყველაზე

მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ამ მხრივ ჯგუფი მუდმივად ავითარებს სტრესტესტირების შესაძლებლობებსა და მეთოდოლოგიას. ბანკი ახორციელებს სხვადასხვა სცენარის ანალიზს და სტრეს-ტესტირების მეთოდებს, იმისათვის, რომ ბანკმა შეინარჩუნოს ადეკვატური კაპიტალი მოცემულ სტრეს სცენართან გასამკლავებლად და შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსური მდგომარეობა.

- ▶ გრძელვადიანი კაპიტალის დაგეგმვა და უწყვეტი მუშაობა კაპიტალის ოპტიმიზაციაზე და ანალიტიკაზე ასევე ბანკის რისკის მართვის პროცედურის არსებითი ასპექტია.
- ▶ ERM"-ის მნიშვნელოვანი ამოცანაა ასევე რისკის მართვის პრაქტიკის თანმიმდევრულობა. რისკების მართვის ფუნქცია, რომელიც მიმართულია თანმიმდევრულობის უზრუნველყოფისკენ, გულისხმობს რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას და მართვას ოპტიმალური გზით, ჯგუფის ფარგლებში, და მათ რეპორტირებასა და გააზრებას კონსოლიდირებულ საფუძველზე
- ▶ რისკის შესაფერისი უკუგების გენერირება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნეს მოდელის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. რისკების გათვალისწინება ფასწარმოქმნის პროცესში ისე ხორციელდება, რომ თავიდან იქნეს აცილებული ჭარბი ოდენობით რისკის აღება და უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ კომპანია იღებს ადეკვატურად შეფასებულ რისკს.
- ▶ მოსალოდნელი ზარალის შეფასება, მონიტორინგი და ანალიტიკა სხვადასხვა სემინტში და პროდუქტებში, ასევე ჩვენი სტრატეგიის მთავარი კომპონენტებია.
- ▶ ჯგუფის რისკის პროფილის კონსოლიდირებულ საფუძველზე შეფასების მიზნით ხორციელდება რისკის მაჩვენებლების აგრეგაცია და ანალიზი. თიხის ბანკის რისკის პროფილის შესახებ რეგულარული ანგარიშები წარედგინება დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს რისკის კომიტეტს.

## საკრედიტო რისკის მართვა

ჯგუფი, ჯგუფი, როგორც საბანკო მომსახურების მიმწოდებელი, დგას საკრედიტო რისკის წინაშე, რომელიც დაკავშირებულია მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებების შეუსრულებლობასთან შეთანხმებულ ვადებში. საკრედიტო რისკი ჯგუფის ყველაზე მატერიალური რისკია, საქმიანობის სპექტრიდან გამომდინარე. და შესაბამისად ჯგუფი მნიშვნელოვან რესურსს გამოყოფს მის სამართავად.

საკრედიტო რისკების მართვის მიზანია ჯგუფში არსებობდეს გამართული პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინდივიდუალური ტრანზაქციების დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობას მისაღები რისკის დონის ფარგლებთან.

საკრედიტო რისკების ეფექტური პროცესები უზრუნველყოფს პორტფელში არსებული საკრედიტო რისკების დროულ აღმოჩენას, გაზომვასა და მონიტორინგს. ამ მიზნით ჯგუფში დანერგილია სეგმენტებსა და პროდუქტებზე მორგებული მიდგომები. შესაბამისად კორპორატიული, მცირე და საშუალო ბიზნესების და საცალო პორტფელის მართვა ხორციელდება მოცემული სეგმენტების თავისებურებების გათვალისწინებით. კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესის პორტფელის მართვა ხორციელდება ინდივიდუალური მსესხებლის დონეზე, ხოლო მიკრო და საცალო მსესხებლების მართვა კი ხორციელდება პორტფელურად. საკრედიტო რისკის ძირითადი ფუნქციების შეჯამება მოცემულია ქვემოთ:

**კრედიტის დამტკიცება**

ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს სესხების გაცემის ჯანსაღი პროცესის არსებობა, სესხის გაცემის კრიტერიუმების მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და მსესხებლის რისკის პროფილის შეფასების ეფექტიანი პროცესის მეშვეობით. ბანკში არსებობს საკრედიტო რისკის შეფასების სრულყოფილი ჩარჩო, სადაც ცალსახადაა გამიჯნული კრედიტის ანალიზში და დამტკიცებაში მონაწილე მხარეების მოვალეობები. კრედიტის დამტკიცების პროცესი განსხვავდება სეგმენტებისა და ინდივიდუალური პროდუქტების მიხედვით. კორპორატიული, მცირე და საშუალო ბიზნესების და მსხვილი საცალო და მიკრო სესხების შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურ დონეზე, ხოლო მცირე ზომის საცალო და მიკრო სესხებზე გადაწყვეტილების პროცესი ძირითადად ავტომატიზებულია. მსესხებლების მოთხოვნების საფუძვლიანად შეფასების შემდეგ საკრედიტო ანალიტიკოსები კორპორატიული სესხის შემთხვევაში და ბიზნეს დაკრედიტების ექსპერტები მცირე და საშუალო საწარმოების სესხის შემთხვევაში, ამზადებენ პროექტს, რომელშიც ასახულია პოტენციურ მსესხებელთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია და წარადგენენ განსახილველად დაკრედიტების რისკების მართვის განყოფილებაში. რისკების მართვის მენეჯერი აფასებს პროექტს და უზრუნველყოფს, რომ ანალიზი არის სრულყოფილი, ყველა სახის რისკი და შესაბამისი მიტიგაციის გზები იდენტიფიცირებულია და სათანადოდ გათვალისწინებული, და სესხი სწორად სტრუქტურირებულია. ბიზნესის რისკის მენეჯერები სპეციალიზირდებიან კონკრეტული დარგების მიხედვით იმისთვის, რომ სათანადოდ იცნობდნენ კონკრეტულ დარგში მიმდინარე ტენდენციებსა და მოვლენებს.

საკრედიტო კომიტეტის სტრუქტურა მრავალდონიანია, და დამტკიცების უფლებამოსილებები განსხვავებულია მსესხებლების ჯამური დავალიანებისა და რისკის პროფილის შესაბამისად. აღნიშნული საკრედიტო კომიტეტები პასუხისმგებელი არიან განიხილონ და დაამტკიცონ საკრედიტო განცხადებები,

სხვადასხვა კომიტეტებით სესხის მოცულობის და რისკის საფუძველზე. ყველაზე მაღალი დონის კომიტეტში მონაწილეობენ: გენერალური დირექტორი, კორპორატიული ბიზნესის მართვის დირექტორი და რისკების მართვის დირექტორი. ამასთან, 20 უმსხვილესი მსესხებლის საკრედიტო განაცხადისთვის, ან სესხებისთვის, რომელთა ოდენობა აღემატება ბანკის სააქციო კაპიტალის 5%-ს, მოითხოვება სამეთვალყურეო საბჭოს რისკის მართვის კომიტეტის მიერ განხილვა და დამტკიცება. საცალო და მიკრო სეგმენტის დაკრედიტების ექსპერტები საკრედიტო განაცხადებს წარუდგენენ შესაბამისი დაკრედიტების რისკების მართვის განყოფილებას. საკრედიტო კომიტეტზე განაცხადის განხილვა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში სესხის ოდენობისა და რისკის დონის გათვალისწინებით. არაუზრუნველყოფილ საცალო სესხებზე, განვადებებსა და საკრედიტო ბარათებზე გადაწყვეტილების მიღებისთვის გამოიყენება ბანკის შიდა სქორინგის მოდელები და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს რეიტინგები, ამასთან ყველა პროდუქტისთვის შემოსავლების შემომწმების პროცესი ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის "ფიზიკური პირების დაკრედიტების შესახებ დებულების" შესაბამისად.

სქორინგის მოდელები განსხვავებულია პროდუქტის ტიპებისა და მსესხებლების სეგმენტის მიხედვით, და ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის შიდა და გარე მონაცემებს. სქორინგის მოდელების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობა წინასწარ განსაზღვრული რისკის ლიმიტებთან.

**სავალუტო კურსით გამოწვეული საკრედიტო რისკი**

ბანკი დგას სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის წინაშე, რადგან მისი სესხების მატერიალური ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. ჯგუფი მუშაობს აღნიშნული რისკის შემცირებაზე და შესაბამისი ლიმიტები განსაზღვრულია ბანკის რისკის აპეტიტის ჩარჩოში. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის შესამცირებლად, საკრედიტო რისკის მართვის ყველა ეტაპზე გამოიყენება მართვის სხვადასხვა ინსტრუმენტები და მეთოდები.

ჯგუფი იყენებს კონსერვატული დაკრედიტების სტანდარტებს არაჰეჯირებული მსესხებლების მიმართ, რომელთა სესხები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, რათა დარწმუნდეს, რომ მსესხებლები შეძლებენ ვალდებულების მომსახურებას გაცვლითი კურსის გარკვეული დონით ცვლილების შემთხვევაში. გარდა დაკრედიტების პროცესში არსებული მიდგომებისა, ჯგუფი აქტიურად აკვირდება და აფასებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებს სტრუქტურის შესაბამისად და უზრუნველყოფს საკმარისი კაპიტალის არსებობას მოულოდნელი დანაკარგების ზრდის შემთხვევაში. გაცვლითი

კურსის არსებითი გაუფასურების შემთხვევაში ბანკს გააჩნია მეთოდები მონიტორინგის ღონისძიებების დასაჩქარებლად, პოტენციური სისუსტეების მქონე მსესხებლების იდენტიფიცირებისა და რისკის მიტიგაციისთვის საჭირო ღონისძიებების დროულად გასატარებლად.

2019 წლის იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით 200,000 ლარამდე ოდენობის სესხების გაცემა სავალდებულოა განხორციელდეს ეროვნულ ვალუტაში, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის უცხოურ ვალუტაზე დამოკიდებულების შემცირებას. დამატებით 2019 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს ეროვნული ბანკის დებულება „ფიზიკური პირების დაკრედიტების შესახებ“ რომლის მიხედვითაც სესხის მომსახურების კოეფიციენტისა და უზრუნველყოფის მიმართ მოთხოვნები უფრო კონსერვატიულია არაპეჯირებული მსესხებლებისთვის, რამაც კიდევ უფრო შეამცირა კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკები.

### საკრედიტო კონცენტრაციის რისკი

ჯგუფს გააჩნია კონცენტრაციის რისკი, რომელიც განისაზღვრება, როგორც პორტფელის ხარისხის პოტენციური გაუარესება პიროვნებებზე ან დარგებზე დიდი ოდენობით სესხის გაცემის გამო. ბანკი ფლობს საშუალებებს კონცენტრაციის რისკის, კერძოდ კი, პორტფელში ცალკეული პირებისა და სექტორული კონცენტრაციის, ეფექტური მართვისათვის. ჯგუფს აქვს კონცენტრაციის ლიმიტები ცალკეული მსესხებლებისა და 20 ყველაზე მსხვილ მსესხებელთა ჯგუფზე და კონცენტრირებულია ამ პორტფელის სტრუქტურისა და ხარისხის ოპტიმიზაციაზე. ამასთან, ჯგუფი აწესებს ლიმიტებს ცალკეულ სექტორებზე, მაღალი რისკის მქონე სექტორებში უფრო კონსერვატიული ზედა ლიმიტის გამოყენებით, რაც ემყარება დარგის ციკლებისა და პერსპექტივის სრულყოფილ ანალიზს. საკრედიტო კონცენტრაციების მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. კეთდება რისკის პოზიციათა ტენდენციების დეტალური ანალიზი და რისკის ახალი წყაროების წარმოქმნის ან პოზიტიური მოვლენების შემთხვევაში გაიცემა გამოსასწორებელ ღონისძიებათა რეკომენდაციები. პორტფელში კონცენტრაციების დონის მართვის პარალელურად, ჯგუფი აფასებს მოულოდნელ ზარალს და შესაბამის ეკონომიკურ კაპიტალს როგორც ცალკეული მსესხებლებისთვის,

ისე სექტორებისთვის "Herfindahl-Hirschman"-ის ინდექსის გამოყენებით და ამგვარად უზრუნველყოფს კონცენტრაციის რისკისთვის საკმარისი კაპიტალის არსებობას.

### უზრუნველყოფის მართვის პოლიტიკა

უზრუნველყოფა წარმოადგენს საკრედიტო რისკების მიტიგაციის უმ-ნიშვნე-ლოვანეს საშუალებას თიხის ჯგუფისათვის, რაც უზრუნველ-ყოფის

მართვის ხდის რისკების მართვის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად. ჯგუფის მიერ გაცემული საკრედიტო პროდუქტების უზრუნველ-ყოფად განიხილება როგორც უძრავი ქონება, ისე ფულადი დეპოზიტები, სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები, მარაგები, ძვირფასი ლითონები, ფასიანი ქაღალდები, თავდებობები/გარან-ტიე-ბი და სხვა. მისაღები უზრუნველყოფის ტიპი და კრიტერიუმები დამო-კიდებულია საკრედიტო პროდუქტის ტიპსა და მსესხებლის რისკის პროფილზე. ჯგუფის პორტფელი კარგადაა უზრუნველყოფილი თითო-ეულ სეგმენტში, ხოლო უზრუნველყოფის ყველაზე გავრცელებულ ტიპს უძრავი ქონება წარმოადგენს. უზრუნველყოფის მართვის ცენტრალი-ზებული სტრუქტურული ერთეული განსაზღვრავს ჯგუფის ხედვასა და სტრატეგიას უზრუნველყოფის მართვასთან დაკავშირებით და ზედამხედველობს, რომ უზრუნველყოფად შემოთავაზებული ქონება წარმო-ადგენდეს საკრედიტო რისკის მიტიგაციის ადეკვატურ საშუალებას. უზრუნველყოფის მართვის ჩარჩო მოიცავს პოლიტიკის განსაზღვრას, და-მოუკიდებელი შეფასების პროცესის წარმართვას/ მხარდაჭერას, დის-კონ-ტების სისტემის წარმოებას, უზრუნველყოფის მონიტორინგს (მათ შორის განმეორებით შეფასებასა და სტატისტიკურ ანალიზს) და უზრუნ-ველყოფის პორტფელის ანალიზს.

უზრუნველყოფის მართვისა და შეფასების განყოფილება ("უშმგ") გან-საზღვრავს უზრუნველყოფის მართვის პოლიტიკასა და უზრუნველყო-ფის მართვის პროცედურებს (დოკუმენტები მტკიცდება დირექტორთა საბჭოს მიერ); იძენს საშემფასებლო მომსახურებას, რაც უნდა იყოს თავ-სებადი/შესაბამისი საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტებ-თან ("IVS"), საქართველოს ეროვნული ბანკის მოქმედ რეგულაციებსა და ჯგუფის შიდა პოლიტიკასთან/ პროცედურებთან; ახდენს შეფასების დასკვნების ავტორიზებას/გადახედვას; მართავს უზრუნველყოფის მო-ნი-ტორინგის პროცესს (აქტივები მაღალი საბაზრო ღირებულებით გან-მეორებით ფასდება ყოველწლიურად, ხოლო სტატისტიკური მონიტო-რინგი გამოიყენება დაბალი საბაზრო ღირებულების მქონე უზრუნველ-ყოფისთვის). "უშმგ" შეფასებისთვის იყენებს ხარისხის კონტროლის შერეულ სქემას: შეფასების დასკვნები გადაიხედება როგორც განყოფი-ლების პერსონალის, ისე გარე კომპანიის მიერ. თითქმის ყველა საქმიანობა უზრუნველყოფის მართვის ფარგლებში ავტომატიზებულია ვებ და მობილური აპლიკაციების მეშვეობით. უზრუნველყოფის მარ-თვის ფუნქცია სარგებლობს საბაზრო კვლევებით, რომლებიც იწარ-მოება პროექტის - უძრავი ქონების ბაზრის ლაბორატორია (REM lab) ფარგლებში.

### კრედიტის მონიტორინგი

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა და პროცესები ისეა შემუშავებული, რომ დროულად გამოვლინდეს და გაანალიზდეს სხვადასხვა ტიპის რისკები და

საიმედო და დროულ მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდეს წინასწარ დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგი. თიხის ბანკი მნიშვნელოვან რესურსებს გამოყოფს სხვადასხვა ბიზნესგემენტებში არსებული საკრედიტო რისკების ზუსტად შესაფასებლად. ჯგუფი იყენებს მონიტორინგის გამართულ სისტემას მაკრო და მიკრო მოვლენებზე სწრაფი რეაგირების უზრუნველსაყოფად, საკრედიტო პორტფელში არსებული სისუსტეების დროულად გამოვლენისა და შესაბამისი გადაწყვეტების ჩამოყალიბებისათვის. მონიტორინგის პროცესი მორგებულია ცალკეულ სეგმენტებზე და მოიცავს ინდივიდუალური სესხების მონიტორინგს, პორტფელურ მონიტორინგსა და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე.

რისკის კომიტეტი კვარტლურად განიხილავს ანგარიშებს საკრედიტო პორტფელის ხარისხის შესახებ. ისტორიული დინამიკისა და სამომავლო მოლოდინების გათვალისწინებით შესაძლებელია რისკების დროულად გამოვლენა და მათზე რეაგირება პოლიტიკის დროულად შესწორების გზით.

## რესტრუქტურისაცია და თანხების ამოღება

ჯგუფი იყენებს პორტფელის ზედამხედველობის კომპლექსურ სისტემას საყურადღებო სესხების იდენტიფიცირებისა და საჭიროების შემთხვევაში ამოღებისა და აღდგენის პროცესების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც მსესხებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის შეთანხმებულ პირობებს ან მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა გაუარესებულია, რაც პოტენციურად საფრთხეს უქმნის კრედიტის გადახდას. რესტრუქტურისაციისა და პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებები ახორციელებენ გადახდისუნარო მსესხებლების მართვას ყველა ბიზნესგემენტზე ვადაგადაცილებათა მართვისა და პრობლემური სესხების ამოღების სტრატეგიებით, მორგებული ბიზნესგემენტისა და ინდივიდუალური დავალიანებების სპეციფიკაზე. რესტრუქტურისაციის ქვედანაყოფის ძირითადი მიზანია მსესხებლის რეაბილიტაცია და სესხის დაბრუნება სტანდარტულ კატეგორიაში. რეაბილიტაციის პროცესის კომპლექსურობა დამოკიდებულია სესხის ტიპსა და სიდიდეზე. კორპორატიული, მცირე და საშუალო ბიზნესის მსესხებლები პრობლემური აქტივების ქვედანაყოფს გადაეცემა მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ სესხის ძირითადი თანხის მატერიალური ნაწილის გადახდა ვერ მოხდება და მსესხებლის ფულადი ნაკადები აღარ წარმოადგენს სესხის დაფარვის ძირითად წყაროს. სესხის ამოღების გეგმები შეიძლება მოიცავდეს სესხის ამოღების ყველა ხელმისაწვდომ რესურსს, როგორებიცაა: მსესხებლის აქტივების გაყიდვა, უზრუნველყოფის რეალიზება ან გარანტორების/თავდებების გამოყენება.

სესხის ამოღების პროცესში ჯგუფის მიზანია სესხის აღდგენის სტრატეგიის შეთანხმება მსესხებელთან და რაც შეიძლება მეტი ოდენობით თანხის ამოღება ან სესხის გადახდაზე მოლაპარაკება უზრუნველყოფის გაყიდვით ან დასაკუთრებით. საცალო და მიკროსესხების ამოღების ქვედანაყოფები ეხმარებიან ისეთ მომხმარებლებს, რომელთაც წარმოექმნათ ვალდებულებების დაფარვის სირთულე. ასეთი მსესხებლები ან ვერ ახორციელებენ გრაფიკით განსაზღვრული გადახდებს, ან თავად აცნობებენ ბანკს სესხის დაფარვასთან დაკავშირებული სირთულის შესახებ. ცენტრალიზებული ჯგუფი ახორციელებს საცალო ვადაგადაცილებული მსესხებლების მონიტორინგს და მათი ძალისხმევა ფილიალებთან ერთად მიმართულია ამოღების მაქსიმიზაციისკენ. პროგრამული უზრუნველყოფა, "FICO", გამოიყენება ამოღების პროცესებისათვის ადრეულ ეტაპზე.

ამოღების სტრატეგიები განისაზღვრება სესხის ოდენობისა და ტიპის მიხედვით. ინდივიდუალური სტრატეგიები მორგებულია მომხმარებლების სხვადასხვა ქვეჯგუფზე და ასახავს შესაბამისი რისკის დონეებს ისე, რომ მეტი ძალისხმევა ხმარდება უფრო მაღალი რისკის პროფილის მქონე მომხმარებლებს. როგორც წესი, საცალო და მიკროსესხები პრობლემური აქტივების ქვედანაყოფს გადაეცემა 60-90 დღიანი ვადაგადაცილების შემდეგ. უზრუნველყოფილი სესხები გადაეცემა შიდა პრობლემური აქტივების ქვედანაყოფს, ხოლო არაუზრუნველყოფილი სესხების ამოღებაზე ჯგუფი თანამშრომლობს გარე ამომღებ კომპანიებთან. უზრუნველყოფილი სესხების ამოსაღებად შემუშავდება ამოღების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მსესხებლის ინდივიდუალურ სპეციფიკას და მოიცავს სესხის გადახდას შევლილი/რესტრუქტურისებული გრაფიკით/პირობებით ან უზრუნველყოფის რეალიზაციას. როგორც წესი, ამოღების კომპანიები მოლაპარაკებებს აწარმოებენ მსესხებლებთან სესხის ან სესხების სრული თანხის გადახდასთან დაკავშირებით ახალი გრაფიკის შესაბამისად.

სესხის პრობლემური აქტივების მართვის ქვედანაყოფზე გადაცემის შემდეგ, როდესაც ჯგუფს არ შეუძლია მისაღები პირობებით მსესხებელთან მოლაპარაკება, ბანკმა შეიძლება დაიწყოს უზრუნველყოფის დასაკუთრება, რაც საზოგადოდ სტანდარტული პროცესია მცირე იურიდიული გართულებებით, და შეიძლება საჭირო იქნეს სასამართლო, საარბიტრაჟო ან ნოტარიული პროცედურები. რესტრუქტურისაციისა და პრობლემური აქტივების მართვის ქვედანაყოფებში მუშაობენ კვალიფიციური იურისტები სასამართლო დავისა და დასაკუთრების პროცესების ეფექტურად წარმართვისა და აღსრულებისათვის

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება**

2018 წლის იანვრიდან ჯგუფი გადავიდა დარეზერვების ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებაზე “ფასს 9”-ის მოთხოვნების შესაბამისად. განახლებული მეთოდოლოგიით შესაძლებელია სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვის შეფასება მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის გამოყენებით. მეთოდოლოგიის განვითარებასთან ერთად დაინერგა ახალი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინსტრუმენტი დარეზერვებისთვის.

პროექტი განხორციელდა “Deloitte”-ის დახმარებით. მეთოდოლოგიისა და IT უზრუნველყოფის დანერგვაზე ჯგუფის მხრიდან პასუხისმგებლები იყვნენ ჯგუფის რისკების, ფინანსური და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტები. ახალი მოდელები უფრო კომპლექსურია და იძლევა მასში მოსალოდნელი მაკრომოვლენების ჩართვის შესაძლებლობას წინასწარ განსაზღვრული სცენარების გათვალისწინებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (“ECL”) გაზომვისთვის ჯგუფი იყენებს ოთხ კომპონენტს: (ა) დეფოლტის ალბათობა (“PD”); (ბ) დავალიანება დეფოლტის შემთხვევაში (“EAD”); (გ) ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”); და (დ) დისკონტირების განაკვეთი. “ECL”-ის გაზომვის დროს ჯგუფი იყენებს სამ-კატეგორიან მოდელს და ახდენს თავისი მსესხებლების კლასიფიკაციას შემდეგ ეტაპებად:

- ▶ I კატეგორია - ჯგუფი ახდენს პორტფელის კლასიფიკაციას I კატეგორიაში, თუ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არ იყო გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებისას;
- ▶ II კატეგორია - აქტივი კლასიფიცირდება II კატეგორიაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ ითვლება გაუფასურებულად; და
- ▶ III კატეგორია - რისკები, რომლებზეც დადგინდა კრედიტის გაუფასურების მაჩვენებლები, კლასიფიცირებულია როგორც III კატეგორიის ინსტრუმენტები.

“ECL”-ს გამოთვლა განსხვავდება მოცემული სამი კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით

- ▶ I კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტები - “ECL” წარმოადგენს არსებობის მანძილზე “ECL”-ის იმ ნაწილს, რომელიც გამომდინარეობს საანგარიშო თარიღიდან შემდეგი 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი დეფოლტის შემთხვევით.
- ▶ II კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტები - “ECL” წარმოადგენს “ECL”-ს აქტივის არსებობის მანძილზე, ე.ი. მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსალოდნელი დეფოლტის შემთხვევით ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მთლიანი

პერიოდის განმავლობაში. არსებობის მთლიანი პერიოდი არის ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი სახელშეკრულებო გადახდის ვადა. ფაქტორები, როგორცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვის გრაფიკების არსებობა, გადახდის ვადის გახანგრძლივების ვარიანტი და ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის პროცესები გავლენას ახდენს არსებობის პერიოდის განსაზღვრაზე.

- ▶ III კატეგორიის ინსტრუმენტები - ინსტრუმენტი იმყოფება დეფოლტში და დამდგარი ზარალის გამოთვლა ხდება მოსალოდნელი ამოღების საფუძველზე.

ჯგუფი აქტიურად განიხილვს და ახორციელებს “ფასს 9”-ის მოდელებიდან მიღებული შედეგების მონიტორინგს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შედეგები ადეკვატურად ასახავდეს მოსალოდნელ დანაკარგებს.

**ფინანსური რისკის მართვა**

**ლიკვიდობის რისკის მართვა**

ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეიძლება არ ჰქონდეს საკმარისი ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსი თავისი მოვალეობებისა და ვალდებულებების დროულად დასაფარად ან აღნიშნული რესურსები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ მაღალ ფასად. როგორც დაფინანსების, ისე საბაზრო ლიკვიდობის რისკი შეიძლება წარმოიქმნას მრავალი ფაქტორის შედეგად, რომლებსაც ჯგუფი ვერ აკონტროლებს. ფინანსური ბაზრის არასტაბილურობის გამო ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა: საკრედიტო რეიტინგის გაუარესება ან სხვა უარყოფითი მოვლენა, შეიძლება გავლენა იქონიოს ფასზე ან საჭირო დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე ჯგუფის სამომავლო ვალდებულების გადახდების განსახორციელებლად

ლიკვიდობის რისკის მართვას ახორციელებენ ფინანსური რისკის მართვისა და ხაზინის დეპარტამენტები, მონიტორინგს კი – დირექტორთა საბჭოს “რისკების კომიტეტი” ან “აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი” თავიანთი წინასწარგანსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში.

ჯგუფის ლიკვიდობის რისკის მართვის პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- ▶ რისკის აპეტიტის განსაზღვრა, კასკადირება და მონიტორინგი ჯგუფის სტრატეგიის აუცილებელი ელემენტებია. რისკის ბიუჯეტი ნაწილდება
- ▶ დაფინანსების უზრუნველყოფა, მთლიანი ვალდებულებების და ბალანსგარეშე, როგორც ფაქტიური ისე პირობითი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად ეკონომიკურ ფასად.

- ▶ ნებისმიერი სტრუქტურული შესაბამისების აღმოჩენა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და მონიტორინგის კოეფიციენტების დადგენა დაფინანსების მართვის უზრუნველსაყოფად ჯგუფის დაბალანსებული ზრდის შესაბამისად; და
- ▶ ლიკვიდობისა და დაფინანსების მუდმივი მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბიზნესის დამტკიცებული მიზნების მიღწევა ჯგუფის რისკის პროფილის საფრთხის ქვეშ დაყენების გარეშე.

დირექტორთა საბჭო განიხილავს ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკას, რის შემდეგაც იგი დასამტკიცებლად წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს.

ლიკვიდობის რისკი ჯგუფდება ორი ტიპის რისკად: დაფინანსების ლიკვიდობისა და საბაზრო ლიკვიდობის რისკები.

დაფინანსების ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მოსალოდნელი და მოულოდნელი მიმდინარე და სამომავლო ფულადი ნაკადების ეფექტურად დაკმაყოფილებას ოპერაციებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის გარეშე როგორც ჩვეულებრივ პირობებში, ისე კრიზისის დროს. დაფინანსების ლიკვიდობის რისკის შესამსუბუქებლად ჯგუფს შემუშავებული აქვს ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტისა ("LCR") და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის ("NSFR") მოდელები, ორივე მათგანი შეესაბამება „ბაზელ III“-ის ლიკვიდობის სახელმძღვანელო მითითებებს. ამასთან, ჯგუფი იყენებს სტრეს-ტესტებსა და "what-if" სცენარების ანალიზს და ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი მინიმალური ლიკვიდობის კოეფიციენტის მონიტორინგს. 2017 წელს „სებ“-მა შემოიღო თავისი "LCR" ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნებისათვის. „ბაზელ III“-ის სახელმძღვანელო მითითებების გარდა, ეს კოეფიციენტი იყენებს კონსერვატიულ მიდგომას დეპოზიტების გადინების კოეფიციენტების მიმართ, რაც დამოკიდებულია კლიენტთა ჯგუფის კონცენტრაციაზე. 2017 წლის სექტემბრიდან ჯგუფი ახორციელებს „სებ“-ის "LCR" ლიმიტების მონიტორინგსაც. მთლიანი "LCR" ლიმიტის გარდა, „სებ“-მა განსაზღვრა ასევე ლიმიტები ვალუტების მიხედვით: ლარსა და უცხოურ ვალუტაში. "LCR" გამოითვლება მაღალილიკვიდური აქტივების გაყოფით 30-დღიანი წმინდა ფულადი სახსრების გადინებაზე და გამოიყენება მოკლევადიანი ლიკვიდობის რისკის მართვისთვის. ლარიზაციის ხელშეწყობისთვის ქვეყანაში, „სებ“-ი განსაზღვრავს დაბალ ლიმიტს ლარში ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტისთვის ("LCR") უცხოურ ვალუტაში "LCR"-თან შედარებით. 2019 წლის ოქტომბრიდან უცხოური ვალუტის სავალდებულო რეზერვი ითვლება 100%-ით "HQLA" ფარგლებში „სებ“-ის "LCR" მიზნებისთვის. იმავე პერიოდში „სებ“-მა შეამცირა უცხოური ვალუტის სავალდებულო მოთხოვნები 30%-დან 25%-მდე.

2019 წლის სექტემბრიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შემოიღო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი ("NBG NSFR") ლიკვიდურობის რისკის მართვის დაფინანსების მიზნებისთვის. "NSFR" გამოითვლება ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსების გაყოფით სტაბილური დაფინანსების საჭიროებაზე და გამოიყენება გრძელვადიანი ლიკვიდურობის რისკის მართვისათვის უფრო ხანგრძლივ პერიოდში მდგრადობის ხელშეწყობისათვის დამატებითი მოტივაციის შესაქმნელად, რათა ბანკი უფრო მეტად დაეყრდნოს დაფინანსების სტაბილურ წყაროს. ყოველთვიურად ბანკი აკონტროლებს დადგენილ ზღვართან შესაბამისობას "NBG NSFR" დაკავშირებით. 31 დეკემბრის მდგომარეობით კოეფიციენტები იყო „სებ“-ის მიერ დადგენილ გონივრულ ზღვარს ზემოთ, შემდეგი სახით:

	2019	2018	2017
საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	32.2%	33.3%	32.5%
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი	126.7%		
მთლიანი ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი	110.1%	113.9%	112.7%
ლარში ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი	83.7%	102.5%	95.6%
უცხოურ ვალუტაში ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი	128.4%	121.1%	122.9%

საბაზრო ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ სუსტი საბაზრო ლიკვიდობის მდგომარეობის ან ბაზარზე შექმნილი პრობლემების გამო ჯგუფმა ვერ უზრუნველყოს გარკვეული პოზიციების დაბალანსება საბაზრო ფასებით.

საბაზრო ლიკვიდობის რისკის მართვისთვის. ჯგუფი ხელმძღვანელობს „ბაზელ III“-ის სახელმძღვანელო მითითებებით მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივის კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის ლიკვიდობის მქონე აქტივების რეალიზაცია ღირებულების მინიმალური დანაკარგებით, ფასის მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე. ამასთან, ჯგუფს აქვს ლიკვიდობის ალტერნატიული გეგმა, რომელიც ლიკვიდობის მართვის მთლიანი გონივრული პოლიტიკის ნაწილია. გეგმა მიზნად ისახავს ჯგუფის მიერ დაფინანსებისა და ლიკვიდურობის მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველყოფასა და მისი ძირითადი ბიზნესოპერაციების შეუფერებლად შესრულებას ლიკვიდობის გაუარესების პირობებში, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ბიზნესსაქმიანობის ფარგლებს გარეთ.

COVID-19-ის პანდემიის შედეგად, ეროვნული ბანკი საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს კონტრციკულ ღონისძიებებს ლიკვიდობის მოთხოვნებთან დაკავშირებით:

- ▶ ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) ლიმიტების შემცირება;
- ▶ სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნების შემცირება უცხოურ ვალუტაში;
- ▶ კრიტერიუმების განახლება ფასიანი ქაღალდების ან რეპოს გარიგებებისთვის, ლარის ლიკვიდობის მხარდასაჭერად.

**დაფინანსება და დაფარვის ვადის ანალიზი**

ჯგუფის ლიკვიდობის ძირითად წყაროს წარმოადგენს დეპოზიტები და ანგარიშები, ადგილობრივი და საერთაშორისო ბანკებიდან და საფინანსო ინსტიტუტებიდან ნასესხები თანხები, სუბორდინირებული სესხები ინვესტორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, ადგილობრივი ბანკთაშორისი მოკლევადიანი დეპოზიტები და სესხები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვისგან მიღებული ამონაგები, სესხების ძირითადი თანხის გადახდები, საპროცენტო შემოსავალი და საკომისიო შემოსავალი. სამეთვალყურეო საბჭოს ხედვით, ერთ-ერთი, რაც ჯგუფს გამოარჩევს, არის მძლავრი და დივერსიფიცირებული დაფინანსების სტრუქტურა. ჯგუფი ძირითადად იზიდავს შედარებით სტაბილურ დეპოზიტებს საქართველოდან, როგორც დაფინანსების უმთავრეს წყაროს. ჯგუფი ასევე მონიტორინგს უწევს მსხვილი დეპოზიტარების კონცენტრაციას და განსაზღვრავს ლიმიტებს არა-რეზიდენტი დეპოზიტარების წილზე მთლიან დეპოზიტების პორტფელში.

თავისი ვალდებულების სტრუქტურის შენარჩუნებისა და შემდგომი გაძლიერებისთვის, ჯგუფი ადგენს მიზნობრივ ნიშნულებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის ინვესტორებისგან მიღებული სახსრებისა და დეპოზიტებისთვის რისკის აპეტიტი შესაბამისი კოეფიციენტების გამოყენებით. გრძელვადიანი ლიკვიდობის და "IFI" დაფინანსების კოეფიციენტი (განსაზღვრულია, როგორც წმინდა სესხების საერთო ღირებულება, გაყოფილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სახსრების და დეპოზიტების საერთო ღირებულების ჯამზე) შეადგენდა 104.3%, 89.1% და 92.3%, შესაბამისად 2019, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს.

იმისთვის, რომ შეფასდეს ბანკის კლიენტის ანგარიშებიდან შესაძლო გადინება, ხელმძღვანელობამ გამოიყენა რისკის ეკონომიკური ღირებულების ანალიზი ("VAR"). VAR 2019 წლის დეკემბრისთვის შეადგენდა 8.4%-ს (2018: 10.9%; 2017: 12.3%). სტატისტიკური მონაცემები გამოყენებული იყო ხუთწლიან საანგარიშო პერიოდისთვის ერთთვიანი ფლობის პერიოდის საფუძველზე 99%-იანი ნდობის დონით. რისკის ეკონომიკური ღირებულების ანალიზი განხორციელდა შემდეგ დაფარვის ვადებში: (0-1

თვე), (0-3 თვე), (0-6 თვე) და (0-12 თვე), რომლის საფუძველზეც გაანგარიშდა დეპოზიტების გადინების მაქსიმალური პროცენტული მაჩვენებელი.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მოთხოვნილი კლიენტის ანგარიშების არსებითი პოზიციის მიუხედავად, ამ დეპოზიტების დივერსიფიკაცია მენაბრეთა რაოდენობისა და ტიპის მიხედვით, და ჯგუფის ძველი გამოცდილება, მიუთითებს იმაზე, რომ კლიენტის ეს ანგარიშები უზრუნველყოფს ბანკისთვის დაფინანსების გრძელვადიან და სტაბილურ წყაროს. უფრო მეტიც, ჯგუფის ლიკვიდობის რისკის მართვა მოიცავს მისი მიმდინარე დეპოზიტების დაფარვის ვადების შეფასებებს. ეს შეფასება ემყარება კლიენტის ანგარიშზე ნაშთების მერყეობის შესახებ ისტორიული ინფორმაციის მიმართ გამოყენებულ სტატისტიკურ მეთოდს.

**საბაზრო რისკი**

ჯგუფის ბალანსური და გარეგანობის პოზიციის მიხედვით, საბაზრო რისკი არის საბაზრო ფასის ცვლილებით გამოწვეული ზარალის რისკი, რაც შეესაბამება ბაზელის კომიტეტის განსაზღვრებას. აღნიშნული რისკები ძირითადად გახლავთ (ა) "სავაჭრო პორტფელში" ასახული (სავაჭროდ ფლობილი) ფინანსური ინსტრუმენტები ან საქონელი, საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული ინსტრუმენტების ან კაპიტალის რისკები; (ბ) სავალუტო კურსის რისკი და სასაქონლო რისკი ჯგუფის მასშტაბით.

ჯგუფის სტრატეგიას არ წარმოადგენს ინვესტიციების განხორციელება სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ინსტრუმენტებში ან საქონელში. შესაბამისად, ჯგუფის ერთადერთი საბაზრო რისკი არის სავალუტო რისკი თავის "სტრუქტურულ წიგნში", რომელიც უკავშირდება რეგულარულ საბანკო საქმიანობას და არ ითვალისწინებს სავაჭრო, საარბიტრაჟო ან სპეკულაციურ განზრახვას.

**სავალუტო რისკი**

საქართველოს ეროვნული ბანკი მოითხოვს ბანკის მიერ საბალანსო მუხლებისა და მთლიანი ბალანსის (ბალანსგარეშე პოზიციების ჩათვლით) ღია სავალუტო პოზიციების მონიტორინგს და ასევე ამ უკანასკნელის შენარჩუნებას ბანკის საწესდებო კაპიტალის 20%-ის ფარგლებში. 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს ბანკი ინარჩუნებდა ღია სავალუტო პოზიციების აგრეგირებულ ნაშთს 0.5%-ის ოდენობით.

ამასთან, სამეთვალყურეო საბჭო დამატებით შეზღუდვებს აწესებს ღია სავალუტო პოზიციებზე. "ALCO"-მ დააწესა რისკის ლიმიტები ვალუტების მიხედვით და აგრეგირებული პოზიციისათვის, რომლებიც უფრო კონსერვატიულია, ვიდრე საქართველოს ეროვნული ბანკისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დაწესებული შეზღუდვები. საზინისა და ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელები ცალ-ცალკე ყოველდღიურად ახორციელებენ ბანკის შესაბამისობის მონიტორინგს ზემოაღნიშნულ შეზღუდვებთან.

## რისკის მართვა გამრძობება

აღნიშნულ ზღვრებთან შესაბამისობის შესახებ ყოველდღიური ანგარიში წარედგინება აგრეთვე დირექტორთა საბჭოს, ხოლო პერიოდულად – სამეთვალყურეო საბჭოსა და მის რისკების კომიტეტს. მთლიანად ჯგუფის დონეზე სავალუტო რისკის მონიტორინგი და ანგარიშგება ხორციელდება ყოველთვიურად. სავალუტო რისკის შესაფასებლად ბანკი ახორციელებს რისკის ეკონომიკური ღირებულების ანალიზს ("VAR") სენსიტიურობის ანალიზს კვარტალურად. ეს ანალიზი გაიანგარიშებს ჯგუფის შემოსავალზე ქართული ლარის კურსის მიმართ სავალუტო კურსების შესაძლო ყველაზე ცუდ ცვლილებას, როდესაც ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებელი მუდმივია. 2019, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მგრძობელობის ანალიზმა არ გამოავლინა რაიმე მნიშვნელოვანი პოტენციური ეფექტი ჯგუფის კაპიტალზე.

ათას ლარში	2019 წლის 31 დეკ. მდგ.	2018 წლის 31 დეკ. მდგ.	2017 წლის 31 დეკ. მდგ.
მაქსიმალური ზარალი ("VAR", 99% სანდოობის დონე)	(1,470)	(6,758)	(1,807)
მაქსიმალური ზარალი ("VAR", 95% სანდოობის დონე)	(1,016)	(4,683)	(1,197)

### საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის პოტენციური ცვლილებებისგან, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე. ეს რისკი შეიძლება წარმოიქმნას აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობას შორის განსხვავებით, ასევე მათი გადაფასების შედეგად. ჯგუფში განთავსებული დეპოზიტები და სასესხო პორტფელის ნაწილი გაცემულია ფიქსირებული პროცენტით, ხოლო ჯგუფის მიერ მოზიდული ნასესხები სასესხების უმეტესობა მიზნულია ცვლად ინდექსზე. ჯგუფის მიერ მოზიდული ცვლადპროცენტის სესხების ნაწილი ჰეჯირებულია, რადგან საქართველოს ეროვნული ბანკი იხდის ცვლად პროცენტს თიბისი ბანკის მინიმალურ რეზერვებზე. ამასთანავე, თიბისი ბანკის მიერ გაცემული სესხების ნაწილი და მიღებული დეპოზიტები შეიცავს ჩანაწერს, რომელიც ბანკს აძლევს საპროცენტო განაკვეთის გადახედვის უფლებას, საპროცენტო განაკვეთების უარყოფითი ცვლილებების შემთხვევაში, რაც ქმნის საპროცენტო რისკის შემცირების შესაძლებლობას. ბანკის ხელმძღვანელობის ხედვით, თიბისი ბანკის საპროცენტო განაკვეთის მარჯები უზრუნველყოფენ ასევე გონივრულ რეზერვს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო უარყოფითი ცვლილების გავლენის შესამცირებლად.

ჯგუფი საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისათვის იყენებს თანამედროვე ჩარჩოს, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი ლიმიტების დაწესებას, მათთან შესაბამისობის მონიტორინგსა და პროგნოზების მომზადებას. საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვას ახორციელებს ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტი, ხოლო მის მონიტორინგს – "ALCO", რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც აუცილებელია საპროცენტო განაკვეთის რისკის ეფექტური მართვისათვის, და თვალყურს ადევნებს მათს განხორციელებას. ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისა და შესაბამისი ანგარიშგების ძირითადი ასპექტების შესახებ პერიოდულად მიეწოდება დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და რისკების კომიტეტს.

რისკის წარმოშობის წყაროების გათვალისწინებით ჯგუფი ზომავს 4 სახის საპროცენტო განაკვეთის რისკს: (ა) გადაფასების რისკს; (ბ) მომგებიანობის მრუდის რისკს; (გ) საბაზისო რისკს; და (დ) არჩევითობის (თანამდევნი ოფციონი) რისკს.

ჯგუფი განიხილავს უამრავ სტრეს-სცენარს, მათ შორის – მომგებიანობის მრუდის სხვადასხვა ცვლილებასა და ფულადი ნაკადების ქვევით კორექტირებებს (როგორცაა: დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანა ან სესხის წინასწარი დაფარვა), რათა გამოითვალოს გავლენა ერთი წლის მომგებიანობასა და კომპანიის ღირებულებაზე. შესაბამის ზღვრებს ადგენს სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭოს რისკის კომიტეტი.

### კონტრაჰენტის რისკი

ისეთი საბანკო მომსახურების გაწევისას, როგორებიცაა: ბანკთაშორის ბაზარზე სესხის გაცემა, ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ტრანზაქციის განხორციელება, ბანკთაშორის ტრანზაქციის შესრულება ვაჭრობის ფინანსირების მიზნით ან ფასიან ქალაქებში ინვესტირება, კონტრაჰენტი ბანკის მიერ მისი ვალდებულებების შესრულებლობის შემთხვევაში თიბისი ბანკი დგება შესაძლო დანაკარგის რისკის წინაშე.

კონტრაჰენტის რისკის მართვის მიზნით ბანკი განსაზღვრავს ლიმიტებს როგორც ინდივიდუალური ბანკებისთვის, ასევე პორტფელის დონეზე, რაც ზღუდავს ზარალის რისკს როგორც საბაზისო, ისე ვაჭრობის დაფინანსების თვალსაზრისით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თიბისი ბანკის ბანკთაშორის პორტფელი კონცენტრირებული იყო სარეიტინგო კომპანიების "Fitch"-ის, "Moody's"-ისა და "Standard and Poor's"-ის მიერ მინიჭებული მაღალი, "A" საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებზე.



## კაპიტალის რისკის მართვა

კაპიტალის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს არ აქვს კაპიტალის საკმარისი დონე საქმიანობების წარმოებისთვის და საზედამხებდველო კაპიტალის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის ჩვეულებრივ ან დასტრესილ გარემოში. ხელმძღვანელობის მიზანია, კაპიტალის მართვის თვალსაზრისით, შეინარჩუნოს კაპიტალის შესაბამისი დონე ბიზნეს სტრატეგიის მხარდასაჭერად, მარეგულირებელი და სტრეს-ტესტებთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასევე ჯგუფის მოქმედ საწარმოდ ფუნქციონირების გაგრძელების უნარის დასაცავად. ჯგუფი ახორციელებს სტრეს-ტესტებს და სენსიტიურობის ანალიზს დამატებითი კაპიტალის მოხმარების განაგარიშებისთვის სხვადასხვა სცენარის ფარგლებში. კაპიტალის პროგნოზები, ასევე სტრეს-ტესტების შედეგები და "what-if / რა-თუ" სცენარები აქტიურად კონტროლდება ბანკის დირექტორთა საბჭოს და რისკის კომიტეტის მიერ კაპიტალში გონივრული მართვის და საჭიროების შემთხვევაში საჭირო ზომების უზრუნველყოფის მიზნით. 2019 წელს ჯგუფმა და ბანკმა დააკმაყოფილა ყველა საზედამხებდველო კაპიტალის მოთხოვნა.

2017 წელს „სებ“-მა განახორციელა ცვლილებები რეგულაციებში კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით. ცვლილებები მოიცავდა კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით შესწორებებს რეგულაციებში და ახალი მოთხოვნების შემოღებას (ა) კომერციული ბანკებისთვის „პილარ 2“-ის ფარგლებში დამატებითი კაპიტალის ბუფერის მოთხოვნების განსაზღვრა ; (ბ) კონტრციკლურობის ბუფერის განსაზღვრა და გ სისტემატურად მნიშვნელოვანი ბანკების დადგენა და სისტემატური ბუფერის მოთხოვნების განსაზღვრა. აღნიშნული ცვლილებების მიზანია ბანკის საზედამხებდველო კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესება და უკეთესი შესაბამისობის მიღწევა „ბაზელ III“-ის ჩარჩოსთან.

**„პილარ 1“-ის მინიმალური მოთხოვნები, მათ შორის კომბინირებული ბუფერული მოთხოვნები.** კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების ცვლილებებმა „პილარ 1“-ის ფარგლებში უზრუნველყო საქართველოს მინიმალური მოთხოვნები, რომელიც შესაბამისია საბანკო საქმიანობის ზედამხებდველობის ბაზელის კომიტეტის მიერ განსაზღვრულ სისტემასთან. ეს ცვლილებებია:

- ▶ საზედამხებდველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნებიდან მოხდა კონსერვაციის ბუფერის - 2.5%-ის ცალკე გამოყოფა, რომელიც აქამდე ინტეგრირებული იყო მინიმალურ მოთხოვნებში. შედეგად, განახლებული კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები შეადგენს 4.5%, 6% და 8%-ს ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და მთლიანი საზედამხებდველო კაპიტალის მოთხოვნების შესაბამისად.

- ▶ დამატებით განისაზღვრა „კომბინირებული ბუფერის“ მოთხოვნა რომელსაც ბანკი უნდა ფლობდეს ძირითად პირველად კაპიტალის მეშვეობით, რომელიც შედგება კონსერვაციის, კონტრციკლური და სისტემური ბუფერებისგან

კონსერვაციის ბუფერის განაკვეთად განისაზღვრა რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციების 2.5%, ხოლო კონტრციკლური ბუფერის განაკვეთად 0%. კონტრციკლური ბუფერი შეიძლება დაწესდეს რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 0%-დან 2.5%-ის შუალედის ფარგლებში. აღნიშნული გადაიხედება პერიოდულად, ფინანსური და მაკროეკონომიკური გარემოს საფუძველზე. გარდა ამისა, „სებ“-მა განსაზღვრა საქართველოში სამი კომერციული ბანკი, როგორც ადგილობრივი სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკები („DSIBs“), სისტემურად მნიშვნელოვანი კომერციული ბანკებისათვის მოხდა სისტემურობის ბუფერის შემოღება. რაც ნიშნავს, იმას, რომ ამ ბანკებს („DSIBs“) მოუწევთ უფრო მეტი ძირითადი პირველადი კაპიტალის გადაადგება, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისთვის. ამ მოთხოვნების განხორციელებისთვის განისაზღვრა პერიოდი 2018 წლის ბოლოდან 2021 წლის ბოლომდე. კერძოდ „სებ“-ის მიერ განისაზღვრა ქვემოთ წარმოდგენილი სისტემური ბუფერები და შესაბამისობაში მოყვანის ვადები: 1.0% - 2018 წლის 31 დეკემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, 1.5% - 2019 წლის 31 დეკემბრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, 2.0% - 2020 წლის 31 დეკემბრიდან 2021 წლის დეკემბრამდე პერიოდისთვის და 2.5% - 2021 წლის 31 დეკემბრიდან

**„პილარ 2“-ის მოთხოვნები.** „ბაზელ III“-ის შესაბამისად, „სებ“-მა დანერგა ბუფერული კაპიტალის მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის „პილარ 2“-ის ფარგლებში, რომლებიც ეფუძნება საზედამხებდველო შემოწმებას და შეფასებას და ეხება ბანკისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლებიც არ არის საკმარისად გათვალისწინებული „პილარ 1“-ში, მათ შორის არაჰეჯირებული სავალუტო რისკის ბუფერი და საერთო შეფასების რისკის (GRAPE) წმინდა ბუფერი. „სებ“-მა ასევე შემოიღო საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის ბუფერი და წმინდა სტრეს-ტესტის ბუფერი. საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის ბუფერს ძალაში შევიდა 2018 წლის 1 აპრილიდან და წმინდა სტრესის ბუფერის საჭიროება შეფასდება რეგულატორული სტრეს-ტესტების შედეგების საფუძველზე. „სებ“-ის რეგულაციის შესაბამისად, კაპიტალის 56%, რომელიც მოთხოვნილია „პილარ 2“-ის ფარგლებში, დაჯგუფებული იყო ძირითადი პირველადი კაპიტალით, 75% - პირველადი კაპიტალით და 100% - საერთო საზედამხებდველო კაპიტალით. 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის „პილარ 2“-ის მოთხოვნა ძირითადი პირველადი, პირველად და მთლიანი საზედამხებდველო კაპიტალზე შეადგენს 1.9%, 2.5% და 5.5%

## რისკის მართვა გზროქლება

როგორც პირველადი, ასევე მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატრობის კოეფიციენტები გამოითვლება „სებ“-ის მიერ შემოღებული „ბაზელ III“ მეთოდოლოგიის საფუძველზე. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია კაპიტალის ადეკვატრობის კოეფიციენტები, ასევე „სებ“-ის მიერ დაწესებული მინიმალური მოთხოვნები.

ათას ლარში	2019	2018	2017
<b>პირველადი კაპიტალი</b>	<b>2,281,706</b>	1,678,716	1,437,218
<b>მეორადი კაპიტალი</b>	<b>692,323</b>	672,553	448,069
<b>საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>2,974,029</b>	2,351,269	1,885,287
<b>რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები</b>			
საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	13,825,677	11,458,497	9,754,146
საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	15,429	179,381	28,802
საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	1,749,821	1,516,993	970,241
<b>სულ რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები</b>	<b>15,590,927</b>	13,154,871	10,753,189
<b>მინიმალური პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი</b>	<b>12.5%</b>	11.8%	10.3%
<b>პირველადი კაპიტალის ადეკვატრობის კოეფიციენტი</b>	<b>14.6%</b>	12.8%	13.4%
<b>მინიმალური მთლიანი კაპიტალის ადეკვატრობის კოეფიციენტი</b>	<b>17.5%</b>	16.7%	12.9%
<b>მთლიანი კაპიტალის ადეკვატრობის კოეფიციენტი</b>	<b>19.1%</b>	17.9%	17.5%

ბანკის აქტივების დაყოფა საბალანსო ღირებულებით „სებ“-ის სააღრიცხვო წესების საფუძველზე და 31 დეკემბრისთვის შესაბამისი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

ათას ლარში	2019	
	საბალანსო ღირებულება	რისკის მიხედვით შეწონილი მოცულობა
ფული, ფულის ექვივალენტები, ბანკთაშორისი რისკები და ფასიანი ქაღალდები	4,432,843	1,733,894
სულ სესხები და დარიცხული პროცენტი, დასაკუთრებული აქტივები	11,582,327	9,037,390
ფიქსირებული აქტივები და არამატერიალური აქტივები	78,384	78,384
ფიქსირებული აქტივები და არამატერიალური აქტივები	628,655	366,364
სხვა აქტივები	1,349,790	1,603,780
გამოკლებული საერთო რეზერვი, საურავის და პროცენტის რეზერვი	(39,886)	(39,886)
<b>სულ</b>	<b>18,032,113</b>	<b>12,779,926</b>
<b>სულ არასაბალანსო</b>	<b>5,203,594</b>	<b>1,045,751</b>
<b>საბაზრო რისკი</b>	<b>15,429</b>	<b>15,429</b>
<b>საოპერაციო რისკი</b>	<b>933,238</b>	<b>1,749,821</b>
<b>ჯამური თანხა</b>	<b>24,184,374</b>	<b>15,590,927</b>

ათას ლარში	2018	
	საბალანსო ღირებულება	რისკის მიხედვით შეწონილი მოცულობა
ფული, ფულის ექვივალენტები, ბანკთაშორისი რისკები და ფასიანი ქაღალდები	4,181,199	1,625,289
სულ სესხები და დარიცხული პროცენტი, დასაკუთრებული აქტივები	9,206,646	7,203,609
ფიქსირებული აქტივები და არამატერიალური აქტივები	46,755	46,755
ფიქსირებული აქტივები და არამატერიალური აქტივები	508,582	287,403
სხვა აქტივები	1,428,945	1,639,128
გამოკლებული საერთო რეზერვი, საურავის და პროცენტის რეზერვი	(37,705)	(37,705)
<b>სულ</b>	<b>15,334,422</b>	<b>10,764,479</b>
<b>სულ არასაბალანსო</b>	<b>2,694,174</b>	<b>694,019</b>
<b>საბაზრო რისკი</b>	<b>179,381</b>	<b>179,381</b>
<b>საოპერაციო რისკი</b>	<b>809,063</b>	<b>1,516,993</b>
<b>ჯამური თანხა</b>	<b>19,017,040</b>	<b>13,154,871</b>

ათას ლარში	2017	
	საბალანსო ღირებულება	რისკის მიხედვით შემოწმებული მოცულობა
ფული, ფულის ექვივალენტები, ბანკთაშორის რისკები და ფასიანი ქაღალდები	3,510,760	1,275,017
სულ სესხები და დარიცხული პროცენტი,	8,233,132	6,798,464
დასაკუთრებული აქტივები	58,530	58,530
ფიქსირებული აქტივები და არამატერიალური აქტივები	437,878	264,768
სხვა აქტივები	553,176	713,096
გამოკლებული საერთო რეზერვი, საურავის და პროცენტის რეზერვი	(30,862)	(30,862)
<b>სულ</b>	<b>12,762,614</b>	<b>9,079,013</b>
<b>სულ არასაბალანსო</b>	<b>1,919,565</b>	<b>675,133</b>
<b>საბაზრო რისკი</b>	<b>28,802</b>	<b>28,802</b>
<b>საოპერაციო რისკი</b>	<b>517,462</b>	<b>970,241</b>
<b>ჯამური თანხა</b>	<b>15,228,443</b>	<b>10,753,189</b>

COVID-19-ის პანდემიის შედეგად, ეროვნულმა ბანკმა განახორციელა გარკვეული კონტრციკლური ღონისძიებები, კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით:

- ▶ 2020 წლის მარტში დაგეგმილი პირველადი კაპიტალის მოთხოვნების ზრდის (საკრედიტო პორტფელის კონსენტრაციის რისკისა და წმინდა GRAPE ბუფერისთვის) დროებით გადავადება;
- ▶ ბანკებისთვის შეამსუბუქებულა კაპიტალის მოთხოვნები, რაც გულისხმობს კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის და; პილარ 2-ის ბუფერის ნაწილის (არაჰეჯირებული საკრედიტო რისკის ბუფერის 2/3) გაუქმებას;
- ▶ ასევე ბანკებს ეძლევათ შესაძლებლობა რომ საჭიროების შემთხვევაში გამოთავისუფლდეს ყველა „პილარ 2“-ის ბუფერი (დარჩენილი 1/3 არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი, კონსენტრაციის რისკის ბუფერი და წმინდა GRAPE ბუფერი).

იმ დროის განმავლობაში, როცა ბანკი იყენებს კონსერვაციის და „პილარ 2“-ის ბუფერებს, შეზღუდულია კაპიტალის განაწილება.

თუ ეროვნული ბანკი შეცვლის გადაწყვეტილებას კაპიტალის ადეკვატურობის ლიმიტებთან დაკავშირებით, საბანკო სექტორს უნდა ჰქონდეს ერთი წელი, რომ შეასრულოს ცვლილებები.

მარტში განხორციელებული რეზერვის<sup>1</sup> და ლარის გაუფასურების შედეგად 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალი, პირველადი კაპიტალი და მთლიანი კაპიტალი შეადგენს 9.1%-ს, 12.0%-ს და 16.7%-ს მარეგულირებელ მინიმალურ მოთხოვნებთან, რომელიც კონსერვაციის ბუფერის და 2/3 სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის გამოყენების საშუალებას იძლევა.: 6.9%, 8.8% და 13.3%-თან შედარებით.

### კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი კაპიტალის შესახებ ბაზელის 1988 წლის შეთანხმების შესაბამისად

ჯგუფი და ასევე ბანკი ექვემდებარება სესხის ხელშეკრულებებში მითითებული შეთანხმებებით განსაზღვრული კაპიტალის საკმარისობის მინიმალურ მოთხოვნებს, მათ შორის კაპიტალის ადეკვატურობის დონეებს, რომლებიც გაანგარიშებულია ბაზელის შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად და განსაზღვრულია კაპიტალის პარამეტრებისა და ნორმატივების საერთაშორისო კონვენციის (განახლდა 1998 წლის აპრილში) და კაპიტალის შესახებ ბაზელის შეთანხმების ცვლილებების შესაბამისად, რომელიც მოიცავს საბაზრო რისკებს (განახლდა 2005 წლის ნოემბერში), და ცნობილია „ბაზელ I“-ის სახელწოდებით.

<sup>1</sup> ეროვნულ ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობით ბანკმა დამატებით შექმნა სესხის დანაკრგების რეზერვის ბუფერი, იმისთვის, რომ მზად იყოს COVID-19-ის პანდემიის მოსალოდნელი უარყოფითი გავლენისთვის. 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით თიბისი ბანკმა ადგილობრივი სტანდარტების შესაბამისად გადაწყვიტა, რომ გამოეყო დამატებით რეზერვები სესხის პორტფელის 3.1%-ის ოდენობით.

## რისკის მართვა გავრცელება

ჯგუფის კაპიტალის შემადგენლობა, რომელიც დათვლილია ბაზელის შეთანხმების შესაბამისად შემდეგია:

ათას ლარში	2019	2018	2017
<b>პირველადი კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	542,204	542,204	524,807
გაუნაწილებელი მოგება და გამჟღავნებული რეზერვები	1,945,728	1,509,990	1,254,331
გამოკლებული: გუდვილი	(29,459)	(29,459)	(26,892)
არსაკონტროლო წილი	582	527	4,735
დამატებითი პირველადი კაპიტალი	358,463	-	-
<b>სულ პირველადი კაპიტალი</b>	<b>2,817,518</b>	<b>2,023,262</b>	<b>1,756,981</b>
<b>მეორადი კაპიტალი</b>			
გადაფასების რეზერვი	43,195	58,995	64,489
საერთო რეზერვი	159,938	129,739	109,372
სუბორდინირებული ვალი (შეთანილია მეორად კაპიტალში)	529,772	548,508	355,944
<b>სულ მეორადი კაპიტალი</b>	<b>732,905</b>	<b>737,242</b>	<b>529,805</b>
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>3,550,423</b>	<b>2,760,504</b>	<b>2,286,786</b>
საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (მათ შორის საბალანსო ვალდებულება)	12,795,066	10,379,124	8,749,752
გამოკლებული: საერთო რეზერვი	(152,618)	(204,391)	(118,492)
საბაზრო რისკი	34,216	210,916	40,803
<b>სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები</b>	<b>12,676,664</b>	<b>10,385,649</b>	<b>8,672,063</b>
<b>მინიმალური პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი</b>	<b>4.0%</b>	<b>4.0%</b>	<b>4.0%</b>
<b>პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი</b>	<b>22.2%</b>	<b>19.5%</b>	<b>20.3%</b>
<b>მინიმალური მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი</b>	<b>8.0%</b>	<b>8.0%</b>	<b>8.0%</b>
<b>მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი</b>	<b>28.0%</b>	<b>26.6%</b>	<b>26.4%</b>

„ბაზელ I“-ის სახელმძღვანელო მითითებების შემდეგ, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულია საერთო რეზერვი როგორც მინიმუმ:

- „ფასს“ რეზერვები, შექმნილი კრედიტებზე გაუფასურების ინიცირების მოვლენის გარეშე
- სესხების 2%, გაუფასურების ინიცირების მოვლენის გარეშე
- მთლიანი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25% („RWA“).

ბანკის აქტივების დანაწილება საბალანსო ღირებულებით „სებ“-ის სააღრიცხვო წესების საფუძველზე და 2019, 2018 და 2017 წლების შესაბამისი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:

ათას ლარში	2019	
	საბალანსო ღირებულება	რისკის მიხედვით შეწონილი თანხა
<b>რისკის მიხედვით შეწონილი ზარალი</b>		
ფული და სხვა ფულის ექვივალენტები, სავალდებულო სალარო ნაშთი „სებ“-ში, სასსრები სხვა ბანკში, „FVOCI“ შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	4,611,420	203,036
სულ სესხები და დარიცხული პროცენტები	12,661,955	10,069,296
დასაკუთრებული აქტივები	157,150	157,150
ფიქსირებული აქტივები და არამატერიალური აქტივები	626,191	596,732
სხვა აქტივები	562,456	562,456
<b>სულ</b>	<b>18,619,172</b>	<b>11,588,670</b>
<b>სულ არასაბალანსო</b>	<b>5,171,419</b>	<b>1,206,395</b>
მინუს: სესხის ზარალის რეზერვს გამოკლებული საერთო რეზერვი	(152,618)	(152,618)
<b>საბაზრო რისკი</b>	<b>34,216</b>	<b>34,216</b>
<b>სულ თანხა</b>	<b>23,672,189</b>	<b>12,676,663</b>

ათას ლარში

2018

რისკის მიხედვით შეზღუდული ზარალი	საბალანსო ღირებულება	რისკის მიხედვით შეზღუდული თანხა
ფული და სხვა ფულის ექვივალენტები, სავალდებულო სალარო ნაშთი „სებ“-ში, სახსრები სხვა ბანკში, "FVOCI" შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	4,285,970	244,844
სულ სესხები და დარიცხული პროცენტები	10,372,582	8,281,144
დასაკუთრებული აქტივები	124,643	124,643
ფიქსირებული აქტივები და არამატერიალური აქტივები	504,035	474,576
სხვა აქტივები	499,747	499,747
<b>სულ</b>	<b>15,786,977</b>	<b>9,624,954</b>
<b>სულ არასაბალანსო</b>	<b>2,674,697</b>	<b>754,170</b>
მინუს: სესხის ზარალის რეზერვს გამოკლებული საერთო რეზერვი	(204,391)	(204,391)
<b>საბალანსო რისკი</b>	<b>210,916</b>	<b>210,916</b>
<b>სულ თანხა</b>	<b>18,468,199</b>	<b>10,385,649</b>

ათას ლარში

2017

რისკის მიხედვით შეზღუდული ზარალი	საბალანსო ღირებულება	რისკის მიხედვით შეზღუდული თანხა
ფული და სხვა ფულის ექვივალენტები, სავალდებულო სალარო ნაშთი „სებ“-ში, სახსრები სხვა ბანკში, "FVOCI" შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	3,609,132	214,353
სულ სესხები და დარიცხული პროცენტები	8,553,217	6,885,960
დასაკუთრებული აქტივები	116,809	116,809
ფიქსირებული აქტივები და არამატერიალური აქტივები	476,027	449,136
სხვა აქტივები	409,876	409,876
<b>სულ</b>	<b>13,165,061</b>	<b>8,076,134</b>
<b>სულ არასაბალანსო</b>	<b>1,907,457</b>	<b>673,618</b>
მინუს: სესხის ზარალის რეზერვს გამოკლებული საერთო რეზერვი	(118,492)	(118,492)
<b>საბალანსო რისკი</b>	<b>40,803</b>	<b>40,803</b>
<b>სულ თანხა</b>	<b>14,994,829</b>	<b>8,672,063</b>

## არაფინანსური რისკის მართვა

### საოპერაციო რისკის მართვა

ჯგუფის წინაშე არსებული რისკებიდან ერთ-ერთი მთავარია საოპერაციო რისკი, რომელიც არის არასათანადო ან გაუმართავი პროცესებისა და სისტემებისგან ადამიანის შეცდომის, თაღლითობის ან გარე მოვლენების შედეგად ზარალის მიღების რისკი. ის მოიცავს იურიდიულ რისკს, მაგრამ არ მოიცავს სტრატეგიულ და რეპუტაციის რისკებს. თუმცა რეპუტაციის რისკის მართვასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, პრიორიტეტულია და ორგანიზაციის საერთო რისკის კულტურის შემადგენელი ნაწილია.

ჯგუფს შეეხება უწევს მრავალი სახის საოპერაციო რისკთან, მათ შორისაა: თაღლითობა და სხვა შიდა თუ გარე კრიმინალური ქმედებები; პროცესების, კონტროლის ან პროცედურების დარღვევა; სისტემების შეფერხებები ან გარე მხარისაგან კიბერშეტევები ჯგუფის კლიენტებისათვის მომსახურების ან დამხმარე ინფრასტრუქტურის ხელმიუწვდომლობის მიზნით, რაც, თავის მხრივ, საფრთხის ქვეშ აყენებს ჯგუფის, მისი კლიენტების, პარტნიორების ან მომხმარებლების დაცულ ინფორმაციასა და ფინანსურ ოპერაციებს.

გარდა ამისა, ჯგუფს გააჩნია ისეთი რისკები, რომლებიც იწვევენ კრიტიკული ფუნქციების მქონე სისტემების ან ბიზნესის შეფერხებას ისეთი მოვლენების შედეგად, რომლებიც მის კონტროლს საერთოდ ან ნაწილობრივ არ ექვემდებარება, როგორებიცაა: ბუნებრივი კატასტროფები, სატრანსპორტო ან კომუნალური მომსახურების შეფერხება და სხვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ზარალი ან მომხმარებელთა მომსახურების შეწყვეტა ან დაზარალებული ეკონომიკური ზარალი ჯგუფისთვის.

ზემოთ განხილული საოპერაციო რისკები ვრცელდება ისეთ სიტუაციებზეც, როდესაც ჯგუფი მომსახურებას გარე მომხმარებლისგან იღებს. სწრაფად ცვალეადი გარემოს და, როგორც საბანკო მომსახურების, ისე პოტენციურ თაღლითობათა სირთულის გათვალისწინებით, იზრდება პროცესების, კონტროლის, პროცედურებისა და სისტემების მუდმივად გაუმჯობესების მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული რისკი ან შემცირდეს ჯგუფის მიერ ზარალის მიღების რისკი.

საოპერაციო რისკის გადახედვისა და შერბილების მიზნით, ჯგუფში შექმნილია საოპერაციო რისკის მართვის ჩარჩო, ყოველსამომცველი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ეფექტური საოპერაციო რისკის მართვის ზოგადი პრინციპები, განმარტებულია პროცესში მონაწილე მხარეების ფუნქციები და პასუხისმგებლობები. ამ ჩარჩოს შემადგენელი ნაწილია პოლიტიკა და პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია საოპერაციო რისკების ეფექტური მართვა. დირექტორთა საბჭო უზრუნველყოფს მძლავრი შიდა კონტროლის კულტურის ჩამოყალიბებას ჯგუფში, სადაც კონტროლის ღონისძიებები ოპერაციების შემადგენელი ნაწილია. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს საოპერაციო რისკის დასაშვებ დონეს, ხოლო საოპერაციო რისკების კომიტეტი ახორციელებს ამ ზღვრებთან შესაბამისობის ზედამხედველობას. საოპერაციო რისკების კომიტეტი რეგულარულად განიხილავს ჯგუფის საოპერაციო რისკის პროფილსა და რისკის მინიმუმამდე შემცირების რეკომენდაციებს.

საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი ასრულებს დაცვის მეორე დონის ფუნქციას. იგი პასუხისმგებელია ზემოთ აღნიშნული ჩარჩოს, სათანადო პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაზე, რათა ჯგუფმა შეძლოს საოპერაციო რისკების მართვა, ასევე პასუხისმგებელია საოპერაციო რისკის მქონე მოვლენების მონიტორინგზე, რისკის მისაღები დონისა და კონტროლის გარემოში არსებითი სისუსტეების მონიტორინგზე. აღნიშნული დეპარტამენტი პასუხისმგებელია აგრეთვე საოპერაციო რისკების ყოველდღიურ მართვაზე სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით. აღნიშნული მოიცავს შემდეგს და არა მხოლოდ: სამუშაო რისკისა და კონტროლის თვითშეფასება, რომლის მიზანია ოპერაციებისა და პროცესებში შესაძლო ნაკლოვანებების აღმოჩენა სათანადო გამოსასწორებელი ღონისძიებების შესათავაზებლად; რისკის შემცველი შიდა მოვლენების მონაცემთა ბაზის შექმნა შემდგომი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზისათვის; შიდა კონტროლის ფუნქციონირება საბანკო ოპერაციებში სისტემური შეცდომების, შიდა თაღლითობის შემთხვევების აღმოსაჩენად და ძირითადი რისკის მაჩვენებლების მონიტორინგი; სცენარებისა და გამომწვევი მიზეზების ანალიზი; ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა არასტანდარტულ შემთხვევებთან დაკავშირებით ისევე, როგორც ახალი პროდუქტებისა და პროცედურების შეფასება; საინფორმაციო ტექნოლოგიების ინციდენტების ხდომილობის მონიტორინგი და იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის ღონისძიებების განხორციელების ზედამხედველობა; და სადაზღვევო პოლისების შექმნა საოპერაციო რისკის შემცველი მოვლენებიდან ზარალის რისკის გადასაცემად.

საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტმა გააძლიერა თავისი შიდა კონტროლის, რისკის შეფასების ჯგუფები და მეთოდოლოგია, რათა კიდევ უფრო დახვეწოს არსებული კონტროლის გარემო. იგივე ვრცელდება იმ ქმედებათა ერთობლიობაზე, რომლებიც მიმართულია საოპერაციო რისკის მართვის ღონისძიებათა ჰომოგენიზებაზე ჯგუფის წევრ კომპანიებში. საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია რისკების მართვის დირექტორის წინაშე. საოპერაციო რისკების კონტროლისა და შემსუბუქების მიზნით დანერგულია სხვადასხვა პოლიტიკა, პროცესები და პროცედურები, მათ შორის: აუტორისინგის რისკის მართვის პოლიტიკის დანერგვა, რაც ჯგუფს აუტორისინგის (ვენდორების) რისკის მართვის საშუალებას მისცემს, რომელიც წარმოიშობა უარყოფითი მოვლენებისა და რისკის კონცენტრაციის გამო ვენდორის წარუმატებელი შერჩევის შედეგად, ვენდორის და/ან ვენდორის მიერ მოწოდებული მომსახურების არასაკმარისი კონტროლისა და ზედამხედველობის, ასევე ვენდორის სხვა გავლენების გამო; სისტემური ნაკლოვანებების ანალიზის მიზნით პროცედურების განხორციელება და გამოსასწორებელი ზომების მიღება მნიშვნელოვანი ზარალის განმეორების თავიდან ასაცილებლად; საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტის ჩართვა ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების დამტკიცების პროცესში, რათა მინიმუმამდე შემცირდეს დაკავშირებული რისკები; და სპეციალური საოპერაციო რისკის გაცნობიერების პროგრამის შემუშავება ჯგუფის თანამშრომლებისათვის და ტრენინგების რეგულარულად ჩატარება ჯგუფის შიდა რისკების კულტურის კიდევ უფრო გასაძლიერებლად.

საანგარიშო პერიოდში საოპერაციო რისკების მართვის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო რისკისა და კონტროლის თვითშეფასება ("RCSA"), რომელიც ფარგლებშიც მოხდა ბანკის ყველაზე პრიორიტეტული პროცესების გადახედვა და გაუმჯობესების სფეროების განსაზღვრა. გარდა ამისა, ბანკი აქტიურად მუშაობდა ბანკის მასშტაბით საოპერაციო რისკის რეესტრის შემუშავებაზე.

**შესაბამისობა**

შესაბამისობის რისკების მართვის განყოფილება არის მთავარი სამსახური, რომელიც ასრულებს ბანკის შესაბამისობის ფუნქციას, აქვს ოფიციალური სტატუსი და დამოუკიდებელია მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და ბიზნესმიმართულებებისგან

შესაბამისობის უზრუნველყოფის ფუნქციურ როლს ასრულებს შესაბამისობის ოფიცერი, რომელიც მოქმედებს, როგორც მრჩეველი და კოორდინატორი რეგულაციებთან შესაბამისობის დაკავშირებულ საკითხებზე სტრუქტურული ერთეულებისა და ბიზნესმიმართულებებისათვის. შესაბამისობის რისკების მართვის განყოფილების უფროსი ფუნქციურად ექვემდებარება გენერალურ

დირექტორს და კვარტალურად აბარებს ანგარიშს რისკის კომიტეტს. აღნიშნული განყოფილება პასუხისმგებელია ჯგუფის შესაბამისობისა და რეპუტაციის რისკის მართვაზე. იგი უზრუნველყოფს შემდეგი პოლიტიკის მოთხოვნების განხორციელებასა და მონიტორინგს: ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა; სანქციების პოლიტიკა, მექრთამეობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და გადასახადებისგან თავის არიდების პრევენციის პოლიტიკა; დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელების შესახებ პოლიტიკა; ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისა და რეპორტირების პოლიტიკა; ეთიკის კოდექსი; საკანონმდებლო ცვლილებების მართვის პოლიტიკა და ინციდენტის მართვის პოლიტიკა.

შესაბამისობის რისკების მართვის განყოფილება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკს მართავს პროცესებზე პასუხისმგებელი პირების მიერ კანონებსა და რეგულაციებში ცვლილებების დროულად განხორციელების უზრუნველყოფით. შესაბამისობის რისკების მართვის განყოფილება მონაწილეობას იღებს ახალი პროდუქტის / პროცესის დამტკიცების პროცესში. დამატებით განყოფილება ატარებს მომხმარებელთა პრეტენზიების გამომწვევი მიზეზების, საოპერაციო რისკის გამომწვევი მოვლენების მონაცემთა ბაზის, შიდა აუდიტის მიერ გამოვლენილი ხარვეზებისა და სასამართლო საქმეების ანალიზს, სხვადასხვა პროცესების სუსტი მხარეების პროაქტიულად გამოვლენის მიზნით. აღნიშნული ანალიზის საბოლოო შედეგების საფუძველზე განყოფილება აინიცირებს ცვლილებებს შიდა ინსტრუქციებში ან აძლევს რეკომენდაციებს ბანკის სტრუქტურულ ერთეულებს შესაბამისი პროცესების ცვლილებების შესახებ. შესაბამისობის რისკის მართვის ოფიცერს აქვს კონსულტანტის ფუნქცია შესაბამისობის რისკის მართვასთან დაკავშირებით. განყოფილება ატარებს ტრენინგებს არსებული თანამშრომლებისა და ახალი თანამშრომლებისთვის დისტანციური სწავლების ან პირისპირ საკლასო სესიების მეშვეობით, რითაც ხელს უწყობს ჯგუფში შესაბამისობის კულტურის განვითარებას.

„სებ“-ი თავისი საზედამბებლო ფუნქციების ფარგლებში, საქართველოს ფინანსურ კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მიმართავს ფინანსური ინსტიტუტების შემოწმებას. 2018 წლის განმავლობაში „სებ“-მა განახორციელა ბანკის ინსპექტირება 2007 და 2008 წლებში შესრულებულ გარკვეულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით. ინსპექციის მტკიცებით აღნიშნული ტრანზაქციები ბანკსა და გარკვეულ ერთეულებს შორის ტექნიკურად არ შეესაბამებოდა საქართველოს კანონს რომელიც არეგულირებს ინტერესთა კონფლიქტის საკითხებს. 2019 წლის თებერვალში კომპანიამ, ბანკმა და ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნეს ერთობლივი

განცხადება, რომელიც ადასტურებს რომ საკითხი დარეგულირდა და რომ ბანკი სრულად აკმაყოფილებს „სებ“-ის მიერ დადგენილ ეკონომიკურ ნორმატიულ მოთხოვნებსა და ლიმიტებს. აღნიშნულის პასუხად დამფუძნებელი აქციონერები გადადგნენ დაკავებული თანამდებობებიდან როგორც კომპანიაში, ასევე ბანკში. კომპანიამ დაწერა „Mirror Board“ სტრუქტურა და გააძლიერა სამეთვალყურეო საბჭო ახალი კადრებით. გარდა ამისა, ბანკმა გარეშე კონსულტანტების დახმარებით, გადახედა ბანკის შიდა კონტროლის სისტემებს. მიუხედავად იმისა, რომ გარე კონსულტანტების მიერ არ გამოვლენილა რაიმე არსებითი ხარვეზები ბანკის არსებულ შიდა კონტროლისა და შესაბამისობის სისტემებში, მათ მიერ გამოითქვა კონკრეტული ტექნიკური რეკომენდაციები ბანკის არსებული პროცესების და პროცედურების გასაუმჯობესებლად, რომლის დარგვაც ამჟამად მიმდინარეობს ბანკის მიერ.

პარალელურად საქართველოს პროკურატურამ ასევე დაიწყო გამოძიება იმავე საკითხზე და ბრალი წაუყენა ბანკის დამფუძნებლებს. დამფუძნებლების სასამართლო საქმე მიმდინარეობს. თუმცა დამფუძნებლებმა დატოვეს ყველა პოზიცია ჯგუფში და ბანკში.

### ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა („AML“)

ჯგუფს აქვს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის („AML“/„CTF“) მაღალი სტანდარტი და მოითხოვს ჯგუფის ყველა წევრმა კომპანიამ, ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა დაიცვან აღნიშნული სტანდარტები თიხის ბანკის პროდუქტების და მომსახურებების ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების მიზნით გამოყენების პრევენციისთვის. ჯგუფის „AML“/„CTF“ პროგრამა ეფუძნება ოქმედ იურიდიულ და ნორმატიულ მოთხოვნებს, რომლებიც შეესაბამება „FATF“ რეკომენდაციებს, ევროკავშირის რეგულაციებს და საუკეთესო პრაქტიკას.

ჯგუფის „AML“/„CTF“ შესაბამისობის პროგრამა შედგება წერილობითი პოლიტიკების, პროცედურების, შიდა კონტროლისა და პროგრამულ სისტემებს, მათ შორის და არა მხოლოდ: პოლიტიკას და პროცედურებს „AML“ კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის; „იცნობდე შენს კლიენტს“ პროცედურებს რისკებზე დამყარებული მიდგომით; კლიენტებისა და ტრანზაქციაში მონაწილე მხარეების გადამოწმებას სანქცირებულ პირთა სიებში; ; პერსონალის რეგულარულ ტრენინგებს და ინფორმირებულობის ამაღლებას; ტრანზაქციების მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურებს; და სხვა.

დაცვის მეორე ხაზის ფარგლებში „AML“ განყოფილება უზრუნველყოფს რისკების მართვას ჯგუფის მიერ განსაზღვრული რისკის აპეტიტის შესაბამისად და ხელს უწყობს ძლიერი რისკის კულტურას ორგანიზაციის მასშტაბით.

ჯგუფს აქვს კომპლექსური "AML" პროგრამული უზრუნველყოფა, რაც შესაძლებლობას აძლევს "AML" განყოფილებას დაიცვას სანქციების პოლიტიკა, განახორციელოს ტრანზაქციების მონიტორინგი და გამოავლინოს საეჭვო ქცევა. "AML" განყოფილება მუშაობს პროგრამული უზრუნველყოფის მუდმივ გაუმჯობესებაზე საოპერაციო ეფექტურობის გაზრდისა და ცრუ დამთხვევების რაოდენობის შემცირების მიზნით.

2019 წლის ნოემბერში მიღებული იქნა საქართველოს კანონი "ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ". ბანკის მიერ ჩატარდა გეპ-ანალიზი, რის შედეგადაც დაიგეგმავს შიდა პროცესების და პროცედურების ცვლილებები ახალი მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც განხორციელდება 2020 წლის განმავლობაში.

### იურიდიული

ბანკის იურიდიული განყოფილება ხელმძღვანელობს ბანკისა და ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა იურიდიულ და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ მისიის შესრულებისას ბანკის საქმიანობა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებს, იურიდიული გუნდი ახორციელებს სხვადასხვა სახის პროფესიონალურ იურიდიულ სერვისებს: (i) ურთიერთქმედებს შიდა და გარე კლიენტებთან, გარე მრჩეველთან, მთავრობასთან და მარეგულირებელ პირებთან, (ii) გამოსცემს მომერანდუმებს და დასკვნებს, (iii) ამზადებს სტანდარტიზებული და ინდივიდუალური ხელშეკრულებების მონახაზებს, (iv) ამზადებს კორპორატიულ რეზოლუციებს, (v) უზრუნველყოფს რეგულაციების განახლებებს, (vi) წარმოადგენს ბანკს სასამართლოებზე, დავების გადაწყვეტის სხვა ადგილებსა და სხვა მესამე პირების წინაშე. იურიდიული გუნდი, რომელიც შედგება მრავალფეროვანი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე იურისტებისგან, მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან განყოფილებებს - მარეგულირებელი და სამართლებრივი შესაბამისობა, კორპორატიული, დავების გადაწყვეტისა და კორპორაციული მართვის გუნდები. თითოეული განყოფილება ფუნქციონირებს მკაფიო და გასაგები სამუშაო აღწერილობით, რაც შეესაბამება მისი წევრების ცოდნასა და უნარებს. ეჭაილზე გადასვლის შედეგად ზოგიერთი იურისტი მჭიდრო თანამშრომლობაშია გუნდებთან, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კონკრეტულ კომერციულ პროექტებზე. დეპარტამენტი უზრუნველყოფს თავისი მოვალეობების ეფექტურად შესრულებას არსებული პროცესებისა და პროცედურების მეშვეობით.

ბანკის მთავარი იურისტი მართავს იურიდიულ განყოფილებას. იგი განსაზღვრავს იურიდიული ჯგუფების მთავარ მიზნებს, წარადგენს პოლიტიკას

და ხედვას და ასევე უზრუნველყოფს მათი მოვალეობების ეფექტურ შესრულებას. მთავარი იურისტი უშუალოდ ანგარიშს ახარებს მმართველ საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და მათ შესაბამის კომიტეტებს არსებული იურიდიული რისკების, მათი შემამსუბუქებელი სტრატეგიებისა და სამომავლოდ მათი ეფექტურად მართვის შესახებ.

### ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის კომიტეტი

ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის კომიტეტი პასუხისმგებელია, რომ მუდმივად გააუმჯობესოს ინფორმაციის უსაფრთხოება და ბიზნესის უწყვეტობის მართვის პროცესები და მინიმუმამდე შეამციროს ინფორმაციის უსაფრთხოების რისკები. აღნიშნული კომიტეტი შეიქმნა ინფორმაციის უსაფრთხოების ფუნქციის ცენტრალიზაციისათვის, ფიზიკური უსაფრთხოების, კადრების შესახებ ინფორმაციის უსაფრთხოების, მონაცემთა უსაფრთხოების, საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოებისა და ბიზნესის უწყვეტობის ჩათვლით.

ჯგუფი ინვესტიციას ახორციელებს ინფორმაციის უსაფრთხოების რისკის ეფექტურ მართვაში, ინციდენტის მართვისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამებში, რომლებიც აღჭურვილია ავტომატიზებული ინსტრუმენტებით, რომლებიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მასშტაბით ინფორმაციის უსაფრთხოების რისკის მისაღებ დონეს.

მაშინ, როცა პრევენციული კონტროლების გამოყენება შეუძლებელია, ბიზნესის უწყვეტობისა და ინციდენტზე რეაგირების გეგმები უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ოპერირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობას და წარმოქმნილი ზარალის შეზღუდვის საშუალებას ბიზნესის შეფერხების შემთხვევაში.

### ქცევის რისკი

ქცევის რისკი განმარტებულია, როგორც ობიექტური შედეგების მიწოდების რისკი მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. 2019 წელს ჯგუფმა განაახლა „ქცევის კოდექსი“ და „ეთიკის კოდექსი“ ახალი „კომერციული ბანკებისთვის პროფესიული ქცევის სტანდარტებისა და ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. ორივე დოკუმენტი აწესებს მაღალ სტანდარტებს, რომელთა დაცვის ვალდებულებაც გააჩნია თითოეულ თანამშრომელს.

ჯგუფის საქმიანობას ენდობა საქართველოს მასშტაბით 2.6 მილიონზე მეტი მომხმარებელი. ამგვარად, ბაზრის ნდობის შენარჩუნებას ჩვენი მომხმარებლების ინტერესის დაცვით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის ფინანსური სტაბილურობისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის.

ჯგუფის თანამშრომლები პატიოსნად და სამართლიანად ასრულებენ მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას. თანამშრომლებს გადაამწყვეტი



მნიშვნელობა აქვთ ბანკის ოპერაციებისადმი ნდობისა და დამატრეობის შენარჩუნებაში, ასევე ისეთი ღირებულებების დაცვაში, როგორცაა: ნდობა, ერთგულება, წინდახედულება და სიფრთხილე.

გარდა ამისა, ჯგუფის ხელმძღვანელობა აცნობიერებს, რომ იგი პასუხისმგებელია ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების დივერსიფიცირებული ჯგუფის წინაშე და სჭირდება წესებისა და მექანიზმების უზრუნველყოფა მომხმარებლების დასაცავად, ინვესტორებისა და ფინანსური ბაზრების ნდობის შესანარჩუნებლად. ჯგუფის დირექტორები მიისწრაფვიან მიდგომის ე.წ. "tone from the top" დანერგვისაკენ, რაც გულისხმობს კარგი ქცევის პრინციპებს და ამასთან დაკავშირებით აქვთ კომუნიკაცია ბანკის თანამშრომლებთან.

ქვეყნის რისკის მართვისას ჯგუფი სხვადასხვა დეპარტამენტსა და განყოფილებას ავალეს ქვეყნის რისკის მართვას, შერბილებასა და კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ქვეყნის რისკის აღმოფხვრას ჯგუფის მასშტაბით განხორციელებულ ოპერაციებში. შესაბამისობის უზრუნველყოფისა და საოპერაციო რისკის დეპარტამენტები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, რათა შექმნან ქვეყნის რისკის მართვის გაერთიანებული ჩარჩო და დახმარება გაუწიონ ბიზნესმიმართულებებსა და დეპარტამენტებს შემდეგი განხრებით:

4. პოლიტიკისა და პროცედურების დანერგვასა და მართვაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი დეპარტამენტებისა და ინდივიდუალური თანამშრომლების მიერ მარეგულირებელი დებულებების, საუკეთესო პრაქტიკისა და "ქვეყნის კოდექსის", "ეთიკის კოდექსის" და ჯგუფის შიდა წესების დაცვა;
5. შესაბამისობის რისკის მართვის განყოფილებასთან მუდმივ თანამშრომლობაში პოლიტიკისა და პროცედურების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით და დეპარტამენტის, მისი ხელმძღვანელის და/ან მისი თანამშრომლების ქვეყნის შესახებ პრეტენზიების მოკვლევაში;
6. იმის უზრუნველყოფაში, რომ მომხმარებლებისათვის წინა ხაზის თანამშრომლების მიერ პროდუქტის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია იყოს ზუსტი და სრული, ეს ინფორმაცია გადაიცეს (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით) მარტივად და გასაგებად, მომხმარებლის კატეგორიის მიუხედავად;
7. კლიენტებთან ისეთი საუბრებისა და ელ. გზავნილების ჩანაწერების შენახვაში, რომლებიც შეიცავენ სენსიტიურ და გაყიდვებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის ინფორმაციას ახალი კლიენტების მოზიდვაზე და რთული პროდუქტების შეთავაზებაზე არსებული და სავარაუდო კლიენტებისათვის;
8. გაცნობითი ტრენინგის დროულად ჩატარებაში ახალი თანამშრომლებისთვის სათანადო ქვეყნის

შესახებ და იმის უზრუნველყოფაში, რომ ჯგუფში პერიოდულად ტრენინგების ჩატარებით ყველა თანამშრომელი იცნობდეს შესაბამისობის სტანდარტებს, რომლებიც ვითარდება და სიახლეებს;

9. ღია კულტურის ჩამოყალიბებაში, რაც წახალისებს თანამშრომლებს, ისაუბრონ დასჯის შიშის გარეშე. კონკრეტულად ეს ნიშნავს პროცესების დანერგვას ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისა და აღმოჩენისათვის, ეთიკური წახალისებისა და ბონუსების ფორმულების შექმნას, მოტივაციისა და დისციპლინური პრაქტიკების შესაბამისობაში მოყვანას ჯგუფში დამკვიდრებულ რისკის მისაღებ დონესთან; და
10. კვალიფიციური თანამშრომლებისა და საკმარისი შრომითი და ტექნოლოგიური რესურსების დაქირავებაში გაყიდვებისა და გაყიდვისშემდგომი ქმედებების გამოძიების, ანალიზის, განხორციელებისა და მონიტორინგისათვის ზემოაღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ქვეყნის რისკის მართვა მხოლოდ რისკის მართვის ქვედანაყოფებით კი არ შემოიფარგლებოდეს, მათ შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტით, არამედ სრულად მოიცავდეს გაყიდვების დეპარტამენტებს და სრულად მოხდეს სათანადო ქვეყნის ინტეგრირება მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებში.

2019 წელს ჯგუფმა შეაასწორა ტრენინგის მასალა ყველა მოთხოვნის გათვალისწინების მიზნით ეთიკური ქვეყნის შესახებ და ტრენინგი ჩატარა მთელ პერსონალს.

**ძირითადი მაჩვენებლები**

**2019 ფინანსური წლის მოგება/ზარალის - P&L მაჩვენებლები**

- ▶ მოგებამ წლის განმავლობაში შეადგინა 545.7 მილიონი ლარი (FY 2018: 433.3 მილიონი ლარი)
- ▶ უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) შეადგენს 23.8% (FY 2018: 22.7%)
- ▶ უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) შეადგენს 3.3% (FY 2018: 3.2%)
- ▶ თიბისი ბანკის განცალკევებული ხარჯების შემოსავალთან ფარდობა<sup>1</sup> იყო 35.9% (FY 2018: 35.6%)
- ▶ ხარჯების შემოსავალთან ფარდობა შეადგენდა 37.7% (FY 2018: 37.1%)
- ▶ რისკის ფასი შეადგენდა 0.7% (FY 2018: 1.6%)
- ▶ წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) შეადგენდა 5.5% (FY 2018: 6.8%)
- ▶ რისკის ფასით კორექტირებული წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) შეადგენდა 5.2% (FY 2018: 5.3%)

**საბალანსო უწყისის ძირითადი მაჩვენებლები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

- ▶ მთლიანმა აქტივებმა შეადგინა 18,306.6 მილიონი ლარი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაიზარდა 18.5%-ით წინა წელთან შედარებით.
- ▶ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები შეადგენდა 12,662.0 მილიონ ლარს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაიზარდა 22.1%-ით წინა წელთან შედარებით.
- ▶ წმინდა სესხები დეპოზიტებზე + IFI<sup>2</sup> დაფინანსება შეადგენდა 104.3%, გაიზარდა 15.2 პროცენტით წინა წელთან შედარებით და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR), რომელიც ძალაშია 2019 წლის 30 სექტემბრიდან, შეადგენდა 126.7%-ს.
- ▶ NPLs მთლიან სესხებზე იყო 2.7%, შემცირდა 0.4 პროცენტით წინა წელთან შედარებით.
- ▶ NPLs დაფარვის კოეფიციენტი შეადგენდა 91.1%, ან 194.2% უზრუნველყოფით, 2019 წლის 31 დეკემბერს, შედარებით: 102.7% ან 216.4% გარანტიით 2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებთან.
- ▶ სულ მომხმარებლის დეპოზიტებმა შეადგინა 10,112.0 მილიონი ლარი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაიზარდა 7.1%-ით წინა წელთან შედარებით.
- ▶ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბაზელი III -ის მიხედვით, ჩვენი ძირითადი პირველადი კაპიტალი, პირველადი კაპიტალი და საზედამხებველო კაპიტალი ის ადეკვატურობის კოეფიციენტები სებ-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, შეადგენდა 12.0%, 14.6% და 19.1%-ს, ხოლო მინიმალური მოთხოვნები შეადგენდა 10.4%, 12.5% და 17.5% შესაბამისად.

**ბაზრის წილი<sup>3</sup>**

- ▶ ბაზრის წილმა საერთო აქტივებით მიაღწია 38.2% -ს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დარჩა იგივე წინა წელთან შედარებით.
- ▶ ბაზრის წილმა საერთო სესხებით მიაღწია 39.5% -ს, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაიზარდა 0.7 პროცენტით წინა წელთან შედარებით.
- ▶ ბაზრის წილმა საერთო დეპოზიტებით მიაღწია 39.0% -ს, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემცირდა 2.2 პროცენტით წინა წელთან შედარებით.

**მოგება-ზარალის ანგარიშგების მაჩვენებლები**

ათას ლარში	FY'19	FY'18	ცვლილება YoY
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	793,240	770,558	2.9%
წმინდა საკომისიო შემოსავალი	179,126	156,492	14.5%
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი	120,812	139,039	-13.1%
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(91,612)	(165,506)	-44.6%
<b>საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო ზარალის რეზერვის შემდეგ</b>	<b>1,001,566</b>	<b>900,583</b>	<b>11.2%</b>
საოპერაციო ხარჯები	(412,359)	(395,932)	4.1%
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>589,207</b>	<b>504,651</b>	<b>16.8%</b>
საპროცენტო გადასახადის ხარჯი	(43,522)	(71,351)	-39.0%
<b>მოგება პერიოდის განმავლობაში</b>	<b>545,685</b>	<b>433,300</b>	<b>25.9%</b>

**მოგება-ზარალის ანგარიშების მაჩვენებლები**

ათას ლარში	FY'19	FY'18	ცვლილება YoY
სულ აქტივები	18,306,618	15,452,888	18.5%
სულ სესხები	12,661,955	10,372,582	22.1%
მომხმარებელთა დეპოზიტები	10,112,002	9,444,746	7.1%
სულ კაპიტალი	2,531,710	2,111,757	19.9%
ძირითადი პირველადი კაპიტალი(Basel III)	1,871,892	1,629,594	14.9%
პირველადი კაპიტალი (Basel III)	2,281,706	1,678,716	35.9%
საზედამხედველო კაპიტალი (Basel III)	2,974,029	2,351,269	26.5%
რისკის მიხედვით შემონილი რისკის პოზიცია (Basel III)	15,590,927	13,154,871	18.5%

**ძირითადი კოეფიციენტები**

	FY'19	FY'18	ცვლილება
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	23.8%	22.7%	1.1 pp
უკუგება საშუალო აქტივებზე ( ROA)	3.3%	3.2%	0.1 pp
წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM)	5.5%	6.8%	-1.3 pp
რისკის ფასით კორექტირებული წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM)	5.2%	5.3%	-0.1 pp
თიხისი ბანკის განვალკევებული ხარჯების შეფარდება შემოსავალთან <sup>1</sup>	35.9%	35.6%	0.3 pp
ხარჯების შეფარდება შემოსავალთან	37.7%	37.1%	0.6 pp
რისკის ფასი	0.7%	1.6%	-0.9 pp
კურსის მიხედვით კორექტირებული რისკის ფასი	0.3%	1.5%	-1.2 pp
NPL მთლიან სესხებზე	2.7%	3.1%	-0.4 pp
NPLs დაფრავის კოეფიციენტი, უზრუნველყოფის გარეშე	91.1%	102.7%	-11.6 pp
ძირითადი პირველადი კაპიტალი CAR (Basel III)	12.0%	12.4%	-0.4 pp
პირველადი კაპიტალი CAR (Basel III)	14.6%	12.8%	1.8 pp
საზედამხედველო კაპიტალი CAR (Basel III)	19.1%	17.9%	1.2 pp
ლევერეჯი (Times)	7.2x	7.3x	-0.1 x

**კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების მიმოხილვა 2019 ფინანსურ წელს**

**წმინდა საპროცენტო შემოსავალი**

2019 წელს, წმინდა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 793.2 მილიონი ლარი, გაიზარდა 2.9% -ით 2018 წელთან შედარებით.

წინა წელთან შედარებით, საპროცენტო შემოსავლის ზრდა ძირითადად დაკავშირებული იყო სესხების საპროცენტო შემოსავლის ზრდასთან, რაც გამოწვეული იყო საკრედიტო პორტფელის ზრდით 2,289.4 მილიონი ლარით ან 22.1%-ით. ეს ზრდა ნაწილობრივ დაკომპენსირდა 1.3%-ით დაკლებულმა სესხის ეფექტურმა განაკვეთმა, ძირითადად საცალო და MSME სეგმენტებში. შემცირება საცალო სესხის ეფექტურ განაკვეთში განპირობებული იყო სებ-ის რეგულაციით, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის იანვრიდან და ზღუდავს ბანკებს გასცეს სესხი მაღალ საპროცენტო განაკვეთში საცალო მომხმარებლებზე, ხოლო MSME სეგმენტში სესხის ეფექტური განაკვეთის კლება შეესაბამებოდა ბაზრის ტრენდს.

იმავე პერიოდში, საპროცენტო ხარჯი გაიზარდა 157.8 მილიონი ლარით, ან 30.8%-ით, რაც ძირითადად გამოიწვია 2019 წლის ზაფხულში გამოშვებული ობლიგაციების საპროცენტო ხარჯმა და, ასევე, დეპოზიტების საპროცენტო ხარჯის ზრდამ. ეს უკანასკნელი, დაკავშირებული იყო როგორც შესაბამისი პორტფელის ზრდით 7.1% -ით წინა წელთან შედარებით, ასევე დაპოზიტის განაკვეთის 0.1 პროცენტის ზრდით.

2019 წელს, მოგების სავალუტო სვოპების რეკლასიფიკაცია მოხდა სხვა საოპერაციო შემოსავლიდან წმინდა საპროცენტო შემოსავალში. მეტი ინფორმაცია მოცემულია დანართ 1-ში, 107-ე გვერდზე.

შედეგად, 2019 წელს წმინდა საპროცენტო მარჟამ (NIM) შეადგინა 5.5%, 2018 წელს ეს მაჩვენებელი შეადგინდა 6.8% -ს, ხოლო რისკის ფასით კორექტირებული NIM იმავე პერიოდში შეადგინდა 5.2%,-ს, შემცირდა 0.1% -ით წინა წელთან შედარებით.

1 კოეფიციენტის გამოთვლისთვის ჯგუფის პერიოდული ხარჯები გაუნაწილა ბანკს.  
 2 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები  
 3 ბაზრის წილის მაჩვენებლები ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებს (სებ), მოიცავს ინტერბანკის სესხებს ბაზრის წილის გამოთვლაში.

## ფინანსური მიმოხილვა გაგრძელება

ათას ლარში	FY'19	FY'18	ცვლილება YoY
საპროცენტო შემოსავალი	1,435,106	1,283,213	11.8%
საპროცენტო ხარჯი	(670,422)	(512,655)	30.8%
წმინდა მოგება სავალუტო სვოპებიდან	28,556	N/A	100%
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>793,240</b>	<b>770,558</b>	<b>2.9%</b>
<b>წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM)</b>	<b>5.5%</b>	<b>6.8%</b>	<b>-1.3%</b>
<b>რისკის ფასით კორექტირებული წმინდა საპროცენტო მარჟა(NIM)</b>	<b>5.2%</b>	<b>5.3%</b>	<b>-0.1%</b>

### წმინდა საკომისიო შემოსავალი

2019 წელს, წმინდა საკომისიო შემოსავალმა შეადგინა 179.1 მილიონი ლარი, რომელიც გაიზარდა 14.5%-ით, წინა წელთან შედარებით.

ზრდა განაწილდა ყველა კატეგორიაზე და დაკავშირებული იყო ბიზნესის საერთო ზრდასთან.

ათას ლარში	FY'19	FY'18	ცვლილება YoY
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>			
საბარათო ოპერაციები	56,263	50,174	12.1%
ანგარიშსწორების ოპერაციები	68,203	62,064	9.9%
გაცემული გარანტიები და აკრედიტივი	30,327	23,414	29.5%
სხვა	24,333	20,840	16.8%
<b>სხვა წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>	<b>179,126</b>	<b>156,492</b>	<b>14.5%</b>

### სხვა არასაპროცენტო შემოსავალი

2019 წელს, მთლიანი სხვა არასაპროცენტო შემოსავალი შემცირდა 13.1%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 120.8 მილიონი ლარი. ეს ძირითადად განპირობებული იყო სხვა საოპერაციო შემოსავლის მაღალი ბაზით გასულ წელს, საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგების გამო და ოფციების აღიარებით ერთ-ერთი ჩვენი მსხვილი კორპორატიული კლიენტის აქციების ყიდვის მიზნით 2018 წელს. ასევე, წმინდა შემოსავლის შემცირება სავალუტო ოპერაციებიდან, გამოწვეული იყო სავალუტო სვოპების წმინდა საპროცენტო მოგებაში რეკლასიფიკაციიდან. მეტი ინფორმაცია მოცემულია პირველ დანართში, 107-ე გვერდზე.

ათას ლარში	FY'19	FY'18	ცვლილება YoY
<b>სხვა არასაპროცენტო შემოსავალი</b>			
წმინდა შემოსავალი სავალუტო ოპერაციებიდან	102,715	107,181	-4.2%
სხვა საოპერაციო შემოსავალი	18,097	31,858	-43.2%
<b>მთლიანი სხვა არასაპროცენტო შემოსავალი</b>	<b>120,812</b>	<b>139,039</b>	<b>-13.1%</b>

### სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი

2019 ფინანსურ წელს, სულ სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი შეადგენდა 91.6 მილიონ ლარს, შემცირდა 44.6% -ით წინა წელთან შედარებით.

შემცირება ძირითადად დაკავშირებული იყო სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვთან მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე, რაც განპირობებული იყო ძლიერი შედეგებით ყველა სეგმენტში, ასევე პორთფელში პროდუქტის ცვლილებით, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაციასთან დაკავშირებით, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს.

ათას ლარში	FY'19	FY'18	Change YoY
<b>სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი</b>			
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი გაცემულ სესხებზე	(82,030)	(143,723)	-42.9%
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი სხვა ტრანზაქციებზე	(9,582)	(21,783)	-56.0%
<b>სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი</b>	<b>(91,612)</b>	<b>(165,506)</b>	<b>-44.6%</b>
<b>საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო ზარალის რეზერვის შემდეგ</b>	<b>1,001,566</b>	<b>900,583</b>	<b>11.2%</b>
<b>რისკის ფასი</b>	<b>0.7%</b>	<b>1.6%</b>	<b>-0.9 pp</b>

**საოპერაციო ხარჯები**

2019 წელს, საერთო საოპერაციო ხარჯები გაფართოვდა 4.1%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 412.4 მილიონი ლარი.

ზრდა ძირითადად განპირობებული იყო პერსონალის ხარჯის ზრდით და ცვეთისა და ამორტიზაციის მომატებით. პერსონალის ხარჯების ზრდა გამოწვეული იყო ბიზნესის გაფართოებით, ასევე აქციის ფასის ზრდით სამი წლის განმავლობაში, უმაღლესი და საშუალო რგოლის ხელმძღვანელობის წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის დარიცხვის მიზნებისთვის. ცვეთისა და ამორტიზაციის ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო IFRS 16-ის შემოღებით 2019 წლის იანვრიდან, რამაც განაპირობა იჯარების რეკლასიფიკაცია ადმინისტრირების ხარჯებიდან ცვეთამდე.

შედეგად ხარჯის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი გაიზარდა 0.6 პროცენტით და შეადგინა 37.7% 2019 წელს.

ათას ლარში	FY'19	FY'18	ცვლილება YoY
<b>საოპერაციო ხარჯები</b>			
პერსონალის ხარჯები	(226,008)	(212,469)	6.4%
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი	(2,105)	(4,000)	-47.4%
ცვეთა და ამორტიზაცია	(57,319)	(45,278)	26.6%
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(126,927)	(134,185)	-5.4%
<b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>	<b>(412,359)</b>	<b>(395,932)</b>	<b>4.1%</b>
<b>ხარჯის შემოსავალთან შეფარდება</b>	<b>37.7%</b>	<b>37.1%</b>	<b>0.6 pp</b>

**წმინდა შემოსავალი**

წმინდა შემოსავალი 2019 წლის განმავლობაში გაიზარდა 112.4 მილიონი ლარით ან 25.9% და შეადგინა 545.7 მილიონი ლარი.

შედეგად უკუგება კაპიტალზე (ROE) შეადგინა 23.8%, გაიზარდა 1.1% -ით წინა წელთან შედარებით, ხოლო უკუგება აქტივებზე (ROA) გაიზარდა 0.1% -ით და შეადგინა 3.3%.

ათას ლარში	FY'19	FY'18	ცვლილება YoY
<b>მოგება დაბეგრამდე</b>	<b>589,207</b>	<b>504,651</b>	<b>16.8%</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	(43,522)	(71,351)	-39.0%
<b>წლის მოგება</b>	<b>545,685</b>	<b>433,300</b>	<b>25.9%</b>
უკუგება კაპიტალზე (ROE)	23.8%	22.7%	1.1 pp
უკუგება აქტივებზე (ROA)	3.3%	3.2%	0.1 pp

**დაფინანსება და ლიკვიდურობა**

2019 წლის სექტემბრიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შემოიღო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) Basel III სტანდარტების შესაბამისად. 2018 წლის კოეფიციენტი ეფუძნება შიდა შეფასებებს.

	31-დეკ-19	31-დეკ-18	ცვლილება
მინიმალური წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ	100.0%	N/A	N/A
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი,	126.7%	129.3%	-2.6%
წმინდა სესხები დეპოზიტებზე + IFI დაფინანსება	104.3%	89.1%	15.2%
ლევერიჯი (Times)	7.2x	7.3x	-0.1x
მინიმალური ლიკვიდურობის კოეფიციენტი , განსაზღვრული სებ-ის მიერ	30.0%	30.0%	0.0%
ლიკვიდურობის კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ	32.2%	33.3%	-1.1%
მინიმალური მთლიანი ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი განსაზღვრული სებ-ის მიერ	100.0%	100.0%	0.0%
მინიმალური LCR ლარში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	75.0%	75.0%	0.0%
მინიმალური LCR უცხოურ ვალუტაში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	100.0%	100.0%	0.0%
სულ ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი , განსაზღვრული სებ-ის მიერ	110.1%	113.9%	-3.8%
LCR ლარში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	83.7%	102.5%	-18.8%
LCR უცხოურ ვალუტაში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	128.4%	121.1%	7.3%

## ფინანსური მიმოხილვა გაგრძელება

### საზედამხედველო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბაზელის III-ის მიხედვით, პირველადი კაპიტალი შეადგენდა 12.0%, შემცირდა 0.4 პროცენტით წინა წელთან შედარებით. კლება ძირითადად გამოწვეული იყო გაზრდილი პორტფელით და ლარის გაუფასურებით 2019 წლის განმავლობაში. ეს ეფექტი ნაწილობრივ ანაზღაურდა წმინდა შემოსავლის გენერირებით იმავე პერიოდში. ჩვენი პირველადი და საერთო კაპიტალის კოეფიციენტი გაიზარდა 1.8 %-ით და 1.2 %-ით. ზრდა ძირითადად განპირობებული იყო შემოსავლის გენერირებით და AT1 ინსტრუმენტის გამოშვებით. (125 მილიონი აშშ დოლარით) 2019 წლის ზაფხულში.

ათას ლარში	31-დეკ-19	31-დეკ-18	ცვლილება
ძირითადი პირველადი კაპიტალი	1,871,892	1,629,594	14.9%
პირველადი კაპიტალი	2,281,706	1,678,716	35.9%
საზედამხედველო კაპიტალი	2,974,029	2,351,269	26.5%
სულ რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია	15,590,927	13,154,871	18.5%
მინიმალური ძირითადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	10.4%	8.3%	2.1 pp
ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	12.0%	12.4%	-0.4 pp
მინიმალური პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	12.5%	10.3%	2.2 pp
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	14.6%	12.8%	1.8 pp
მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	17.5%	15.8%	1.7 pp
საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	19.1%	17.9%	1.2 pp

### საკრედიტო პორტფელი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა მიაღწია 12,662.0 მილიონი ლარი, გაიზარდა 22.1%-ით წინა წელთან შედარებით ან 17.9% მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში. ეს ძირითადად განპირობებული იყო კორპორატიული სეგმენტის ზრდით (ასევე კონკრეტული კლიენტების რესეგმენტაციით MSME სეგმენტიდან 2019 წლის 1 კვარტალში 128.0 მლნ ლარის ოდენობით). იმავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მთლიანი სესხების პროპორცია შემცირდა 1.4 პროცენტით წინა წელთან შედარებით და შეადგინა მთლიანი სესხების 58.7%, ხოლო მუდმივი კურსის პირობებში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მთლიანი სესხების პროპორცია გაიზარდა 2.9 პროცენტით და შეადგინა 57.2%. 2019 წლის ბოლოს ჩვენი საბაზრო წილი მთლიან სესხებში შეადგენდა 39.5%-ს, გაიზარდა 0.7-ით წინა წელთან შედარებით, ხოლო ჩვენი საკრედიტო საბაზრო წილი იურიდიულ პირებში შეადგენდა 38.9%, გაიზარდა 1.6 -ით წინა წელთან შედარებით და ჩვენი საკრედიტო საბაზრო წილი ფიზიკურ პირებში შეადგენდა 40.0% და უცვლელი დარჩა წინა წელთან შედარებით.

ათას ლარში	31-დეკ-19	31-დეკ-18	ცვლილება
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები</b>			
<b>საცალო</b>	<b>5,053,203</b>	<b>4,698,699</b>	<b>7.5%</b>
საცალო სესხები ლარში	2,386,750	2,063,283	15.7%
საცალო სესხები უცხოურ ვალუტაში	2,666,453	2,635,416	1.2%
<b>კორპორატიული</b>	<b>4,660,473</b>	<b>3,177,289</b>	<b>46.7%</b>
კორპორატიული სესხები ლარში	1,424,309	905,372	57.3%
კორპორატიული სესხები უცხოურ ვალუტაში	3,236,164	2,271,917	42.4%
<b>MSME</b>	<b>2,948,279</b>	<b>2,496,594</b>	<b>18.1%</b>
MSME სესხები ლარში	1,419,804	1,170,343	21.3%
MSME სესხები უცხოურ ვალუტაში	1,528,475	1,326,251	15.2%
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები</b>	<b>12,661,955</b>	<b>10,372,582</b>	<b>22.1%</b>

	31-დეკ-19	31-დეკ-18	ცვლილება
<b>სესხების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>11.0%</b>	<b>12.3%</b>	<b>-1.3 pp</b>
სესხების ეფექტური განაკვეთი ლარში	15.7%	17.8%	-2.1 pp
სესხების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	7.8%	8.5%	-0.7 pp
<b>საბაზო სესხების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>12.1%</b>	<b>14.2%</b>	<b>-2.1 pp</b>
საბაზო სესხების ეფექტური განაკვეთი ლარში	18.0%	20.8%	-2.8 pp
საბაზო სესხების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	7.3%	7.9%	-0.6 pp
<b>კორპორატიული სესხების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>9.3%</b>	<b>9.5%</b>	<b>-0.2 pp</b>
კორპორატიული სესხების ეფექტური განაკვეთი ლარში	11.6%	11.0%	0.6 pp
კორპორატიული სესხების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	8.4%	9.0%	-0.6 pp
<b>MSME სესხების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>11.4%</b>	<b>12.1%</b>	<b>-0.7 pp</b>
MSME სესხების ეფექტური განაკვეთი ლარში	15.4%	16.2%	-0.8 pp
MSME სესხების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	7.7%	8.7%	-1.0 pp

### საკრედიტო პორტფელის ხარისხი

საერთო PAR 30 გაუმჯობესდა 0.3 pp-ით წინა წელთან შედარებით, რაც განპირობებული იყო საბაზო სეგმენტით, ხოლო მთლიანმა NPL-ებმა მთლიან სესხებზე შეადგინა 2.7%, შემცირდა 0.4-ით, რაც ძირითადად უკავშირდება კორპორატიული და, MSME სეგმენტების ძლიერ მაჩვენებლებს, ასევე პორტფელის ზრდას.

Par 30	31-დეკ-19	31-დეკ-18	ცვლილება
საბაზო	2.1%	2.6%	-0.5 pp
კორპორატიული	0.5%	0.4%	0.1 pp
MSME	2.8%	2.8%	0.0 pp
<b>სულ სესხები</b>	<b>1.7%</b>	<b>2.0%</b>	<b>-0.3 pp</b>

უიმედო სესხები	31-დეკ-19	31-დეკ-18	ცვლილება
საბაზო	3.0%	2.9%	0.1 pp
კორპორატიული	1.8%	2.7%	-0.9 pp
MSME	3.8%	4.2%	-0.4 pp
<b>სულ სესხები</b>	<b>2.7%</b>	<b>3.1%</b>	<b>-0.4 pp</b>

### NPLs დაფარვის კოეფიციენტი

	დეკ-19		დეკ-18	
	უზრუნველყოფის გარ.	უზრუნველყოფით	უზრუნველყოფის გარ.	უზრუნველყოფით
კორპორატიული	97.1%	241.4%	96.4%	286.9%
საბაზო	111.1%	182.9%	132.4%	204.4%
MSME	59.7%	173.7%	68.4%	174.0%
<b>სულ</b>	<b>91.1%</b>	<b>194.2%</b>	<b>102.7%</b>	<b>216.4%</b>

### რისკის ფასი

რისკის ფასმა 2019 ფინანსურ წელს შეადგინა 0.7%, შემცირდა 0.9-ით წინა წელთან შედარებით, რაც განპირობებული იყო პროდუქტის მიქსის ცვლილებით, ასევე მყარი საკრედიტო ხარისხით ყველა სეგმენტში, რაც დაკავშირებულია პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაციასთან, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს.

რისკის ფასი	FY'19	FY'18	ცვლილება YoY
საბაზო	1.6%	2.7%	-1.1 pp
კორპორატიული	-0.1%	0.4%	-0.5 pp
MSME	0.3%	0.7%	-0.4 pp
<b>სულ</b>	<b>0.7%</b>	<b>1.6%</b>	<b>-0.9 pp</b>

## ფინანსური მიმოხილვა გაგრძელება

### სადეპოზიტო პორტფელი

მთლიანი სადეპოზიტო პორტფელი გაიზარდა 7.1%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 10,112.0 მილიონი ლარი, ხოლო მოდმივი კურსის საფუძველზე, საერთო სადეპოზიტო პორტფელი გაიზარდა 2.6%-ით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების პროპორცია გაიზარდა 0.4 pp-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა საერთო დეპოზიტების 65.5%, ხოლო მუდმივი კურსის პირობებში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების პროპორცია გაიზარდა 1.3-ით და შეადგინა 64.0%. 2019 წლის ბოლოს ჩვენმა საბაზრო წილმა დეპოზიტებში შეადგინა 39.0%, შემცირდა 2.2 pp-ით წინა წელთან შედარებით და ჩვენმა საბაზრო წილმა დეპოზიტებში იურიდიულ პირებში შეადგინა 40.6%, შემცირდა 0.7 pp-ით. ჩვენმა საბაზრო წილმა დეპოზიტებში ფიზიკურ პირებში შეადგინა 37.9%, შემცირდა 3.3 pp-ით წინა წელთან შედარებით.

ათას ლარში	31-დეკ-19	31-დეკ-18	ცვლილება
<b>კლიენტის ანგარიშები</b>			
<b>საცალო</b>	<b>5,673,917</b>	<b>5,103,970</b>	<b>11.2%</b>
საცალო დეპოზიტები ლარში	1,098,681	935,339	17.5%
საცალო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	4,575,236	4,168,631	9.8%
<b>კორპორატიული</b>	<b>3,249,996</b>	<b>3,323,258</b>	<b>-2.2%</b>
კორპორატიული დეპოზიტები ლარში	1,798,034	1,844,825	-2.5%
კორპორატიული დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	1,451,962	1,478,433	-1.8%
<b>MSME</b>	<b>1,188,089</b>	<b>1,017,518</b>	<b>16.8%</b>
MSME დეპოზიტები ლარში	594,389	515,827	15.2%
MSME დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	593,700	501,691	18.3%
<b>სულ კლიენტის ანგარიშები</b>	<b>10,112,002</b>	<b>9,444,746</b>	<b>7.1%</b>

	FY'19	FY'18	ცვლილება YoY
<b>დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>3.4%</b>	<b>3.3%</b>	<b>0.1 pp</b>
დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ლარში	5.8%	5.7%	0.1 pp
დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ვალუტაში	2.0%	2.1%	-0.1 pp
<b>საცალო დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>2.8%</b>	<b>2.7%</b>	<b>0.1 pp</b>
საცალო დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ლარში	5.0%	4.4%	0.6 pp
საცალო დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	2.3%	2.4%	-0.1 pp
<b>კორპორატიული დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>5.0%</b>	<b>5.0%</b>	<b>0.0 pp</b>
კორპორატიული დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ლარში	7.5%	7.6%	-0.1 pp
კორპორატიული დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	1.7%	1.9%	-0.2 pp
<b>MSME დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>0.9%</b>	<b>1.0%</b>	<b>-0.1 pp</b>
MSME დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ლარში	1.5%	1.7%	-0.2 pp
MSME დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	0.3%	0.4%	-0.1 pp

## საგაწესრიგის მოგვებიანობა

### ბიზნეს სეგმენტები

სეგმენტის განსაზღვრებები მოცემულია ქვემოთ (განახლებული 2019 წელს):

- ▶ კორპორატიული – იურიდიული კომპანია/დაკავშირებული კომპანიების ჯგუფი, რომელთა წლიური შემოსავალი აღემატება 12.0 მილიონ ლარს, ან ისინი რომელთაც დაუმტკიცდათ 5.0 მილიონ ლარზე მეტი სესხი/საკრედიტო ხაზი. ზოგიერთი სხვა ბიზნეს კლიენტი შეიძლება ეკუთვნოდეს კორპორატიული სეგმენტს ან გადავიდეს MSME-ში დისკრეციული შეხედულებისამებრ;
- ▶ საცალო – არაკომერციული ფიზიკური პირები ან ფიზიკური ბიზნეს მომხმარებლები რომელთაც აღებული აქვთ იპოთეკური სესხი; ყველა ფიზიკური პირი შედის საცალო დეპოზიტებში;
- ▶ MSME – [მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები] - ბიზნეს მომხმარებლები, რომლებიც არ შედიან არც კორპორატიულ და არც საცალო სეგმენტებში; ან იურიდიული პირები რომლებზეც გაიცა სალომბარდე სესხი; ან სრულად ციფრული ბანკი "სფეისის" მომხმარებელი ფიზიკური პირები; და
- ▶ კორპორატიული ცენტრი - შედგება ხაზინისგან, სხვა დამხმარე ფუნქციებისგან და ჯგუფის არასაბანკო შვილობილებისგან.

ბიზნეს-მომხმარებლები არიან ყველა იურიდიული პირები და ის ფიზიკური პირები, რომლებზეც გაიცა სესხი ბიზნესისთვის.



**მოგება-ზარალის ანგარიშგება სეგმენტების მიხედვით**

FY'19	საჯალო	MSME	კორპორატიული	კორ. ცენტრი	სულ
საპროცენტო შემოსავალი	582,788	299,451	356,654	196,213	1,435,106
საპროცენტო ხარჯი	(152,566)	(10,153)	(166,857)	(340,846)	(670,422)
წმინდა მოგება სავალუტო სეგმენტებზე	-	-	-	28,556	28,556
წმინდა სატრანსფერო ფასი	(66,951)	(101,423)	31,352	137,022	-
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>363,271</b>	<b>187,875</b>	<b>221,149</b>	<b>20,945</b>	<b>793,240</b>
საკომისიო შემოსავალი	207,258	26,271	49,387	1,512	284,428
საკომისიო ხარჯი	(88,680)	(9,081)	(7,059)	(482)	(105,302)
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>	<b>118,578</b>	<b>17,190</b>	<b>42,328</b>	<b>1,030</b>	<b>179,126</b>
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	30,990	24,220	49,852	(25,775)	79,287
საკურსო მოგება მინუს ზარალი/ (ზარალი მინუს მოგება)	-	-	-	23,428	23,428
წმინდა მოგება/(ზარალი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	(264)	-	-	(16)	(280)
მოგება მინუს ზარალი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასვლისებიდან აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში	-	-	-	169	169
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9,563	1,093	2,952	3,968	17,576
დაკავშირებული საწარმოების მოგების წილი	-	-	-	632	632
<b>სხვა არასაპროცენტო შემოსავალი და სადაზღვევო მოგება</b>	<b>40,289</b>	<b>25,313</b>	<b>52,804</b>	<b>2,406</b>	<b>120,812</b>
კლიენტებზე გაცემული სესხის საკრედიტო ზარალის რეზერვი	(77,324)	(7,968)	3,262	-	(82,030)
შესრულების გარანტიებსა და საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებების საკრედიტო ზარალის რე ზერვი	411	124	(2,691)	-	(2,156)
ფინანსურ ლიზინგში ინვესტიციების საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-	-	582	582
სხვა ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვი	(3,545)	(11)	2,211	(6,372)	(7,717)
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-	(142)	(149)	(291)
<b>მოგება G&amp;A ხარჯამდე და საშემოსავლო გადასახადამდე</b>	<b>441,680</b>	<b>222,523</b>	<b>318,921</b>	<b>18,442</b>	<b>1,001,566</b>
პერსონალის ხარჯი	(131,583)	(46,912)	(36,630)	(10,883)	(226,008)
ცვეთა და ამორტიზაცია	(45,429)	(7,170)	(2,509)	(2,211)	(57,319)
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები	-	-	-	(2,105)	(2,105)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(72,998)	(19,122)	(14,043)	(20,764)	(126,927)
<b>საოპერაციო ხარჯები</b>	<b>(250,010)</b>	<b>(73,204)</b>	<b>(53,182)</b>	<b>(35,963)</b>	<b>(412,359)</b>
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>191,670</b>	<b>149,319</b>	<b>265,739</b>	<b>(17,521)</b>	<b>589,207</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	(18,101)	(14,825)	(29,048)	18,452	(43,522)
<b>წლის მოგება</b>	<b>173,569</b>	<b>134,494</b>	<b>236,691</b>	<b>931</b>	<b>545,685</b>

**სს თიბისი ბანკის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

**კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგება**

ათას ლარში	დეკ-19	დეკ-18
ფული და ფულის ექვივალენტები	994,479	1,164,403
სახსრები სხვა ბანკებში	15,597	37,384
სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	1,591,829	1,422,809
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	12,349,399	10,038,452
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	985,293	1,005,239
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ვალდებულებები	1,021,568	653,703
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	256,660	203,802
საინვესტიციო ქონება	72,667	84,296
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	25,695	2,159
გადავადებული საშემოსავლო საგადასახადო ქტივები	2,173	1,992
სხვა ფინანსური აქტივები	115,211	154,259
სხვა აქტივები	247,201	177,923
ძირითადი საშუალებები	380,537	366,071
აქტივი გამოყენების უფლებით	57,086	-
არამატერიალური აქტივები	159,109	108,505
გუდვილი	29,459	29,459
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	2,655	2,432
<b>სულ აქტივები</b>	<b>18,306,618</b>	<b>15,452,888</b>
<b>ვალდებულებები</b>		
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	3,593,901	3,031,505
კლიენტის ანგარიშები	10,112,002	9,444,746
საიჯარო ვალდებულებები	154,957	76,821
სხვა ფინანსური ვალდებულებები	765	1,384
მოგებაზე მიმდინარე გადასახადის ვალდებულება	55	63
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,213,598	13,343
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	21,250	22,237
ვალდებულებებისა და დანახარჯების გადახდის რეზერვები	16,979	13,817
სხვა ვალდებულებები	70,367	86,296
სუბორდინირებული ვალი	591,034	650,919
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>15,774,908</b>	<b>13,341,131</b>
<b>კაპიტალი</b>		
სააქციო კაპიტალი	21,014	21,014
ტრასტი ფლობილი აქციები	-	521,190
აქციის პრემია	521,190	-
გაუნაწილებელი მოგება	2,008,397	1,543,581
ჯგუფის რეორგანიზაციის რეზერვი	-	-
წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	[62,669	[33,591
შენიშვნების გადაფასების რეზერვი	56,286	57,153
სამართლიანი ღირებულების რეზერვი	[6,399	8,775
სავალუტო გადაფასების კუმულატიური რეზერვი	[6,691	[6,933
<b>მფლობელისთვის მიკუთვნიებული წმინდა აქტივები</b>	<b>2,531,128</b>	<b>2,111,189</b>
არასაკონტროლო წილი	582	568
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>2,531,710</b>	<b>2,111,757</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>18,306,618</b>	<b>15,452,888</b>

**მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

ათას ლარში	FY-19	FY-18
საპროცენტო შემოსავალი	1,435,106	1,283,213
საპროცენტო ხარჯი	(670,422)	(512,655)
შმინდა მოგება სავალუტო სვოპებიდან	28,556	N/A
<b>შმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>793,240</b>	<b>770,558</b>
საკომისიო შემოსავალი	284,428	234,626
საკომისიო ხარჯი	(105,302)	(78,134)
<b>შმინდა საკომისიო შემოსავალი</b>	<b>179,126</b>	<b>156,492</b>
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობის შედეგად მიღებული შმინდა მოგება	79,287	91,678
შმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	23,428	15,503
შმინდა მოგება/(ზარალი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	(280)	(204)
შმინდა მოგება სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან	169	2
სხვა საოპერაციო შემოსავალი	17,576	30,906
დაკავშირებული საწარმოების მოგების წილი	632	1,154
<b>სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი</b>	<b>120,812</b>	<b>139,039</b>
კლიენტებზე გაცემული სესხის სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(82,030)	(143,723)
ფინანსურ ლიზინგში ინვესტიციების სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	582	(1,765)
შესრულების გარანტიებსა და საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებების სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(2,156)	(3,486)
სხვა ფინანსური აქტივების სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(7,717)	(16,446)
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(291)	(86)
<b>საოპერაციო შემოსავალი სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შემდეგ</b>	<b>1,001,566</b>	<b>900,583</b>
პერსონალის ხარჯი	(226,008)	(212,469)
ცვეთა და ამორტიზაცია	(57,319)	(45,278)
(რეზერვი)/ვალდებულებების და დანახარჯების რეზერვის ამორტიზაცია	(2,105)	(4,000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(126,927)	(134,185)
<b>საოპერაციო ხარჯები</b>	<b>(412,359)</b>	<b>(395,932)</b>
<b>მოგება დაბეგრამდე</b>	<b>589,207</b>	<b>504,651</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	(43,522)	(71,351)
<b>წლის მოგება</b>	<b>545,685</b>	<b>433,300</b>
<b>სხვა სრული შემოსავალი:</b>		
<b>პუნქტები, რომლებიც შესაძლოა რეკლასიფიცირდეს მოგება-ზარალში:</b>		
სამართლიანი ღირებულების რეზერვის მოძრაობა	-	6,966
საანგარიშგებო ვალუტაში გადაყვანის საკურსო სხვაობა	241	425
<b>პუნქტები, რომლებიც არ რეკლასიფიცირდეს მოგება-ზარალში:</b>		
ძირითადი საშუალებების გადაფასება	(15,175)	10,749
სხვა სრულ შემოსავალში პირდაპირ დაფიქსირებული მოგების გადასახადი	-	(2,442)
<b>წლის სხვა სრული შემოსავალი:</b>	<b>(14,934)</b>	<b>15,698</b>
<b>სულ წლის სხვა სრული შემოსავალი:</b>	<b>530,751</b>	<b>448,998</b>
<b>მოგება მიკუთვნებული:</b>		
- TBCG - თიბისი ბანკის ჯგუფის აქციონერებისთვის	545,612	433,051
- არსაკონტროლო წილი	73	249
<b>წლის მოგება</b>	<b>545,685</b>	<b>433,300</b>
<b>სულ წლის შემოსავალი მიკუთვნებული:</b>		
- TBCG - თიბისი ბანკის ჯგუფის აქციონერებისთვის	530,678	448,749
- არსაკონტროლო წილი	73	249
<b>სულ წლის სრული შემოსავალი:</b>	<b>530,751</b>	<b>448,998</b>

## ფინანსური მიმოხილვა გავრცელება

### ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარში	31-დეკ-19	31-დეკ-18
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული პროცენტი	1,359,528	1,224,200
ფულადი ნაკადები სავალუტო სვოპებიდან	28,556	-
გადახდილი პროცენტი	(657,671)	(504,138)
მიღებული საკომისიო	282,715	235,508
გადახდილი საკომისიო	(105,207)	(78,123)
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი	79,287	91,678
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	18,356	15,655
გადახდილი პერსონალის ხარჯი	(198,345)	(195,160)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(132,181)	(122,467)
გადახდილი მოგების გადასახადი	(68,167)	(34,918)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>	<b>606,872</b>	<b>632,235</b>
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებში</b>		
სხვა ბანკებში გადასახდელი თანხები და სავალდებულო ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში	(14,811)	(336,232)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	(2,013,577)	(1,718,446)
ინვესტიცია ფინანსურ იჯარაში	(43,268)	(54,784)
სხვა ფინანსური აქტივები	26,582	(32,481)
სხვა აქტივები	2,702	(3,866)
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო ვალდებულებებში</b>		
თანხები სხვა ბანკებში	(1,938)	69,755
კლიენტის ანგარიშები	274,769	1,442,126
სხვა ფინანსური ვალდებულებები	10,205	(7,153)
სხვა ვალდებულებები და ვალდებულებებისა და ხარჯის რეზერვი	8,432	3,602
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>(1,145,032)</b>	<b>(5,244)</b>
<b>ფულადი ნაკადები (გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შექენა	(1,781,816)	(717,630)
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები	240,603	14,781
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადის დადგომისას განაღდებიდან მიღებული შემოსავალი	1,598,536	370,571
შვილობილი კომპანიების შექენა, მიღებული ფულადი სახსრების გამოკლებით მიღებული ფულადი სახსრები	410	-
ამორტიზებული ღირებულებით გადატანილი თამასუქების შექენა	(613,383)	(395,717)
ამორტიზებული ღირებულებით გადატანილი თამასუქების გამოსყიდვიდან შემოსავალი	216,871	200,658
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შექენა	(120,677)	(104,960)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	13,225	17,933
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	13,681	42,515
<b>წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობებში</b>	<b>(432,550)</b>	<b>(571,040)</b>
<b>წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული ფინანსურ საქმიანობებში</b>		
შემოსავალი სხვა ნასესხები სახრებიდან	1,819,899	1,776,489
სხვა ნასესხები სახსრების გამოსყიდვა	(1,392,897)	(1,539,562)
საიჯარო ვალდებულებები	(6,453)	-
შემოსავალი სუბორდინირებული ვალიდან	-	255,899
სუბორდინირებული ვალის გამოსყიდვა	(104,079)	(60,910)
შემოსავალი ფასიანი ქაღალდის გამოშვებიდან	1,176,049	(7,596)
გამოშვებული ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა	(14,296)	-
მიღებული დივიდენდები	(80,911)	(95,626)
მიღებული დივიდენდები	-	-
გადახდილი დანარიცხები	(62,840)	(38,010)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>	<b>1,334,472</b>	<b>290,684</b>
<b>სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე</b>	<b>73,186</b>	<b>21,232</b>
<b>წმინდა (კლება) / ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში</b>	<b>(169,924)</b>	<b>(264,368)</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში</b>	<b>1,164,403</b>	<b>1,428,771</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>994,563</b>	<b>1,164,403</b>

## ძირითადი კოეფიციენტები

### საშუალო ნაშთები

ამ დოკუმენტში მოცემული საშუალო ნაშთები გამოითვლება, როგორც ყოველთვიური ბალანსების საშუალო თითოეული თვის ბოლოს. ბალანსები ამოღებულია თიბისი ბანკის არაუადირებული და კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშებიდან, რომლებიც მომზადდა თიბისი სააღრიცხვო ჩანაწერებიდან. ისინი გამოყენებული იქნა ხელმძღვანელობის მიერ მონიტორინგის და კონტროლის მიზნებისთვის.

### ძირითადი კოეფიციენტები

კოეფიციენტები (ყოველთვიური საშუალოს საფუძველზე)

	FY'19	FY'18
<b>მომგებიანობის კოეფიციენტი:</b>		
უკუგება საშუალო კაპიტალზე ROE <sup>1</sup>	23.8%	22.7%
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) <sup>2</sup>	3.3%	3.2%
ROE საკრედიტო ზრალის რეზერვამდე <sup>3</sup>	27.8%	31.3%
ხარჯის შემოსავალთან ფარდობა <sup>4</sup>	37.7%	37.1%
წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) <sup>5</sup>	5.5%	6.8%
რისკის ფასით კორექტირებული საპროცენტო მარჟა (NIM) <sup>6</sup>	5.2%	5.3%
სესხის ეფექტური განაკვეთი <sup>7</sup>	11.0%	12.3%
რისკის ფასით კორექტირებული სესხის ეფექტური განაკვეთი <sup>8</sup>	10.7%	10.8%
დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი <sup>9</sup>	3.4%	3.3%
განაკვეთი საპროცენტო აქტივებზე <sup>10</sup>	10.0%	11.4%
დაფინანსების ხარჯი <sup>11</sup>	4.7%	4.5%
სპრედი <sup>12</sup>	5.5%	6.9%
<b>აქტივის ხარისხი და პორტფელის კონცენტრაცია:</b>		
რისკის ფასი <sup>13</sup>	0.7%	1.6%
PAR 90 მთლიან სესხებზე <sup>14</sup>	1.1%	1.2%
NPLs მთლიან სესხებზე <sup>15</sup>	2.7%	3.1%
NPLs დაფარვის კოეფიციენტი <sup>16</sup>	91.1%	102.7%
NPLs დაფარვის კოეფიციენტი უზრუნველყოფით <sup>17</sup>	194.2%	216.4%
საკრედიტო ზრალის დონე მთლიან სესხებზე <sup>18</sup>	2.5%	3.2%
დაკავშირებული მხარის სესხები მთლიან სესხებში <sup>19</sup>	0.1%	0.1%
მთლიანი პორტფელის ტოპ 10 მსესხებელი <sup>20</sup>	8.3%	10.1%
მთლიანი პორტფელის ტოპ 20 მსესხებელი <sup>21</sup>	12.3%	14.2%
<b>კაპიტალის ოპტიმიზაცია:</b>		
წმინდა სესხები დეპოზიტებზე + IFI დაფინანსება <sup>22</sup>	122.1%	89.1%
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი <sup>23</sup>	126.7%	129.3%*
ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი <sup>24</sup>	110.1%	113.9%
ლევერიჯი <sup>25</sup>	7.2x	7.3x
ძირითადი პირველადი კაპიტალი CAR (ბაზელი III) <sup>26</sup>	12.0%	12.4%
პირველადი კაპიტალ CAR (ბაზელი III) <sup>27</sup>	14.6%	12.8%
საზედამხედველო პირველადი CAR (ბაზელი III) <sup>28</sup>	19.1%	17.9%

\* შიდა შეფასებების საფუძველზე

### კოეფიციენტების დეფინიციები

1. უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) უდრის აქციონერების კუთვნილ წმინდა მოგებას, შეფარდებულს იმავე პერიოდის PLC აქციონერების კუთვნილი აქციონერთა საერთო კაპიტალის საშუალო მარჯვენებელთან, შესაბამის შემთხვევებში წლიურ საფუძველზე.
2. უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) უდრის წმინდა მოგებას, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიანი აქტივების ყოველთვიურ საშუალო მარჯვენებელთან შესაბამის შემთხვევებში წლიურ საფუძველზე.
3. უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვამდე უდრის აქციონერების კუთვნილ წმინდა მოგებას, ყველა სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის გამოკლებით, შეფარდებულს იმავე პერიოდის PLC აქციონერების კუთვნილი აქციონერთა საერთო კაპიტალის საშუალო მარჯვენებელთან.
4. ხარჯების შემოსავალთან ფარდობის კოეფიციენტი უდრის პერიოდის მთლიან საოპერაციო ხარჯებს, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიან შემოსავლებთან. (შემოსავლები წარმოადგენს წმინდა საპროცენტო შემოსავლების, წმინდა საკომისიო შემოსავლების და სხვა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამს).
5. წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) უდრის წმინდა საპროცენტო შემოსავალს, შეფარდებულს იმავე პერიოდის საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების ყოველთვიურ საშუალო მარჯვენებელთან შესაბამის შემთხვევებში წლიურ საფუძველზე. საპროცენტო აქტივების მოიცავს საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს, კორპორატიული აქციების, ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის, წმინდა სესხების და საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხების გამოკლებით. ეს უკანსკელი გამორიცხავს ყველა ერთეულს ფულის და ფულის ფულის ექვივალენტებიდან, EUR სავალდებულო რეზერვს სებ-ში, რომელსაც ამჟამად აქვს უარყოფითი ეფექტი და მოიცავს სხვა საშემოსავლო ერთეულებს ბანკებისგან.
6. რისკზე კორექტირებული წმინდა საპროცენტო მარჟა არის NIM მინუს რისკის ფასი ერთჯერადი და სავალუტო ეფექტის გარდა.
7. სესხების ეფექტური განაკვეთი უდრის საპროცენტო შემოსავალს კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე, შეფარდებულს კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხებისა და ავანსების ყოველთვიურ საშუალო მარჯვენებელთან შესაბამის შემთხვევებში წლიურ საფუძველზე.
8. რისკზე კორექტირებული სესხების ეფექტური განაკვეთი არის სესხის ეფექტური განაკვეთი მინუს რისკის ერთჯერადი და სავალუტო ეფექტის გარდა.
9. დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უდრის საპროცენტო ხარჯს კლიენტის ანგარიშებზე, შეფარდებულს მთლიანი სამომხმარებლო დეპოზიტების ყოველთვიურ საშუალო მარჯვენებელთან. შესაბამის შემთხვევებში წლიურ საფუძველზე.
10. განაკვეთი საპროცენტო აქტივებზე უდრის მთლიან საპროცენტო შემოსავალს შეფარდებულს საპროცენტო აქტივების ყოველთვიურ საშუალო მარჯვენებელთან. შესაბამის შემთხვევებში წლიურ საფუძველზე..
11. დაფინანსების ხარჯი უდრის მთლიან საპროცენტო ხარჯს, შეფარდებულს საპროცენტო ვალდებულებების ყოველთვიურ საშუალო მარჯვენებელთან; შესაბამის შემთხვევებში წლიურ საფუძველზე.
12. სპრედი უდრის სხვაობას საპროცენტო აქტივებზე შემოსავლებს (მათ შორის და არა მხოლოდ შემოსავლები სესხებზე, ფასიან ქაღალდებზე და ბანკისგან მისაღები თანხებზე) და დაფინანსების ხარჯს შორის (მათ შორის და არა მხოლოდ დეპოზიტების ხარჯი, ხარჯი სასესხო სასრებზე და ბანკისთვის გადასახდელ თანხებზე).
13. რისკის ფასი უდრის კლიენტებზე სესხების საკრედიტო ზარალის რეზერვს, შეფარდებულს იმავე პერიოდის კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხების და ავანსების ყოველთვიურ საშუალო მარჯვენებელთან; შესაბამის შემთხვევებში წლიურ საფუძველზე.
14. PAR 90 კოეფიციენტი მთლიან გაცემულ სესხებზე, რომლის ძირი თანხის ან პროცენტის დაფარვა ვადაგადაცილებულია 90 დღეზე მეტი ხნით, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიანი სასესხო პორტფელის მარჯვენებელთან.
15. NPLs დაფარვის კოეფიციენტი მთლიან სესხებთან უდრის სესხებს 90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებულ ძირი თანხის ან პროცენტის გადახდით, და სესხებს სათანადოდ განსაზღვრული სუსტი ხარისხით, მიუხედავად ვადაგადაცილებული თანხების ან დღეების არსებობისა, შეფასდებულს იმავე პერიოდის მთლიანი სესხების პორტფელთან.
16. NPLs დაფარვის კოეფიციენტი უზრუნველყოფით უდრის კლიენტებზე გაცემული სესხების საერთო საკრედიტო ზარალს, გამოანგარიშებული IFRS 9-ს შესაბამისად, შეფარდებულს NPL მთლიან სესხებთან.
17. NPLs დაფარვა უზრუნველყოფის კოეფიციენტით უდრის კლიენტებზე გაცემული სესხების საერთო საკრედიტო ზარალს, გამოანგარიშებული IFRS 9-ს შესაბამისად, პლუს NPL სესხების საერთო უზრუნველყოფის თანხა (მესამე მხარის გარანტიების გარდა), დისკონტირებული 30-50%, სეგმენტის ტიპიდან გამომდინარე, შეფასდებულს NPL სესხებთან.
18. საკრედიტო ზარალის დონე მთლიან სესხებზე უდრის საკრედიტო ზარალის დონის ფარდობას მთლიანი სასესხო პორტფელთან.
19. დაკავშირებული მხარის სესხები მთლიან სესხებში უდრის დაკავშირებული მხარის სესხებს, შეფარდებულს მთლიანი სესხების პორტფელთან.
20. ტოპ 10 მსესხებელი უდრის ტოპ 10 მსესხებლის შეფარდება მთლიან პორტფელთან.

21. ტოპ 20 მსესხებელი უდრის ტოპ 20 მსესხებლის შეფარდებას მთლიან პოტენციალთან.
22. წმინდა სესხების კოეფიციენტი დეპოზიტებში + IFI დაფინანსება უდრის წმინდა სესხებს, შეფარდებას საერთო დეპოზიტებთან დამატებული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული სასესხო სახსრები.
23. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი უდრის სტაბილური დაფინანსების არსებულ თანხას, შეფარდებას სტაბილური დაფინანსების მოთხოვნილ თანხასთან, როგორც განსაზღვრულია სებ-ის ბაზელ III გაილდაინების შესაბამისად.
24. ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი უდრის მაღალი ხარისხის ლიკვიდურ აქტივებს, შეფარდებას საერთო წმინდა ფულადი გადინებების თანხასთან, როგორც განსაზღვრულია სებ-ის მიერ.
25. ლევერიჯი უდრის საერთო აქტივების საერთო კაპიტალთან ფარდობას.
26. ძირითადი პირველადი კაპიტალი CAR უდრის ძირითადი პირველადი კაპიტალი შეფარდებული რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციასთან, ორივე შემთხვევაში გამოთვლილია სებ-ის ბაზელ III სტანდარტების პილარ 1-ის მოთხოვნების შესაბამისად. ანგარიშგება დაიწყო 2017 წლიდან. გამოთვლები განხორციელდა მხოლოდ თიბისი ბანკისთვის, ადგილობრივი სტანდარტების საფუძველზე.
27. საზედამხებველო პირველადი კაპიტალი CAR უდრის პირველადი კაპიტალი შეფარდებული რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციასთან, ორივე შემთხვევაში გამოთვლილია სებ-ის ბაზელ III სტანდარტების პილარ 1-ის მოთხოვნების შესაბამისად. ანგარიშგება დაიწყო 2017 წლიდან. გამოთვლები განხორციელდა მხოლოდ თიბისი ბანკისთვის, ადგილობრივი სტანდარტების საფუძველზე.
28. საზედამხებველო კაპიტალი CAR უდრის საზედამხებველო კაპიტალი შეფარდებული რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციასთან, ორივე შემთხვევაში გამოთვლილია სებ-ის ბაზელ III სტანდარტების პილარ 1-ის მოთხოვნების შესაბამისად. ანგარიშგება დაიწყო 2017 წლიდან. გამოთვლები განხორციელდა მხოლოდ თიბისი ბანკისთვის, ადგილობრივი სტანდარტების საფუძველზე.

**სავალუტო კურსები**

წინა წელთან შედარებით საბალანსო მუხლების ზრდის გამოსათვლელად, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, ჩვენ გამოვიყენეთ აშშ დოლარის / ლართან შეფარდების 2.6766 სავალუტო კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აშშ დოლარის / ლართან შეფარდების კურსი შეადგენდა 2.8677. P&L ზრდის გამოსათვლელად სავალუტო ეფექტის გარეშე, ჩვენ გამოვიყენეთ საშუალო აშშ დოლარის / ლართან შეფარდების კურსი შემდეგი პერიოდებისთვის: 2019 ფინანსურ წელს - 2.8192, ხოლო 2018 ფინანსურ წელს - 2.5345.

**დადასტავებული ინფორმაცია**

**1) წმინდა მოგება სავალუტო სვოპებიდან**

2019 წელს, ჯგუფი შევიდა უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ სვოპის ხელშეკრულებებში, რათა შემცირებულიყო დაფინანსების ხარჯი. რადგან კონტრაქტებმა მიიღწია მნიშვნელოვან მოცულობას, ჯგუფმა გადახედა ეფექტების პრეზენტაციას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. რეკლასიფიკაცია სხვა არასაპროცენტო საოპერაციო შემოსავლიდან წმინდა საპროცენტო შემოსავალში აღირიცხა 2019 წლის პირველ სამ კვარტალში. 2018 წლის ინფორმაციის ხელახლა ფორმულირება არ მოხდა თანხების არარსებობის გამო.

ათას ლარში	4Q'19	3Q'19	2Q'19	1Q19
<b>წმინდა მოგება სავალუტო სვოპებიდან</b>	<b>9,054</b>	8,355	6,967	4,179

## კორპორაციული მართვა

სააქციო საზოგადოება თიბისი ბანკი (შემდგომში „ბანკი“) არის ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტზე რეგისტრირებული კომპანიის, TBC Bank Group PLC-ის (შემდგომში „თიბისი ჯგუფი“), ძირითადი შვილობილი კომპანია. ბანკის კორპორაციული მართვა შეესაბამება „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის N215/04 ბრძანების (შემდგომში - „კოდექსი“) მოთხოვნებს. ამავდროულად, ბანკი აკმაყოფილებს კორპორაციული მართვის უმაღლეს სტანდარტებს დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს „კორპორაციული მართვის კოდექსის“ მიხედვით.

გარდა ამისა, ბანკს გააჩნია ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა ზუსტი და სარწმუნო ფინანსური ანგარიშგების უზრუნველყოფის მიზნით. ბანკს აქვს ანგარიშვალდებულების და უფლებამოსილების დელეგირების, ასევე პოლიტიკების და პროცედურების მკაფიოდ განსაზღვრული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ფინანსურ დაგეგმვას და ანგარიშგებას, ყოველთვიური მართვის ანგარიშგების მომზადებას, პროექტის მართვას, ინფორმაციის დაცვას და განმარტებითი შენიშვნების მიმოხილვას წლიური ანგარიშის ფარგლებში და ანგარიშებს შესაბამისი ხელმძღვანელებიდან, წლის განმავლობაში ყველა შესაბამისი შედეგის გამჟღავნების და სამართლიანი და ობიექტური წარმოდგენის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს, რომ ბანკის მართვის სტრუქტურა იძლევა ადეკვატური ზედამხედველობის და ანგარიშვალდებულების, ასევე მოვალეობების განაწილების შესაძლებლობას. მმართველობის ყველა დონის ჩართვა რისკის მართვაში, უფლებამოსილების მკაფიო გამიჯვნა და ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა ორგანიზაციულ ერთეულებს შორის, ხელს შეუწყობს სტრატეგიული და რისკის მიზნების გამჭვირვალობას, დადგენილი რისკის აპეტიტის, რისკის ბიუჯეტის და რისკის მართვის შესაბამისობასა და დაცვას. ცენტრალიზებული ორგანიზაციის რისკების მართვის (ERM) განყოფილება უზრუნველყოფს რისკის სტრატეგიისა და რისკის აპეტიტის ეფექტურად შემუშავებას, კომუნიკაციასა და დანერგვას ჯგუფის მასშტაბით.

ბანკის მთავარი აქციონერი არის თიბისი ჯგუფი, ინგლისსა და უელსში დაფუძნებული კომპანია, რომელიც ფლობს ბანკის 99.88%-ს. თიბისი ჯგუფი არის ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტზე რეგისტრირებული კომპანია. აქციონერთა უფლებები მითითებულია ბანკის წესდებაში და რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ და „კომერციული ბანკების საქმიანობების შესახებ“ საქართველოს კანონებით.

ბანკის საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭო შედგება 6 წევრიდან (ნიკოლოზ ენუქიძე (თავმჯდომარე), ნიკოლას ჰააგი (უფროსი დამოუკიდებელი წევრი), მარია ლუიზა ჩიკონიანი, ცირა კემულარია, არნე ბერგრენი და ერიკ რაჯენდრა), ყველა მათგანი ითვლება დამოუკიდებლად კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭოს აქვს ოთხი კომიტეტი: (i) აუდიტის კომიტეტი; (ii) ანაზღაურების კომიტეტი; (iii) კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტი; და (iv) რისკის კომიტეტი. თითოეული კომიტეტის მანდატი რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი დოკუმენტით, რომელიც აკმაყოფილებს კოდექსის მოთხოვნებს.

ჯგუფს გააჩნია სარკინებური მართვის სტრუქტურა, რომლის საფუძველზე თიბისი ჯგუფის დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა იდენტურია, მათ შორის თავმჯდომარე და კომიტეტის წევრები. პრაქტიკულად ბანკს ჯგუფში აქვს ორი ექვივალენტური სამეთვალყურეო ორგანო, რომელიც წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს და მისი კომიტეტების და თიბისი ჯგუფის მმართველი საბჭოს, ე.ი. დირექტორთა საბჭოს და მისი კომიტეტების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ ცალკე მდგომ, თუმცა ურთიერთდაკავშირებულ მმართველ ორგანოებს.

სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორთა საბჭოს და მათი შესაბამისი კომიტეტების საქმიანობა სათანადოდ არის დაბალანსებული, იყოფა ფუნქციებად იმის მიხედვით, ზედამხედველობენ თუ არა ისეთ საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფზე თუ მხოლოდ ბანკზე. სამეთვალყურეო საბჭო, სხვა პასუხისმგებლობებთან ერთად, ამტკიცებს ქონების შესყიდვას, გასხვივებას და განკარგვას (რომლის ღირებულება აღემატება ბანკის მთლიანი აქტივების 0.5%-ს), ქმნის სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებს, ამტკიცებს ბანკის ფილიალების დაფუძნებას და ლიკვიდაციას, ამტკიცებს ტრანზაქციას ან ტრანზაქციებს ბანკის სესხთან დაკავშირებით (თუ ის აღემატება ბანკის მთლიანი აქტივების 3%-ს), ამტკიცებს ბანკის აქციების განთავსებას საფონდო ბირჟაზე და იყენებს ნებისმიერ და ყველა ფუნქციას, რომელიც განსაზღვრულია ბანკის წესდებაში და შესაბამისი მოქმედ კანონმდებლობაში.

თიბისი ჯგუფის დირექტორთა საბჭო არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მნიშვნელოვანია ჯგუფისთვის. არსებობს საკითხების ოფიციალური ჩამონათვალი, რომელიც განსაზღვრულია დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებისთვის იმის უზრუნველსაყოფად, რომ დირექტორთა საბჭომ შეინარჩუნოს კონტროლი ძირითად გადაწყვეტილებებზე. მასში შედის: ჯგუფის სტრატეგიის, გრძელვადიანი





გეგმების, რისკის აპეტიტის, წლიური საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების ბიუჯეტის, ჯგუფის კაპიტალში ცვლილებების, აქციის გამოსყიდვის, მსხვილი შენაძენების და/ან გაერთიანებების, წლიური ანგარიშების და ანგარიშგებების დამტკიცება და სხვა.

სამეთვალყურეო საბჭო აღიარებს ბანკისა და თიბისი ჯგუფის მმართველობითი ორგანოების მრავალფეროვნების, კერძოდ სხვადასხვა სქესის, ეროვნებისა და სამუშაო გამოცდილების მქონე ადამიანებით დაკომპლექტების მნიშვნელობას. გარდა ამისა, შესაბამის თანამდებობებზე დანიშნას ახორციელებს დამსახურების საფუძველზე, მოთხოვნილი უნარებისა და გამოცდილების ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან ორი ქალია. გარდა ამისა, ძირითად პოზიციებზე მრავალი ნიჭიერი ქალია წარმოდგენილი, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან ბანკის გენერალურ დირექტორს და ბანკის მმართველი საბჭოს სხვა წევრებს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ტოპ მენეჯმენტის 14%-ის და ჯგუფის საშუალო ხელმძღვანელი რგოლის 36%-ის ფუნქციებს ასრულებდნენ ქალები. გარდა ამისა ჯგუფის მასშტაბით თანამშრომელთა 67% ქალია.



### ნიკოლოზ ენუქიძე

#### თავმჯდომარე

ბატონმა ნიკოლოზ ენუქიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა 1993 წელს, 1996 წელს მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის დიპლომი მერილენდის უნივერსიტეტში.

2006-2010 წლებში ნიკოლოზ ენუქიძე საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (უფრო ადრე კი - თავმჯდომარის მოადგილე) და ლონდონის საფონდო ბირჟაზე ბანკის აქციების წარმატებულად გატანის ერთ-ერთი მესვეური იყო. ეს იყო კავკასიის რეგიონიდან ლონდონში აქციების პირველი საჯარო შეთავაზება. ნიკოლოზ ენუქიძე ასევე არის აზერბაიჯანში Yelo Bank -ის დირექტორთა საბჭოს წევრი. საქართველოს ბანკში მუშაობამდე, ნიკოლოზ ენუქიძე მუშაობდა მოსკოვსა და ლონდონში "ABN AMRO Corporate Finance"-ში, კიევში - "Concorde Capital"-ში და ვირჯინიაში, რესტონში - "Global One Communications"-ში.

ნიკოლოზ ენუქიძე არის TBC Bank Group PLC-ს და სს თიბისი ბანკის თავმჯდომარე 2019 წლის 25 ივლისიდან და 2019 წლის 13 აგვისტოდან. მანამდე ბატონი ნიკოლოზი დაინიშნა სს თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად 2013 წელს და იყო TBC Bank Group PLC-ის საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი დირექტორი 2016 წლიდან 2019 წლამდე.



### ნიკოლას ლომიძე ჰააგი

#### უფროსი დამოუკიდებელი არაადმინისტრაციული დირექტორი

ნიკოლას ჰააგმა 1980 წელს მიიღო ბაკალავრის დიპლომი ოქსფორდის უნივერსიტეტში, გეოგრაფიის თანამედროვე კვლევების განხრით.

ბატონ ჰააგს ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში მუშაობის 32 წლიანი გამოცდილება აქვს, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამოცდილება კერძო კაპიტალის ბაზრებსა და ტექნოლოგიაში. 7 წლის განმავლობაში, 1980-1987 წლებში, ნიკოლას ჰააგი მუშაობდა „Barclays Bank“-ში კაპიტალის სხვადასხვა ბაზრებში პროექტების დაფინანსების განხრით, მათ შორის „Barclays de Zoete Wedd“-ში (BZW) კაპიტალის სინდიკატის ხელმძღვანელ თანამდებობაზე; ის ათი წელი, 1989-1999 წლებში, მუშაობდა „Banque Paribas“-ის, „Paribas Capital Markets“ მიმართულებაში, თავიდან იყო გლობალური

კერძო კაპიტალის ბაზრების ხელმძღვანელის მოადგილე, მოგვიანებით კი გახდა უფროსი ბანკირი და ევროპის კლიენტების მომსახურების ხელმძღვანელი (საფრანგეთის გარდა); ორი წლის განმავლობაში, 1999-2001 წლებში, მუშაობდა „ING Barings“-ში ტექნოლოგიური ბანკინგის ჯგუფის მმართველ დირექტორად და საბანკო ტექნოლოგიების გლობალურ ხელმძღვანელად; ექვსი წლის განმავლობაში, 2001-2007 წლებში, ნიკოლას ჰააგი იყო ლონდონში „ABN AMRO“-ს საბანკო ტექნოლოგიების გლობალური ხელმძღვანელი, „გლობალური TMT მართვის კომიტეტის“ წევრი, „ზემდგომი საკრედიტო კომიტეტის“ უფროსი მმართველი დირექტორი და წევრი; ოთხი წლის განმავლობაში, 2008-2012 წლებში, „Royal Bank of Scotland“-ის და „RBS Hoare Govett“-ის მმართველი დირექტორი, ლონდონის კერძო კაპიტალის ბაზრების ხელმძღვანელი და „გლობალური კერძო კაპიტალის მოზიდვის მართვის“ კომიტეტის წევრი.

2012 წლიდან არის მოსკოვის „Credit Bank“-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის უფროსი დამოუკიდებელი მრჩეველი, ხოლო 2013 წლიდან 2016 წლის ნოემბრამდე ის იყო ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ასევე ფინანსური კონსულტანტი კაპიტალის მოზიდვისა და საფონდო ბირჟაზე რეგისტრაციის მიმართულებით. გარდა ამისა, ის ასევე არის „Bayport

Management Limited"-ის (პანაფრიკული და ლათინურამერიკული საცალო გამსესხებელი) დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი, ხოლო 2016 წლიდან, რიგაში, "AS Citadele Banka"-ს დირექტორი. 2012 წლიდან არის საკუთარი საკონსულტაციო კომპანიის "Nidcom Limited"-ის დირექტორი.

ბატონი ჰააგი სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დაინიშნა 2013 წელს, ხოლო TBC Bank Group PLC-ის საბჭოს დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორია 2016 წლის მაისიდან. ნიკოლას ჰააგს აქვს უახლესი და შესაფერისი ფინანსური გამოცდილება, რაც გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსით მოითხოვება იმისათვის, რომ შეასრულოს თავისი, როგორც ფინანსური ექსპერტის, მოვალეობები TBC Bank Group PLC -ის აუდიტის კომიტეტში. 2019 წლის აგვისტოში ბატონი ჰააგი დაინიშნა TBC Bank Group PLC-ის საბჭოს უფროს დამოუკიდებელ დირექტორად.

## ერიკ რაჯენდრა

### დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი

ბატონმა ერიკ რაჯენდრამ ბაკალავრის ხარისხი მიიღო ბრანდის უნივერსიტეტში, ხოლო მაგისტრის ხარისხი – 1982 წელს ფლეტერის სკოლაში (ტაფტის უნივერსიტეტისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი), ხოლო სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა INSEAD-ის ბიზნესის სკოლაში, ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების სფეროში. ერიკ რაჯენდრა ასევე არის "Australian Institute of Company Directors"-ის კურსდამთავრებული, მანამდე იყო სტრატეგიის პროფესორის თანაშემწე INSEAD-ში.

2005-2014 წლებში მას ეკავა უფროსი მრჩეველის თანამდებობა „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში“ და იყო საბჭოს დირექტორი ან მრჩეველი იმ განვითარებადი ბაზრების ფინანსური ინსტიტუტებში, სადაც მსოფლიო ბანკის ჯგუფს აქვს წილი კაპიტალში, ასევე ის კომპანიას კონსულტაციას უწევდა მთავარ სტრატეგიულ ინიციატივებთან დაკავშირებით. მისი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის პორტფელში შედიოდა შემდეგი ფუნქციები: "Locko Bank"-ის სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორი (2006 წლიდან 2014 წლამდე), სადაც ასევე იყო აუდიტისა და რისკების კომიტეტის თავმჯდომარე და დამფუძნებელი; "Orient Express Bank"-ში (2010 წლიდან 2012 წლამდე) სტრატეგიის კომიტეტის თავმჯდომარე და მანამდე "ACLEDA Bank"-ში (წამყვანი ბანკი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მიკრო-ფინანსების მიმართულებით).

„საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში“ მუშაობის დაწყებამდე, ის იყო „Capgemini“-ის ვიცეპრეზიდენტი და „Electronic Data Systems“-ის ვიცეპრეზიდენტი; ორივე ინსტიტუტში მას წამყვანი როლი ეკავა ფინანსური სერვისების მიმართულებით. მისი კარიერა საბანკო სფეროში დაიწყო „JP Morgan Chase Bank“-ის ბანკირად 1982 წელს, ხოლო მოგვიანებით კი ის გახდა „McKinsey & Company“-ის პარტნიორი. ერიკ რაჯენდრა სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დაინიშნა 2010 წელს, ხოლო TBC Bank Group PLC-ის საბჭოს დამოუკიდებელ არააღმასრულებელ დირექტორად – 2016 წლის მაისში, სადაც ის მუშაობდა გადადგომამდე, კერძოდ, 2019 წლის 15 მარტამდე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. მოგვიანებით ის ხელახლა დაინიშნა 2019 წლის 17 სექტემბერს, გამოჯანმრთელების შემდეგ.





## **მარია ლუიზა რიკონიანი**

### **დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი**

ქალბატონმა მარია ლუიზა რიკონიანი 1987 წელს დაამთავრა ბოქონის უნივერსიტეტი ბიზნესის და ადმინისტრირების განხრით. მას აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი იაპონიის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან იაპონიის ეკონომიკისა და ბიზნესის განხრით.

მარია ლუიზა რიკონიანი აქვს დიდი გამოცდილება საბანკო და კორპორატიული მართვის სფეროში. 1993-2005 წლებში ის მუშაობდა „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში“ (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი). 2005-2006 წლებში ის იყო „Merrill Lynch“-ის ფინანსური დაწესებულებების დირექტორი და „Renaissance Capital“-ის მმართველი დირექტორი ლონდონსა და მოსკოვში 2006-2008 წლებში. „Renaissance Capital“-ში ის პასუხისმგებელი იყო გუნდის მართვაზე, რომელიც ახდენდა კომპანიის FIG პრაქტიკის შემუშავებას როგორც აფრიკაში ისე დსთ-ს ქვეყნებში. მარია ლუიზა რიკონიანი მონაწილეობას იღებდა „Renaissance Partners“-ის მიერ FIG საინვესტიციო შესაძლებლობების შექმნის, ანალიზისა და დამუშავების პროცესში და ასევე აფრიკაში FIG ინვესტიციების პორტფელის მონიტორინგის პროცესში.

2008-2014 წლებში ის იყო „Mediobanca“-ის (ლონდონის ფილიალის) მმართველი დირექტორი, სადაც ის პასუხისმგებელი იყო M&A საკონსულტაციო და კლიენტების მართვის შექმნაზე განვითარებადი ბაზრებისთვის. ის უმარაბოდა M&A და კორპორატიული ფინანსების გუნდებს იტალიელი კლიენტებისთვის კონსულტაციების გაწევაში, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ იტალიის ფარგლებს გარეთ გაფართოებით ან უცხოელ ინვესტორთა იდენტიფიცირებით. 2014- 2016 წლებში მარია ლუიზა რიკონიანი იყო „Azimut Global Counseling Srl“-ის (იტალია) და „Azimut International Holding SA“-ის (ლუქსემბურგი) საბჭოს არააღმასრულებელი წევრი.

ის არის „Arafa Holding“-ის (ეგვიპტე) არააღმასრულებელი დირექტორი და გახდა „Baird Group“-ის (გაერთიანებული სამეფო) საბჭოს მეთვალყურე, რომელიც არის „Arafa Holding“-ის შვილობილი კომპანია (რომელიც რეგისტრირებულია კაიროს საფონდო ბირჟაზე). 2018 წლის ოქტომბრიდან ის არის „Möbius Investment Trust“-ის თავმჯდომარე, რომლის აქციები რეგისტრირებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

ქალბატონი რიკონიანი დაინიშნა TBC Bank Group PLC-ის საბჭოს დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე და სს თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად 2018 წლის სექტემბერში.



## ცირა კემულარია

### დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი

ქალბატონმა ცირა კემულარიამ 1999 წელს დაამთავრა ლუიზიანას სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსების და ეკონომიკის სპეციალობით. მას გააჩნია 20 წლიანი საერთაშორისო გამოცდილება ფინანსური მომსახურებისა და რისკების მართვის სფეროში.

1999 წლიდან 2005 წლამდე მას ეკავა სხვადასხვა თანამდებობა საბაზრო რისკის მართვის სფეროში როგორც "Dynergy Inc."-ში აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოში, ისე კომპანიაში "Shell International Trading & Shipping Ltd [STASCO]" ლონდონში. 2005 წლიდან 2008 წლამდე ცირა კემულარია იყო "Shell International"-ის მენეჯერი M&A და კომერციულ ფინანსებში, ჯგუფის ხაზინასა და კორპორატიულ ფინანსებში. 2008-2011 წლებში ის იკავებდა კომერციული ფინანსური მენეჯერის თანამდებობას, M&A ჯგუფის ხაზინისა და კორპორატიული ფინანსების განხრით, კომპანიაში "Shell Exploration and Production Services (B.V)" მოსკოვში. ამის შემდეგ, 2011-2016 წლებში, მას ეკავა ფინანსური მენეჯერისა და ქვეყნის მაკონტროლებლის პოზიცია კომპანიაში "Shell Western Supply and Trading LTD"-ში ბარბადოსში, ვესტ-ინდოეთში. 2016 წლიდან 2019 წლამდე ქ-ნი კემულარია იყო "Shell International Ltd"-ს ჯგუფის საპენსიო სტრატეგიისა და სტანდარტების ხელმძღვანელი ლონდონში და ამჟამად მართავს "Shell International Trading and Supply businesses" შიდა აუდიტს.

2006 წლიდან 2010 წლამდე, ქალბატონი კემულარია იყო „ბრიტანულ-ქართული საზოგადოების“ საბჭოს წევრი. 2011 წელს ის შეუერთდა "Shell Western Supply and Trading Ltd"-ის საბჭოს. 2016 წლიდან ის ასევე არის "British Gas General Partner Ltd" და "British Gas Trustee Solutions Ltd" კომპანიის ნდობით აღჭურვილი პირი. ცირა კემულარია არის „დირექტორთა ინსტიტუტის“ წევრი, რომელიც მდებარეობს ლონდონში, გაერთიანებულ სამეფოში, და ამჟამად ის მონაწილეობს „დიპლომირებული დირექტორების პროგრამაში“.

ცირა კემულარია დაინიშნა TBC Bank Group PLC-ის საბჭოს დამოუკიდებელ არააღმასრულებელ დირექტორად და სს თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად 2018 წლის სექტემბერში და არის მართვის და ნომინაციის კომიტეტის თავმჯდომარე.



## **არნე ბერგრენი**

### **დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი**

არნე ბერგრენი სწავლობდა ისეთ ცნობილ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორცაა შვედეთის მენეჯმენტის ინსტიტუტი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა, ჟენევის უნივერსიტეტი, ამსტერდამის უნივერსიტეტი და უფსალას უნივერსიტეტი.

არნე ბერგრენი 25 წელზე მეტია სხვადასხვა გზით არის ჩართული საკუთრების საკითხებში, შვედეთში და საზღვარგარეთ ბანკების და კომპანიების გაყიდვების და რეკონსტრუქციის საკითხებში. კერძო და საჯარო დამსაქმებლები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები, არაერთხელ იწვევდნენ მას მრჩევლის, აღმასრულებელი დირექტორის ან სხვა მსგავს პოზიციებზე.

არნე ბერგრენი ამჟამად არის კვიპროსის ბანკის საბჭოს წევრი, სადაც უკავია რისკის კომიტეტის თავმჯდომარის პოზიცია და არის აუდიტის კომიტეტის წევრი. ის ასევე მუშაობს პირუხის ბანკში, სადაც ხელმძღვანელობს ნომინაციების და ანაზღაურების კომიტეტებს და არის რისკისა და აუდიტის და სტრატეგიის კომიტეტების წევრი.

მანამდე ბატონი ბერგრენი იყო აქტივების მართვის თურქული კომპანიის, "LBT Varlik Yonetim"-ის და სლოვენური ბანკის აქტივების მართვის კომპანიის, "DUBT Ltd"-ის საბჭოს წევრი. მას ასევე უმუშავია რამდენიმე წამყვან თანამდებობაზე ცნობილ საფინანსო ინსტიტუტებში, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდში, მსოფლიო ბანკში, შვედეთის ბანკში, კარნეგის საინვესტიციო ბანკში, შვედეთის ფინანსთა სამინისტროსა და ბანკების მხარდაჭერის სააგენტოში.

არნე ბერგრენი დაინიშნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში 2019 წლის ივლისში და TBC Bank Group PLC-ის საბჭოში დამოუკიდებელ არააღმასრულებელ დირექტორად 2019 წლის აგვისტოში.



### **ვახტანგ ბუცხრიკია**

#### **გენერალური დირექტორი**

ვახტანგ ბუცხრიკიძე თიბისი ბანკს შემოუერთდა 1993 წელს, კრედიტების მართვის დეპარტამენტის უფროს მენეჯერად, ხოლო 1994 წელს ის აირჩიეს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1996 წელს ის გახდა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. 1998 წლიდან მას უჭირავს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის თანამდებობა და ხელმძღვანელობს თიბისის რამდენიმე კომიტეტს.

ვახტანგ ბუცხრიკიძე კომპანიის გენერალურ დირექტორად დაინიშნა 2016 წლის მაისში, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო 2016 წლიდან 2018 წლის აპრილამდე. ბ-ნი ვახტანგი ასევე არის საქართველოს ბანკების ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და საქართველოს ბიზნეს ასოციაციის საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარე. 2016 წელს ბ-ნი ვახტანგი შეუერთდა ვიზას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის (CEMEA) ბიზნეს საბჭოს.

კარიერის დასაწყისში, ვახტანგი მუშაობდა უმცროს სპეციალისტად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, ასევე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის თანაშემწედ 1992-1993 წლებში.

2001 წელს ვახტანგი ჟურნალ „ჯორჯიან ტაიმსმა“ დააჯილდოვა „წლის საუკეთესო ბიზნესმენის“ წოდებით, 2011 წელს კი მან 2011 წლის საუკეთესო ბანკირის ჯილდო მიიღო GUAM-სგან, დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციისგან. გარდა ამისა, ვახტანგი ჟურნალმა “EMEA Finance” დაასახელა 2014 წლის საუკეთესო გენერალურ დირექტორად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ში.

2019 წლის მარტში ბატონ ბუცხრიკიძეს მიენიჭა სპეციალური ჯილდო Responsible Capitalism in Adversity პრესტიჟული მრავალდისციპლინური საერთაშორისო ურთიერთობების ორგანიზაციის “FIRST”-ის მიერ, რომლის მიზანია მრეწველობის, ფინანსების და მთავრობის ლიდერებს შორის დიალოგის გაფართოება.

2001 წელს ვახტანგმა ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხი მიიღო მართვის ევროპულ სკოლაში (“European School of Management”), თბილისში. მან 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში მიიღო მესამე დონის კვალიფიკაცია.



## **გიორგი შახიძე**

### **გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი**

2020 წლის იანვარში მმართველი საბჭოს შემადგენლობაში სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ, გიორგი შახიძემ შეითავსა საოპერაციო დირექტორის ზოგი მოვალეობა და უზბეკეთის შვილობილი კომპანიის საქმიანობის დაწყებისას, ბ-ნი გიორგი დაიკავებს ამ შვილობილი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას.

გიორგი 2010 წელს გახდა გენერალური დირექტორის მოადგილე და ფინანსური დირექტორი, ამავე წელს დაინიშნა დირექტორთა საბჭოს წევრად.

ბ-ნი გიორგი 2016 წელს დაინიშნა კომპანიის ფინანსურ დირექტორად. ის არის საქართველოს საფონდო ბირჟის საბჭოს წევრი, ასევე, 2015 წლამდე - თიბისი ბანკთან შერწყმამდე - იყო ბანკი კონსტანტას სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

თიბისი ბანკამდე, 2008-2010 წლებში გიორგი მუშაობდა გლობალური ოპერაციების აღმასრულებლად "Barclays Bank Plc" -ში. უფრო ადრეული კარიერის განმავლობაში ის იყო საქართველოს ბანკის დისტრიბუციის არხების დირექტორი და საქართველოს სახალხო ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე, ასევე ეკავა სხვადასხვა ხელმძღვანელი პოზიცია თბილუნევერსალბანკში და საქართველოს აგროინდუსტრიულ ბანკში.

2008 წელს გიორგიმ მიიღო ბიზნესის ადმინისტრების მაგისტრის ხარისხი (MBA) კემბრიჯის უნივერსიტეტის ჯაჯის ბიზნესსკოლაში. მან 1997 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. ის ასევე ფლობს CFA კვალიფიკაციას და არის CFA საზოგადოების წევრი გაერთიანებულ სამეფოში.



## **გიორგი თხაღია**

### **გენერალური დირექტორის მოადგილე, კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება**

გიორგი 2014 წელს შემოუერთდა თიბისი ბანკს გენერალური დირექტორის მოადგილის სახით, ხელმძღვანელობდა რისკის მართვის განყოფილებას. ბანკი რესპუბლიკას შექმნის და კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგის (CIB) განყოფილების შექმნის შემდეგ, 2016 წლის ნოემბერში, ბ-ნმა გიორგიმ აიღო ამ განყოფილების მართვის პასუხისმგებლობა. გიორგის გამოცდილება ფინანსური მომსახურების სფეროში 15 წელზე მეტს ითვლის.

თიბისი ბანკში მოსვლამდე, გიორგი მუშაობდა ბარკლის საინვესტიციო ბანკში, სადაც მას 2011 წლის ივნისიდან ეკავა ევროპის, შუა აზიის და აფრიკის რეგიონის (EMEA) ფინანსური ინსტიტუტების ჯგუფის (FIG) ვიცე პრეზიდენტის თანამდებობა. 2009 წლის სექტემბრიდან გიორგი იყო ბარკლის სასესო დაფინანსების და კორპორატიული რესტრუქტურის განყოფილების ასოცირებული დირექტორი. მისი კარიერის მანძილზე ბარკლიში, ლონდონში გიორგი მუშაობდა და წარმატებით განახორციელა არაერთი M&A ოპერაცია, სასესო და კაპიტალის ბაზრის ტრანზაქციები ევროპის ფინანსურ ინსტიტუტებთან.

კარიერის დასაწყისში საქართველოში გიორგის სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავა სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“ 2000-2007 წლებში, ის ამ კომპანიის გენერალური დირექტორიც გახლდათ. ბ-ნმა გიორგიმ. ლონდონის ბიზნეს სკოლაში მოიპოვა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხი (2009წ). ის ასევე ფლობს საერთაშორისო კომერციული სამართლის მაგისტრის ხარისხს ნოტინგემის უნივერსიტეტიდან (2002) და სამართლის მაგისტრის ხარისხს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (2000).





## ნინო მასურაშვილი

### გენერალური დირექტორის მოადგილე, საცალო საბანკო მომსახურება

დავით ჭყონიას გადადგომის შემდეგ, ნინო მასურაშვილი დაინიშნა თიბისი ბანკის რისკების მართვის დირექტორად 2020 წლის 24 იანვარს.

ნინო თიბისი ბანკს 2000 წელს შემოუერთდა დაგეგმვის და კონტროლის დეპარტამენტის მენეჯერად, ხოლო 2002 წელს ამავე დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახდა.

2004-2005 წლებში ის იყო გაყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი და საცალო საბანკო მომსახურების კოორდინატორი. 2006 წელს ნინო დაინიშნა გენერალური დირექტორის მოადგილედ საცალო და მცირე და საშუალო საწარმოთა საბანკო მომსახურების მიმართულებით. 2006-2008 წლებში ნინო იყო "UFC"-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 2011-2015 წლებში, თიბისი ბანკთან სრულ შერწყამდე, მას ეჭირა ბანკი კონსტანტას სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობა. 2011-2016 წლებში ნინო არის თიბისი კრედიტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

კარიერის დასაწყისში ის იყო საკრედიტო ანგარიშების მენეჯერი, საკრედიტო ოფიცერი, ფინანსური ანალიტიკოსი (საფინანსო დეპარტამენტში) და ფინანსური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი თბილისში 1995-2000 წლებში. 1998-2000 წლებში ის ასევე იყო ბარენც ჯგუფის ბუღალტერი.

ნინომ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი 1996 წელს, მან ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მიიღო მართვის ევროპულ სკოლაში, თბილისში.



## ნიკოლოზ ჟურდიანი

### გენერალური დირექტორის მოადგილე, მცირე, საშუალო და მიკრო სეგმენტის საბანკო მომსახურება და მარკეტინგი

2020 წლის იანვარში მმართველი საბჭოს შემადგენლობაში სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ, ნიკოლოზ ჟურდიანმა შეითავსა გადახდების ეკოსისტემების პასუხისმგებლობები.

ნიკას საბანკო ინდუსტრიაში მუშაობის გამოცდილება თხუთმეტ წელზე მეტს ითვლის, აქედან ხუთი წელი მოდის უნიკრედიტ ჯგუფზე ავსტრიაში, თურქეთსა და ყაზახეთში. თიბისი ბანკამდე, 2014 წელს ბატონი ჟურდიანი იყო კასპი ბანკის - ყაზახეთის წამყვანი საცალო ბანკის - მმართველი დირექტორი.

2007 წელს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხის მიღებამდე, ის იყო საცალო საბანკო მომსახურების განყოფილების ხელმძღვანელი ბანკ რესპუბლიკა საქართველოში, სოსიეტე ჟენერალ ჯგუფში. მას ასევე ეკავა სხვადასხვა პოზიცია საქართველოს ბანკში 2003-2006 წლებში. მას გამოცდილება აქვს აკვიზიციის შემდგომ ინტეგრაციასა და რესტრუქტურირებაში, ასევე, საცალო სეგმენტისა და მცირე და საშუალო საწარმოთა საბანკო მომსახურებაში.

2008-2010 წლებში ნიკა იყო გაყიდვების მხარდაჭრის უფროსი ექსპერტი "UniCredit Group"-ში, "Bank Austria"-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საცალო მომსახურების განყოფილებაში, სადაც ის პასუხისმგებელი იყო თურქეთზე, ყაზახეთზე, უკრაინასა და სერბეთზე. 2010-2013 წლებში ის იყო საცალო განყოფილების ხელმძღვანელი ყაზახეთში "UniCredit Group"-ში, "ATF Bank"-ში.

ნიკამ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი (MBA) მიიღო "IE" ბიზნეს სკოლაში 2007 წელს. ის ასევე ფლობს საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისგან. ნიკოლოზმა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი მიიღო გერმანიაში, "Ruhr University Bochum"-ში და კავკასიის ბიზნეს სკოლაში.



## **თორნიკე გოგიჩაიშვილი**

### **გენერალური დირექტორის მოადგილე, ოპერაციების მართვის დირექტორი**

თორნიკე გოგიჩაიშვილი დაინიშნა თიბისი ბანკის საცალო საბანკო ბიზნესის ხელმძღვანელად 2020 წლის 24 იანვარს.

თორნიკე თიბისის გუნდს 2018 წელს, გენერალური დირექტორის მოადგილედ და ოპერაციების მართვის დირექტორად შემოუერთდა. ფინანსური სერვისებისა და ოპერაციების მართვის სფეროში მას 20 წლიანი გამოცდილება აქვს.

2016 წლიდან თიბისის გუნდში შემოერთებამდე, თორნიკე საქართველოს ბანკში გენერალური დირექტორის მოადგილედ და ოპერაციების მართვის დირექტორად მუშაობდა. 2010-2016 წლებში თორნიკე საქართველოს ბანკის ოპერაციების დეპარტამენტის დირექტორის პოზიციას იკავებდა. ის ასევე იყო საერთაშორისო ბანკინგის ხელმძღვანელი საქართველოს ბანკის ჯგუფში. 2008-2010 წლებში, თორნიკეს "BG Bank Ukraine"-ში ფინანსური დირექტორის თანამდებობა ეკავა (საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია).

2006-2008 წლებში თორნიკე სადაზღვევო კომპანია აღდაგის გენერალური დირექტორის პოზიციას იკავებდა. ის ასევე მუშაობდა "UEDC PA consulting"-ში გენერალურ ფინანსურ დირექტორად და 1998-2004 წლებში იკავებდა სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციას "BCI Insurance Company"-ში.

თორნიკე გოგიჩაიშვილს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი და ფლობს ოქსფორდის ბიზნესსკოლისა (Executive Diploma in Strategy and Innovation) და კავკასიის ბიზნესსკოლის (MBA) ხარისხს.



## დავით ჭყონია

### გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკების მართვის დირექტორი

დავით ჭყონია დატოვა თიბისი ბანკის დირექტორთა საბჭოდა 2020 წლის 24 იანვარს, თავისი სახელმძღვანელო ვადის დასასრულს, სხვა კარიერული შესაძლებლობების განხორციელების მიზნით.

დავით ჭყონია, საერთაშორისო საბანკო საქმიანობასა და რისკების მართვაში 15 წლიანი გამოცდილების შემდეგ, თიბისი ბანკის გუნდს შეუერთდა 2017 წელს, გენერალური დირექტორის მოადგილისა და რისკების მართვის დირექტორის თანამდებობაზე.

თიბისი ბანკში დასაქმებამდე, ბატონი დავითი მუშაობდა ბლექროკში დირექტორად, კერძოდ, „BlackRock Solutions group“-ში კონსულტაციებს უწევდა ფინანსურ ინსტიტუტებსა და მარეგულირებლებს რისკის მართვასთან, საბალანსო სტრატეგიებთან და რეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მანამდე, დავით ჭყონიას ეკავა უფროსი ვიცე პრეზიდენტის თანამდებობა „PIMCO“-ში, პასუხისმგებელი იყო რისკთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურებებზე. 2009-2011 წლებში ბ-ნი დავითი მუშაობდა „European Resolution Capital“-ში, დახმარებას უწევდა დასავლეთ ევროპის ბანკებს უმოქმედო სესხების მართვაში და ამოღების შემუშავებაში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის შვილობილი კომპანიებისათვის.

2006 წელს მან მუშაობა დაიწყო „Goldman Sachs“-ის ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის სტრუქტურული და ძირითადი დაფინანსების ჯგუფში, სადაც მრავალი ინოვაციური საფინანსო ოპერაცია განხორციელდა ინფრასტრუქტურისა და უძრავი ქონების სექტორებში, აგრეთვე მუშაობდა სხვადასხვა კომპანიების რესტრუქტურისა და რეგულირების მიზნით.

დავით ჭყონიამ კარიერა დაიწყო „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში“, სადაც იგი სავალო და კაპიტალის ინვესტიციების ტრანზაქციებს ახორციელებდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, აგრეთვე მუშაობდა ბანკის საკრედიტო დეპარტამენტში. დავით ჭყონიამ დაამთავრა სან ხოსეს სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრის ხარისხით და პენსილვანიის უნივერსიტეტის უორტონის სკოლა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხით.

## დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში სს. “თიბისი ბანკის” აქციონერებსა და ხელმძღვანელებს:

### ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებები („ფინანსური ანგარიშგებები“), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს, სს. „თიბისი ბანკის“ (შემდგომში მოხსენიებული როგორც „ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი კონსოლიდირებული და განცალკევებული საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული და განცალკევებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა, ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრით დათარიღებული N284/04 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.

### რისი აუდიტი ჩავატარეთ

კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს შემდეგს:

- ▶ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიშგებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- ▶ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიშგებები მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ▶ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული განცალკევებული ანგარიშგებები მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ▶ ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული განცალკევებული ანგარიშგებები მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ▶ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა განმარტებებს.

### დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ („ასს“-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე დასკვნის შემდეგ ნაწილში: „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშგების აუდიტორული შემოწმებისას.“

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ „ჯგუფისაგან“ და „ბანკისაგან“ ბულალტრთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული „პროფესიულ ბულალტრთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.



### აუდიტის ჩვენი მიდგომა

#### მიმოხილვა

- ▶ ჯგუფის ზოგადი მატერიალურობა: 29.5 მილიონი ლარი, რომელიც არის ჯგუფის დასაბეგრი მოგების 5%.
- ▶ ბანკის ზოგადი მატერიალურობა: 28.2 მილიონი ლარი, რომელიც არის ბანკის დასაბეგრი მოგების 5%.
- ▶ ჯგუფის მასშტაბების განსაზღვრა განაპირობა იურიდიული პირების დონეზე დასაბეგრი მოგების პროპორციულმა წილმა და სხვა ძირითადმა ფინანსურმა საზომებმა. ჯგუფის მასშტაბების შესაბამისობის განსაზღვრისას ჩვენ ასევე გავითვალისწინეთ ზოგადი დაფარვა.
- ▶ აუდიტის საკითხი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს, არის:
  - სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი;
  - კორონავირუსის (COVID-19) გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე.

აუდიტის შემუშავების პროცესში ჩვენ დავადგინეთ მატერიალურობა და შევაფასეთ კონსოლიდირებულ და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში მატერიალური შეცდომების რისკი. კერძოდ, ჩვენ განვიხილეთ ის საკითხები, სადაც მენეჯმენტმა სუბიექტურად შეაფასა; მაგალითად, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებებში, რომლებიც გულისხმობს დაშვებების გაკეთებას და მომავალი მოვლენების განხილვას, რომლებიც თავისთავად ზუსტი ვერ იქნება. როგორც ჩვენს ყველა აუდიტის პროცესში, ამჯერადაც ჩვენ სხვა საკითხებთან ერთად ასევე შევხვდებით მენეჯმენტის მიერ კონტროლების აცილების რისკს, გავითვალისწინეთ, იყო თუ არა მიკერძოებულობის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც წარმოადგენს მატერიალური შეცდომის რისკს თაღლითობის გამო.

**მატერიალურობა**

ჩვენი აუდიტის მასშტაბზე გავლენა იქონია მატერიალურობის გამოყენებამ. აუდიტი შექმნილია გონივრული რწმუნების მისაღებად, არის თუ არა კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგებები თავისუფალი მატერიალური შეცდომებისგან. შეცდომა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან უნებლიე უზუსტობის გამო. ისინი განიხილება მატერიალურად, თუ ინდივიდუალურად ან საერთო ჯამში, მათ მოსალოდნელია, რომ გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიღებულია კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ჩვენი პროფესიონალური მოსაზრების საფუძველზე, ჩვენ დავადგინეთ გარკვეული რაოდენობრივი ბარიერი მატერიალურობის შესახებ, მათ შორის ჯგუფისა და ბანკისთვის კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ფარგლებში, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ ცხრილში. ეს, თვისობრივ მოსაზრებებთან ერთად, დაგვეხმარა განგვესაზღვრა ჩვენი აუდიტის მასშტაბი, ჩვენი აუდიტის პროცედურების ხასიათი, დრო და მასშტაბი და ასევე შეცდომების დასადგენად და მათი უფექტის შესაფასებლად, თუ ეს არსებობს, ინდივიდუალურად და ჯამურად, კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგებებისთვის.

<b>ჯგუფის და ბანკის ზოგადი მატერიალურობა</b>	ჯგუფი: 29.5 მილიონი ლარი (2018: 25.2 მილიონი ლარი) ბანკი: 28.2 მილიონი ლარი (2018: 23.8 მილიონი ლარი)
<b>როგორ განვსაზღვრეთ ის</b>	დასაბეგრი მოგების 5%
<b>გამოყენებული მატერიალურობის საფუძველი</b>	ჩვენ ავირჩიეთ დასაბეგრი მოგება, როგორც საორიენტაციო მაჩვენებელი, რადგან, ჩვენი აზრით, ის საორიენტაციო ნიშანია, რომლის მიხედვითაც ჯგუფისა და ბანკის შესრულება ყველაზე ხშირად იზომება მომხმარებლების მიერ და ზოგადად მიღებული სტანდარტია. ჩვენ შევარჩიეთ 5%, რაც შეესაბამება მატერიალურობის რაოდენობრივ ბარიერებს, რომლებიც გამოიყენება ამ სექტორში მომგებიანი კომპანიებისთვის.

**აუდიტის ძირითადი საკითხები**

აუდიტის ძირითადი საკითხებია ის საკითხები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების შემოწმებისას. ეს საკითხები განვიხილეთ კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების შემოწმების კონტექსტში, მთლიანობაში, ჩვენი მოსაზრების ფორმირებისას, და ჩვენ არ გამოვთქვამთ ცალკეულ მოსაზრებას ამ საკითხების შესახებ..

# დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში სს. "თიბისი ბანკი" აქციონერებსა და ხელმძღვანელებს:

## აუდიტის ძირითადი საკითხი

### სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

იხილეთ გვერდები 134 – დან 150 – მდე (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეფასება), გვერდი 150 – დან 151 – მდე (კრიტიკული აღრიცხვის შეფასებები) და გვერდები 157–171 (შენიშვნა 9: სესხები და ავანსები მომხმარებლებზე).

ჩვენ ფოკუსირებული ვიყავით ამ სფეროზე, რადგან მენეჯმენტის შეფასებები, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან ("ECL") დაკავშირებით, კომპლექსურია და განსჯის მნიშვნელოვან ხარისხს მოითხოვს.

ფასს 9-ის ფარგლებში მენეჯმენტმა უნდა განსაზღვროს ECL, რომელიც სავარაუდოდ მოხდება 12 თვის განმავლობაში ან აქტივის დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში, ინდივიდუალური აქტივის კატეგორიზაციიდან გამომდინარე. ეს კატეგორიზაცია განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მოხდა მსესხებლის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR) სესხის წარმოშობის დღიდან დღემდე. ასევე აუცილებელია გავითვალისწინოთ სხვადასხვა სამომავლო მაკროეკონომიკური პირობების გავლენა ECL- ების განსაზღვრაში.

მენეჯმენტმა შეიმუშავა და დანერგა არაერთი მოდელი, რომ შესაბამისობაში იყვნენ ფასს 9-ის მოთხოვნებთან. მათ შორის, მენეჯმენტმა გამოიყენა განსჯა იმ სიტუაციებში, როდესაც წარსული გამოცდილება არ განიხილებოდა, როგორც მომავალი შედეგების ანარეკლი შეზღუდული ან არასრული მონაცემების გამო. შედეგად, მიგვანია, რომ ეს წარმოადგენს აუდიტის მთავარ საკითხს.

ჩვენ მიგვანია, რომ სამოდელო მეთოდოლოგიის მიზანშეწონილობა და შემდეგი შეფასებები, რომლებიც გამოყენებულია მოდელის ECL-ის დასადგენად, მნიშვნელოვანია:

- ▶ სათანადო კრიტერიუმების დანერგვა, რაც წარმოადგენს SICR- ს;
- ▶ კრიტიკული შეფასებები და ვარაუდები, რომლებიც გამოყენებულია Loss given default-ის ("LGD") და დეფოლტის ალბათობის ("PD") დათვლისას; და
- ▶ მოდელის შეზღუდვების შეფასება და პოსტ მოდელის კორექტირების გამოყენება ("PMA"), თუკი საჭიროა, ამგვარი რისკების გადასაჭრელად.

## როგორ უპასუხა ჩვენმა აუდიტმა აღნიშნულ საკითხს

ჩვენ გავიგეთ და შევამოხარეთ საკვანძო კონტროლების დიზაინი ECL-ის განსაზღვრისა და შევამოხარეთ მათი ოპერაციული ეფექტურობა. ეს კონტროლები იყო ძირითადად შემდეგი:

- ▶ მოდელის სამოქმედო მონიტორინგის კონტროლები, მათ შორის, ტესტირების მოდელის შეფასებების შედარება ფაქტობრივი შედეგებთან;
- ▶ იმ ძირითადი გადაწყვეტილებებისა და ვარაუდების მიმოხილვა და დამტკიცება, რომლებიც გამოიყენება SICR, LGD და PD- ების დასადგენად;
- ▶ საანგარიშო ძრავის მიერ საკვანძო პარამეტრების გაანგარიშების კონტროლები;
- ▶ კონტროლი მსესხებლების ფინანსური მდგომარეობის რეგულარულ მონიტორინგზე;
- ▶ კონტროლები სესხებზე staging კრიტერიუმების მინიჭებისას;
- ▶ ECL- ის გაანგარიშებასა და შედეგების ანალიზის კონტროლები; და
- ▶ კონტროლები ECL მეთოდოლოგიის ცვლილებებისა და დამტკიცების შესახებ.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ არცერთი გამონაკლისი არ ყოფილა ზემოაღნიშნული კონტროლების დიზაინში და ოპერაციულ ეფექტურობაში.

ჩვენ შევამოხარეთ, რამდენად მიზანშეწონილია მენეჯმენტის მიერ შემუშავებული IFRS 9 ECL მოდელის მეთოდოლოგია, ჩავრთეთ ჩვენი საკრედიტო რისკის მოდელირების სპეციფიკები და ჩვენი ინდუსტრიის ცოდნა. ეს მოიცავდა მენეჯმენტის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შეფასებას, იყო თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ("SICR"), და კრიტიკულ შეფასებებსა და ვარაუდებზე, რომლებიც გამოყენებულია LGD- ების და PD- ების განსაზღვრაში. ჩვენ ასევე კრიტიკულად შევამოხარეთ მენეჯმენტის ვარაუდები მონაცემთა შეზღუდვების საპასუხოდ, აქცენტი გავაკეთეთ გრძელვადიან PD- ებზე. ჩვენ დავასკვნით, რომ მენეჯმენტის შეფასება LGD- ების და PD- ების წარმოებაში იყო გონივრული

ჩვენ დამოუკიდებლად გადავამოხარეთ ECL- ის გაანგარიშება და შევამოხარეთ, შესაბამისა თუ არა ECL- ს გამოთვლებს დამტკიცებული მოდელის მეთოდოლოგიები.

ჩვენ კრიტიკულად შევამოხარეთ მოდელის მონიტორინგისა და დადასტურების ძირითადი ასპექტები (სავარაუდო ECL- ის "backtesting"), რომელიც მოამზადა მენეჯმენტმა, და რომელიც ეხებოდა მოდელის მუშაობას და სტაბილურობას. ასევე კრიტიკულად შევამოხარეთ მონიტორინგის შედეგები. ამ პროცესში გამოწვევის ვერ ვიპოვეთ

ჩვენ განვიხილეთ, ხომ არ იყო საჭირო PMA-იმ რისკებზე საპასუხოდ, რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული სამოდელო დებულებებში. ჩვენ კმაყოფილები ვიყავით, რომ PMA- ები არ არის საჭირო.

## კორონავირუსის (COVID-19) გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე

იხილეთ მე-7 გვერდზე (COVID-19- ის შედეგები), გვერდები 8 – დან 93 – მდე (სტრატეგია და შესრულება) და 237 – დან 238 – ე გვერდები (მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ). ბალანსის შედგენის დღიდან დღემდე მოხდა COVID-19 ვირუსის გლობალური პანდემია. ადამიანურ დანახარებზე დამატებით, პანდემია ფინანსური ბაზრებისთვის დამანგრეველია და ეკონომიკურ ეკონომიკურ კრიზისად ითვლება, რასაც დიდი ეკონომიკური ღრმა რეცესიაში გადაყავს. მენეჯმენტი თვლის, მთელს მსოფლიოში მთავრობების და მარეგულირებელთა მხრიდან უპრეცედენტო ფისკალური და ფულადი რეაგირების მიუხედავად, COVID-19 ფინანსური გავლენა TBC Bank Group Plc- ზე, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი იქნება, როგორც მინიმუმ მოკლევადიან პერიოდში.

ჩვენ კრიტიკულად შევამოხარეთ მენეჯმენტის დასკვნები, რომ საკითხი განიხილება, როგორც ბალანსის არამაკორექტირებელი მოვლენა, და რომ ამ ეტაპზე გავლენა საიმედოდ არ შეიძლება შეფასდეს. კერძოდ, ჩვენ განვიხილეთ:

- ▶ მსოფლიოში პანდემიის აფეთქების გავრცელების ვადები;
- ▶ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) და საქართველოს მთავრობის მხრიდან რეკომენდაციების ვადები და ხასიათი მის მოქალაქეებს; და
- ▶ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე ზემოხსენებულ სირთულემ და შეზღუდვებმა, და ასევე ამ გავლენის გაზომვის სირთულეები

კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით ჩვენი დასკვნების ჩამოყალიბებისას შევამოხარეთ, მოიცავდა თუ არა მენეჯმენტის შეფასება COVID-19- ის შედეგად მიღებული ზემოქმედებას. ჩვენი პროცედურები, რომლებიც ეხება ფუნქციონირებადობის უნარს, მოიცავს:

**აუდიტის ძირითადი საკითხი**

მენეჯმენტმა კონკრეტულად გაითვალისწინა მისი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში, მათ შორის მიმდინარე მოვლენების შეფასებისა პოსტ ბალანსის პერიოდში მოვლენების გამჟღავნების ჩათვლით. მენეჯმენტმა დაასკვნა, რომ COVID-19- ის ზემოქმედება არ არის მაკორექტირებელი მოვლენა, რომელიც დაფუძნებულია ბასს 10-ზე – „ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები“, შესაბამისად, არ გაკეთებულა კორექტირება პირველად ფინანსურ ანგარიშგებებში ან ფინანსურ ანგარიშგებაში გაკეთებულ შენიშვნებში.

ამასთან, ბასს 10 აცხადებს, რომ ფინანსური ანგარიშგება არ უნდა მომზადდეს Going concern-ით, როდესაც საანგარიშო თარიღის შემდეგ განვითარებული მოვლენები მიუთითებს, რომ მიმდინარე Going concern ვარაუდი აღარ არის შესაფერისი. ეს მითითება მოქმედებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მოვლენები სხვაგვარად არ იქნებოდა მაკორექტირებელი. ამრიგად, მენეჯმენტმა განიხილა, აქვს თუ არა რაიმე გავლენა საანგარიშო თარიღის შემდგომ მოვლენებს ჯგუფის კაპიტალზე და ლიკვიდურობის პოზიციაზე გავლენის შეფასების გზით. როგორც 58 – ე გვერდზეა ნათქვამი, მენეჯმენტმა დაასკვნა, რომ ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი არის მიზანშეწონილი და მათი დასკვნების გასამყარებლად, მათ მხედველობაში მიიღეს ყველა უახლესი ინფორმაცია, მათ შორის ახალი ვარაუდები და მოსაზრებები პერსპექტიული ეკონომიკური სცენარების შესახებ

ვირუსის მოულოდნელი დაწყების გათვალისწინებით, დღემდე რჩება გაურკვეველობის მნიშვნელოვანი დონე ამ პანდემიის ხანგრძლივობასა და მისი საშუალოდან გრძელვადიანი შედეგების შესახებ. ამრიგად, მენეჯმენტმა მნიშვნელოვანი განსჯა გამოიტანა დასკვნების მისაღწევად.

**როგორ უპასუხა ჩვენმა აუდიტმა აღნიშნულ საკითხს**

მენეჯმენტის მიერ შეფასებული მოვლენების გავლენის შეფასება ჯგუფის ოპერაციებში, კაპიტალსა და ლიკვიდურობის პოზიციებზე; და

- ▶ ჯგუფის დაფინანსებაზე წვდომის შეფასება.
- ▶ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენ კმაყოფილი ვართ, რომ საკითხი სათანადოდ შეფასდა და აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში.

**როგორ გავითვალისწინეთ ჯგუფისა და ბანკის აუდიტის მასშტაბი**

ჩვენ მოვარგეთ აუდიტის მასშტაბები, იმისთვის, რომ შეგვესრულებინა საკმარისი სამუშაოები, რათა მოგვემოდა საშუალება ჩამოგვეყალიბებინა აზრი კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, მთლიანობაში, გავითვალისწინეთ რა ჯგუფისა და ბანკის სტრუქტურა, ბუღალტრული აღრიცხვის პროცესები და კონტროლები, ასევე ის ინდუსტრია, რომელშიც ჯგუფი და ბანკი მოქმედებენ.

ჯგუფის საბანკო საქმიანობა, ძირითადად, ხორციელდება საქართველოში, მცირე შვილობილების ოპერაციები კი ხდება კიდევ სამ ქვეყანაში. ჯგუფის საქმიანობა მოიცავს ოთხ სეგმენტს, რომლებსაც ის მართავს და ანგარიშგაღებულა მის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე, კერძოდ: საცალო ბანკინგი; კორპორატიული და საინვესტიციო ბანკი; მიკრო მცირე და საშუალო საწარმოები ("MSME"); კორპორატიული ცენტრი.

ბანკი ჯგუფის უდიდესი კომპონენტია. მისი ძირითადი საქმიანობაა საცალო და კომერციული ბანკინგი, რომლის ყველა მნიშვნელოვანი ოპერაცია დაფუძნებულია საქართველოში. ბანკის სააღრიცხვო ფუნქციები და მენეჯმენტი ძირითადად საქართველოშია დაფუძნებული და წარმოადგენს ჯგუფის აქტივების 97% -ს და ჯგუფის დასაბეგრი მოგების 99%. ჩვენ ასევე ჩავატარეთ აუდიტის სხვა პროცედურები, მათ შორის, ინფორმაციული ტექნოლოგიის ზოგადი კონტროლის შემოწმება და ფინანსური ანგარიშგებასთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი კონტროლები, მატერიალური შეცდომების რისკის შესამცირებლად.

ჩვენი აუდიტის მიდგომა და გუნდი ასევე მოერგო ჯგუფის სტრუქტურას. ჩვენ არ გამოვიყენეთ კომპონენტის აუდიტორები მასშტაბში მოხვედრილი კომპონენტების აუდიტისთვის. საანგარიშო ერთეულების საფუძველზე ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, აუდიტის შემოწმება / დაფარვა წარმოადგენდა შემოსავლების 99% და ჯგუფის მთლიანი აქტივების 99%.

**სხვა ინფორმაცია**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებებსა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშგებას.

## დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სს. "თიბისი ბანკის" აქციონერებსა და ხელმძღვანელებს:

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ მიღების შემდგომ წავიკითხოთ ხელმძღვანელობის ანგარიშგება და განვიხილოთ, ხელმძღვანელობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ, ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენ დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიშგება მოიცავს მნიშვნელოვან მცდარ ინფორმაციას, ჩვენ ვალდებული ვართ გავაკეთოთ მოხსენება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს მოსახსენებელი.

გარდა ამისა, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის თაობაზე, შესაბამისა თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშგების გარკვეული მუხლები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, მოიცავს თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

აუდიტის პროცესში განხორციელებულ სამუშაოზე დაყრდნობით, ჩვენი მოსაზრებით:

- ▶ ხელმძღვანელობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლებზეც მომზადებულია კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებები, შეესაბამება კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებებს; და
- ▶ ხელმძღვანელობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას, რომელიც აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, მე-7 მუხლის მე-6 აბზაცისა და მე-7 აბზაცის (გ), (ზ) პუნქტების მოთხოვნებს.
- ▶ ხელმძღვანელობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას, რომელიც აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 აბზაცის (ა), (ბ), (დ) – (ვ) პუნქტებისა და მე-8 აბზაცის მოთხოვნებს.

### ხელმძღვანელობის და მართვაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრით დათარიღებული N284/04 ბრძანებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ჯგუფის“ და „ბანკის“, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს შეფასებაზე და, აუცილებლობის შემთხვევაში, საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული საკითხების განმარტებაზე და ანგარიშის საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის გამოყენებაზე გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხელმძღვანელობას განზრახული აქვს „ჯგუფის“ ან „ბანკის“ ლიკვიდაცია ან მათი საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა გარდა იმისა, რომ ასე მოიქცეს.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან „ჯგუფის“ და „ბანკის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც შეიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მალალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან ამ ფინანსურ ანგარიშგებებს.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს ფინანსურ ანგარიშგებაში; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით





# თიბისი ბანკი ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ექვივალენტები	6	994,479	1,164,403
სასრები სხვა ბანკებში	7	15,597	37,384
სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	8	1,591,829	1,422,809
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	9	12,349,399	10,038,452
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	10	985,293	1,005,239
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ვალდებულებები	11	1,021,568	653,703
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	13	256,660	203,802
საინვესტიციო ქონება	17	72,667	84,296
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		25,695	2,159
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	34	2,173	1,992
სხვა ფინანსური აქტივები	12	115,211	154,259
სხვა აქტივები	14	247,201	177,923
ძირითადი საშუალებები	15	380,537	366,071
აქტივების გამოყენების უფლება		57,086	-
არამატერიალური აქტივები	15	159,109	108,505
გუდვილი	18	29,459	29,459
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		2,655	2,432
<b>სულ აქტივები</b>		<b>18,306,618</b>	<b>15,452,888</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	19	3,593,901	3,031,505
კლიენტის ანგარიშები	20	10,112,002	9,444,746
სხვა ფინანსური ვალდებულებები	23	95,643	78,205
მოგებაზე მიმდინარე გადასახადის ვალდებულება		818	63
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	21	1,213,598	13,343
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	34	21,250	22,237
ვალდებულებებისა და დანახარჯის გადახდის რეზერვები	22	16,979	13,817
სხვა ვალდებულებები	24	70,366	86,296
საიჯარო ვალდებულებები	16	59,316	-
სუბორდინირებული ვალი	25	591,035	650,919
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>15,774,908</b>	<b>13,341,131</b>
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	26	21,014	21,014
აქციის პრემია	26	521,190	521,190
გაუნაწილებელი მოგება		2,008,397	1,543,581
წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	27	(62,669)	(33,591)
შენიშნების გადაფასების რეზერვი		56,286	57,153
სამართლიანი ღირებულების რეზერვი		(6,399)	8,775
სავალუტო გადაფასების კუმულატიური რეზერვი		(6,691)	(6,933)
<b>მფლობელებისთვის მიკუთვნილებული წმინდა აქტივები</b>		<b>2,531,128</b>	<b>2,111,189</b>
არასაკონტროლო წილი	37	582	568
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>2,531,710</b>	<b>1,571,757</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>18,306,618</b>	<b>15,452,888</b>

ფინანსური ანგარიშგებები 126-238 გვერდებზე დაამტკიცა სამეთვალყურეო საბჭომ 2020 წლის 28 აპრილს და მისი სახელით ხელი მოაწერეს შემდეგმა პირებმა:

**ვახტანგ ბუცხრიკიძე**

აღმასრულებელი დირექტორი

**გიორგი შაგიძე**

ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 133-238 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

# თიბისი ბანკი ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის განცალკევებული ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ექვივალენტები		978,870	1,155,388
სახსრები სხვა ბანკებში		12,709	28,930
სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში		1,591,829	1,422,809
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	9	12,416,985	10,079,844
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		983,131	1,004,235
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ვალდებულებები		1,021,568	653,893
საინვესტიციო ქონება		71,801	83,422
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		25,126	1,166
სხვა ფინანსური აქტივები	12	119,593	121,353
სხვა აქტივები		197,904	144,437
ძირითადი საშუალებები	15	353,198	335,286
არამატერიალური აქტივები	15	152,393	104,066
აქტივების გამოყენების უფლება		55,571	-
გუდვილი		27,502	27,502
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში და დაკავშირებულ საწარმოებში		33,080	26,350
<b>სულ აქტივები</b>		<b>18,041,260</b>	<b>15,188,681</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ		3,418,798	2,859,090
კლიენტების ანგარიშები		10,177,027	9,481,716
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		1,213,598	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	23	58,809	45,347
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	34	20,790	22,237
ვალდებულებებისა და დანახარჯების რეზერვები	22	16,978	13,817
სხვა ვალდებულებები		60,371	82,258
საიჯარო ვალდებულებები	16	58,476	-
სუბორდინირებული ვალი		562,060	623,863
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>15,586,907</b>	<b>13,128,328</b>
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი		21,014	21,014
აქციის პრემია		521,190	521,190
გაუნაწილებელი მოგება		1,925,690	1,485,812
წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი		(62,669)	(33,591)
შენობების გადაფასების რეზერვი		56,286	57,153
სამართლიანი ღირებულების რეზერვი		(7,158)	8,775
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>2,454,353</b>	<b>2,060,353</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>18,041,260</b>	<b>15,188,681</b>

ფინანსური ანგარიშგება 126-238 გვერდებზე დაამტკიცა სამეთვალყურეო საბჭომ 2020 წლის 28 აპრილს და მისი სახელით ხელი მოაწერეს შემდეგმა პირებმა:

**ვახტანგ ბუცხრიკიძე**

აღმასრულებელი დირექტორი

**გიორგი შაგიძე**

ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 133-238 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

თიბისი ბანკის ჯგუფის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის  
კონსოლიდირებული ანგარიშგებაები

ათას ლარში	Note	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი	29	1,435,106	1,283,213
საპროცენტო ხარჯი	29	(670,422)	(512,655)
წმინდა მოგება სავალუტო სვოპ ოპერაციებზე	29	28,556	-
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>793,240</b>	<b>770,558</b>
საკომისიო შემოსავალი	29	284,428	234,626
საკომისიო ხარჯი	29	(105,302)	(78,134)
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>		<b>179,126</b>	<b>156,492</b>
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობის შედეგად მიღებული წმინდა მოგება		79,287	91,678
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		23,428	15,503
წმინდა ზარალი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		(280)	(204)
წმინდა მოგება სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან		169	2
სხვა საოპერაციო შემოსავალი	31	17,576	30,906
დაკავშირებული საწარმოების მოგების წილი		632	1,154
<b>სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი</b>		<b>120,812</b>	<b>139,039</b>
კლიენტებზე გაცემული სესხის საკრედიტო ზარალის რეზერვი	9	(82,030)	(143,723)
ფინანსურ ლიზინგში ინვესტიციების საკრედიტო ზარალის რეზერვი	13	582	(1,765)
შესრულების გარანტიებსა და საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებების საკრედიტო ზარალის რეზერვი	22	(2,156)	(3,486)
სხვა ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვი	12	(7,717)	(16,446)
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვი		(291)	(86)
<b>საოპერაციო შემოსავალი კრედიტის გაუფასურების ზარალის შემდეგ</b>		<b>1,001,566</b>	<b>900,583</b>
პერსონალის ხარჯი	32	(226,008)	(212,469)
ცვეთა და ამორტიზაცია	15,17	(57,319)	(45,278)
(რეზერვი)/ვალდებულებების და დანახარჯების რეზერვის ამორტიზაცია	22	(2,105)	(4,000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	33	(126,927)	(134,185)
<b>საოპერაციო ხარჯები</b>		<b>(412,359)</b>	<b>(395,932)</b>
<b>მოგება დაბეგრამდე</b>		<b>589,207</b>	<b>504,651</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	34	(43,522)	(71,351)
<b>წლის მოგება</b>		<b>545,686</b>	<b>433,300</b>
<b>სხვა სრული შემოსავალი (OCI):</b>			
პუნქტები, რომელიც შეიძლება რეკლასიფიცირდეს მოგება-ზარალში:			
სამართლიანი ღირებულების რეზერვის მოძრაობა	10	(15,175)	6,966
საანგარიშგებო ვალუტაში გადაყვანის საკურსო სხვაობა		241	425
პუნქტები, რომელიც არ რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალში:			
ძირითადი საშუალებების გადაფასება		-	10,749
მოგების გადასახადი დაფიქსირებული პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში	33	-	(2,442)
<b>წლის სხვა სრული შემოსავალი</b>		<b>(14,934)</b>	<b>15,698</b>
<b>სულ წლის სხვა სრული შემოსავალი</b>		<b>530,752</b>	<b>448,998</b>
<b>მოგება მიკუთვნებული:</b>			
- TBCG აქციონერებისთვის		545,612	433,051
- არასაკონტროლო წილისთვის		73	249
<b>წლის მოგება</b>		<b>545,685</b>	<b>433,300</b>
<b>სულ წლის სრული შემოსავალი მიკუთვნებული:</b>			
- TBCG აქციონერებისთვის		530,678	448,749
- არასაკონტროლო წილისთვის		73	249
<b>სულ წლის სრული შემოსავალი</b>		<b>530,751</b>	<b>448,998</b>

თანდართული შენიშვნები 133-238 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

# თიბისი ბანკის ჯგუფის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის განცხადება ანგარიშგებები

ათას ლარში	შენიშვნა	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი		1,387,720	1,244,451
საპროცენტო ხარჯი		(657,579)	(502,331)
წმინდა ეფექტი სვოპებიდან		28,556	-
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>758,697</b>	<b>742,120</b>
საკომისიო შემოსავალი	30	254,764	206,555
საკომისიო ხარჯი	30	(118,969)	(88,769)
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>		<b>135,795</b>	<b>117,786</b>
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობის შედეგად მიღებული წმინდა მოგება		79,618	91,723
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		23,872	15,706
წმინდა ზარალი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		(280)	(204)
წმინდა მოგება სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან		169	2
სხვა საოპერაციო შემოსავალი		15,452	22,847
დაკავშირებული საწარმოების მოგების წილი		633	1,092
<b>სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი</b>		<b>119,464</b>	<b>131,166</b>
კლიენტებზე გაცემული სესხის საკრედიტო ზარალის რეზერვი	9	(84,562)	(148,443)
შესრულების გარანტიებსა და საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებების საკრედიტო ზარალის რეზერვი		(2,156)	(3,486)
სხვა ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვი	12	(1,278)	(12,521)
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვი		(291)	(86)
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვი.		(895)	-
<b>საოპერაციო შემოსავალი კრედიტის გაუფასურების ზარალის შემდეგ</b>		<b>924,774</b>	<b>826,536</b>
პერსონალის ხარჯი	32	(205,026)	(194,016)
ცვეთა და ამორტიზაცია		(50,726)	(39,969)
(რეზერვი)/ვალდებულებების და დანახარჯების რეზერვის ამორტიზაცია	22	(2,105)	(4,000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	33	(102,939)	(112,460)
<b>საოპერაციო ხარჯები</b>		<b>(360,796)</b>	<b>(350,445)</b>
<b>მოგება დაბეგრამდე</b>		<b>563,978</b>	<b>476,091</b>
მოგების გადასახადის ხარჯი		(43,101)	(70,034)
<b>წლის მოგება</b>		<b>520,877</b>	<b>406,057</b>
<b>სხვა სრული შემოსავალი (OCI):</b>			
უნქტები, რომელიც შეიძლება რეკლასიფიცირდეს მოგება-ზარალში:			
სამართლიანი ღირებულების რეზერვის მოძრაობა		(15,933)	6,966
პუნქტები, რომელიც არ რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალში:			
ძირითადი საშუალებების გადაფასება		-	10,749
მოგების გადასახადი დაფიქსირებული პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში		-	(2,443)
<b>წლის სხვა სრული შემოსავალი</b>		<b>(15,933)</b>	<b>15,272</b>
<b>სულ წლის სხვა სრული შემოსავალი</b>		<b>504,944</b>	<b>421,329</b>

თანდართული შენიშვნები 133-238 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

# თიბისი ბანკის ჯგუფის კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებაები

წმინდა აქტივები მიეკუთვნება მფლობელებს

ათას ლარში	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	აქციაზე პრემია	წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სამართლიანი ღირებულების რეზერვი <sup>1</sup>	ვალუტის გადაფასების კუმულატიური რეზერვი	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ	არასაკონ- ტროლო წილი	სულ კაპიტალი
<b>ნაშთი 2018 წლის 1 იანვარისთვის</b>		21,014	521,190	(7,272)	70,038	1,809	(7,358)	1,180,548	1,779,969	4,735	1,784,704
წლის მოგება		-	-	-	-	-	-	433,051	433,051	249	433,300
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	8,307	6,966	425	-	15,698	-	15,698
<b>სულ სრული შემოსავალი 2018 წლისთვის</b>		-	-	-	8,307	6,966	425	433,051	448,749	249	448,998
დამატებითი წილის შესყიდვა NCI-დან		-	-	-	-	-	-	4,416	4,416	(4,416)	-
წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდა	27	-	-	11,691	-	-	-	-	11,691	-	11,691
წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდის გადარიცხვა მშობელი კომპანიის მიერ		-	-	(38,010)	-	-	-	-	(38,010)	-	(38,010)
გამოცხადებული დივიდენდები		-	-	-	-	-	-	(95,626)	(95,626)	-	(95,626)
გადაფასების ნამატის გადარიცხვა გაუნაწილებელ მოგებაში [RE].		-	-	-	(21,192)	-	-	21,192	-	-	-
<b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის</b>		21,014	521,190	(33,591)	57,153	8,775	(6,933)	1,543,581	2,111,189	568	2,111,757
წლის მოგება		-	-	-	-	-	-	545,612	545,612	73	545,685
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-	(15,175)	241	-	(14,934)	-	(14,934)
<b>სულ სრული შემოსავალი 2019 წლისთვის</b>		-	-	-	-	(15,175)	241	545,612	530,678	73	530,751
დამატებითი წილის შესყიდვა NCI-დან		-	-	-	-	-	-	-	-	(19)	(19)
წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდა		-	-	33,762	-	-	-	-	33,762	-	33,762
წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდის გადარიცხვა მშობელი კომპანიის მიერ	27	-	-	(62,840)	-	-	-	-	(62,840)	-	(62,840)
გამოცხადებული დივიდენდები		-	-	-	-	-	-	(80,911)	(80,911)	-	(80,911)
გადაფასების ნამატის გადარიცხვა გაუნაწილებელ მოგებაში		-	-	-	(867)	-	-	(88)	(955)	-	(955)
<b>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის</b>		21,014	521,190	(62,669)	56,286	(6,399)	(6,691)	2,008,397	2,531,128	582	2,531,710

თანდართული შენიშვნები 133-238 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

# თიბისი ბანკის ჯგუფის კაპიტალში ცვლილებების განცალკევებული ანგარიშგებაები

ათას ლარში	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	აქციაზე პრემია	წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სამართლიანი ღირებულების რეზერვი <sup>1</sup>	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ
<b>ნაშთი 2018 წლის 1 იანვარისთვის</b>								
		21,014	521,190	(7,272)	70,038	1,809	1,154,190	1,760,969
	წლის მოგება	-	-	-	-	-	406,057	406,057
	სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	8,306	6,966	-	15,272
<b>სულ სრული შემოსავალი 2018 წლისთვის</b>								
		-	-	-	8,306	6,966	406,057	421,329
	დამატებითი წილის შესყიდვა NCI-დან	-	-	-	(21,191)	-	21,191	-
	წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდა	27	-	11,691	-	-	-	11,691
	წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდის გადარიცხვა მშობელი კომპანიის მიერ	-	-	(38,010)	-	-	-	(38,010)
	გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-	-	-	(95,626)	(95,626)
<b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის</b>								
		21,014	521,190	(33,591)	57,153	8,775	1,485,812	2,060,353
	წლის მოგება	-	-	-	-	-	520,877	520,877
	სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	(15,933)	-	(15,933)
<b>სულ სრული შემოსავალი 2019 წლისთვის</b>								
		-	-	-	-	(15,933)	520,877	504,944
	დამატებითი წილის შესყიდვა NCI-დან	-	-	-	-	-	-	-
	წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდა	27	-	33,762	-	-	-	33,762
	წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდის გადარიცხვა მშობელი კომპანიის მიერ	-	-	(62,840)	-	-	-	(62,840)
	გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-	-	-	(80,911)	(80,911)
	გადაფასების ნაშთის გადარიცხვა გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-	(867)	-	(88)	(955)
<b>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის</b>								
		21,014	521,190	(62,669)	56,286	(7,158)	1,925,690	2,454,353

თანდართული შენიშვნები 133-238 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

# თიბისი ბანკის ჯგუფის ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებაები

ათას ლარში	შენიშვნა	2019	2018
<b>ფულადი ნაკადები (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
მიღებული პროცენტი		1,359,528	1,224,200
მიღებული პროცენტი სავალუტო სვოპ ოპერაციებიდან		28,556	-
გადახდილი პროცენტი		(657,671)	(504,138)
მიღებული საკომისიო		282,715	235,508
გადახდილი საკომისიო		(105,207)	(78,123)
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი		79,287	91,678
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		18,356	15,655
გადახდილი პერსონალის ხარჯი		(198,345)	(195,160)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(132,181)	(122,467)
გადახდილი მოგების გადასახადი		(68,166)	(34,918)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებების ცვლილებებამდე</b>		<b>606,872</b>	<b>632,235</b>
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებში</b>			
სხვა ბანკებში გადასახდელი თანხები და სავალდებულო ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში		(14,811)	(336,232)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		(2,013,577)	(1,718,446)
ინვესტიცია ფინანსურ იჯარაში		(44,268)	(54,784)
სხვა ფინანსური აქტივები		26,582	(32,481)
სხვა აქტივები		2,702	(3,866)
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო ვალდებულებებში</b>			
თანხები სხვა ბანკებში		(1,938)	69,755
კლიენტის ანგარიშები		274,769	1,442,126
სხვა ფინანსური ვალდებულებები		10,205	(7,153)
სხვა ვალდებულებები და ვალდებულებებისა და ხარჯის რეზერვი		8,432	3,602
<b>წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>(1,145,032)</b>	<b>(5,244)</b>
<b>ფულადი ნაკადები (გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა	10	(1,781,816)	(717,630)
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები	10	240,603	14,781
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადის დადგომისას განაღდებიდან მიღებული შემოსავალი	10	1,598,536	370,571
შვილობილი კომპანიების შეძენა, მიღებული ფულადი სახსრების გამოკლებით		410	-
მიღებული ფულადი სახსრები		-	809
ამორტიზებული ღირებულებით გადატანილი თამასუქების შეძენა		(613,383)	(395,717)
ამორტიზებული ღირებულებით გადატანილი თამასუქების გამოსყიდვიდან შემოსავალი		216,871	200,658
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(120,677)	(104,960)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		13,225	17,933
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		13,681	42,515
<b>წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობებში</b>		<b>(432,550)</b>	<b>(571,040)</b>
<b>წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული) ფინანსურ საქმიანობებიდან</b>			
შემოსავალი სხვა ნასესხები სახრებიდან		1,819,899	1,776,489
სხვა ნასესხები სახსრების გამოსყიდვა		(1,392,897)	(1,539,562)
საიჯარო ვალდებულების ძირითადი თანხის გადახდა		(6,453)	-
შემოსავალი სუბორდინირებული ვალიდან		-	255,899
სუბორდინირებული ვალის გამოსყიდვა		(104,079)	(60,910)
შემოსავალი სავალ ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან		1,176,049	(7,596)
გამოშვებული სავალ ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა		(14,296)	-
გადახდილი დივიდენდები		(80,911)	(95,626)
გადახდილი დანარიცხები		(62,840)	(38,010)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>		<b>1,334,472</b>	<b>290,684</b>
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		73,186	21,232
<b>წმინდა (კლება) / ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში</b>		<b>(169,924)</b>	<b>(264,368)</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში</b>	6	<b>1,164,403</b>	<b>1,428,771</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</b>	6	<b>994,563</b>	<b>1,164,403</b>

თანდართული შენიშვნები 133-238 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.



# თიბისი ბანკის ჯგუფის ფულადი ნაკადების განცალკევებული ანგარიშგებაები

ათას ლარში	შენიშვნა	2019	2018
<b>ფულადი ნაკადები (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
მიღებული პროცენტი		1,310,626	1,186,528
მიღებული პროცენტი სავალუტო სვოპ ოპერაციებიდან		28,556	-
გადახდილი პროცენტი		(663,802)	(494,409)
მიღებული საკომისიო		253,250	207,663
გადახდილი საკომისიო		(118,969)	(88,769)
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი		79,618	91,723
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		9,543	12,716
გადახდილი პერსონალის ხარჯი		(178,518)	(176,966)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(110,569)	(102,331)
გადახდილი მოგების გადასახადი		(68,508)	(34,500)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>541,227</b>	<b>601,655</b>
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებში</b>			
სხვა ბანკებში გადასახდელი თანხები და სავალდებულო ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში		(20,393)	(333,075)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		(2,042,091)	(1,746,945)
სხვა ფინანსური აქტივები		477	(24,692)
სხვა აქტივები		19,332	19,304
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო ვალდებულებებში</b>			
თანხები სხვა ბანკებში		(1,938)	69,755
კლიენტის ანგარიშები		300,888	1,431,035
სხვა ფინანსური ვალდებულებები		3,456	5,370
სხვა ვალდებულებები და ვალდებულებებისა და ხარჯის რეზერვი		5,019	1,858
<b>წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>(1,194,023)</b>	<b>24,265</b>
<b>ფულადი ნაკადები (გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა	10	(1,781,432)	(717,630)
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები	10	240,603	14,781
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადის დადგომისას განაღდებად მიღებული შემოსავალი	10	1,598,536	370,571
მიღებული ფულადი სახსრები		-	809
ამორტიზებული ღირებულებით გადატანილი თამასუქების შეძენა		(613,383)	(395,717)
ამორტიზებული ღირებულებით გადატანილი თამასუქების გამოსყიდვიდან შემოსავალი		216,871	200,658
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(112,345)	(76,631)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		10,140	3,902
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		12,446	42,574
მიღებული დივიდენდები		5,211	-
<b>წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობებში</b>		<b>(423,353)</b>	<b>(556,683)</b>
<b>წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული) ფინანსურ საქმიანობებიდან</b>			
შემოსავალი სხვა ნასესხები სახრებიდან		1,703,411	1,685,389
სხვა ნასესხები სახსრების გამოსყიდვა		(1,270,653)	(1,487,189)
საიჯარო ვალდებულების ძირითადი თანხის გადახდა		(6,960)	-
შემოსავალი სუბორდინირებული ვალიდან		-	211,808
სუბორდინირებული ვალის გამოსყიდვა		(104,079)	(40,558)
შემოსავალი სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან		1,176,049	-
გადახდილი დივიდენდები		(80,911)	(95,626)
გადახდილი დანარჩენები		(62,840)	(38,010)
არასაკონტროლო წილის შეძენა შვილობილ კომპანიაში		-	7,190
<b>წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>		<b>1,354,017</b>	<b>243,004</b>
გაცვლითი კურსის ცვლილებსი გავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე.		86,841	27,418
<b>წმინდა (კლება) / ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში</b>		<b>(175,518)</b>	<b>(261,996)</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში</b>	6	<b>1,155,388</b>	<b>1,417,384</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</b>	6	<b>978,910</b>	<b>1,155,388</b>

თანდართული შენიშვნები 133-238 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაების განუყოფელ ნაწილს.

## 1. შესავალი

**ძირითადი საქმიანობა.** სს „თიბისი ბანკი (შემდგომში „ბანკი“) დაფუძნდა 1992 წლის 17 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. ბანკი არის სააქციო საზოგადოება შეზღუდული აქციებით და შეიქმნა საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. ბანკის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა უნივერსალური საბანკო ოპერაციები საქართველოში, რომლებიც მოიცავს კორპორატიული, მცირე და საშუალო საწარმოების საცალო და მიკრო ოპერაციებს. ბანკის ჯგუფის წევრი კომპანიები დაფუძნებული არიან საქართველოსა და აზერბაიჯანში, რომელთა მთავარი საქმიანობა არის ინდივიდუალური და კორპორატიული კლიენტებისთვის საბანკო, ლიზინგის, საბროკერო და ბარათების პროცესინგის სერვისის მიწოდება. ბანკი მოქმედებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის შესაბამისად 1993 წლის 20 იანვრიდან. ბანკის რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილია: საქართველო, თბილისის 0102, მარჯანიშვილის ქ. 7. მარეგისტრირებელი ორგანოა - ვაკის რაიონის სასამართლო, ხოლო ბანკის სარეგისტრაციო ნომერია - 204854595.

ბანკს აქვს 148 (2018:146) ფილიალი საქართველოში.

TBC Bank Group PLC (“TBCG”), საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია ინგლისში, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, TBCG ფლობს ბანკის სააქციო კაპიტალის 99.88% (2018: 99.88%) და ის არის ბანკის საბოლოო მშობელი კომპანია. TBC Bank Group PLC-ს რეგისტრირებული მისამართია: Elder House St Georges Business Park, 207 Brooklands Road, Weybridge, Surrey, KT13 0TS. TBC Bank Group PLC-ს რეგისტრირებული ნომერია - 10029943.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქვემოთ მითითებული აქციონერები პირდაპირ ფლობდნენ ჯგუფის მთლიანი გამოშვებული აქციების 5%-ზე მეტს. სხვა აქციონერები ინდივიდუალურად ფლობდნენ გამოშვებული აქციების 5%-ზე ნაკლებს. 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

აქციონერები	31 დეკემბრის მდგომარეობით წილის მფლობელობა %	
	2019	2018
TBC Bank Group PLC	99.88%	99.88%
სხვა*	0.12%	0.12%
<b>Total</b>	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>

\* სხვა მოიცავს როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე კორპორატიულ აქციონერებს.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბენეფიციარული მფლობელობის წილის მიხედვით აქციონერთა სტრუქტურა არის შემდეგი:

აქციონერები	31 დეკემბრის მდგომარეობით წილის მფლობელობა %	
	2019	2018
მამუკა ხაზარაძე	10.26%	13.54%
ბადრი ჯაფარიძე	6.00%	6.77%
ინსტიტუციონალური და საცალო ინვესტორები	68.70%	66.91%
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები	8.04%	8.18%
სხვა აქციონერები	7.00%	4.60%
<b>სულ</b>	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>

## 2. მნიშვნელოვანი საკლრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა

**მომზადების საფუძველი.** წინამდებარე კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებები (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგებები“) მომზადდა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით. კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებები თავდაპირველი ღირებულების მეთოდის შესაბამისად, რომელიც შეიცვალა კონკრეტული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების (მათ შორის წარმოებული ინსტრუმენტების) და კონკრეტული კლასის ძირითადი საშუალებების საფუძველზე, რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით. წინამდებარე კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. ეს წესები მუდმივად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული (იხილეთ შენიშვნა 3)

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა გზამკვლევა

**ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა იჯარებზე ჯგუფის, როგორც მოიჯარის მიერ.** ჯგუფმა მიიღო ფასს 16, იჯარები, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის და გამოყენებული კონკრეტული გამარტივებული ან პრაქტიკული მეთოდების გამოყენებით. ეს სტანდარტი ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან. იხილეთ ნაწილი 2.3. ქვემოთ. ჯგუფს მანამდე არ მიუღია სხვა სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან ცვლილება, რომელიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული.

**საქმიანობის გავრცელების პრინციპი.** აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა სს თიბისი ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ, მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ამ მიმოხილვისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, არსებული გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა. ჯგუფისთვის ცნობილი არ არის რაიმე მატერიალური სახის გაუგებრობის შესახებ, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს ჯგუფის მიერ საქმიანობის გაგვრცელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

**საპრეზენტაციო (საჩვენებელი) ვალუტა.** წინამდებარე კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები.** შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიებს, მათ შორის სტრუქტურირებულ ორგანიზაციებს, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს რადგან ჯგუფს (i) აქვს გავლენა მართოს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების შესაბამისი აქტივობები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ უკუგებებზე, (ii) აქვს უფლება სხვადასხვა სახის უკუგებაზე ასეთ წილობრივ მონაწილეობის მქონე კომპანიებში მისი მონაწილეობის გამო, და (iii) შეუძლია გამოიყენოს თავისი უფლება წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების მიმართ საიმისოდ, რომ გავლენა მოახდინოს ინვესტიციის უკუგების თანხაზე. მატერიალური უფლებების არსებობა და ეფექტი, მათ შორის პოტენციური ხმის მიცემის უფლებები, გათვალისწინებულია, როცა ხდება იმის შეფასება, აქვს თუ არა ჯგუფს სხვა საწარმომზე გავლენა. იმისთვის, რომ უფლება იყოს მატერიალური, მის მფლობელს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული უნარი გამოიყენოს აღნიშნული უფლება მაშინ, როცა უნდა მიიღოს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების შესაბამისი აქტივობების მართვის შესახებ გადაწყვეტილება. ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს გავლენა წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაზე, მაშინაც კი, როცა ის ფლობს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაში უმრავლესობის ხმის უფლებაზე ნაკლებს. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მისი ხმის უფლების ზომას სხვა ხმის უფლების მქონე მფლობელების ხმის მფლობელობის ზომასთან შედარებით საიმისოდ, რომ განსაზღვროს, აქვს თუ არა მას დე-ფაქტო უფლება წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაზე. სხვა ინვესტიციების დამცავი უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიის აქტივობებში ფუნდამენტალურ ცვლილებებთან, ან ისეთი უფლებები, რომლებიც მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში გამოიყენება, არ შეაფერხებს ჯგუფს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიის კონტროლისგან. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის გადაცემის თარიღიდან, და ტოვებს ჯგუფს კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

**შვილობილი და დაკავშირებული კომპანიები:** კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

კომპანიის სახელი	31 დეკემბრისთვის ფლობილი ხმის უფლებებისა და ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალის პროპორცია		საქმიანობისა და რეგისტრაციის ადგილი	რეგისტრაციის წელი	დარგი	სააქციო კაპიტალის რაოდენობა 2019 წლის 31 დეკემბრისთვის
	2019	2018				
სს გაერთიანებული ფინანსური კორპორაცია	99.53%	98.67%	თბილისი, საქართველო	1997	ბარათების პროცესინგი	564
შპს თიბისი კაპიტალი	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	1999	საბროკერი	2,688
სს თიბისი ლიზინგი	100.00%	99.61%	თბილისი, საქართველო	2003	ლიზინგი	3,659
TBC Kredit LLC	100.00%	100.00%	ბაქო, აზერბაიჯანი	1999	საკრედიტო ინსტიტუტი	18,092
შპს საბანკო სისტემის მომსახურების კომპანია*	0.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2009	საინფორმაციო მომსახურებები	-
შპს თიბისი ფი	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2009	პროცესინგი	1,170
TBC Invest LLC	100.00%	100.00%	რამათ გან, ისრაელი	2011	საზ. ურთიერთობა და მარკეტინგი	1,188
Index LLC	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2011	უძრავი ქონების მართვა	60

\* კომპანია გაერთიანდა სს გაერთიანებული ფინანსური კორპორაციასთან 2019 წელს

**2. შენიშვნა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა** **გაგრძელება**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს შემდეგ დაკავშირებული კომპანიებს:

კომპანიის სახელი	31 დეკემბრისთვის ფლობილი ხმის უფლებებისა და ჩვეულებრივი საააქციო კაპიტალის პროპორცია		საქმიანობისა და რეგისტრაციის ადგილი	რეგისტრაციის წელი	დარგი
	2019	2018			
სს კრედიტიფო საქართველო	21.08%	21.08%	თბილისი, საქართველო	2005	ფინანსური შუამავლობა
შპს Online Tickets**	0.00%	26.00%	თბილისი, საქართველო	2015	კომპიუტერული და პროგრამული მომსახურება

\*\*გახდა სს თიბისი ბანკისგან დამოუკიდებელი კომპანია.

რეგისტრაციის ან დაფუძნების ქვეყანა ასევე არის თითოეული ზემოთ მითითებული შვილობილი კომპანიის ოპერირების მთავარი ადგილი.

ჯგუფის კორპორატიული სტრუქტურა შედგება სხვადასხვა დაკავშირებული საწარმოსგან, რომლებიც არიან შვილობილები და დაკავშირებული კომპანიები, რომლებიც არ კონსოლიდირდება და არც კაპიტალით მეთოდით აღირიცხება უმნიშვნელოების გამო. ასეთი დაკავშირებული საწარმოების სრული სია, დაფუძნების ქვეყანა და მფლობელობა აქციების ტიპის მიხედვით იხილეთ ქვემოთ.

**საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი.** საწარმოთა გაერთიანება ხორციელდება შესყიდვის მეთოდის გამოყენებით. შესყიდვის ღირებულება იზომება უზრუნველყოფის, მათ შორის, გაცვლის დღეს პირობითი და ფაქტობრივი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი აღიარებულია, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც იმ პერიოდის ხარჯი, როცა წარმოიქმნა. შესყიდული იდენტიფიცირებული აქტივები, ვალდებულებები და ბიზნესის გაერთიანებით მიღებული გაუთვალისწინებელი ვალდებულებები იზომება შექენის თარიღისთვის არსებული მათი სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი არასაკონტროლო წილის მოცულობის მიუხედავად. ჯგუფი აფასებს არასაკონტროლო წილს, რომელიც წარმოადგენს არსებული მფლობელობის წილს და უფლებამოსილებას ანიჭებს მფლობელს მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან: (ა) სამართლიანი ღირებულებით, ან (ბ) შესაძენი კომპანიის წმინდა აქტივების არასაკონტროლო წილის პროპორციული წილის სახით. არასაკონტროლო წილები, რომლებიც არ წარმოადგენს არსებული მფლობელობის წილებს, იზომება სამართლიანი ღირებულებით.

გუდვილი იზომება შესაძენი კომპანიისთვის გადაცემული მთლიანი ანაზღაურებიდან შექენილი კომპანიის წმინდა აქტივების დაქვითვით, შექენილ კომპანიაში არასაკონტროლო წილის მოცულობით და შექენის თარიღამდე მყისიერად ფლობილ შექენილ კომპანიაში წილის სამართლიანი ღირებულებით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“) აღიარდება მოგება-ზარალში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს გამოავლინა თუ არა მან ყველა შექენილი აქტივი და ყველა ვალდებულება და აღებული გაუთვალისწინებელი ვალდებულებები, და განიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

შესაძენი კომპანიისთვის გადარიცხული მთლიანი უზრუნველყოფა იზომება დათმობილი აქტივების, გაცემული წილობრივი ინსტრუმენტებისა და წარმოქმნილი ან აღებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მათ შორის, პირობითი უზრუნველყოფიდან აქტივების ან ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ გამორიცხავს შექენასთან დაკავშირებულ ხარჯს, როგორცაა საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასებითი და მსგავსი პროფესიული მომსახურებები.

წილობრივი ინსტრუმენტების გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯი იქვითება კაპიტალიდან; ვალის გაცემასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ოპერაციების ხარჯი იქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შექენასთან დაკავშირებული ყველა სხვა ოპერაციების ხარჯი განეულია.

ჯგუფში შემავალ კომპანიათა შორის ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის კომპანიებს შორის ოპერაციებზე არარეალიზებული მოგებები იქვითება; არარეალიზებული დანაკარგები ასევე იქვითება, თუ ხარჯის ამოღება შეუძლებელია. ბანკი და ყველა მისი შვილობილი კომპანია იყენებს ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკას.

არასაკონტროლო წილი არის შვილობილი კომპანიის საბოლოო შედეგი და კაპიტალს მიკუთვნებული წილები, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს ბანკი. არასაკონტროლო წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა გამრქელება

**დაკავშირებული კომპანიები.** დაკავშირებულია კომპანიები, რომელზეც ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), მაგრამ არა კონტროლი, რაც ზოგადად ითვალისწინებს ხმის უფლების მქონე 20-50% - მდე აქციების ფლობას. დაკავშირებულ კომპანიებში ინვესტიციები აღირიცხება კაპიტალის აღრიცხვის მეთოდის გამოყენებით და, თავდაპირველად, აღიარებულია თვითღირებულებით. დაკავშირებული კომპანიების საბალანსო ღირებულება მოიცავს გუდვილს, რომელიც გამოვლინდება შესყიდვის დროს და აკლდება დაგროვილი გაუფესურებით გამოწვეული დანაკარგით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. დაკავშირებული კომპანიებიდან მიღებული დივიდენდები ამცირებს დაკავშირებულ საწარმოებში ინვესტიციების საბალანსო ღირებულებას. შეძენის შემდეგ დაკავშირებული კომპანიის წმინდა აქტივებში ჯგუფის წილის ცვლილებები აღირებულია შემდეგნაირად: (i) დაკავშირებული კომპანიების მოგება/ზარალში ჯგუფის წილი რეგისტრირებულია წლის კონსოლიდირებულ მოგება/ზარალში, როგორც დაკავშირებული კომპანიების შედეგის წილი, (ii) ჯგუფის წილი სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და წარმოდგენილია ცალკე, (iii) დაკავშირებული კომპანიების წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების ჯგუფის წილში ყველა სხვა ცვლილება აღიარებულია მოგება/ზარალში დაკავშირებული კომპანიების შედეგის წილის ფარგლებში. თუმცა, როცა ჯგუფის დანაკარგის წილი დაკავშირებულ კომპანიებში ტოლია ან აღემატება მის წილს ამ დაკავშირებულ საწარმოში, მათ შორის ნებისმიერი სხვა დაუცველი დებიტორული დავალიანებები, ჯგუფი არ აღიარებს შემდგომ დანაკარგებს, თუ მას არ წარმოექმნება ვალდებულებები ან არ ექნება გადასახდელები დაკავშირებული კომპანიის სახელით.

ჯგუფსა და დაკავშირებულ საწარმოს შორის ტრანზაქციებზე არარეალიზებული მოგებები გაუქმებულია დაკავშირებულ კომპანიაში ჯგუფის მფლობელობის წილის მიხედვით; არარეალიზებული დანაკარგები ასევე გაუქმებულია თუ ტრანზაქცია განაპირობებს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას.

**შვილობილი კომპანიების, დაკავშირებული კომპანიების ან ერთობლივი საწარმოების გასხვისება.** როცა ჯგუფი კარგავს კონტროლს ან მნიშვნელოვან გავლენას, საწარმოში არსებული ნებისმერი შენარჩუნებული წილი ხელახლა იზომება მისი სამართლიანი ღირებულებით და მოგება-ზარალში აღიარდება საბალანსო ღირებულებაში ცვლილების გათვალისწინებით. სამართლიანი ღირებულება არის დაკავშირებული კომპანიის, ერთობლივი საწარმოს ან ფინანსური აქტივის შენარჩუნებული წილის შემდგომ აღრიცხვასთან დაკავშირებული თავდაპირველი საბალანსო ღირებულება. გარდა ამისა, აღნიშნულ საწარმოსთან

დაკავშირებით მთლიან შემოსავალში ადრე აღიარებული ნებისმიერი თანხა ნიშნავს, რომ ჯგუფმა პირდაპირ გაასხვისა დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები. ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ სხვა მთლიან შემოსავალში ადრე აღიარებული თანხა ხელახლა გადავა მოგება-ზარალში.

თუ დაკავშირებულ კომპანიაში საკუთრების წილი მცირდება, მაგრამ მნიშვნელოვანი გავლენა შენარჩუნებულია, მხოლოდ სხვა მთლიან შემოსავალში ადრე აღიარებული თანხების პროპორციული წილი ხელახლა იქნება კლასიფიცირებული მოგება-ზარალში, თუ შესაძლებელია.

**არასაკონტროლო წილის ნასყიდობა.** ჯგუფი იყენებს ეკონომიკური ერთეულის მოდელს არასაკონტროლო წილის მფლობელებთან გარიგებების აღრიცხვისთვის. ნებისმიერი სხვაობა შექენილი არასაკონტროლო წილის საბალანსო ღირებულებასა და შესყიდვის ღირებულებას შორის აღირიცხება, როგორც კაპიტალით გარიგება პირდაპირ კაპიტალში. ჯგუფი აღიარებს სხვაობას არასაკონტროლო წილის გაყიდვით მიღებულ ანაზღაურებას და მის საბალანსო ღირებულებას შორის, როგორც კაპიტალით გარიგება კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში.

**ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის მთავარი პირობები.** სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადახდება საიმისოდ, რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი. აქტიური ბაზარი არის ის ბაზარი, სადაც აქტივს ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხდება საიმისოდ, რომ უზრუნველყოს ფასების შესახებ მუდმივი ინფორმაცია. აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ გამოტანილი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება იზომება როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების და ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული რაოდენობის კვოტირებული ფასის პროდუქტი. ასეა მაშინაც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ აითვისოს მფლობელობაში არსებული რაოდენობა და ერთი ოპერაციით პოზიციის გაყიდვისთვის დაკვეთების განთავსებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კვოტირებულ ფასზე. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების, ან სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომელიც არ არის გამოტანილი აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ, იზომება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულებით იმ ფასის საფუძველზე, რომელიც მიიღება გარკვეული რისკის ქვეშ არსებული წმინდა გრძელვადიანი პოზიციის (ე.ი. აქტივის) გაყიდვის მიმართ, ან რომელიც გამოიყენება გარკვეული რისკის ქვეშ არსებული წმინდა ხანმოკლე პოზიციის (ე.ი. ვალდებულებები) გადაცემის მიმართ საიმისოდ, რომ მოხდეს ვალდებულების გადაცემა კანონიერი ტრანზაქციის საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის, გაზომვის დღეს.

## 2. შენიშვნელოვანი სააღრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა **გამრქელება**

შეფასების მეთოდები, როგორცაა დისკონტირებული ფულის ნაკადების მოდელი, ან ბოლო დროს კომერციულ ოპერაციებზე დაფუძნებული მოდელი ან ინვესტიციების მიმღებების ფინანსური მონაცემების ანაზღაურება, გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ, რომლისთვისაც ხელმეორეჯერ მომელია უცხოური საბაზრო ფასების ინფორმაცია. სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხორციელდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში არსებული შემდეგი დონეების მიხედვით: (i) პირველ დონეზე წარმოდგენილია აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებისა ან ვალდებულებების მიმართ კოტირებული ფასებით (არაკოტირებული) შეფასებები. (ii) მეორე დონის შეფასებები არის შეფასებების მეთოდები, რომლებიც კი გამოიყენება აქტივებისა ან ვალდებულებების მიმართ პირდაპირ (ე.ი. როგორც ფასები) ან არაპირდაპირ (ე.ი. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (ე.ი. ეს შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან ბაზარზე არარსებულ მონაცემებს). სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადაცემები ჩაითვლება განხორციელებულად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იხილეთ შენიშვნა 41.

თვითღირებულება არის გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტი ან შექმნილი დროს აქტივის შესაძენად გადაცემული სხვა ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება და მოიცავს ტრანზაქციულ დანახარჯს.

ტრანზაქციული დანახარჯი არის ზღვრული ხარჯი, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტების შექმნაზე, გაცემასა ან გასხვისებაზე. ზღვრული ხარჯი არის ხარჯი, რომელიც არ წარმოიქმნებოდა თუკი არ განხორციელდებოდა ტრანზაქცია. ტრანზაქციული დანახარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები) კონსულტანტებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ ანაზღაურებას ან საკომისიოს, რომელიც განსაზღვრულია მარეგულირებელი სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟების მიერ, და საკუთრების გადაცემისთვის განსაზღვრულ გადასახადებსა და ბაჟს. ტრანზაქციული დანახარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკონტს, ფინანსურ ხარჯს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობასთან დაკავშირებულ ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის, გამოკლებული ნებისმიერი სესხის ძირითადი თანხის დასაფარად განხორციელებული გადახდები, პლიუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში - გამოკლებული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებით გადავადებულ საოპერაციო ხარჯს და ნებისმიერი პრემიის ან გადასახდელი თანხის დისკონტის ამორტიზაციას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, რომელიც მოიცავს როგორც დარიცხულ კუპონს, საამორტიზაციო დისკონტს ან პრემიას (წარმოქმნილთანავე გადავადებული გადასახადების ჩათვლით, თუკი არის), არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაკავშირებული პუნქტების საბალანსო ღირებულებაში. სესხების დაფარვები აღირიცხება ჯარიმებში თავდაპირველად, შემდეგ დარიცხულ პროცენტში და შემდეგ ძირითადში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი, რათა მიღწეულ იქნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს შეფასებული მომავალი ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შესავლების (მათ შორის საკრედიტო დანაკარგების) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებაში დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მომსახურების სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების ფულის ნაკადებს მომდევნო ფასების გადახდების თარიღამდე, გარდა პრემიისა ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში მითითებულ მცოცავ განაკვეთზე გავრცელებულ კრედიტს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ შეესაბამება საბაზრო განაკვეთებს. ასეთი პრემიები ან დისკონტები ამორტიზირებულია ინსტრუმენტის მთელი დარჩენილი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. დღევანდელი ღირებულების გათვლები მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის ყველა გადახდილ ან მიღებულ გადასახადს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს (იხილეთ შემოსავლის და ხარჯის აღიარების პოლიტიკა). აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ შექმნილ ან შექმნილ საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებულ აქტივებს („POCI“) თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება საკრედიტო რისკით, ე.ი. გაანგარიშდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე თავდაპირველი აღიარებისას კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდების ნაცვლად.

**ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება.** ფინანსური ინსტრუმენტები FVTPL (სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში) თავდაპირველად აღირიცხულია სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიან ღირებულებით, ტრანზაქციული დანახარჯის გათვალისწინებით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. თავდაპირველი აღიარებისას, მოგება ან ზარალი აღიარდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა გამრქელება

სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფას შორის, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტში სხვა მიმდინარე საბაზრო ოპერაციებით ან შეფასების მეთოდით, რომელიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებას დაქვემდებარებული ბაზრებიდან მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვი აღიარებულია ფინანსურ აქტივებში, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით (AC) და ინვესტიციებში სავალო ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია FVOCI-ით (სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში), რაც იწვევს მყისიერ სააღრიცხვო ზარალს.

იმ ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომლებიც მოითხოვს რეგულაციით ან საბაზრო კონვენციით დადგენილ ვადებში მიწოდებას („რეგულარული წესით“ შესყიდვები და გაყიდვები) რეგისტრირებულია გარიგების დღეს, რომელ დღესაც, ჯგუფი ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას იღებს. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა საწარმო ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო დებულებების ნაწილი.

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება** – შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შემდეგ შეფასების კატეგორიებად: ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL), სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და ამორტიზირებული ღირებულებით (AC). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნეს მოდელზე დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება** – ბიზნეს მოდელი. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ბიზნეს-მოდელზე. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის და აგრეგაციის დონე ბიზნეს-მოდელის შეფასების დროს. სავაჭრო გარიგებების შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს მათ ისტორიულ სიხშირეს, ვადებს და ღირებულებას, გაყიდვების მიზნებს და მოლოდინებს მომავალი გაყიდვების საქმიანობების შესახებ. სავაჭრო გარიგებები, რომელთა მიზანია კრედიტის გაუფასურებით გამოწვეული პოტენციური ზარალის მინიმუმამდე დაყვანა, შეესაბამება „ამოღებისთვის ფლობილ“ ბიზნეს-მოდელს. სხვა სავაჭრო გარიგებები - დაფარვამდე, რომლებიც არ არის დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვის საქმიანობებთან, ასევე შეესაბამება „ამოღებისთვის ფლობილ“ ბიზნეს-მოდელს, იმ პირობით, რომ ისინი არ არის ხშირი ან მნიშვნელოვანი ღირებულების თვალსაზრისით, როგორც ინდივიდუალურად ასევე მთლიანობაში. ჯგუფი აფასებს სავაჭრო გარიგებების მნიშვნელობას გაყიდვების ღირებულების პორტფელის ღირებულებასთან შედარებით ბიზნეს-მოდელის შეფასების საფუძველზე, პორტფელის საშუალო ვადაში. გარდა ამისა, ფინანსური აქტივის გაყიდვები, რომელიც მოსალოდნელია მხოლოდ სტრესულ სცენარში ან იმ ცალკეული შემთხვევის საპასუხოდ, რომელიც სცილდება ჯგუფის კონტროლის ფარგლებს, არ არის განმეორებითი და შეუძლებელია გათვალისწინებული ყოფილიყო ჯგუფის მიერ, ითვლება დაკავშირებულად ბიზნეს-მოდელის მიზანთან და გავლენას არ ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი“ ბიზნეს მოდელი ნიშნავს, რომ აქტივები ფლობილია ფულადი ნაკადების ამოსაღებად, თუმცა გაყიდვა ასევე არის ბიზნეს მოდელის მიზნის მიღწევის განუყოფელი ნაწილი, როგორცაა ლიკვიდური სახსრების საჭიროებების მართვა, კონკრეტული შედეგის მიღწევა ან ფინანსური აქტივების ვადის შესაბამისობა ვალდებულებების ვადასთან, რომელიც აფინანსებს აღნიშნულ აქტივებს.

ნარჩენი კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების იმ პორტფელს, რომელთა მართვა ხდება ფულადი ნაკადების რეალიზების მიზნით ძირითადად გაყიდვის გზით, როდესაც სავაჭრო სტრუქტურა არსებობს. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება ხშირად დამახასიათებელია მოცემული ბიზნეს-მოდელისთვის.

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები.** თუ ბიზნეს-მოდელი არის აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობა და გაყიდვა, ჯგუფი აფასებს წარმოდგენილია თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებით („SPPI“). ფინანსური აქტივები ჩართული წარმოებული ინსტრუმენტებით განიხილება მთლიანობაში იმის განსაზღვრისას შეესაბამება თუ არა მათი ფულადი ნაკადები SPPI მოთხოვნას. შეფასების ვაკეთებისას, ჯგუფი განიხილავს შეესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ე.ი. პროცენტი მოიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის, ფულის დროით ღირებულების, სხვა საბაზო საკრედიტო რისკების და მოგების კოეფიციენტის ასპექტს.

თუ სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც არ შეესაბამება საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირებული და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL). SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ არ ხდება მისი გადახედვა. ჯგუფის მიერ გამოყენებული მსჯელობები SPPI ტესტის განხორციელებისას ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, მოცემულია ქვემოთ:

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა გამრქელება

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. (გაგრძელება).** ფულის დროითი ღირებულების ელემენტი შეიძლება მოდიფიცირდეს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი პერიოდულად იცვლება, მაგრამ ასეთი ცვლილების სიხშირე არ შეესაბამება სავალო ინსტრუმენტის საბაზო საპროცენტო განაკვეთის ვადას, მაგალითად სესხის გადახდები სამთვლიანი ბანკთაშორისო განაკვეთით, მაგრამ განაკვეთი იცვლება ყოველ თვეში. ფულის მოდიფიცირებული დროითი ღირებულების ეფექტი შეფასდა შესაბამისი ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების საბაზო სავალო ინსტრუმენტის SPPI ფულად ნაკადებთან შედარებით, თითოეულ პერიოდში და მთლიანად ინსტრუმენტის ვადაში. ჯგუფმა გამოიყენა 10% ზღვარი იმის განსაზღვრისას არის თუ არა სხვაობები საბაზო ინსტრუმენტების მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული. იმ სცენარის შემთხვევაში, როდესაც ფულადი ნაკადები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება საბაზო ინსტრუმენტის მაჩვენებლებისგან, შეფასებული ინსტრუმენტის ფულადი ნაკადები არ არის SPPI და აღნიშნული ინსტრუმენტი შეფასდება FVTPL-ით.

ჯგუფმა განსაზღვრა და განიხილა სახელშეკრულებო პირობები, რომელიც ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადას ან ოდენობას. SPPI კრიტერიუმში დაკმაყოფილებულია იმ შემთხვევაში, თუ სესხი ითვალისწინებს ვადამდე დაფარვას და ვადამდე დაფარვის თანხა არსებითად წარმოადგენს ძირითან თანხას და დარიცხულ პროცენტს, რომელსაც ემატება დამატებითი კომპენსაცია ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისთვის. აქტივის ძირითადი თანხა არის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას მინუს შემდგომი ძირითადი თანხის გადახდები, ე.ი. შენატანები პროცენტის გამოქვითვით, რომელიც განსაზღვრულია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ამ პრინციპის გამონაკლისის სახით, სტანდარტი ასევე ითვალისწინებს ინსტრუმენტებს ვადამდე დაფარვის პირობებით, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს, SPPI შესაბამისობის მიზნით: (i) აქტივი წარმოქმნილია პრემიით ან დისკონტით, (ii) ვადამდე დაფარვის თანხა წარმოადგენს სახელშეკრულებო თანხას და დარიცხულ პროცენტს და დამატებით კომპენსაციას ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისთვის; და (iii) ვადამდე დაფარვის ელემენტის სამართლიანი ღირებულება არის უმნიშვნელო თავდაპირველი აღიარებისას.

ინსტრუმენტები, რომლებმაც ვერ შეასრულეს SPPI ტესტი, ზოგადად შეფასებულია FVTPL-ში. ბანკს არ აქვს ასეთი კატეგორიის სესხები კლიენტებზე 2018 წლის განმავლობაში.

**ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია.** ფინანსური ინსტრუმენტები რეკლასიფიცირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანობაში იცვლება. რეკლასიფიკაციას აქვს სამომავლო ეფექტი და იწყება პირველი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში, ბიზნეს-მოდელის ცვლილების შემდეგ. ჯგუფმა არ შეცვალა თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შედარებით პერიოდში და არ განახორციელა არანაირი რეკლასიფიკაცია.

### **ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის რეზერვი ECL-თვის (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).**

ჯგუფი, პროგნოზის საფუძველზე, აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ECL ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით (AC) და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და არსებობს, რომლებიც წარმოიშობა სასესხო ვალდებულებებიდან და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებიდან. ჯგუფი აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) და აღიარებს საკრედიტო ზარალის რეზერვს თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების შეფასებით, (ii) ფულის დროით ღირებულებას და (iii) ყველა გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევების გარეშე, თითოეული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გასული მოვლენების, არსებული პირობების და მომავალი პირობების პროგნოზების შესახებ

ჯგუფი იყენებს გაუფასურების სამ ეტაპიან მოდელს, რომელიც ეფუძნება კრედიტის ხარისხის ცვლილებებს თავდაპირველი აღიარების შემდეგ:

- ▶ ეტაპი 1: ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული (საკრედიტო თვალსაზრისით) თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირებულია 1 ეტაპზე. ფინანსურ აქტივებს 1 ეტაპზე გააჩნიათ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL), რომელიც შეფასებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადის იმ ნაწილის ტოლი მოცულობით, რომელიც მიიღება დეფოლტის მოვლენებიდან, რომლებიც შესაძლოა მოხდეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაფარვის ვადამდე, თუ აღნიშნული ვადა უფრო მოკლეა („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“).
- ▶ ეტაპი 2: თუ ჯგუფი დაადგენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას (“SICR”) თავდაპირველი აღიარებიდან, აქტივი გადავა 2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) შეფასდება ECL-ს მოქმედების ვადის (არსებობის) საფუძველზე (“ECL მოქმედების/არსებობის ვადა”). იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (“SICR”) აღარ აღინიშნება, ინსტრუმენტი გადავა უკან 1-ელ ეტაპზე. იხილეთ შენიშვნა 36 იმის აღწერისთვის, თუ როგორ განსაზღვრავს ჯგუფი პროგნოზულ საფუძველზე, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის (“SICR”) დადგომას.



## 2. მნიშვნელოვანი საპროცესო პოლიტიკის მიმოხილვა გამრქელება

- ▶ ეტაპი 3: საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებული აქტივები გადადის მე-3 ეტაპზე და აღიარებულია ECL მოქმედების /არსებობის ვადის რეზერვი. ჯგუფის მიერ საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებული აქტივების განსაზღვრება და დეფოლტის განსაზღვრება ეფუძნებაერთი ან მეტი ზარალის შემთხვევის დადგომას, რომელიც აღწერილია 36 შენიშვნაში.

მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (ECL) ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამისი რეზერვით, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ფინანსურ გარანტიებთან და საკრედიტო ვალდებულებებთან დაკავშირებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წარმოდგენილია, როგორც ვალდებულება ვალდებულებების და ხარჯების რეზერვებში.

**მთლიანი საბალანსო ღირებულება და ჩამოწერა.** ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზირებული ღირებულება, ნებისმიერი ზარალის რეზერვის კორექტირებამდე. ჯგუფი პირდაპირ ამცირებს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას, როდესაც საწარმოს არ აქვს ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგენის გონივრული მოლოდინები. ეს მოიცავს ჯარიმებს ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად. სესხები კოლექტიურად ფასდება ჩამოწერისთვის ვადაგადაცილებული დღეების კრიტერიუმების საფუძველზე ან ფასდება ინდივიდუალურად, რომელიც დამოკიდებულია სესხის სეგმენტზე და პროდუქტის ტიპზე. სახელშეკრულებო დავალიანების თანხები კლიენტებზე გაცემულ სესხებზე, რომელიც ჩამოიწერა ნაწილობრივ ან სრულად 2018 წლის განმავლობაში, მაგრამ კვლავ ექვემდებარება ამოღებას, იყო ძირითადი თანხა - 96 მილიონი ლარი, დარიცხული პროცენტი 18 მილიონი ლარი და დარიცხული ბალანსგარეშე ჯარიმა 92 მილიონი ლარი.

**ფინანსური აქტივები – აღიარების გაუქმება და მოდიფიკაცია.** ჯგუფი აუქმებს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებები სხვაგვარად შეწყდება, ან (ბ) ჯგუფმა გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებები ან შევიდა საკვალიფიკაციო გამტარ გარიგებაში, რომლის დროსაც (i) ასევე განახორციელა აქტივების მფლობელობით გამოწვეული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა ან (ii) არ განახორციელა მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და სარგებლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, გარდა კონტროლის უფლების შენარჩუნებისა. კონტროლის უფლების შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა მიყიდოს აქტივი მთლიანად კავშირში არ მყოფ მესამე მხარეს გაყიდვებზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ჯგუფი პერიოდულად გადახედავს ან სხვაგვარად ახდენს ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირებას. ჯგუფი აფასებს არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია არსებითი, შემდეგი (და არა მხოლოდ) ფაქტორების გათვალისწინებით: საპროცენტო განაკვეთის ცვლილება საბაზრო პირობების ცვლილებების გამო, ცვლილება სავალუტო დენომინაციაში; ორი ან მეტი სესხის გაერთიანება ერთ სესხში; კონტრაგენტის ცვლილება; განრიგის არმქონე სესხი შეიცვალა განრიგიანი სესხით და პირიქით.

ქვემოთ მოცემული შიდა ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, არსებობს რამდენიმე კონკრეტული ხარისხობრივი ფაქტორი, რომელიც იწვევს აქტივის აღიარების შეწყვეტას შემდგომი რაოდენობრივი ტესტირების ჩატარების საჭიროების გარეშე. ხარისხობრივი კრიტერიუმები წარმოდგენილია ქვემოთ ჩამონათვალში:

- ▶ სახელშეკრულებო ვალუტის შეცვლა;
- ▶ ორი ან მეტი სესხის ერთ სესხში გაერთიანება;
- ▶ კონტრაგენტის შეცვლა;
- ▶ განრიგის არმქონე სესხის შეიცვალა განრიგიანი სესხით და პირიქით;
- ▶ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება საბაზრო პირობების ცვლილებების გამო;

ჯგუფი ადარებს თავდაპირველ და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აქტივებთან იმის დასადგენად არის თუ არა აქტივის რისკი და სარგებელი არსებითად განსხვავებული სახელშეკრულებო მოდიფიკაციების შედეგად. უნდა შეფასდეს არის თუ არა ცვლილება სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში მნიშვნელოვანი (მნიშვნელობა განისაზღვრება 10% ცვლილებით). თუ ტესტის შედეგები აღემატება 10%-იან ზღვარს, სესხის აღიარება უნდა შეწყდეს, ვინაიდან თუ ტესტი ჩატარდა და შედეგი ტოლია ან ნაკლებია 10%-ზე, ფინანსური აქტივი შეიძლება შეფასდეს, როგორც მოდიფიცირებული.

თუ რისკები და სარგებელი არ იცვლება, მოდიფიცირებული აქტივი არსებითად (10% ტესტი) არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიკაცია არ განაპირობებს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფი ხელახლა გამოთვლის საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დისკონტირებით თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ან შესაბამის შემთხვევაში კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და აღიარებს მოდიფიცირების მოგებას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გამრქელება**

მოდფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება კორექტირდება ნებისმიერი გაწეული ხარჯის ან გადახდილი მოსაკრებელის გათვალისწინებით, რომლებიც ამორტიზირებულია მოდფიცირებული ფინანსური აქტივის მოქმედების დანარჩენ ვადაში.

**ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები.** ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია შემდგომ შეფასებულად ამორტიზირებული ღირებულებით, გარდა (i) ფინანსური ვალდებულებებისა FVTPL-ით: ეს კლასიფიკაცია ვრცელდება წარმოებულ ინსტრუმენტებზე, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგალითად მოკლე პოზიცია ფასიან ქალაქებში), პირობით ანაზღაურებაზე, რომელიც აღიარებულია შემდგომ მიერ ბიზნესის გაერთიანებაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც განსაზღვრულია ამ სახით თავდაპირველი აღიარებისას; და (ii) ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისა და სასესო ვალდებულებებისა.

**ფული და ფულის ექვივალენტები.** ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირდება არსებულ ვალუტებს შორის და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საღაროში ფულადი სახსრების ნაშთს, საქართველოს ეროვნული ბანკიდან (სებ) მისაღებ სახსრებს სავალდებულო რეზერვების გამოკლებით, ყველა ბანკთაშორის განთავსებას და ბანკთაშორის დებიტორულ დავალიანებას სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი დაფარვის ვადით. სამ თვეზე მეტი პერიოდით დაბანდებული სახსრები არ შედის ფულსა და ფულის ექვივალენტებში. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და იმ ფულადი ნაკადების ამოსაღებად, რომლებიც წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) ისინი არ არის განსაზღვრული FVTPL-ში. კანონმდებლობით, როგორცაა რესტრუქტურისაციის კანონი, გათვალისწინებული ელემენტები გავლენას არ ახდენს SPPI ტესტზე, თუ ისინი არ არის შეტანილი სახელშეკრულებო პირობებში, იმ სახით, რომ აღნიშნული ელემენტი გამოყენებული იქნება კანონმდებლობის შეცვლის შემთხვევაშიც კი.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი გადახდილი ან მიღებული თანხები ასახავს ჯგუფის მიერ განხორციელებული ფულისა და ფულის ექვივალენტების გადარიცხვებს, მათ შორის ჯგუფში მისივე პარტნიორების მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულ ან ჩამოჭრილ თანხებს, როგორცაა სესხის საპროცენტო შემოსავლის ან ძირი თანხის ჩამოჭრა კლიენტის მიმდინარე ანგარიშიდან ან პროცენტის დარიცხვა და სესხის გაცემა კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე, რომელიც წარმოადგენს ფულს და ფულის ექვივალენტებს კლიენტის პოზიციიდან.

**სავალდებულო ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში.** სავალდებულო ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად და ამიტომ ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისთვის, არ ითვლება ფულისა და ფულის ექვივალენტების ნაწილად.

**სახსრები სხვა ბანკებში.** სხვა ბანკებში სახსრები ფიქსირდება მაშინ, როცა ჯგუფი ავანსად გასცემს თანხას პარტნიორ ბანკებზე. სახსრები სხვა ბანკებში შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, როდესაც: (i) ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და იმ ფულადი ნაკადების ამოსაღებად, რომლებიც წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) ისინი არ არის განსაზღვრული FVTPL-ში. სხვაგვარად ისინი აღირიცხულია სამართლიანი ღირებულებით.

**ინვესტიციები სავალო ფასიან ქალაქებში.** ბიზნეს-მოდელის და ფულადი ნაკადების მახასიათებლების საფუძველზე, ჯგუფი ახდენს ინვესტიციების კლასიფიკაციას სავალო ფასიან ქალაქებში, როგორც შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით, FVOCI-ით ან FVTPL-ით. სავალო ფასიანი ქალაქები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI, და თუ ისინი ნებაყოფლობით არ არის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL) სააღრიცხვო შეუსაბამობის მნიშვნელოვნად შემცირების მიზნით.

სავალო ფასიანი ქალაქები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, როდესაც ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს და თუ ისინი არ არის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL). აღნიშნული აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარებულია მოგება-ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც შეფასებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით, აღიარებულია წლის მოგება-ზარალში. ყველა სხვა ცვლილება საბალანსო ღირებულებაში აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (OCI). სავალო ფასიანი ქალაქის აღიარების შემყვეტის შემდეგ, სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული კუმულაციური მოგება ან ზარალი რეკლასიფიცირდება სხვა სრული შემოსავლიდან (OCI) მოგება-ზარალში. ინვესტიციები სავალო ფასიან ქალაქებში შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL) იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ ამორტიზირებული ღირებულების (AC) ან სამართლიანი ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) კრიტერიუმებს. ჯგუფი ასევე გამოუხმობად განსაზღვრავს ინვესტიციებს სავალო ფასიან ქალაქებში

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა გამრქელება

სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL) თავდაპირველი აღიარებისას, თუ ამ ოფციონის გამოყენება მნიშვნელოვნად შეამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, რომლებიც აღიარებული ან შეფასებულია სხვადასხვა სააღრიცხვო საფუძველზე.

**ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში.** ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს წილის განსაზღვრებას ემიტენტის პოზიციიდან, ე.ი. ინსტრუმენტი, რომელიც არ მოიცავს სახელშეკრულებო ვალდებულებას ფულის გადახდის შესახებ და რომელიც ადასტურებს ნარჩენ წილს ემიტენტის წმინდა აქტივებში, ითვლება ინვესტიციებად წილობრივ ფასიან ქაღალდებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი თავდაპირველი აღიარებისას გადაწყვეტს გამოუხმობად განსაზღვროს წილობრივი ინვესტიციები, როგორც სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI), როდესაც აღნიშნული ინვესტიციები ფლობილია სტრატეგიული მიზნებისთვის და არა მხოლოდ საინვესტიციო შემოსავლების მისაღებად. FVOCI გადაწყვეტილების გამოყენების შემდეგ, სამართლიანი ღირებულების მოგება და ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (OCI) და შემდეგ არ რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალში, მათ შორის გასხვისებისას. გაუფასურების ზარალი და მათი აღდგენა/რევერსირება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იზომება ცალკე სხვა ცვლილებებისგან სამართლიანი ღირებულებაში. დივიდენდები აღიარებული იქნება მოგება-ზარალში, როდესაც განისაზღვრება ჯგუფის მიერ გადახდების მიღების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი წარმოადგენენ ინვესტიციის ანაზღაურებას და არა შემოსავალს ასეთ ინვესტიციაზე.

**კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები.** კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები აღირიცხება, როცა ჯგუფი ავანსად გასცემს თანხას კლიენტისგან მისაღები სესხის შესყიდვის ან გაცემის მიზნით. ბიზნეს-მოდელის და ფულადი ნაკადების მახასიათებლების საფუძველზე, ჯგუფი ახდენს კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების კლასიფიკაციას შეფასების ერთ-ერთი შემდეგი კატეგორიით: (i) ამორტიზირებული ღირებულება: სესხები ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და იმ ფულადი ნაკადების ამოსაღებად, რომლებიც წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) FVTPL: სესხები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI ტესტს ან ამორტიზირებული ღირებულების ან FVOCI-ის სხვა კრიტერიუმებს, შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL).

გაუფასურების რეზერვები განისაზღვრება პროგნოზირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელის საფუძველზე. 36 მენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების გამოყენებული მონაცემების, დაშვებების და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ, მათ შორის განმარტებულია როგორ შეიტანს ჯგუფი პროგნოზირებულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში.

**გირაში დასაკუთრებული ქონება.** დასაკუთრებული ქონება წარმოადგენს გადავადებული სესხების დასაფარად ჯგუფის მიერ შექნილ არაფინანსურ აქტივებს. ეს აქტივები შექნილს თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შეტანილია ძირითად საშუალებებში, საინვესტიციო ქონებასა ან სხვა აქტივებში არსებულ მარაგებში მათი ხასიათიდან და ამ აქტივებთან დაკავშირებით ჯგუფის განზრახვიდან გამომდინარე. ისინი ხელახლა ფასდება და აღირიცხება ამ კატეგორიის აქტივებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. კერძოდ, ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

**სასესხო ვალდებულებები.** ჯგუფი წარმოადგენს სესხის გაცემის ვალდებულებებს. აღნიშნული ვალდებულებები არის გამოუხმობი ან გამოხმობადი მხოლოდ არსებით უარყოფით ცვლილებაზე რეაგირებისთვის. აღნიშნული ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიო თანხებით. ეს თანხა ამორტიზდება მთელი ვალდებულების პერიოდში წრფივი მეთოდით, გარდა წარმოქმნილი სესხების ვალდებულებებისა, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი შევა კონკრეტულ სესხის გაცემის შეთანხმებაში და არ აპირებს ამ სესხის რეალიზაციას მისი წარმოქმნიდან მოკლე ხანში; ასეთი სესხის საკომისიო გადავადებულია და შეტანილია თავდაპირველი აღიარებისას სესხის საბალანსო ღირებულებაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ეს ვალდებულებები ფასდება (i) თანხის არაამორტიზირებული ნაშთით თავდაპირველი აღიარებისას, პლუს (ii) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის საფუძველზე განსაზღვრული ზარალის რეზერვის თანხით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ვალდებულება გულისხმობს სესხის გაცემას საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით, ასეთ შემთხვევაში ფასდება აღნიშნულ ორ სიდიდეს შორის უდიდესით. სასესხო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ვალდებულებას.

**ფინანსური გარანტიები.** ფინანსური გარანტიები მოითხოვს ჯგუფმა განახორციელოს კონკრეტული გადახდები გარანტიის მფლობელისთვის იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მიადგა მას იმის გამო, რომ კონკრეტულმა მოვალემ არ განახორციელა გადახდები სავალო ინსტრუმენტის თავდაპირველი ან მოდიფიცირებული პირობების შესაბამისად. ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიო თანხებით. ეს თანხა ამორტიზდება გარანტიის პერიოდში წრფივი მეთოდით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აღნიშნული გარანტიები ფასდება შემდეგ

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გამრქელება**

ორ სიდიდეს შორის უდიდესით: (i) ზარალის რეზერვის თანხა, მოსალოდნელი ზარალის მოდელის საფუძველზე განსაზღვრული გარანტირებული რისკისთვის, და (ii) არაამორტიზირებული ნაშთი თავდაპირველი აღიარებისას. გარდა ამისა, ECL ზარალის რეზერვი აღიარებულია მისაღები საკომისიო თანხებისთვის, რომელიც აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივის სახით.

**შესრულების გარანტიები.** ფინანსური გარანტიები არის კონტრაქტები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს საკონტრაქტო ვალდებულებას. ასეთი კონტრაქტები არ იწვევს საკრედიტო რისკების გადაცემას. შესრულების გარანტიები თავდაპირველად აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული მოსაკრებლების თანხით. ეს თანხა ამორტიზირდება წრფივი მეთოდით კონტრაქტის მთელი პერიოდის განმავლობაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, შესრულების გარანტიის კონტრაქტები ფასდება შემდეგ ორ სიდიდეს შორის უდიდესით: (i) არაამორტიზირებული ნაშთი თავდაპირველი აღიარებისას და (ii) იმ დანახარჯის საუკეთესო შეფასება, რომელიც აუცილებელია დისკონტირებულ არსებულ ღირებულებამდე კონტრაქტის დასაფარად თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, თუ დისკონტირების ეფექტი მნიშვნელოვანია. თუ ბანკს აქვს საკონტრაქტო უფლება დაუბრუნდეს თავის კლიენტს იმ თანხების დასაფარად, რომლებიც გადახდილია შესრულების გარანტიის კონტრაქტის დასარეგულირებლად, ასეთი თანხები აღიარებულია როგორც აქტივი გარანტიის ბენეფიციარისთვის ზარალის კომპენსაციის გადარიცხვის შემდეგ. აღნიშნული საკომისიოები აღიარებულია საკომისიო შემოსავლებით მოგება-ზარალში.

**ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები.** ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები („რეპო ხელშეკრულებები“), რომლებიც ეფექტურად უზრუნველყოფს კრედიტორის დაბრუნებას კონტრაგენტთან, ითვლება უზრუნველყოფილ ფინანსურ გარიგებად. კრედიტორი უზრუნველყოფს სახსრებს მსესხებელისთვის და გირაოს სახით იღებს უზრუნველყოფას. ასეთი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით გაყიდული ფასიანი ქაღალდების აღიარება არ არის შეწყვეტილი. ფასიანი ქაღალდები არ განიცდის რეკლასიფიკაციას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა შემდეგ პირს აქვს უფლება კონტრაქტით ან არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე გაყიდოს ან ხელახლა დააგირაოს ფასიანი ქაღალდები, რომელ შემთხვევაშიც ისინი რეკლასიფიცირებულია სავაჭრო მოთხოვნად. შესაბამისი ვალდებულება წარმოდგენილია საკრედიტო ინსტიტუტების სახსრებში. გამოსყიდვის უფლების შესახებ ხელშეკრულებები ბუნებით მოკლევადიანებია. გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდები ან ამორტიზირებული ღირებულებით აღიარებული სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც რეკლასიფიცირებულია სავაჭრო მოთხოვნებში, ისე აღიარებულია სამართლიანი ან ამორტიზირებული ღირებულებით ამ კატეგორიის აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

გადაყიდვის ხელშეკრულებით ნაყიდი ფასიანი ქაღალდები („რევერსული რეპო ხელშეკრულება“), რომელიც ეფექტურად უზრუნველყოფს კრედიტორის დაბრუნებას ჯგუფში, რეგისტრირებულია როგორც სხვა ბანკებში არსებული სახსრები ან კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. გაყიდვისა და ხელახალი შესყიდვის ფასს შორის სხვაობა ითვლება საპროცენტო შემოსავლად და გროვდება რეპო ხელშეკრულებების პერიოდში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კონტრაგენტებისთვის კრედიტის სახით წარდგენილი ფასიანი ქაღალდები, ფიქსირებული განაკვეთით, ისევე აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი თავდაპირველი კატეგორიით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა კონტრაგენტს აქვს უფლება კონტრაქტით ან არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე გაყიდოს ან ხელახლა დააგირაოს ფასიანი ქაღალდები, რომელ შემთხვევაშიც ისინი რეკლასიფიცირებულია და წარმოდგენილია ცალკე. კრედიტის სახით მიღებული ფასიანი ქაღალდები ფიქსირებული განაკვეთით არ არის ასახული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი გაყიდება მესამე მხარეებზე, ასეთ შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვა აისახება წლის მოგება-ზარალში მოგებაში ზარალის გამოკლებით, რომელიც წარმოიშობა სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან. ფასიანი ქაღალდების დაბრუნების ვალდებულება აისახება სამართლიანი ღირებულებით სხვა სასესხო სახსრებით.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების შესაბამისად გაყიდული ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციის საფუძველზე, ჯგუფი ახდენს სავაჭო მოთხოვნების კლასიფიკაციას შეფასების ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიაში: AC, FVOCI, და FVTPL.

**ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხები (ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში).** თუ ჯგუფი მეიჯარეა იჯარაში, რომელიც გადასცემს მოიჯარეს მფლობელობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, იჯარით გაცემული აქტივები წარმოდგენილია როგორც ინვესტიცია ფინანსურ იჯარებში და აღრიცხულია მომავალი საიჯარო გადასახადების არსებული ღირებულებით. ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში თავდაპირველად აღიარებულია დასაწყისში (როცა იჯარის ვადა იწყება) დისკონტის განაკვეთის გამოყენებით (საიჯარო ხელშეკრულების დასაწყისში და მხარეების მიერ იჯარის მთავარი პირობების შესრულების დღეს).

სხვაობა სრულ დებიტორულ დავალიანებასა და არსებულ ღირებულებას შორის წარმოდგენს მომავალი პერიოდების ფინანსურ შემოსავალს. ეს შემოსავალი აღიარდება ლიზინგის ვადის პერიოდში წმინდა ინვესტიციის

## 2. მნიშვნელოვანი საპროცესო პოლიტიკის მიმოხილვა გამრქელება

მეთოდის გამოყენებით (დაბეგვრამდე), რომელიც ასახავს მუდმივ პერიოდულ მოგების ნორმას. იჯარის შეთანხმებასა და უზრუნველყოფასთან უშუალოდ დაკავშირებული ზრდადი დანახარჯი შეტანილია ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხების თავდაპირველ შეფასებაში და ამცირებს იჯარის ვადაში აღიარებული შემოსავლის მოცულობას. ფინანსური შემოსავლები იჯარებიდან ასახულია საპროცესო შემოსავალში მოგება-ზარალში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება იმავე გზით, როგორც სესხები და ავანსები, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით და აღიარებულია რეზერვის ანგარიშში, რათა ჩამოიწეროს დებიტორული დავალიანებების წმინდა საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოცემულ ღირებულებამდე, ფინანსური ლიზინგის დისკონტირებული საპროცესო განაკვეთებით. არსებობს `სამ ეტაპიანი` მიდგომა, რომელიც ეფუძნება ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანებების საკრედიტო ხარისხში ცვლილებებს თავდაპირველი აღირების შემდეგ. უშუალო ზარალი, რომელიც შეადგენს 12 თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ასახულია ფინანსური იჯარების თავდაპირველი აღიარებისას, რომლებიც არ არის ჩათვლილი გაუფასურებულად კრედიტის თვალსაზრისით. როცა საკრედიტო რისკში არის მნიშვნელოვანი ზრდა, გაუფასურება იზომება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედების დროის გამოყენებით და არა 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოყენებით. შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადები ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას იჯარის შესაბამისად აქტივების შექმნისა და გაყიდვის შედეგად.

**შეწყვეტილი ლიზინგების შედეგად წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებები.** კომპანია აღიარებს შეწყვეტილი სალიზინგო კონტრაქტებიდან დებიტორულ დავალიანებებს იჯარის კონტრაქტის შეწყვეტის მომენტში. ეს დებიტორული დავალიანებები შეფასებულია თანხით, რომელიც მოიცავს ხელახლა მფლობელობაში დაბრუნებული აქტივების სამართლიან ღირებულებას და ფინანსურ იჯარაში წმინდა ინვესტიციის გადაუხდელ ნაშთებს შორის სხვაობას. დებიტორული დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით.

**საიჯარო აქტივების შესასყიდად გადახდილი ავანსები.** საიჯარო აქტივების შესასყიდად გადახდილი ავანსები მოიცავს პროცენტულ ავანსებს, რომლებიც გადახდილია ისეთი აქტივების შესაძენად, რომლებიც შემდგომში საიჯარო აქტივებად გადაკლასიფიცირდება. ასეთი ავანსები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით. იჯარების დასაწყისში, საიჯარო კონტრაქტების მიმართ გადახდილი ავანსები გამოიქვითება ფინანსური იჯარის წმინდა ინვესტიციიდან.

**სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში.** საკრედიტო დაწესებულებების მიმართ დავალიანებები წარმოიქმნება, როცა ფული ან სხვა აქტივები გადაეცემა ჯგუფს სხვა ბანკების მიერ. არაწარმოებული ვალდებულება აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის თავის საკუთარ ვალს, ის ამოღებული იქნება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშიდან და ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის სხვაობა შეტანილი იქნება ვალის დაფარვის შედეგად წარმოქმნილ მოგებასა ან ზარალში.

**კლიენტის ანგარიშები.** კლიენტის ანგარიშები არის ფიზიკური პირების, სახელმწიფოს ან კორპორატიული კლიენტების მიმართ არაწარმოებული ვალდებულებები და აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

**სუბორდინირებულ ვალი.** სუბორდინირებული ვალის გადახდა ხორციელდება ყველა სხვა კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ ლიკვიდაციის შემთხვევაში და შეტანილია ბანკის `მე-2 რიგის კაპიტალში`. სუბორდინირებული ვალი აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

**გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები.** გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს ჯგუფის მიერ გამოშვებულ თამასუქებს, ობლიგაციებს, სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და სავალო ვალდებულებებს. სავალო ფასიანი ქაღალდები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის თავის გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, ისინი ამოღებული იქნება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშიდან და სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის შეტანილი იქნება ვალის დაფარვის შედეგად წარმოქმნილ მოგებასა ან ზარალში.

**წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები.** წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის სავალუტო კონტრაქტები, პროცენტული ფიუჩერსები, მომავალი საპროცესო განაკვეთის ხელშეკრულებები, სავალუტო და საპროცესო სვოპები, სავალუტო და საპროცესო ოფციონები აღრიცხულია მათი სამართლიანი ღირებულებით. ვალუტების გაცვლის მიზნით ჯგუფი ასევე შედის დეპოზიტების საკომპენსაციო შეთანხმებაში თავის პარტნიორ ბანკებთან. ასეთი დეპოზიტები, თუ ისინი კანონიერად გამოყოფილია, დაჯგუფებულია და ასახულია ანგარიშში როგორც ერთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი (სავალუტო სვოპი) ნეტო საფუძველზე თუ (ii) დეპოზიტები გახსნილია ერთდროულად და ერთმანეთის მოლოდინში, (iii) მათ ჰყავთ ერთი და იგივე კონტრაგენტი, (iii) არიან იდენტური რისკის მატარებლები და (iv) არ არსებობს აშკარა მიზეზი ოპერაციების ცალ-ცალკე აღსაღრიცხად, რომელიც ასევე არ შეძლება განხორციელდეს ერთ ტრანზაქციამ.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გაგრძელება**

ყველა წარმომადგენელი ინსტრუმენტი აღრიცხულია როგორც აქტივი, როცა სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულება, როცა სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმომადგენელი ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაში ცვლილებები აღრიცხება მოგება-ზარალში. ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ჩართული წარმომადგენელი ფინანსური ინსტრუმენტები მიჩნეულია ცალკეულ წარმომადგენელ ფინანსურ ინსტრუმენტებად, თუ მათი ეკონომიკური მახასიათებლები და რისკები არ არის პირდაპირ დაკავშირებული კონტრაქტში ასახულ მონაცემებთან.

**გუდვილი.** გუდვილი წარმოდგენილია თვლირებულებას გამოკლებული დაგროვილი გაუფასურების დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ჯგუფი ამოწმებს გუდვილის გაუფასურებას სულ მცირე ყოველ წელს და თუ შეამჩნევს, რომ გუდვილი შეიძლება გაუფასურდეს. გუდვილი მიეკუთვნება ფულის-გენერირების აქტივს ან ფულის გენერირების აქტივების ჯგუფს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს ნახავს საწარმოთა გაერთიანებების შედეგად. ასეთი აქტივები ან აქტივების ჯგუფები წარმოადგენს ყველაზე დაბალ დონეს, რომელზეც ჯგუფი აკონტროლებს გუდვილს, და აღარ არის საოპერაციო სეგმენტი. მოგებები ან დანაკარგები იმ ოპერაციის განკარგვასთან დაკავშირებით ფულის გენერირების აქტივის ფარგლებში, რომელშიც განაწილდა გუდვილი, მოიცავს გუდვილის საბალანსო ღირებულებას, რომელიც უკავშირება განკარგულ ოპერაციას. ეს ზოგადად იზომება განკარგული ოპერაციის შედარებით ღირებულებების საფუძველზე და ფულის გენერირების აქტივის ნაწილზე, რომელიც დაკავებულია.

**ძირითადი საშუალებები.** ძირითადი საშუალებები, გარდა შენობებისა და მიმდინარე მშენებლობებისა, აღრიცხულია თვითღირებულებით, გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი. შექმნილი შვილობილი კომპანიების ძირითადი საშუალებების ღირებულება არის შექმნის თარიღისთვის შეფასებული სამართლიანი ღირებულება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ მიწა, შენობები და მიმდინარე მშენებლობები აღრიცხულია გადაფასებულ ღირებულებას (რომელიც გადაფასების თარიღისთვის არის სამართლიანი ღირებულება), გამოკლებული ნებისმიერი შემდგომი ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. გადაფასებები საკმაოდ ხშირად ხდება, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება საანგარიშო წლის ბოლოს სამართლიანი ღირებულებისგან.

გადაფასების ნებისმიერი ნამატი ზრდის ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არევერსებს იმავე აქტივის ჩამოფასებას, რომელიც აღიარდა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ამ შემთხვევაში, ნამატი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მანამდე დარიცხული დანახარჯის შემცირების ფარგლებში. გადაფასების დეფიციტი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი პირდაპირ ქვითავს იმავე აქტივზე უწინ აღიარებულ ნამატს, აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და ამცირებს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს, რომელიც აკუმულირებულია კაპიტალში.

ძირითადი საშუალებები. (გაგრძელება). გადაფასებული შენობების ცვეთა აღრიცხება მოგება-ზარალში. გადაფასებული ქონების გაყიდვის შემდეგ, გაყიდულ ან ძირითადი აქტივებიდან გასულ კონკრეტული აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადატანილია გაუნაწილებელ მოგებაში.

მცირე რემონტისა და ტექნომასხურების ხარჯში აღიარება ხდება მათი წარმოქმნისთანავე. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზირდება, შეცვლილი ნაწილი კი ჩამოიწერება.

გაუფასურების შემთხვევაში, ძირითადი საშუალებები ჩამოიწერება სამართლიან ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციასთან დაკავშირებულ დანახარჯსა და აქტივის ფლობით მიღებული მოსალოდნელი სარგებელის წმინდა მიმდინარე ღირებულებას შორის უმაღლესამდე. გაუფასურების ხარჯი აღრიცხება მოგება-ზარალში, თუ ის აღება კაპიტალში ადრე გადაფასებულ ნამატს. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შეიცვლება, თუ მოხდება შებრუნება იმ შეფასებაში, რომელიც გამოიყენება აქტივის გამოყენების ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრისთვის, გამოკლებული რეალიზაციის ხარჯი.

რეალიზაციიდან მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება სარეალიზაციო ფასსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხაობით, აღიარებული იქნება მოგება-ზარალში.

**ცვეთა.** მიწა და მიმდინარე მშენებლობა არ ექვემდებარება ცვეთას. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის შემდეგი მარჯვენა მხარის მიხედვით:

## 2. მნიშვნელოვანი საპარტიო პოლიტიკის მიზნები

შენობები	30 – 100 წელი;
ავეჯი და მოწყობილობები	5 – 8 წელი;
კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა	3 – 8 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები	4 – 5 წელი;
სხვა აღჭურვილობა	2 – 10 წელი; და

იჯარით აღებული ობიექტის რემონტი ძირითადი იჯარის ვადა ან თუ არ არის განსაზღვრული, არაუმეტეს 7 წელი.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჯგუფი მიიღებს აქტივის გასხვისებით, რეალიზაციის ხარჯის შემდეგ, თუ აქტივი უკვე ძველია და არის იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის უნდა იყოს მისი მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია, თუ ჯგუფი აპირებს მის გამოყენებას მისი მომსახურების ფიზიკური ვადის ბოლომდე. აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

**საინვესტიციო ქონება.** საინვესტიციო ქონება არის ჯგუფის მფლობელობაში არსებული ქონება საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ზრდის მიზნით, ან ორივე ერთად, და რომელიც არ აქვს დაკავებული ჯგუფს.

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია თვითღირებულებით, გამოკლებული აკუმულირებული ცვთა და გაუფასურების რეზერვი, თუ არსებობს ასეთი. საინვესტიციო ქონება ამორტიზდება წრფივად 30-დან 50 წლამდე მოსალოდნელი ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ საინვესტიციო ქონება შეიძლება გაუფასურდეს, ჯგუფი განსაზღვრავს ამოღების სავარაუდო თანხას გამოსაყენებელ ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (რეალიზაციის ხარჯის შემდეგ) შორის უდიდესით. საინვესტიციო საკუთრების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერა ანაზღაურებად ღირებულებამდე წლის მოიგებასა ან ზარალში დარიცხვით. გაუფასურების შედეგად წინა წლებში აღიარებული ზარალი შებრუნდება, თუ იქნება შემდგომი ცვლილება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ შეფასებებში.

საინვესტიციო საკუთრებაში შეტანილი მიწა არ იცვითება. საინვესტიციო საკუთრებების სხვა ქონებების გაუფასურება გაანგარიშდება წრფივი დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, რათა გაანაწილონ მათი თვითღირებულება მათ ნარჩენ ღირებულებაზე 30 წლიდან 50 წლამდე გაანგარიშებული ექსპლუატაციის ვადაში. საინვესტიციო საკუთრების ნარჩენი ღირებულება შეფასებულია როგორც ნული.

მიღებული საიჯარო შემოსავალი აღრიცხულია სხვა საოპერაციო შემოსავლის ფარგლებში წლის მოგება-ზარალში.

შემდგომი დანახარჯი კაპიტალიზდება და ზრდის აქტივის საბალანსო ღირებულებას, მხოლოდ როცა ნავარაუდევია, რომ დანახარჯთან დაკავშირებულია მომავალი ეკონომიკური სარგებლის ზრდა და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ შეფასება. ყველა სხვა რემონტი და ტექნიკური მომსახურება აღიარდება ხარჯში მათი წარმოქმნისთანავე.

**არამატერიალური აქტივები.** ჯგუფის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

შეძენილი კომპიუტერული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენასა და გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ხარჯის საფუძველზე. კომპიუტერულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი ე.ი. მისი ტექნოლოგიის აღიარება ხარჯში მათი წარმოქმნისთანავე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 2-დან 15 წლამდე ექსპლუატაციის პერიოდში.

**მოგების გადასახადები.** მოგების გადასახადები წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შესაბამის ტერიტორიებზე (სადაც ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები ფუნქციონირებენ) ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის დარიცხვა/კრედიტი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებებში, თუ ისინი აღიარებული არ არის უშუალოდ კაპიტალში, რადგან ის უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც ასევე აღიარებულია იმავე ან სხვა პერიოდში უშუალოდ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან მისაღებად მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება-ზარალი ეფუძნება ვარაუდებს, ნებადართულია თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენა შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსებამდე. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღრიცხულია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯში.

## 2. შენიშვნალოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გამრქელება**

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალში გადატანილ საგადასახადო ზარალთან დაკავშირებით და დაბეგვრის მიზნით აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობა და მათი საბალანსო ღირებულება ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის მიზნით. თავდაპირველი აღიარების მიხედვით, გადავადებული გადასახადები არ არის აღრიცხული კომპანიების გაერთიანების გარდა სხვა ოპერაციებში აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებისას არსებულ აღრიცხვაზე და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები არ არის აღრიცხული გუდვილის თავდაპირველ აღიარებასა და შემდგომში იმ გუდვილს შორის დროებითი განსხვავების თვალსაზრისით, რომელიც არ ექვემდებარება გადასახადის დაქვითვას. გადავადებული საგადასახადო ნაშთები იზომება მოქმედი ან არსებითად იმ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ გამოყენებული იქნება პერიოდის მიმართ, როცა დროებითი სხვაობები შებრუნდება ან გამოყენებული იქნება მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების ნეტო მოცულობა შეჯამებულია მხოლოდ ჯგუფის ინდივიდუალური კომპანიების ფარგლებში. გადავადებული საგადასახადო აქტივები დაქვითვას დაქვემდებარებული დროებითი სხვაობებისა და მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალის თვალსაზრისით აღრიცხულია მხოლოდ მაშინ თუ აშკარაა, რომ მომავალი დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება და შესაძლებელი იქნება მისი დაქვითვები

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია შექმნის შემდეგ შვილობილი კომპანიების გაუნაწილებელ მოგებებზე, თუ ჯგუფი არ აკონტროლებს შვილობილი კომპანიის სადივიდენდო პოლიტიკას და აშკარაა, რომ სხვაობა არ შებრუნდება დივიდენდების საშუალებაში ან სხვაგვარად უახლოეს მომავალში.

**გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა.** ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღრიცხულია მოგების გადასახადის პოზიციებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელმძღვანელობის აზრით სავარაუდოდ არ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას, თუ პოზიციები სადაო არ გახდება საგადასახადო ორგანოების მხრიდან. ასეთი შეფასება ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და ასეთ საკითხებზე ნებისმიერი ცნობილი სასამართლოს ან სხვა განჩინებას. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები, აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯის შეფასებაში, რომელიც საჭიროა საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად.

**მოსალოდნელი ხარჯისა და გადახდების რეზერვი.** მოსალოდნელი ხარჯისა და გადახდების რეზერვები არის გაურკვეველი ვადისა ან თანხის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დაგროვება ხდება, როცა ჯგუფს აქვს მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში არსებული მოვლენების გამო და აშკარაა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა ეკონომიკური სარგებლების მომცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ვალდებულების მოცულობის საიმედო შეფასების გაკეთება.

**სააქციო კაპიტალი.** ჩვეულებრივი აქციები გასათვალისწინებელი დივიდენდებით კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯი, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ახალი აქციების გამოშვებას ან ოფციონებს ნაჩვენებია კაპიტალში როგორც შემოსავალიდან დაქვითვა, გადასახადის გარეშე. გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულებით მიღებული უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ნამეტი აღირებულია როგორც კაპიტალში აქციის პრემია.

**დივიდენდები.** დივიდენდები დაფიქსირებულია კაპიტალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადებულია. საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, წარმოდგენილია მომდევნო მოვლენის შესახებ შენიშვნებში.

**შემოსავლისა და ხარჯის აღიარება.** საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღრიცხულია ყველა სავალდებულო ინსტრუმენტთან დაკავშირებით, გარდა FVTPL-ით აღრიცხული ინსტრუმენტებისა, დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, როგორც საპროცენტო შემოსავლის ან დანახარჯის ნაწილი, გადავადებს კონტრაქტის მხარეებს შორის ყველა გადახდილ ან მიღებულ მოსაკრებელს, რომელიც წარმოდგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საოპერაციო ხარჯის და ყველა სხვა შენატანის ან დისკონტის განუყოფელ ნაწილს. ჯგუფს არ აქვს საპროცენტო შემოსავალი სავალდებულო ინსტრუმენტზე FVTPL-ით, რომელიც გამოთვლილია ნომინალური საპროცენტო განაკვეთით 2018 წლის განმავლობაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წარმოქმნისას ან შექმნისას ბანკის მიერ მიღებულ ან გადახდილ კრედიტის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკომისიოს, მაგალითად, კრედიტუნარიანობის შეფასების საკომისიო, გარანტიის ან უზრუნველყოფის შეფასების და აღრიცხვის საკომისიო, ფინანსური ინსტრუმენტის შეთანხმების პირობებისა და საოპერაციო დოკუმენტების დამუშავების საკომისიო.



## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა გამრქელება

საბაზრო საპროცენტო განაკვეთით სესხების გასაცემად ჯგუფის მიერ მიღებული საკომისიოები წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, თუ აშკარაა, რომ ჯგუფი შევა კონკრეტულ საკრედიტო შეთანხმებაში და არ არის მოსალოდნელი რომ გაცემიდან მოკლე ხანში არ განახორციელდება მიღებული კრედიტის რეალიზაცია. ჯგუფი არ განსაზღვრავს საკრედიტო ვალდებულებას როგორც მოგება-ზარალში წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულებით ფინანსურ ვალდებულებებს.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომელიც კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურდა (უტაპი 3), რომლის საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით მათ ამორტიზირებულ ღირებულებაზე, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც წარმოადგენს შექმნილ ან შექმნილ საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებულ აქტივებს, რომელზეც თავდაპირველი საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება ამორტიზირებულ ღირებულებაზე.

ყველა სხვა საკომისიო, მოსაკრებელი და სხვა შემოსავლისა და დანახარჯის პუნქტები აღრიცხულია დარიცხვის მეთოდით იმ კონკრეტული ოპერაციის დასრულებაზე მითითებით, რომელიც შეფასდა ფაქტობრივი გაწეული მომსახურების საფუძველზე როგორც გასაწევი მთლიანი მომსახურებების ნაწილი.

**საკომისიო შემოსავალი.** საკომისიო შემოსავალი აღიარებულია დროთა განმავლობაში წრფივი მეთოდის საფუძველზე გაწეული მომსახურებების შესაბამისად, როდესაც კლიენტი იმავდროულად იღებს და იყენებს ჯგუფის საქმიანობით მიღებულ სარგებელს. ცვლადი საკომისიოები აღიარებულია მხოლოდ იმ პირობით, რომ ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ დიდი ალბათობით მნიშვნელოვანი შეზღუდვა არ მოხდება.

**უცხოური ვალუტის კონვერტაცია.** ჯგუფის ფუნქციური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული საწარმოს ფუნქციური ვალუტა არის ძირითადად იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ეს საწარმო ფუნქციონირებს. ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღრიცხულია ფუნქციური ვალუტაში, რომელიც კონვერტირებულია გარიგების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება თითოეული საწარმოს ფუნქციონალური ვალუტაში შესაბამის საანგარიშო პერიოდში იმ ტერიტორიებზე არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, სადაც ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები მოქმედებენ. სავალუტო ოპერაციებით და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს ფუნქციონალურ ვალუტაში წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ გამოიყენება არაფულადი პუნქტების, მათ შორის კაპიტალში ინვესტიციების მიმართ. გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა სააქციონერო ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაზე აღრიცხულია როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ნაწილი.

ჯგუფის თითოეული საწარმოს შედეგები და ფინანსური მდგომარეობა (რომელთა ფუნქციონალური ვალუტა არ არის ჰიპერინფლაციური ეკონომიკის მქონე ქვეყნის ვალუტა) წარმოდგენილია საპრეზენტაციო ვალუტაში შემდეგნაირად:

- i. წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის თითოეულ ანგარიშგებასთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული კურსით.
- ii. შემოსავალი და დანახარჯი კონვერტირდება საშუალო გაცვლითი კურსით (თუ ეს საშუალო არ არის ოპერაციის თარიღებისას მოქმედი კურსების კუმულატიური ეფექტის გონივრული მიახლოებითი მაჩვენებელი, რომელ შემთხვევაშიც შემოსავალი და დანახარჯი კონვერტირდება ოპერაციების განხორციელების დღეს);
- iii. კაპიტალის კომპონენტები კონვერტირდება ისტორიული კურსით; და
- iv. ყველა მიღებული საკურსო სხვაობა აღიარებულია სხვა სრულ მოგებაში.

თუ კონტროლი დაიკარგა უცხოურ ვალუტაში ოპერაციებისას, კურსთაშორის სხვაობა, რომელიც თავდაპირველად აღიარებული იყო სრულ სხვა მოგებაში, რეკლასიფიცირდება მოგება/ზარალის უწყისში მიმდინარე წლისათვის როგორც მოგება ან ზარალი გაყიდვიდან. შვილობილი კომპანიის ნაწილობრივი გასხვიებისას მასზე კონტროლის დაკარგვის გარეშე, დაგროვილი სავალუტო კურსის სხვაობა რეკლასიფიცირებულია როგორც არაკონტროლირებადი პროცენტი კაპიტალში.

გუდვილისა და სამართლიანი ღირებულების რეგულირება, რომელიც წარმოიქმნება უცხოური საწარმოს შექმნისას, მიიჩნევა უცხოური საწარმოს აქტივებად და ვალდებულებებად და კონვერტირება ოპერაციის დასრულების დღეს. 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოური ვალუტის ნაშთებისთვის გამოყენებული საბოლოო გაცვლითი კურსი იყო 1 გირვანქა სტერლინგი = 3.7593 ლარი [2018: 1 გირვანქა სტერლინგი = 3.3955 ლარი]; 1 აშშ.დ = 2.8677 ლარი; [2018: 1 აშშ.დ = 2.6766 ლარი] 1 ევრო = 3.2095 ლარი [2018: 1 ევრო = 3.0701]. .

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გამრქელება**

**გაქვითვა.** ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაქვითულად აღირიცხება და წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება, და არსებობს განზრახვა მოხდეს ურთიერთმარაცხვა ან მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დარეგულირება ერთდროულად.

**პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები.** ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი, ასევე, თანხა გადახდილი წილობრივ ინსტრუმენტზე დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

**სეგმენტის ანალიზი.** საოპერაციო სეგმენტები აღირიცხულია ჯგუფის მთავარი მოქმედი გადაწყვეტილების მიმღებისთვის წარდგენილი შიდა ანგარიშგების შესაბამისი წესით. სეგმენტები, რომელთა შემოსავალი, შედეგი ან აქტივები წარმოადგენს ყველა სეგმენტის ათ ან მეტ პროცენტს, აღირიცხულია ცალკე.

**წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდა.** წილობრივი ინსტრუმენტების დარიცხვა არის იურიდიულ პირსა და სხვა მხარეს (თანამშრომლის ჩათვლით) შორის შეთანხმება, რომელიც უფლებას აკისრებს მეორე მხარეს მიიღოს საწარმოს ნაღდი ფული ან სხვა აქტივები, რომელიც დაფუძნება სხვა საწარმოს ან ჯგუფის საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტის (მათ შორის აქციები ან აქციის ოფციების) ფასს (ან ღირებულებას), იმ პირობით, რომ კონკრეტული პირობები დაკმაყოფილდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). წილობრივი ინსტრუმენტების კომპენსაციის გეგმის შესაბამისად ჯგუფი იღებს მომსახურებებს ხელმძღვანელობისგან ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ. წილობრივი ინსტრუმენტების მინიჭების სანაცვლოდ მიღებული მომსახურების სამართლიანი ღირებულება აღიარებულია როგორც დანახარჯი. დანახარჯის მთლიანი ღირებულება განისაზღვრება წარმოდგენილი წილობრივი ინსტრუმენტის დარიცხვის სამართლიან ღირებულებაზე მითითებით, არასაბაზრო მომსახურების და წილობრივი უფლებების მიღების პირობების გავლენის გარეშე. არასაბაზრო წილობრივი უფლების მიღების პირობები შეტანილია წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ ვარაუდებში, რომელთა მიღებაც ნავარაუდევია. მთლიანი დანახარჯული თანხა აღიარებულია აღნიშნული უფლებების მიღების პერიოდში, ეს არის პერიოდი რომლის განმავლობაშიც უნდა დაკმაყოფილდეს ყველა კონკრეტული უფლების მინიჭების პირობა. თითოეული საბუღალტრო ბალანსის წარმოდგენის თარიღისთვის, ჯგუფი იღებს იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის მისეულ შეფასებას, რომელთა მინიჭება ნავარაუდევია არასაბაზრო წილობრივი უფლების მინიჭების პირობებით. ის აღიარებს თავდაპირველი შეფასებების შემოწმების გავლენას, თუკი არის, კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებებზე, კაპიტალში შესაბამისი კორექტირებების შეტანით. კაპიტალის ზრდა ორივე სქემის შესაბამისად, რომელიც გამოწვეულია წილობრივი კაპიტალის მიხედვით, აღირიცხება წილობრივი ინსტრუმენტის რეზერვში, როდესაც სასაზირო აქციები შექმნილია თანამშრომელთა ანაზღაურების ტრასტის (EBT) მიერ, ხანკი უხდის დარიცხულ თანხას თიბისი ბანკის ჯგუფს და შესაბამისად დებეტირდება წილობრივი ინსტრუმენტის რეზერვი. როცა ერთი გრანტის ნაწილები განაწილებულია ორ ან მეტ თარიღზე, საწარმო იყენებს წილობრივ ინსტრუმენტებზე დაფუძნებულ გადახდის ღონისძიებას. თითოეული გრანტის ტრანშისთვის განსაზღვრული პერიოდი სრულდება, როცა თანამშრომელი ფლობს აქციების შემდგომი მომსახურების შეზღუდვებს. მინიჭებული კატეგორიის სქემის შესაბამისად, ადრინდელი წლების ხარჯი აღემატება ბოლო წლების ხარჯს. თითოეული ტრანში აღიარდება ხარჯად მისი მომსახურების პერიოდში კრედიტირების ჩანაწერებში კაპიტალში აქციის წილის მიხედვით.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო მოცულობაზე. შეფასებები და ვარაუდები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც სავარაუდოდ გონივრულია არსებულ გარემოებებში. შეფასებების მომცველი დაშვებების გარდა ხელმძღვანელობა ასევე აკეთებს გარკვეულ დაშვებებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე დაშვებები და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მნიშვნელოვანი ცვლილებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მომდევნო ფინანსურ წელს მოიცავს შემდეგს:

**მოსალოდნელი საკრდიტო ზარალის (ECL) შეფასება.** მოსალოდნელი საკრდიტო ზარალის (ECL) შეფასება არის მნიშვნელოვანი შეფასება, რომელიც მოიცავს მომავალი ეკონომიკური პირობების პროგნოზირებას, რაც უფრო გრძელვადიანი პროგნოზები, უფრო მეტი მსჯელობები გამოიყენება ხელმძღვანელობის მხრიდან, რაც შესაძლოა გაურკვევლობის წყარო გახდეს. მოსალოდნელი საკრდიტო ზარალის (ECL) შეფასების მეთოდოლოგიის დეტალები წარმოდგენილია 36 შენიშვნაში. ქვემოთ მოცემული კომპონენტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საკრდიტო

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაუზვევები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას გაგრძელება

ზარალის რეზერვზე: დეფოლტის განსაზღვრება, მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში (SICR), დეფოლტის ალბათობა ("PD"), რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში ("EAD"), და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD"), ასევე მაკრო-ეკონომიკური სცენარების მოდელები. ჭგუფი რეგულარულად გადახედავს და ამოწმებს აღნიშნულ მოდელებს და მის მონაცემებს ნებისმიერი განსხვავების შესამცირებლად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის.

**მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში ("SICR").** ბანკი იყენებს როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ ინდიკატორებს SICR განსაზღვრებაში ყველა გონივრული და ღირებული ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევების გარეშე, გასული მოვლენების, არსებული პირობების და კონკრეტული პორტფელის მომავალი ბიჰევიორული ასპექტების შესახებ. ბანკი ცდილობს დაადგინოს ინდივიდუალური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკში ზრდის ინდიკატორები ვალდებულების დარღვევამდე და აღნიშნულ მოდელში შეაქვს მნიშვნელოვანი დაშვებები. ერთ-ერთი ასეთი მსჯელობა გულისხმობს საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდის ზღვრების განსაზღვრას. შესაბამისი მგრძობელობის ეფექტები აღწერილია ქვემოთ:

რისკის პარამეტრები: დეფოლტის ალბათობა (PD) ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) პარამეტრები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მთავარი ფაქტორებია შესაბამისი მგრძობელობის ეფექტები აღწერილია ქვემოთ:

ათას ლარში	2019	2018
20%-იანი ზრდა SICR ზღვრებში	გაუფასურების რეზერვის ზრდა სესხებზე და ავანსებზე 1,954 ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 2 საბაზისო პუნქტით.	გაუფასურების რეზერვის ზრდა სესხებზე და ავანსებზე 2,056 ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 2 საბაზისო პუნქტით.
10%-იანი ზრდა 2 ეტაპზე	გაუფასურების რეზერვის ზრდა სესხებზე და ავანსებზე 2,380 ლარით ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 2 საბაზისო პუნქტით.	გაუფასურების რეზერვის ზრდა სესხებზე და ავანსებზე 2,723 ლარით ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 3 საბაზისო პუნქტით.

ათას ლარში	2019	2018
10% ზრდა (კლება) დეფოლტის ალბათობის (PD) შეფასებებში	გაუფასურების რეზერვის ზრდა (შემცირება) სესხებზე და ავანსებზე 17,427 ლარით (17,547 ლარით) ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 16 (16) საბაზისო პუნქტით.	გაუფასურების რეზერვის ზრდა სესხებზე და ავანსებზე 18,876 ლარით (18,942 ლარით) ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 21 (21) საბაზისო პუნქტით.
10% ზრდა (კლება) LGD შეფასებებში	გაუფასურების რეზერვის ზრდა (შემცირება) სესხებზე და ავანსებზე 24,758 ლარით (26,604 ლარით) ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 22(24) საბაზისო პუნქტით.	გაუფასურების რეზერვის ზრდა სესხებზე და ავანსებზე 28,185 ლარით ( 28,012 ლარით) ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 31 (31) საბაზისო პუნქტით.

#### 4. ახალი ან შესწორებული სტანდარტების მიღება და ინთერპრეტაციები

**ფასს 16 მიღება, იჯარები.** ფასს 16 ცვლის ბასს 17 იჯარები წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. ჯგუფმა მიიღო ფასს 16 რეტროსპექტულად 2019 წლის 1 იანვრიდან კონკრეტული გამარტივებული მიდგომებით და არ მოახდინა შედარებითი მარვენებლების გადათვლა წინა ანგარიშგების პერიოდებისთვის, როგორც დაშვებულია კონკრეტული გარდამავალი დებულებებით სტანდარტში (მოდისფიცირებული რეტროსპექტული მიდგომა). აქედან გამომდინარე ლიზინგის ახალი წესებიდან წარმოქმნილი რეკლასიფიკაცია და შესწორებები აღიარებულია საწყის საბალანსო ანგარიშგებაზე 2019 წლის 1 იანვარს. შედარებითი ინფორმაცია 2018 წლისთვის წარმოდგენილია ბასს 17 შესაბამისად და არ ექვემდებარება შედარებას 2019 წლისთვის წარმოდგენილ ინფორმაციასთან.

ფასს 16 მიღების შემდეგ, ჯგუფმა აღიარა საიჯარო ვალდებულებები იმ იჯარებთან დაკავშირებით, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო „საოპერაციო იჯარებად“ ბასს 17 - იჯარები - პრინციპების შესაბამისად. აღნიშნული ვალდებულებები შეფასდა დანარჩენი იჯარის გადახდების დაყვანილი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მოიჯარის მზარდი სასესხო საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც გამოყენებული იყო მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარების პორტფელის საფუძველზე.

2019 წლის 1 იანვარს საიჯარო ვალდებულებებზე გამოყენებული საშუალო მზარდი სასესხო განაკვეთები შეადგენდა 3.77%-ს აშშ დოლარში დენომინირებული კონტრაქტებისთვის და 9.19%-ს ლარში დენომინირებული კონტრაქტებისთვის.

თავდაპირველად ფასს 16 გამოყენებისას, ჯგუფმა გამოიყენა აღნიშნული სტანდარტით ნებადართული პრაქტიკული მეთოდები:

- ▶ ერთი დისკონტირების განაკვეთის გამოყენება საკმარისად მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით;
- ▶ საოპერაციო იჯარების აღრიცხვა, რომლის დარჩენილი საიჯარო ვადა 12 თვეზე ნაკლებია 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, როგორც მოკლევადიანი იჯარები. .
- ▶ თავდაპირველი პირდაპირი ხარჯების გამორიცხვა გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის შესაფასებლად თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის; და
- ▶ რეტროსპექტული მიდგომის გამოყენება იჯარის ვადის განსაზღვრისას, როდესაც კონტრაქტი მოიცავს იჯარის გაგრძელების ან შეწყვეტის ოფციონებს.

ჯგუფმა ასევე გადაწყვიტა ხელახლა არ შეაფასოს არსებობს თუ არა კონტრაქტი ან მოიცავს თუ არა იჯარას თავდაპირველი გამოყენების დღეს. სანაცვლოდ გადასვლის დღემდე გაფორმებულ კონტრაქტებთან დაკავშირებით, ჯგუფი უყრდნობა თავის შეფასებებს, ბასს 17-ის - იჯარები - და ფასიკ 22-ის გამოყენებით, იმის განსაზღვრისას მოიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას.

ჯგუფმა არ ჰქონდა ფინანსური ლიზინგების დაუფარავი ნაშთები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. TBCG არ განახორციელა არანაირი შესწორება, როდესაც ჯგუფი მოქმედებს მეიჯარის სახით, ფინანსურ თუ საოპერაციო იჯარაში, მის კუთვნილ ფიზიკურ აქტივებში. როდესაც TBCG მოქმედებს შუამავალი მეიჯარის სახით, ე.ი. აფორმებს ძირითად იჯარას და ქვე-იჯარით გადასცემს აქტივს მესამე მხარეს, ქვე-იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ან როგორც საოპერაციო იჯარა, რომელიც ძირითადად ეფუძნებოდა მოიცავდა თუ არა ქვე-იჯარის ვადა გამოყენების უფლების ფორმით არსებული აქტივის დანარჩენი საექსპლუატაციო ვადის უმეტეს ნაწილს, რომელიც წარმოიშვა ძირითადი იჯარიდან გადასვლის დღეს.

ქვემოთ ცხრილში შეჯერებულია ვალდებულებები საოპერაციო იჯარებთან დაკავშირებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2019 წლის 1 იანვარს აღიარებულ ღია საიჯარო ვალდებულებებზე:

ათას ლარში	1 იანვარი 2019
სულ მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები არა-გუქმებადი* საოპერაციო იჯარებისთვის, რომელიც წარმოდგენილია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.	6,844
- მომავალი საიჯარო გადახდები, რომლებიც გადასახდელია პერიოდულად იჯარის ვადის გაგრძელების ოფციონების საფუძველზე, რომელიც საკმარისად კონკრეტულად ითვლება გამოყენების მიზნებისთვის.	68,252
- დისკონტირების ეფექტი მიმდინარე ღირებულებამდე	(8,056)
- მიწუსს: მოკლევადიანი იჯარები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად	(575)
- მიწუსს: დაბალღირებულებიანი იჯარები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად	(6,233)
<b>საიჯარო ვალდებულების საერთო ეფექტი 2019 წლის 1 იანვარს.</b>	<b>60,232</b>
მათ შორის:	
- მიმდინარე საიჯარო ვალდებულებები	11,467
- არა-მიმდინარე საიჯარო ვალდებულებები	48,765

\* არა-გუქმებადი იჯარები მოიცავს გუქმებად იჯარებს მხოლოდ: (ა) ნაკლებ სავარაუდო შემთხვევის დადგომის საფუძველზე; (ბ) მეიჯარის ნებართვით (გ) თუ მოიჯარე ვაფორმებს ახალ იჯარას იმავე ან ექვივალენტ აქტივზე იმავე მეიჯარესთან. ან (დ) მოიჯარის მიერ აღნიშნული დამატებითი თანხის გადახდის საფუძველზე, რომელიც იჯარის დამცებისას, იჯარის გაგრძელება ითვლება გონივრულად.

## 4. ახალი ან შესწორებული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები გამგრძელება

გამოყენების უფლების ფორმით არსებული აქტივები შეფასებულია საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით. არ არსებობდა არასამართლიანი საიჯარო კონტრაქტები, რომელიც მოითხოვდა კორექტირებას გამოყენების უფლებით არსებულ აქტივებში თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. აღიარებული გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივები ძირითადად უკავშირდება ქონებას საკუთრივ გამოყენებისთვის, კერძოდ ფილიალები და საოფისე შენობები.

ცვლილებამ სააღრიცხვო პოლიტიკაში გავლენა მოახდინა საბალანსო ანგარიშგების შემდეგ პუნქტებზე, 2019 წლის 1 იანვარს:

- ▶ გამოყენების უფლებით აქტივები - გაიზარდა 60,232 ათასი ლარით;
- ▶ საიჯარო ვალდებულებები - გაიზარდა 60,232 ათასი ლარით.

წმინდა გავლენა გაუნაწილებელ მოგებაზე 2019 წლის 1 იანვარს იყო ნული.

### ფასს 16 შემდგომი აღიარება და პოლიტიკა

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოყენების უფლებით არსებული აქტივების და საიჯარო ვალდებულების ნაშთები შეადგენს 61,555 ათას ლარს და 62,598 ათას ლარს შესაბამისად. საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე, რომელიც წარმოდგენილია საპროცენტო ხარჯების ფარგლებში, შეადგენდა 1,182 ათას ლარს, და აღიარებულია საპროცენტო ხარჯში. 2019 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში, შემონილი საშუალო საიჯარო ვადა დაახლოებით შეადგენდა 5 წელს და გამოყენების უფლებით არსებული აქტივების საამორტიზაციო ხარჯი შეადგენდა 6,590 ათას ლარს.

TBCG ძირითადად აფრომებს საიჯარო კონტრაქტებს ან კონტრაქტებს, რომლებიც მოიცავს საიჯარო კომპონენტებს, როგორც უძრავი ქონების მოიჯარე, მათ შორის ოფისების, საცალო ფილიალების და სერვის ცენტრებისთვის. TBCG განსაზღვრავს კონტრაქტის არა-საიჯარო კომპონენტებს და განიხილავს მათ ცალკე საიჯარო კომპონენტებიდან დამოუკიდებლად.

როდესაც TBCG არის მოიჯარე საიჯარო შეთანხმებაში, TBCG აღიარებს საიჯარო ვალდებულებას და შესაბამის გამოყენების უფლებით (RoU) არსებულ აქტივს საიჯარო ვადის დაწყებისას, როდესაც TBCG შეიძენს აქტივის ფიზიკური გამოყენების კონტროლს. საიჯარო ვალდებულება ფასდება საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით იჯარის მთლიან ვადაში, რომელიც დისკონტირებულია TBCG-ს მზარდი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე წარმოდგენილია საპროცენტო ხარჯის ფარგლებში ფინანსური ინსტრუმენტებიდან. გამოყენების უფლებით (RoU) არსებული აქტივი აღირიცხება საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით, თუმცა კორექტირებულია საიჯარო ავანსების, თავდაპირველი პირდაპირი ხარჯების, საიჯარო აქტივის აღდგენის ან მიღებული საიჯარო შეღავათების ხარჯების გათვალისწინებით. გამოყენების უფლებით (RoU) არსებული აქტივი ამორტიზირდება შემდეგი ორი პერიოდიდან უმცირესის პერიოდის განმავლობაში: საიჯარო ვადა ან საბაზისო აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადა, ამორტიზაცია წარმოდგენილია საამორტიზაციო ხარჯის ფარგლებში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საიჯარო გადახდები ზოგადად მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს. როდესაც იჯარა მოიცავს გაგრძელების ან შეწყვეტის ოფციონს, რომლის გამოყენებაც ჯგუფი სათანადოდ გონივრულად თვლის, მოსალოდნელი საიჯარო გადახდები ან შეწყვეტის ხარჯები შეტანილია საიჯარო გადახდებში, რომელიც გამოიყენება საიჯარო ვალდებულების წარმოსაქმნელად. TBCG ტიპურად არ აფორმებს იჯარებს შესყიდვის ოფციონებით ან ნარჩენი ღირებულების გარანტიებით.

როდესაც TBCG მოქმედებს, როგორც მეიჯარე ან ქვე-მეიჯარე ფინანსური იჯარის ფარგლებში, დებიტორული დავალიანება აღიარებულია და ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით საიჯარო გადახდების მთლიანი თანხის მიმდინარე ღირებულების ტოლი თანხით, პლუს არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება, რომელსაც TBCG ამოიღებს საიჯარო ვადის ბოლოს.

თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები ასევე შეტანილია იჯარის დებიტორული დავალიანების თავდაპირველ შეფასებაში. საიჯარო ვადაში მიღებული საიჯარო გადახდები განაწილებულია ნარჩენი დებიტორული დავალიანებების დაფარვის სახით.

საპროცენტო შემოსავალი ასახავს შემოსავლის მუდმივ პერიოდულ ნორმას TBCG-ს წმინდა ინვესტიციაზე, იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (ან ქვე-იჯარებისთვის, ძირითადი იჯარის განაკვეთით). TBCG ყოველწლიურად გადახედავს შეფასებული არაგარანტირებულ ნარჩენ ღირებულებას და იმ შემთხვევაში, თუ სარეალიზაციო შეფასებული ნარჩენი ღირებულება ნაკლები იქნება იჯარის დაწყებისას გათვალისწინებულ

## 4. ახალი ან შესწორებული სტანდარტების მიღება

### და ინტერპრეტაციები გამრქელება

თანხაზე, ზარალი აღიარებულია მოსალოდნელ დანაკარგებზე. როდესაც TBCG მოქმედებს, როგორც მეიჯარე ან ქვე-მეიჯარე ფლობილი უძრავი ქონების საოპერაციო იჯარაში, TBCG აღიარებს საოპერაციო იჯარის შემოსავალს წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადაში.

2019 წლის 1 იანვრიდან იჯარები აღიარებულია როგორც გამოყენების უფლებით არსებული აქტივები და შესაბამისი ვალდებულება იმ დღეს, როდესაც საიჯარო აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომია ჯგუფის მიერ. თითოეული საიჯარო გადახდა განაწილებულია ვალდებულების და საპროცენტო ხარჯს შორის. საპროცენტო ხარჯი ერიცხება მოგებას ან ზარალს იჯარის პერიოდში მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის წარმოებისთვის ვალდებულების ნარჩენ ბალანსზე თითოეულ პერიოდში. გამოყენების უფლებით არსებული აქტივი ამორტიზირდება აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადას და იჯარის ვადას შორის უმცირესით წრფივი მეთოდის საფუძველზე.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა იჯარიდან თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი საიჯარო გადახდების წმინდა მიმდინარე ღირებულებას:

- ▶ რეტროსპექტული მიდგომის გამოყენება იჯარის ვადის განსაზღვრისას, როდესაც კონტრაქტი მოიცავს იჯარის გაგრძელების ან შეწყვეტის ოფციონებს.
- ▶ ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული გადახდები), მინუს საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანებები;
- ▶ ცვლადი საიჯარო გადახდები, რომელიც ეფუძნება ინდექსს ან განაკვეთს;
- ▶ თანხები, რომლებიც სავარაუდოდ გადასახდელია მოიჯარის მიერ ნარჩენი ღირებულების გარანტიების ფარგლებში;
- ▶ შესყიდვის ფასის ოფციონის გამოყენება, თუ არსებობს სათანადო საფუძველი იმისა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს;
- ▶ ჯარიმების გადახდა იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს, რომ მოიჯარე იყენებს აღნიშნულ ოფციონს.

საიჯარო გადახდები დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ შეუძლებელია აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა, გამოიყენება მოიჯარის მზარდი სასესხო განაკვეთი, რომელიც არის განაკვეთი, რომელსაც მოიჯარე გადაიხდის მსგავსი ღირებულების აქტივის შექმნისთვის საჭირო სახსრების სესხად აღებისთვის, მსგავს ეკონომიკურ პირობებში მსგავსი პირობებით და დებულებებით.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგ თავდაპირველი აღიარებისას:

- ▶ საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა;
- ▶ ნებისმიერი საიჯარო გადახდა დაწყების დღეს ან მანამდე, მინუს მიღებული საიჯარო შეღავათები;
- ▶ ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები; და
- ▶ აღდგენის ხარჯები.

მოკლევადიან იჯარებთან და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარებთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი მოგება - ზარალში. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები, რომელთა საიჯარო ვადა შეადგენს 12 თვეს ან ნაკლებს. დაბალი ღირებულების აქტივები მოიცავს IT-მოწყობილობას და მცირე საოფისე საგნებს ან მოწყობილობებს, რომელთა საბაზრო ღირებულება დაახლოებით 15,000 ლარს შეადგენს.

#### გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონები

გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონები შეტანილია ძირითადი საშუალებების იჯარებში ჯგუფის ფარგლებში. აღნიშნული პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალური გაზრდისთვის კონტრაქტების მართვის თვალსაზრისით. გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონების უმრავლესობა გამოიყენება მხოლოდ ჯგუფის მიერ და არა მეიჯარის მიერ.

#### შეფასებები საიჯარო ვადის განსაზღვრაში

საიჯარო ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს გაგრძელების ოფციონის გამოყენების ან შეწყვეტის ოფციონის არ-გამოყენების კუთხით. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) შეტანილია საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იჯარის გაგრძელების სათანადო საფუძველი (ან არ შეწყვეტის საფუძველი). შეფასება გადაიხედება თუ დადგება მნიშვნელოვანი მოვლენა ან განხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილება გარემოებებში, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და რომელიც მოქცეულია მოიჯარის კონტროლის ფარგლებში.

#### 4. ახალი ან შესწორებული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები გაზრდილებად

ჯგუფი ასევე განსაზღვრავს არა-გაუქმებადი იჯარის პერიოდს, ჯარიმების გათვალისწინებით, რომელიც განსაზღვრული იქნება შეწყვეტის შემდეგ, მათ შორის ეკონომიკურ შემაფრთხებელ ფაქტორებს, როგორცაა საიჯარო საკუთრების გაუმჯობესება, გადაადგილების ხარჯები ან შენობების მნიშვნელობა ჯგუფის საქმიანობებში.

მიღების თარიღისთვის, ხელმძღვანელობამ ხელახლა შეაფასა ფილიალების საიჯარო ვადები. შეფასება განხორციელდა საცალო ვაჭრობის დეპარტამენტის მიერ რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით, კერძოდ: ფილიალის ადგილმდებარეობა, მომგებიანობა და სტრატეგიული მნიშვნელობა. შესრულებული ანალიზის საფუძველზე, ხელმძღვანელობამ დაადგინა და აღრიცხა საიჯარო კონტრაქტების სავარაუდო ვადები, იჯარის გაგრძელების ოფციონების საფუძველზე, რომლის გამოყენების სათანადო საფუძველი არსებობს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა ხელახლა შეაფასა არსებული საიჯარო კონტრაქტების ვადები სტანდარტული მოთხოვნების შესაბამისად.

#### ფასს-ის მიღება.

- ▶ ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა ჯგუფისთვის 2019 წლის 1 იანვრიდან, თუმცა
- ▶ ფასიკ 23 "გაურკვევლობები მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ" (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- ▶ წინასწარ გადახდის თავისებურებები უარყოფითი ანაზღაურებით – ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- ▶ ცვლილებები ბასს 28-ში „გრძელვადიანი ინტერესები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ - (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ).
- ▶ წლიური სახეცვლილებები ფასს-ებში 2015 – 2017 წწ ციკლში - შესწორებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-ში და ბასს 23-ში (გამოიცა 2017 წლის 12 დეკემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- ▶ ცვლილებები ბასს 19-ში "გეგმის ცვლილება, სეკვესტრი ან ანგარიშსწორება გეგმის მიხედვით". (გამოიცა 2018 წლის 7 თებერვალს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- ▶ ცვლილებები ბასს 12-ში, მოგების გადასახადები, შეტანილია წლიურ სახელწვლილებებში ფასს-ებში 2015-2017 წწ ციკლში.

#### 5. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

##### ფასს-ის მცირე ცვლილებები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოაქვეყნა რამდენიმე მცირე ცვლილება, რომელთაგან ზოგიერთი ჯერ არ არის ვიზირებული ევროკავშირში გამოსაყენებლად. ჯგუფს ადრე არ მიუღია რაიმე ცვლილება, რომელიც ძალაში შევა 2019 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და ის მოელის, რომ ისინი მიღების შემდეგ მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე და TBC Bank Group PLC -ის განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

##### ფასს-ის ძირითადი ცვლილებები

**ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).** ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია თვლის, რომ ახალი სტანდარტი გავლენას არ მოახდენს თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

## 6. ფული და ფულის ექვივალენტები

ათას ლარში	2019	2018
ფულადი სახსრები სალაროში	646,394	491,891
სალაროს ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში (სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტების გარდა)	35,133	118,749
საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი დეპოზიტები სხვა ბანკებში	186,623	369,431
დეპოზიტები და სხვა ბანკების დებიტორული დავალიანებები სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი დაფარვის ვადით	126,359	184,429
<b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b>	<b>994,509</b>	<b>1,164,500</b>
მინუს: საკრედიტო ზარალის რეზერვი	(30)	(97)
<b>ფულის და ფულის ექვივალენტების მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>994,479</b>	<b>1,164,403</b>

საკორესპონდენტო ანგარიშების და სხვა ბანკებში ერთდღიან დეპოზიტების 85% განთავსებულია ეგთოს შვედრ საბანკო დაწესებულებებში (2018 წლის 31 დეკემბერი: 95%).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 11,348 ათასი ლარი განთავსეს ბანკთაშორის ვადიან დეპოზიტებზე ერთი არა ეგთო-ს შვედრ ბანკში და 115,012 ათასი ლარი ერთ ეგთო-ს შვედრ ბანკში (2018 წლის 31 დეკემბერი: 13,383 ათასი ლარი ერთ არა ეგთო-ს შვედრ ბანკში და 171,046 ათასი ლარი ორ ეგთო-ს შვედრ ბანკში;

ფულისა და ფულის ექვივალენტების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია შენიშვნაში 36.

საკორესპონდენტო ანგარიშების საკრედიტო რეიტინგი და ერთდღიანი დეპოზიტები სხვა ბანკებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათას ლარში	2019	2018
AAA	-	5,883
A+	66,805	249,802
A	13,816	4,628
BBB+	20,286	93,450
BBB	69,302	-
BBB-	-	872
BB+	733	241
BB	2,970	208
BB-	12,336	13,926
B+	375	395
B	-	26
<b>სულ</b>	<b>186,623</b>	<b>369,431</b>

სხვა ბანკებში განთავსებული დეპოზიტების და მათგან მისაღები თანხების საკრედიტო რეიტინგი სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადით შემდეგია:

ათას ლარში	2019	2018
AAA	-	10,021
A-	115,012	161,025
BB	1,718	-
B+	9,629	13,383
<b>სულ</b>	<b>126,359</b>	<b>184,429</b>

წინამდებარე ცხრილი მოიცავს Standard & Poor's-ისა და Fitch Ratings-ის საერთაშორისო სააგენტოების რეიტინგებს. თუ სააგენტოების მიერ განსაზღვრული საკრედიტო რეიტინგები განსხვავდება, გამოიყენება უმაღლესი რეიტინგი, იმ ფინანსური ინსტიტუტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგები, გამოიყენება ქვეყნის რეიტინგები. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეპო ხელშეკრულების შესაბამისად სხვა ბანკებში არ ინახებოდა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები უზრუნველყოფის სახით (31 დეკემბერი 2018: ნული);. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, ფულის და ფულის ექვივალენტების ბალანსები შეტანილია 1 ეტაპში.

## 7. სახსრები სხვა ბანკებში

სხვა ბანკებში განთავსებული თანხები მოიცავს სამ თვეზე მეტი თავდაპირველი დაფარვის ვადის მქონე დეპოზიტებს, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი და წარმოადგენს არც გადავადებულ და არც გაუფასურებულ თანხებს 2019 და 2018 წლების ბოლოს. სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი დაფარვის ვადით დეპოზიტებისა და სხვა ბანკების დებიტორული დავალიანებების საკრედიტო რეიტინგი შემდეგია:



## 7. სახსრები სხვა ბანკებში გამრქელება

ათას ლარში	2019	2018
AA	-	8,913
A+	9,541	-
BBB+	-	80
BBB	2,493	3,838
BB+	-	4,388
BB-	-	19,500
BB	1,388	-
B+	2,175	665
Not rated	-	-
<b>სულ</b>	<b>15,597</b>	<b>37,384</b>

2019 წლის 31 დეკემბერს ჯგუფს ჰქონდა ერთი დეპოზიტიერთ ბანკში სამ თვეზე მეტი თავდაპირველი დაფარვის ვადით, მთლიანობაში 5,000 ათას ლარზე მეტი თანხით. აღნიშნული დეპოზიტის მთლიანი მოცულობა შეადგენდა 0 [2018 წ.: 19,311 ათას ლარს] ან მთლიანი თანხის 40.8% [2018 წ.: 41%].

2019 წლის 31 დეკემბერს 11,836 ათასი ლარი (2018 წელს: 15,725 ათასი ლარი;) ინახებოდა დეპოზიტზე როგორც გამოყენების შეზღუდული შესაძლებლობის თანხა საკრედიტო ბარათის კომპანიასა ან საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული მომსახურებები სხვა ბანკებში. სხვა ბანკებში სახსრების შეფასებულ სამართლიანი ღირებულებასთან დაკავშირებით იხილეთ შენიშვნა 41. სხვა ბანკების მიმართ საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია შენიშვნაში 36.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, სხვა ბანკებში სახსრების ბალანსები შეტანილია 1 ეტაპში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღნიშნულ ბალანსებთან დაკავშირებით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 9 ათას ლარს. (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 39 ათასი ლარი).

## 8. სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში („სებ“) წარმოადგენს სებ-ში განთავსებულ თანხებს. რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტები ვალდებული არიან იქონიონ საპროცენტო შემოსავლის მომგან აქტივებზე სავალდებულო რეზერვი სებ-ში, რომლის თანხა დამოკიდებულია ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოზიდული სახსრების დონეზე. ჯგუფმა მიიღო საპროცენტო შემოსავალი წლიურ 9.0%, 1.25%-მდე და (0.7%) ლარში, აშშდ-სა და ევროში სებ-ში განთავსებული სავალდებულო რეზერვიდან 2019 წელს. (2018: 6.0%, 0.8% და (0.6%) ლარში, აშშდ-სა და ევროში; 2016: 5.0%, 0.0% და (0.4%) ლარში, აშშდ-სა და ევროში).

2018 წლის აგვისტოში „Fitch Ratings“-მა დადასტურა საქართველოს მთავრობის გრძელვადიანი უცხოური და ადგილობრივი ვალუტის ემიტენტის დეფოლტის რეიტინგები (IDRs) უცხოურ და ადგილობრივ ვალუტაში, როგორც „BB-“, დადებითი პროგნოზებით. ემიტენტის რეიტინგები საქართველოს უფროსი არაუზრუნველყოფილი ობლიგაციებზე უცხოურ და ადგილობრივ ვალუტაში ასევე დადასტურებულია „BB-“ რეიტინგით. ქვეყნის ზედა ზღვარი დადასტურებულია როგორც „BB“ და მოკლევადიანი უცხოური ვალუტაში ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი „B“-ით

## 9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები

ათას ლარში	2019	2018
კორპორატიული სესხები	4,660,473	3,177,289
სამომხმარებლო სესხები	1,884,006	1,989,516
იპოთეკური სესხები	3,169,197	2,709,183
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ სესხები	2,948,279	2,496,594
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები, ამორტიზირებული ღირებულებით</b>	<b>12,661,955</b>	<b>10,372,582</b>
მინუს: საკრედიტო ზარალის რეზერვი	(312,556)	(334,130)
<b>ამორტიზირებული ღირებულებით სულ კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების საბალანსო ღირებულება</b>	<b>12,349,399</b>	<b>10,038,452</b>

## 9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები **გაგრძელება**

2019 წლის 31 დეკემბრისთვის კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების მთლიან საბალანსო ღირებულებაში 12,720,562 ათასი ლარი და საკრედიტო ზარალის რეზერვში 303,577 ათასი ლარი მიეკუთვნება ბანკს (2018: 10,405,780 ათასი ლარი და 325,936 ათასი ლარი).

2019 წლის 31 დეკემბრისთვის კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები 474,480 ათასი ლარის ოდენობით უზრუნველყოფის სახით ჩაიდო ადგილოვრივ ბანკებსა ან სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში სხვა ნასესხებ თანხებთან დაკავშირებით უზრუნველყოფის სახით (2018 წელს: 228,454).

2019 წელს, ჯგუფმა გადააფასა სეგმენტის მისეული განმარტება და წარმოადგინა შენიშვნაში 28. ზოგიერთი კლიენტი გადაანაწილდა სხვა სეგმენტებზე. 2018 წლების 31 დეკემბრის შედარებით ინფორმაცია არ განახლებულა მიუწვდომლობის გამო.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ცვლილებები საკრედიტო ზარალის რეზერვში და კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების მთლიან საბალანსო ღირებულებაში, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის. ქვემოთ ცხრილში აღწერილია მთავარი მოძრაობები:

- ▶ 1,2 და 3 დონეებს შორის გადატანა განაპირობებს მნიშვნელოვან ზრდას (ან კლებას) საკრედიტო რისკის ან კრედიტით გაუფასურებას პერიოდის განმავლობაში, შედეგი კი არის ერთი სთეიჯით წინ ან უკან გადასვლა 12 თვიან ECL-სა და მოქმედების ვადას შორის. უნდა აღინიშნოს, რომ:
  - მოძრაობა არ შეიცავს მთლიანი თანხის იმ ნაწილს, რომელიც გაცემული ან დაფარულია პერიოდის განმავლობაში.
  - სესხებისთვის, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებობდა, ტრანსფერის თანხა მოიცავს პერიოდის საწყის თანხებს.
  - ახალი სესხებისთვის, საწყისი მთლიანი თანხა არის წარმოდგენილი, როგორც გადასაცემი თანხა.
  - სესხებისთვის, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რამდენიმეჯერ იცვლიან სთეიჯებს, ტრანსფერი გვიჩვენებს საწყისსა და საბოლოო თანხებს შორის ცვლილებას.
- ▶ ახალგაცემული თანხები გვაძლევს ინფორმაციას იმ სესხების შესახებ, როგორც გროს თანხისთვის ისე მისი რეზერვისთვის, რომლებიც გაიცა მხოლოდ და მხოლოდ საწყისსა და საბოლოო პერიოდებს შორის (თუმცა ის სესხები რომლებიც გაიცა პერიოდებს შორის და ამავე თარიღებს შორის ჩაიხურა, ან გაიცა სესხის რეფინანსირებისთვის, არ იღებს მონაწილეობას კალკულაციაში).
- ▶ ჩახურული სესხების ლაინი მოიცავს იმ სესხის საწყის თანხას, რომელიც გადაიხადეს ან ჩამოიწერა პერიოდის განმავლობაში (გროს თანხა და მისი შესაბამისი რეზერვი არ მოიცავს პერიოდებს შორის გაცემულ და ჩახურულ, ასევე რეფინანსირებულ სესხებს).
- ▶ წმინდა დაფარვები შეესაბამება გროს თანხებს შორის ცვლილებას, რომელიც მოიცავს ამოღებულ სესხებსა და დაფარვებს.
- ▶ წმინდა ჩამოწერები შეესაბამება პერიოდის განმავლობაში ჩამოწერილ სესხებს, და ნეტ ღირებულებას ჩამოწერილ სესხებსა და ამოღებებს შორის.
- ▶ უცხოურ ვალუტაში გადაყვანა შედგება აქტივებით, რომელიც წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში და აქვს გავლენა წარსადგენ ვალუტაში გადაყვანის დროს უცხოური შვილობილისთვის.
- ▶ ცვლილება ეტაპის შეცვლისა და რისკების პარამეტრის ცვლილების გამო შეესაბამება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოძრაობას, რომელიც გამოწვეულია სესხის თანხის სთეიჯების ცვლილებით ან რისკის პარამეტრების ცვლილებით, სამომავლო მოლოდინებიდან გამომდინარე.

**საკრედიტო რისკის რესტრუქტურისა და ინკასირება:** ჯგუფს გააჩნია პორტფელის ზედამხედველობის კომპლექსური სისტემა გაუარესებული ან პრობლემური საკრედიტო მოცულობების დროულად დადგენის და წინასწარი გამოსწორების ზომების მიღების მიზნით. შესაბამისი რესტრუქტურისა და ინკასირების ერთეულები შექმნილია ყველა ბიზნეს სეგმენტში იმ მსესხებლების მართვის მიზნით, რომელთა კრედიტუნარიანობა გაუარესდა. ბანკი განასხვავებს ორი ტიპის რესტრუქტურისა და ინკასირების მსესხებლების ფინანსური სუსტი მხარეების გათვალისწინებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რესტრუქტურისა და ინკასირების მსესხებლები შეიძლება კლასიფიცირდეს 2 ეტაპში ან 3 ეტაპში. რესტრუქტურისა და ინკასირების ერთეულების ძირითადი მიზანია მსესხებლის რეაბილიტაცია და დაბრუნება მოქმედ კატეგორიაში ან 1 ეტაპზე. რეაბილიტაციის პროცესის სირთულე და კომპლექსურობა განსხვავდება რისკის ტიპისა და მოცულობის მიხედვით.



### 36. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გამრეკლება

ცენტრალიზებული მონიტორინგის ჯგუფი ანკონტროლებს დამრღვევ საცალო მსესხებლებს, რაც ფილიალების ღონისძიებებთან ერთად, მიზნად ისახავს ინკასირების მაქსიმალურად გაზრდას. სპეცილური პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება ადრეულ ეტაპზე ინკასირების პროცესის მართვაზე. კონკრეტული სტრატეგიები მორგებულია კლიენტების სხვადასხვა ქვეჯგუფებზე, ასახავს შესაბამის რისკის დონეებს, ამიტომ უფრო მეტი ღონისძიება ორიენტირებული უფრო მაღალი რისკის პროფილის მქონე კლიენტებზე. ადრეულ ეტაპზე დარღვევის გამოსწორება ზღუდავს რისკების მოცულობას, რომელიც გადავადდება 30 დღეზე მეტი ხნით (ერთ-ერთი კრიტერიუმი მიუთითებს SICR) და გადავა 2 ეტაპზე.

მაღალი რისკის პროფილის მქონე სესხების მართვისთვის ადგილზე არსებობს დაფარვის ერთეულები. კორპორატიული და საშუალო და მცირე ბიზნესის მსესხებლები გადაეცემა აღნიშნულ ერთეულს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ არ იქნება გადახდილი ძირითადი თანხის არსებითი ნაწილი და დაფარვის ძირითადი ნაკადი აღარ წარმოადგენს მსესხებლის ფულად სახსრებს. საცალო და მიკრო კრედიტები გადაეცემა დაფარვის ერთეულს ან ინკასირების გარეშე დაწესებულებებს (არაუზრუნველყოფილ სესხებთან დაკავშირებით) 90 დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში ასევე შეიძლება გადაეცეს მანამ სანამ აშკარა გახდება, რომ მსესხებელს არ შეუძლია სესხის დაფარვა.

**საკრედიტო ხარისხი.** ფინანსური აქტივის ტიპიდან გამომდინარე, ჯგუფმა შესაძლოა გამოიყენოს აქტივის საკრედიტო ხარისხის სხვადასხვა წყაროების ინფორმაცია, მათ შორის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (სტანდარტ ენდ პურზ, Fitch) მიერ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგი, გადახდისუნარიანობის შესახებ ინფორმაცია საკრედიტო ბიუროდან და შიდა ფარგლებში შემუშავებული საკრედიტო რეიტინგები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შიდა ფარგლებში შემუშავებული საკრედიტო ხარისხის სტანდარტების შიდა და გარე საკრედიტო ხარისხის შესახებ ინფორმაციის გათვალისწინებით კონკრეტული რისკისთვის (მაგ. გადაუხდელობა) დამახასიათებელ ინდიკატორებთან კომბინაციით. ჯგუფი განსაზღვრავს შემდეგი საკრედიტო ხარისხის სტანდარტებს:

- ▶ ძალიან დაბალი რისკი – რისკები ასახავს ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილების ძლიერ უნარს;
- ▶ დაბალი რისკი – რისკები ასახავს ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილების ადეკვატურ უნარს ;
- ▶ ზომიერი რისკი – რისკები ასახავს ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილების დამაკმაყოფილებელ უნარს;
- ▶ მაღალი რისკი – რისკები, რომლებიც მოითხოვს სათანადო მონიტორინგს, და
- ▶ დეფოლტი – რისკები დეფოლტისას, კრედიტის გაუფასურებით.

შიდა საკრედიტო რეიტინგები შეფასებულია ჯგუფის მიერ სტატისტიკური მოდელების საფუძველზე კრედიტ ოფიცრების შეზღუდული მონაწილეობით. სტატისტიკური მოდელები მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას, რომელიც ასახავს საუკეთესო პროგნოზულ შესაძლებლობას ისტორიული მონაცემების საფუძველზე დეფოლტების შესახებ.

შიდა საკრედიტო რეიტინგები შეფასებულია ჯგუფის მიერ სტატისტიკური მოდელების საფუძველზე კრედიტ ოფიცრების შეზღუდული მონაწილეობით. სტატისტიკური მოდელები მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას, რომელიც ასახავს საუკეთესო პროგნოზულ შესაძლებლობას ისტორიული მონაცემების საფუძველზე დეფოლტების შესახებ.

რეიტინგული მოდელები რეგულარულად გადაიხედება და მისი შემოწმება ხდება ისტორიული მონაცემების საფუძველზე ფაქტობრივი დეფოლტის მონაცემების მიხედვით. ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს რეიტინგული შეფასებების სიზუსტეს და აფასებს აღნიშნული მოდელების პროგნოზულ შესაძლებლობას.

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება:** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) არის მომავალი ფულადი დეფიციტების ალბათობებით შეზღუდული შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება არის მიუკერძოებელი და განისაზღვრება შესაძლო შედეგების შეფასებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ეფუძნება ჯგუფის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა ("PD"), რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში ("EAD"), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD"), და დისკონტირების განაკვეთი. შეფასებები ითვალისწინებს მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას, კერძოდ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) ასახავს მთავარი მაკროეკონომიკური ცვლადების ალბათობით შეზღუდულ განვითარებას, რომლებიც გავლენას ახდენს საკრედიტო რისკზე.

ბანკი იყენებს სამ-ეტაპიან მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასებისთვის და ახდენს მსესხებლების კლასიფიკაციას სამი ეტაპის ფარგლებში: ბანკი ახდენს რისკების კლასიფიკაციას 1 ეტაპის რისკებად, თუ თავდაპირველი აღიარებიდან საკრედიტო ხარისხში მნიშვნელოვანი გაუარესება არ მომხდარა და ინსტრუმენტი არ იყო გაუფასურებული კრედიტის თვალსაზრისით თავდაპირველი აღიარებისას. რისკი კლასიფიცირდება 2 ეტაპის რისკად იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება გამოვლინდა თავდაპირველი

### 36. ფინანსური და სხვა რისკის მართვა **გაგრძელება**

ალიარებისას, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ ითვლება კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურებულად. რისკები, რომელთან დაკავშირებით კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურებული ინდიკატორები გამოვლინდა, კლასიფიცირებულია 3 ეტაპის ინსტრუმენტებად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვის ოდენობა განსხვავდება ერთ-ერთი ეტაპისთვის განაწილებული რისკის მიხედვით. 1 ეტაპის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) წარმოადგენს მთლიანი პერიოდის ECL-ს იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს დეფოლტის მოვლენებს ანგარიშგების თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში. 2 ეტაპის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) წარმოადგენს მთლიანი პერიოდის ECL-ს, ე.ი. საკრედიტო ზარალს, რომელიც შესაძლოა მიეკუთვნოს შესაძლო დეფოლტის მოვლენებს ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი პერიოდის განმავლობაში. ზოგადად, მოქმედების ვადა ითვლება ფინანსური ინსტრუმენტის დაფარვის დანარჩენი სახელშეკრულებო ვადების ტოლად. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სახელშეკრულებო დაფარვის განრიგების არსებობა, დაფარვის ვადის გაგრძელების ოფციონები და ბანკის მიერ განხორციელებული მონიტორინგის პროცესები, გავლენას ახდენენ მოქმედების ვადის განსაზღვრაზე. 3 ეტაპის ინსტრუმენტების შემთხვევაში, დეფოლტის მოვლენა უკვე დამდგარია და მთლიანი პერიოდის ECL შეფასებულია მოსალოდნელი ამოღებების საფუძველზე.

**დეფოლტის განსაზღვრება:** ფინანსური აქტივები, რომელთან დაკავშირებით ჯგუფმა დაადგინა ერთი ან მეტი ზარალის შემთხვევის დადგომა, რომლებიც კლასიფიცირებულია 3 ეტაპში. ინფორმაციის მიზნებისთვის, ჯგუფმა სრულად გაათანაბრა დეფოლტის განსაზღვრება კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურებული აქტივების განსაზღვრებასთან. ჯგუფის მიერ დეფოლტის განსაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, წარმოდგენილია კაპიტალის მოთხოვნების რეგულაციის შესაბამისად (EU).

ჯგუფი იყენებს როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ კრიტერიუმებს დეფოლტის განსაზღვრებისთვის. მსესხებელი კლასიფიცირდება გადახდისუნაროდ იმ შემთხვევაში, თუ დადგება მინიმუმ ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენა:

- ▶ სახელშეკრულებო დაფარვების ნებისმიერი თანხა ვადაგადაცილებულია 90 დღეზე მეტი ხნით;
- ▶ ფაქტორები, რომლებიც მიუთითებს, რომ ნაკლებ სავარაუდოა მსესხებელმა გადაიხადოს ვალდებულებები. .

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლების შემთხვევაში, ბანკი დამატებით იყენებს კრიტერიუმებს, მათ შორის და არა მხოლოდ: გაკოტრების საქმეების წარმოება, მნიშვნელოვანი თალღითობა მსესხებლის ბიზნესში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ მის მდგომარეობაზე, კონტრაქტის პირობების დარღვევა და სხვა. SME და კორპორატიული მსესხებლებისთვის, დეფოლტი დგინდება კონტრაგენტის დონეზე, რაც ნიშნავს, რომ ყველა მოთხოვნა მსესხებლის მიმართ განიხილება დეფოლტად. საცალო და მიკრო სეგმენტის რისკებისთვის სესხის დონეზე დეფოლტის განმარტება გამოიყენება დამატებითი პულინგის ეფექტის კრიტერიუმის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ დეფოლტის რისკის მოცულობა აღემატება წინასწარ განსაზღვრულ ზღვარს, ყველა მოთხოვნა მსესხებლის მიმართ კლასიფიცირდება დეფოლტად. მას შემდეგ, რაც ფინანსური ინსტრუმენტი კლასიფიცირდება დეფოლტურად, ასევე დარჩება მანამ, სანამ აღარ დააკმაყოფილებს დეფოლტის კრიტერიუმებს თანმიმდევრული ექვსი თვის განმავლობაში, ასეთ შემთხვევაში რისკი აღარ ჩაითვლება დეფოლტში (ე.ი. უნდა გამოსწორდეს). საშეღავათო პერიოდი ექვსი თვის ოდენობით განისაზღვრა ფინანსური ინსტრუმენტის სტატუსზე დაბრუნების ალბათობის ანალიზის საფუძველზე, გამოსწორების შემდეგ. რისკის პოზიციები, რომლებიც გადავიდა 2 ეტაპზე დეფოლტის მდგომარეობიდან, შენარჩუნებულია კონკრეტული პერიოდი 1 ეტაპზე გადასვლამდე და კლასიფიცირებულია, როგორც სრულად ეფექტური ინსტრუმენტები.

**მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში ("SICR").** ფინანსური აქტივები, რომელთან დაკავშირებით ჯგუფი ადგენს მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში მიწის წარმოშობიდან, კლასიფიცირებულია 2 ეტაპში. SICR ინდიკატორები აღიარებულია ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე იმის მიუხედავად, რომ ზოგი მათგანი გულისხმობს მსესხებლის მახასიათებლებს. ჯგუფი იყენებს SICR-ის როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ ინდიკატორებს

#### *რაოდენობრივი კრიტერიუმები*

რაოდენობრივ საფუძველზე ბანკი აფასებს დეფოლტის ალბათობის პარამეტრების ცვლილებას თითოეული კონკრეტული რისკისთვის თავდაპირველი აღიარებიდან და ადარებს მას წინასწარ განსაზღვრულ ზღვართან. როდესაც დეფოლტის ალბათობის აბსოლოტური ცვლილება აღემატება მოქმედ ზღვარს, ითვლება, რომ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR) და რისკი გადავა 2 ეტაპზე. SICR -ს რაოდენობრივი ინდიკატორი გამოიყენება საცალო და მიკრო სეგმენტებზე, სადაც ჯგუფს გააჩნია საკმარისი რაოდენობის დაკვირვების მონაცემები.

#### *ხარისხობრივი კრიტერიუმები*

ფინანსური აქტივი გადადის 2 ეტაპზე და მთლიანი პერიოდის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECLs) ფასდება იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება მინიმუმ ერთ-ერთი შემდეგი SICR ხარისხობრივი კრიტერიუმი:

### 36. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გამრეკლება

- ▶ ვადაგადაცილების პერიოდი 30 დღეზე მეტი ხნით საკონტარქტო დაფარვებზე;
- ▶ რისკის პოზიცია რესტრუქტურირებულია, მაგრამ არ არის კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურებული.
- ▶ მსესხებელი კლასიფიცირდება „საყურადღებო“ კატეგორიად.

ჯგუფი არ ეწინააღმდეგება პრეზუმფციას, რომ არსებობს მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობიდან, როდესაც ფინანსური აქტივი 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებულია. SICR-ს ეს ხარისხობრივი ინდიკატორი ვალის რესტრუქტურისა და ეროვნული გამოიყენება ყველა სემენტზე. კერძოდ კორპორატიული და SME სემენტისთვის ჯგუფი იყენებს რისკის კატეგორიის დაწვას ფინანსური ინსტრუმენტის წარმოშობიდან SICR-ს ხარისხობრივი ინდიკატორის სახით. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მსესხებლები კლასიფიცირებულია სხვადასხვა რისკის კატეგორიებით. კონკრეტული სუსტი მხარეების არსებობისას, რომელიც მატერიალიზების შემთხვევაში გამოიწვევს სესხის დაფარვის პრობლემებს, მსესხებლები კლასიფიცირდება „საყურადღებო“ კატეგორიად. მიუხედავად იმისა, რომ მსესხებლების ფინანსური მდგომარეობა აკმაყოფილებს ვალდებულებების დაფარვას, ასეთ მსესხებელზე ხორციელდება სათანადო მონიტორინგი და მიიღება კონკრეტული ზომები პოტენციური ხარვეზების შესარბილებლად. როგორც კი მსესხებლის კლასიფიკაცია მოხდება „საყურადღებო კატეგორიად“, ის გადავა 2 ეტაპზე. რომელიც SICR ინდიკატორის გამოვლენისას, ფინანსური ინსტრუმენტი გადადის 2 ეტაპში. ფინანსური აქტივი შეიძლება დაბრუნდეს 1 ეტაპზე იმ შემთხვევაში, თუ SICR ინდიკატორები აღარ არსებობს.

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება:** ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის იყენებს ორ მიდგომას - ინდივიდუალური შეფასება და კოლექტიური შეფასება. ინდივიდუალური შეფასება ძირითადად გამოიყენება კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურებული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლებისთვის. დამატებით, ბანკმა შესაძლოა თვითნებურად განსაზღვროს შერჩეული რისკები ECL-ს ინდივიდუალური შეფასებისთვის ბანკის საკრედიტო რისკის მართვის ან ანდერრაიტინგის განაყოფილების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბანკი იყენებს დისკონტირებული ფულადი ნაკადების (DCF) მეთოდს ანაზღაურების თანხის განსაზღვრისთვის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. ასანაზღაურებელი თანხის ზუსტი შეფასების უზრუნველყოფისთვის, ბანკმა შესაძლოა გამოიყენოს სცენარის ანალიზის მიდგომა. სცენარები შესაძლოა განისაზღვროს ინდივიდუალური მსესხებლის სპეციფიკისა და მომავალი პერსპექტივების, იმ სექტორის გათვალისწინებით სადაც მსესხებელი ოპერირებს ან უზრუნველყოფის ღირებულებების ცვლილებების გათვალისწინებით. სცენარის ანალიზის შემთხვევაში, ბანკი პროგნოზირებს ასანაზღაურებელ თანხას თითოეული სცენარისთვის და ავსებს შესაბამის ზარალს. საბოლოო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება თითოეულ სცენარში მოსალოდნელი ზარალის შეწონილი საშუალო მარჯვენა მხარით, რომელიც შეწონილია სცენარის დადგომის ალბათობით.

არა-მნიშვნელოვან და არა-გაუფასურებელ მნიშვნელოვან მსესხებლებთან დაკავშირებით, ბანკი ავსებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს კოლექტიურად. კოლექტიური შეფასებისთვის და რისკის პარამეტრების შეფასების მიზნებისთვის რისკების პოზიციები ჯგუფდება მსგავსი რისკების კატეგორიაში, მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ჯგუფის საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებში შეტანილია, მაგრამ არა მხოლოდ: ეტაპი (ეტაპი 1, ეტაპი 2 ან ეტაპი 3), კონტრაგენტის ტიპი (ფიზიკური პირი - იურიდიული პირი), პროდუქტის ტიპი, რეიტინგი (შიდა ან გარე), რისკის ვადაგასული სტატუსი, რესტრუქტურისა და სტატუსი, თვეები დეფოლტის კატეგორიაშიან ნებისმიერი სხვა მახასიათებელი, რომელიც შესაძლოა განსხვავდეს კონკრეტულ ქვე-სემენტებს რისკის პარამეტრების შეფასების მიზნებისთვის. პულების რაოდენობა განსხვავებულია სხვადასხვა პროდუქტების / სემენტებისთვის პორტფელის სეპციფიკის და მონაცემების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით თითოეული კატეგორიის ფარგლებში. კოლექტიური მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის შემდეგი საკრედიტო რისკის პარამეტრების გამრავლების ჯამი: EAD, PD და LGD, რომლებიც განსაზღვრულია ქვემოთ და დისკონტირებულია მიმდინარე ღირებულებამდე ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

რისკის პარამეტრების გამოთვლის ძირითადი პრინციპებია:

**რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში (EAD).** რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში (EAD) წარმოადგენს საკრედიტო რისკის პოზიციის შეფასებას დეფოლტის დროს, რომელიც დგება ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების პერიოდში. EAD პარამეტრი, რომელიც გამოყენებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გამოთვლის მიზნებისთვის, დამოკიდებულია დროის ფაქტორზე, ე.ი. ბანკი ითვალისწინებს პარამეტრის სხვადასხვა მარჯვენა მხარეების გამოყენებას მომდევნო დროის პერიოდებში რისკის არსებობის პერიოდში. EAD -ს ასეთი სტრუქტურა გამოიყენება 1 ეტაპის და 2 ეტაპის ყველა ფინანსურ ინსტრუმენტზე. 3 ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტების და დეფოლტში მყოფი POCL აქტივების შემთხვევაში, EAD ვექტორი არის ერთი-ელემენტი მოქმედი EAD-ით, მხოლოდ ღირებულების სახით. რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში (EAD) განისაზღვრება განსხვავებულად საამორტიზაციო ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საკონტარქტო დაფარვის განრიგებით და რეკოლვერული კრედიტებისთვის. საამორტიზაციო პროდუქტებისთვის EAD გამოითვლება ძირითადი თანხის და

### 36. ფინანსური და სხვა რისკის მართვა **გაგრძელება**

პროცენტის საკონტრაქტო დაფარვების გათვალისწინებით, 12 თვის განმავლობაში 1 ეტაპში კლასიფიცირებული კრედიტებისთვის და არსებობის მთლიან პერიოდში დანარჩენი ინსტრუმენტებისთვის. ასევე დამატებით გაკეთდა შესწორებები წინასწარი დაფარვების გამო რისკის შემცირების ეფექტის გათვალისწინებისთვის. რეკოლვერული პროდუქტებისთვის ბანკი აფასებს რისკის პოზიციას დეფოლტში (EAD) მოსალოდნელი ზღვარის გამოყენების პროცენტული მაჩვენებლის საფუძველზე, რაც დამოკიდებულია დეფოლტის მოვლენაზე.

**დეფოლტის ალბათობა (PD).** დეფოლტის ალბათობის პარამეტრის აღწერს დეფოლტის ალბათობას კონკრეტული დროის განმავლობაში. და წარმოადგენს იმ ალბათობის შეფასებას, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს კონტრაქტით გათვალისწინებული სავალო ვალდებულებების დაკმაყოფილებას. დეფოლტის ალბათობის პარამეტრი დამოკიდებულია დროის ფაქტორზე (ე.ი. გააჩნია კონკრეტული დროის სტრუქტურა) და გამოიყენება ყველა არა-დეფოლტში მყოფ კონტრაქტებზე. კლიენტების სხვადასხვა სეგმენტის კონკრეტული ბუნების გათვალისწინებით, რომლებზეც ფასდება დეფოლტის ალბათობა, ასევე უნიკალური მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელიც განაპირობებს მათ დეფოლტის მიმართ მიდრეკილებას, დეფოლტის ალბათობა მოდელირებულია განსხვავებულად სავალო და მიკრო სეგმენტებისთვის და კორპორატიული და SME სეგმენტებისთვის. დეფოლტის ალბათობის შეფასების მიდგომა ასევე განსხვავებულია სხვადასხვა დროის პერიოდისთვის და შემდეგ შესწორდება აღნიშნულ პერიოდში პროგნოზირებული მაკროეკონომიკური ცვლადების მოსალოდნელი ზემოქმედების გამო. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისთვის გამოიყენება ორი ტიპის დეფოლტის ალბათობა:

12-თვიანი და მთლიანი პერიოდის PD. მთლიანი პერიოდის PDs წარმოადგენს დეფოლტის შეფასებულ ალბათობას, რომელიც დადგა ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დანარჩენ ვადაში და არის 12-თვიანი მარგინალური PDs ჯამი ინსტრუმენტის მთლიანი არსებობის პერიოდში. ჯგუფი იყენებს სხვადასხვა სტატისტიკურ მიდგომებს, როგორცაა 12-თვიანი PDs ექსტრაპოლაცია მიგრაციის მატრიცების საფუძველზე, მთლიანი პერიოდის PD მრუდების შემუშავება ისტორიული დეფოლტის მონაცემების საფუძველზე და გრძელვადიანი PD-ს თანდათანობით კონვერგენცია გრძელვადიან დეფოლტის განაკვეთთან.

**ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD).** ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) პარამეტრი წარმოადგენს რისკის პოზიციის წილს, რომელიც დაუბრუნებლად დაიკარგება მსესხებლის დეფოლტის შემთხვევაში. 1 ეტაპის და 2 ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ფასდება თითოეულ პერიოდში ინსტრუმენტის არსებობის ვადაში და ასახავს მოსალოდნელი EAD-ის წილს აღნიშნულ პერიოდში, რომელიც არ ანაზღაურდება ინსტრუმენტის დანარჩენ მოქმედების ვადაში დეფოლტის თარიღის შემდეგ. 3 ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ზარალის დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს EAD-ის წილს ანგარიშგების თარიღისთვის, რომელიც არ ანაზღაურდება ამ ინსტრუმენტის დანარჩენ მოქმედების ვადაში. LGD-ს შეფასება იცვლება კონტრაგენტის, სეგმენტის, პროდუქტის ტიპის, სეკურიტიზაციის დონის და ისტორიული მონაცემების ხელმისაწვდომობის მიხედვით. LGD საერთო შეფასების პროცესი ბანკის მიერ ეფუძნება იმ დაშვებას, რომ რისკის პოზიციის დეფოლტის შემდეგ, შესაძლებელია ორი ურთიერთგამომრიცხავი სცენარის არსებობა. რისკის პოზიცია ან დატოვებს დეფოლტის სტატუსს (გამოსწორების სცენარი) ან არ დატოვებს დეფოლტის სტატუსს და დაექვემდებარება ამოღების პროცესს (არ-გამოსწორების სცენარი). იმის ალბათობა, რომ კვლავ მოხდება რისკის პოზიციის დეფოლტი გამოსწორების სცენარში, შეტანილია შეფასების პროცესში. რისკის პარამეტრები, რომლებიც ეხება ორივე სცენარს, ე.ი. გამოსწორების მაჩვენებლები, დაბრუნების მაჩვენებლები, შეფასებულია მიგრაციის მატრიცების მიდგომის გამოყენებით, სადაც რისკის ჯგუფები განსაზღვრულია თანმიმდევრული თვეების დეფოლტის მიხედვით. კონკრეტული პორტფელისთვის, დაკვირვების მონაცემების შეზღუდვების საფუძველზე, შეიძლება გამოყენებულ იქნას საერთო მიდგომის ალტერნატიული ვერსიები.

**მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია.** მიუკერძოებელი, ალბათობებით შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება მოითხოვს მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის არსებობას, რომელიც მოიპოვება მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევების გარეშე. მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის მიზნებისთვის ბანკი განსაზღვრავს სამ მაკრო სცენარს. ამ სცენარებს შორის ერთი იქნება საბაზისო სცენარი (დიდი ალბათობით), ზედა (უკეთესი ვიდრე დიდი ალბათობით) და ქვედა (უარესი, ვიდრე დიდი ალბათობით) საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის სცენარები, რომელთა შეწონილი მაჩვენებელი განისაზღვრება 50%-ით, 25% და 25%-ის მინიჭებით თითოეული სცენარისთვის.

საბაზისო მაკრო-ეკონომიკური სცენარის მისაღებად ბანკი ითვალისწინებს სხვადასხვა წყაროების პროგნოზებს, ეს წყაროებია: საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ("IMF"), ასევე სხვა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები ("IFI"s), რათა უზრუნველყოფილი იყოს ბაზრის მოლოდინებთან კონსენსუსი. ზედა და ქვედა მხარის სცენარები განსაზღვრულია ბანკის მაკროეკონომიკური განყოფილების მიერ შემუშავებული სისტემის ფარგლებში.

მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია შეტანილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ შეფასებაში.

### 36. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გამრქელება

**მოდელის კოექტირება და ვალიდაცია.** ჯგუფი რეგულარულად გადახედავს თავის მეთოდოლოგიას და დაშვებებს შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის ნებისმიერი განსხვავების შემცირების მიზნით. ასეთი შემომწმება ისტორიული მონაცემების საფუძველზე ხორციელდება წელიწადში ერთხელ. ისტორიული მონაცემების საფუძველზე შემომწმების პროცესში ჯგუფი აფასებს რისკის პარამეტრების ფაქტობრივ რეალიზაციას და მათ შესაბამისობას მოდელის შეფასებებთან. დამატებით, შემომწმების პროცესში ხორციელდება ეტაპების განსაზღვრის კრიტერიუმების ანალიზი. მოსალოდნელი საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით ისტორიული მონაცემების საფუძველზე შემომწმების შედეგები წარედგინება ჯგუფის ხელმძღვანელობას და უფლებამოსილ პირებს შორის განხილვების შემდეგ განისაზღვრება დამატებითი ზომები მოდელის და დაშვებების შესაბამისობაში მოყვანისთვის.

**გეოგრაფიული რისკის კონცენტრაციები.** აქტივები, ვალდებულებები, საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები და შესრულების გარანტიები ზოგადად დამოკიდებულია იმ ქვეყანასა და გეოგრაფიულ რეგიონზე, სადაც კონტრაგენტი მდებარეობს. ქართველ კონტრაგენტებთან ნაშთები, რომლებიც ფაქტობრივად გადაუხდელია ან საქართველოსთან დაკავშირებული კონტრაგენტების ოფშორული კომპანიებისთვის ან გადასახდელია მათგან, განთავსებულია წარწერის ქვეშ „საქართველო“. საკასო თანხები და ძირითადი საშუალებები განაწილებულია იმ ქვეყნის მიხედვით, სადაც ისინი ფიზიკურად არსებობს.

ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2019 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

ათას ლარში	საქართველო	ეგთო	არა-ეგთო	სულ
<b>ფული და ფულის ექვივალენტები</b>				
სახსრები სხვა ბანკებში	692,905	287,063	14,511	994,479
სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	3,530	12,067	-	15,597
კლიენტებზე გაცემული კრედიტები და ავანსები	1,591,829	-	-	1,591,829
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები	11,775,027	408,217	166,155	12,349,399
ინვესტიციები იჯარებში	1,021,568	-	-	1,021,568
სხვა ფინანსური აქტივები	255,596	-	1,064	256,660
<b>ფული და ფულის ექვივალენტები</b>	<b>113,535</b>	<b>1,431</b>	<b>245</b>	<b>115,211</b>
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>16,439,283</b>	<b>708,778</b>	<b>181,975</b>	<b>17,330,036</b>
<b>არაფინანსური აქტივები</b>	<b>972,829</b>	<b>27</b>	<b>3,726</b>	<b>976,582</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>17,412,112</b>	<b>708,805</b>	<b>185,701</b>	<b>18,306,618</b>
<b>ვალდებულებები</b>				
სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში	1,813,684	1,744,130	36,087	3,593,901
კლიენტის ანგარიშები	8,469,206	733,778	909,018	10,112,002
გამომწმებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,213,598	-	-	1,213,598
სხვა ფინანსური ვალდებულებები	155,397	316	8	155,721
სუბორდინირებული ვალი	100,993	343,861	146,181	591,035
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>11,752,878</b>	<b>2,822,085</b>	<b>1,091,294</b>	<b>15,666,257</b>
<b>არაფინანსური ვალდებულებები</b>	<b>102,526</b>	<b>829</b>	<b>5,296</b>	<b>108,651</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>11,855,404</b>	<b>2,822,914</b>	<b>1,096,590</b>	<b>15,774,908</b>
<b>წმინდა საბალანსო მდგომარეობა</b>	<b>5,556,708</b>	<b>(2,114,109)</b>	<b>(910,889)</b>	<b>2,531,710</b>
<b>შესრულების გარანტიები</b>	<b>603,910</b>	<b>232,328</b>	<b>622,646</b>	<b>1,458,884</b>
<b>საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები</b>	<b>1,485,032</b>	<b>4,476</b>	<b>11,459</b>	<b>1,500,967</b>

ზემოთ მოყვანილი ცხრილი შეიცვას გეოგრაფიულ კონცენტრაციებს ქვეყნაში. გაცემული სესხები და ავანსები ეგთო და არა-ეგთო რეზიდენტ კლიენტებზე, ისევე როგორც ქართველ მომხმარებელზე, გაცემულია იმ პირებზე, რომლებიც საქმიანობენ საქართველოში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა იმ წმინდა სესხის თანხისა, რომელიც გაცემულია კლიენტებზე სესხები და ავანსები შეადგენს 12,330,467 ათას ლარს, რომელიც გამოწმებულია საქართველოში არსებული კომპანიების მიერ და 18,932 ათასი ლარი ოპერაციები სხვა ეკონომიკური საქმიანობებიდან.

**36. ფინანსური და სხვა რისკის მართვა** *გაგრძელება*

<i>ათას ლარში</i>	<b>საქართველო</b>	<b>ეგთო</b>	<b>არა-ეგთო</b>	<b>სულ</b>
<b>აქტივები</b>				
ფული და ფულის ექვივალენტები	648,068	515,159	1,176	1,164,403
სახსრები სხვა ბანკებში	18,485	12,852	6,047	37,384
სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	1,422,809	-	-	1,422,809
კლიენტებზე გაცემული კრედიტები და ავანსები	9,526,936	121,712	389,804	10,038,452
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	1,004,564	-	675	1,005,239
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები	653,703	-	-	653,703
ინვესტიციები იჯარებში	202,850	-	952	203,802
სხვა ფინანსური აქტივები	153,640	329	290	154,259
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>13,631,055</b>	<b>650,052</b>	<b>398,944</b>	<b>14,680,051</b>
<b>არაფინანსური აქტივები</b>	<b>769,139</b>	<b>56</b>	<b>3,642</b>	<b>772,837</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>14,400,194</b>	<b>650,108</b>	<b>402,586</b>	<b>15,452,888</b>
<b>ვალდებულებები</b>				
სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში	1,154,329	1,811,299	65,877	3,031,505
კლიენტის ანგარიშები	7,882,839	697,753	864,154	9,444,746
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	7,927	-	5,416	13,343
სხვა ფინანსური ვალდებულებები	77,870	296	39	78,205
სუბორდინირებული ვალი	94,263	420,031	136,625	650,919
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>9,217,228</b>	<b>2,929,379</b>	<b>1,072,111</b>	<b>13,218,718</b>
<b>არაფინანსური ვალდებულებები</b>	<b>121,395</b>	<b>525</b>	<b>493</b>	<b>122,413</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>9,338,623</b>	<b>2,929,904</b>	<b>1,072,604</b>	<b>13,341,131</b>
<b>წმინდა საბალანსო მდგომარეობა</b>	<b>5,061,571</b>	<b>(2,279,796)</b>	<b>(670,018)</b>	<b>2,111,757</b>
<b>შესრულების გარანტიები</b>	<b>684,844</b>	<b>291,795</b>	<b>219,208</b>	<b>1,195,847</b>
<b>საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები</b>	<b>870,446</b>	<b>3,751</b>	<b>1,638</b>	<b>875,835</b>

ზემოთ მოყვანილი ცხრილი შეიცავს გეოგრაფიულ კონცენტრაციებს ქვეყნაში. გაცემული სესხები და ავანსები ეგთო და არა-ეგთო რეზიდენტ კლიენტებზე, ისევე როგორც ქართველ მომხმარებელზე, გაცემულია იმ პირებზე, რომლებიც საქმიანობენ საქართველოში. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა იმ წმინდა სესხის თანხისა, რომელიც გაცემულია კლიენტებზე სესხები და ავანსები შეადგენს 10,015,062 ათას ლარს, რომელიც გამოშვებულია საქართველოში არსებული კომპანიების მიერ და 23,390 ათასი ლარი ოპერაციები სხვა ეკონომიკური საქმიანობებიდან.

**საბაზრო რისკი.** ბანკი შეესაბამება ბაზელის კომიტეტის ბაზრის რისკის განმარტებას, როგორც დანაკარგების არასაბალანსო პოზიციის რისკს, რომელიც წარმოიქმნება საბაზრო ფასების ცვლილებების შედეგად. ეს რისკი მთელი ბანკის მასშტაბით ძირითადად შედგება (ა) რისკებისგან, რომელიც უკავშირდება საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტებს და სავაჭრო პორტფელში წილებს და (ბ) გაცვლითი კურსის რისკებისა (ან სავალუტო რისკი) და სავაჭრო რისკებისგან. ბანკის სტრატეგია არ ჩაერთოს სავაჭრო პორტფელის აქტივობაში ან სავაჭრო ინვესტიციების განხორციელებაში. შესაბამისად, ბანკის მოწყვლადობა ბაზრის რისკის მიმართ ძირითადად შემოიფარგლება სტრუქტურულ პაკეტში უცხოური სავალუტო კურსის რისკით.

**სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკი წარმოიქმნება უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში პოტენციური ცვლილებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულებაზე. ეს რისკი წარმოიქმნა უცხოური სავალუტო აქტივებისა და ვალდებულებების შეესაბამებით გამოწვეული ღია სავალუტო პოზიციებისგან-, სებ-მა მოსთხოვა ბანკს შეამოწმოს როგორც ბალანსი ასევე მთლიანი (არასაბალანსო ანგარიშის ჩათვლით) ღია სავალუტო პოზიციები და შეინარჩუნოს ასეთი პოზიციები ბანკის მარეგულირებელი კაპიტალის 20%-ის ფარგლებში. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ბანკს ჰქონდა მთლიანი (ნეგატიური) უცხოური ვალუტის პოზიცია მარეგულირებელი კაპიტალის 0.5% (2018 წელს: 7.6%) აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტმა ("ALCO") განსაზღვრა ლიმიტები ვალუტით და ასევე ერთ-დღიანი და დღის განმავლობაში პოზიციებთან დაკავშირებით, რომლებიც სებ-ის მიერ განსაზღვრულ ლიმიტებზე უფრო კონსერვატიულია. ბანკის მიერ ასეთი ლიმიტების დაცვა მოწმდება ყოველდღიურად სახაზინო და ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტების ხელმძღვანელების მიერ.

### 36. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გამრეკლება

2018 წლის 13 აგვისტოს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დადგინა ახალი რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებდა OCP დათვლის მეთოდის ცვლილებას, ამ რეგულაციის მიხედვით, 2019 წლის მარტიდან სპეციალური რეზერვები დადგენილი საბალანსო ანგარიშების აქტივებიდან თანდათანობით თუნდა იყოს გამოქვითული OCP დათვლის მიზნით და მთლიანად განხორციელებული 2022 წლის ივლისამდე, შესაბამის გარდამავალ პერიოდამდე, რომელიც დაადგინა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (2019 წელს გამოქვეყნებული შესწორების მიხედვით).

სავალუტო რისკის მართვის სისტემა რეგულირდება ბაზრის რისკის მართვის პოლიტიკით, ბაზრის რისკის მართვის პროცედურითა და შესაბამის მეთოდოლოგიებით. ბანკმა შეიმუშავა სავალუტო რისკთან დაკავშირებით კაპიტალზე დარიცხვა ბაზრის გაიდლაინების შესაბამისად. ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის უცხოური სავალუტო კურსის რისკი საბალანსო ანგარიშის წარმოდგენისას. ღია სავალუტო პოზიციის მართვისას ჯგუფი ითვალისწინებს ყველა რეზერვს, რომელიც დენომინირებული უნდა იყოს ადგილობრივ ვალუტაში. სავალუტო სვოპ დეპოზიტების მთლიანი მოცულობა შეტანილია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში. ამიტომ ქვემოთ წარმოდგენილი მთლიანი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვერ კონტროლდება ვერც საბალანსო ანგარიშით და ვერც ლიკვიდურობის რისკის მართვის ცხრილებით, სადაც წარმოდგენილია მთლიანი სავალუტო სვოპების წმინდა მოცულობა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
ათას ლარში	ფულადი ფინანსური ქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წარმოებულები	წმინდა საბალანსო მდგომარეობა
ქართული ლარი	7,479,851	5,760,987	(100,140)	1,618,724
აშშ დოლარი	6,827,012	8,765,374	1,954,878	16,516
ევრო	2,968,554	1,036,267	(1,925,463)	6,824
სხვა	54,619	103,629	56,134	7,124
<b>სულ</b>	<b>17,330,036</b>	<b>15,666,257</b>	<b>(14,591)</b>	<b>1,649,188</b>

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
ათას ლარში	ფულადი ფინანსური ქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წარმოებულები	წმინდა საბალანსო მდგომარეობა
ქართული ლარი	5,915,034	4,751,326	86,122	1,249,830
აშშ დოლარი	7,289,483	7,431,595	323,246	181,134
ევრო	1,374,805	948,620	(409,565)	16,620
სხვა	100,729	87,165	(463)	13,101
<b>სულ</b>	<b>14,680,051</b>	<b>13,218,706</b>	<b>(660)</b>	<b>1,460,685</b>

აშშ დოლარის გამაყრება 10%-ით (გაუფასურება 10%) გაზრდის ჯგუფის მოგება-ზარალს და კაპიტალს 2019 წელს 1,652 ლარით (შეამცირებს 1,652 ლარით). ევროს გამაყრება 10%-ით (გაუფასურება 10%) გაზრდის ჯგუფის მოგება-ზარალს და კაპიტალს 2019 წელს 682 ლარით (შეამცირებს 682 ლარით). აშშ დოლარის გამაყრება 10%-ით (გაუფასურება 10%) გაზრდის ჯგუფის მოგება-ზარალს და კაპიტალს 2018 წელს 18,113 ლარით (შეამცირებს 18,113 ლარით). ევროს გამაყრება 10%-ით (გაუფასურება 10%) გაზრდის ჯგუფის მოგება-ზარალს და კაპიტალს 2018 წელს 1,662 ლარით (შეამცირებს 1,662 ლარით).

**საპროცენტო განაკვეთის რისკი.** საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში პოტენციური ცვლილებების შედეგად, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე. ეს რისკი შეიძლება წარმოიქმნას აქტივებისა და ვალდებულებების ვადებში შეუსაბამობის, ისევე როგორც მათი ფასების გადახედვის მახასიათებლების შედეგად.

ბანკის მიერ შეთავაზებული კრედიტები და დეპოზიტები წარმოდგენილია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით, მაშინ როცა ბანკის საკრედიტო პოზიცია ეფუძნება პროცენტის ცვალებად განაკვეთს. ბანკის ცვალებადი განაკვეთის მქონე კრედიტები გარკვეულწილად ჰეჯირებულია სებ-ის მიერ იმ განაკვეთის გადახდით, რომელიც კორექტირებულია იმ მინიმალურ რეზერვებამდე, რომელსაც ბანკი ფლობს სებ-ში. ბანკი ასევე შევიდა საპროცენტო განაკვეთზე სვოპის ხელშეკრულებებში, რათა შემცირებულიყო საპროცენტო განაკვეთის რისკი. უფრო მეტიც, კლიენტებისთვის ბანკის მიერ გაცემული ბევრი კრედიტი მოიცავს მუხლს, რომელიც მას კრედიტზე საპროცენტო განაკვეთის კორექტირების საშუალებას აძლევს უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების დინამიკის შემთხვევაში, რითაც ზღუდავს ბანკის საპროცენტო განაკვეთის რისკისგან დაუცველობას. ხელმძღვანელობა ასევე დარწმუნებულია, რომ ბანკის საპროცენტო განაკვეთის მარჯები გვთავაზობს გონივრულ ბუფერს, რათა შემცირდეს შესაძლო უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის დინამიკა.

**36. ფინანსური და სხვა რისკის მართვა** **გამრკელება**

ქვემოთმოცემული ცხრილი აჯამებს საპროცენტო განაკვეთის რისკებისგან ჯგუფის დაუცველობის საკითხს. ამ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიანი მოცულობა საბალანსო ღირებულებით, რომელიც შეფასებულია საკონტრაქტო პროცენტის ფასების გადახედვით ან დაფარვის უფრო ადრინდელი თარიღების მიხედვით. სავალუტო სვოპები არ იწაბრება ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკებისგან დაუცველობის შეფასებისას. ქვემოთ წარმოდგენილი მთლიანი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არ შეინიშნება არც საბალანსო ანგარიშში და არც სხვა ფინანსური რისკის მართვის ცხრილებში. ცხილებში განხილულია, როგორც საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული რეზერვები, ასევე პროცენტული ნოსტრო ანგარიშები. საქართველოს ეროვნული ბანკის რეზერვებსა და ნოსტრო ანგარიშებზე შემოსავალი გაანგარიშებულია როგორც ორიენტირი მინუს მარჟა, რომლითაც ორიენტირი ფედერალური ფონდების განაკვეთები და ECB განაკვეთები გათვალისწინებულია შესაბამისად აშშ დოლარისა და ევროს შემთხვევაში. ამიტომ, ისინი გავლენას ახდენენ თიბისი ბანკის წმინდა საპროცენტო შემოსავალზე საპროცენტო განაკვეთების როგორც ზრდის, ასევე კლების შემთხვევაში.

ათას ლარში	ერთ თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ
<b>31 დეკემბერი 2019</b>					
სულ ფინანსური აქტივები	6,640,548	5,014,385	1,013,935	5,350,249	<b>18,019,117</b>
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,025,604	3,075,630	1,078,228	6,183,671	<b>16,363,133</b>
<b>წმინდა საპროცენტო მგრძობელობის პოზიცია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>614,944</b>	<b>1,938,755</b>	<b>(64,293)</b>	<b>(833,422)</b>	<b>1,655,984</b>
<b>31 დეკემბერი 2018</b>					
სულ ფინანსური აქტივები	4,776,646	3,596,006	1,009,348	5,298,973	<b>14,680,973</b>
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,565,789	3,327,654	1,026,112	4,300,095	<b>13,219,650</b>
<b>წმინდა საპროცენტო მგრძობელობის პოზიცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>210,857</b>	<b>268,352</b>	<b>(16,764)</b>	<b>998,878</b>	<b>1,461,323</b>

2019 წლის 31 დეკემბერს, თუ საპროცენტო განაკვეთი ამ დღისთვის ყველა სხვა ფიქსირებულ ცვლადთან მიმართებაში იქნებოდა 100 საბაზისო პუნქტით ნაკლები, წლის მოგება იქნებოდა 19 მილიონი ლარით (2018: 4.4 მილიონი ლარით) მეტი, ძირითადად ცვლად საპროცენტო ვალდებულებებზე უფრო დაბალი საპროცენტო დანახარჯის გამო. სხვა ყოვლისმომცველი შემოსავალი იქნება 9,4 მილიონი ლარით (2018: 6,1 მილიონი ლარით) მეტი, რაც გამოწვეულია გასაყიდად ფლობილის სახით კლასიფიცირებული ფიქსირებული განაკვეთიანი ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების ზრდით.

თუ საპროცენტო განაკვეთი ყველა სხვა ფიქსირებულ ცვლადთან მიმართებაში იქნებოდა 100 საბაზისო პუნქტით მეტი, წლის მოგება იქნებოდა 19.6 მილიონი ლარით ნაკლები (2018: 4.4 მილიონი ლარით) ძირითადად ცვლად საპროცენტო ვალდებულებებზე ნაკლები. სხვა ყოვლისმომცველი შემოსავალი უნდა ყოფილიყო 9.1 მილიონი ლარით (2018: 5.9 მილიონი) ნაკლები, რაც გამოწვეულია გასაყიდად ფლობილი სახით კლასიფიცირებული ფიქსირებული განაკვეთიანი ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების შემცირებით.

დამოუკიდებელ ბაზისზე საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვასთან დაკავშირებით, ბანკმა დანერგა შპს "ერნსტ ენდ იანგთან" ერთად შემუშავებული მოწინავე მოდელი. საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზი განხორციელდა ყოველთვიურად ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტის მიერ.

ბანკი აფასებს საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებების გავლენას, როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავლის ასევე ეკონომიკური ღირებულების მგრძობელობაზე. წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა აფასებს შემოსავლის მრუდზე სხვადასხვა დაფარვის ვადასთან ერთად საპროცენტო განაკვეთების ზრდის გავლენას წმინდა საპროცენტო შემოსავალზე უახლოეს წელს. ეკონომიკური ღირებულება აფასებს შემოსავლის მრუდზე სხვადასხვა დაფარვის ვადასთან ერთად საპროცენტო განაკვეთების ზრდის გავლენას ჯგუფის აქტივების, ვალდებულებებისა და არასაბალანსო ინსტრუმენტების არსებულ ღირებულებაზე. წმინდა საპროცენტო შემოსავლისა და ეკონომიკური ღირებულების მგრძობელობის ანალიზის განხორციელებისას, ბანკი იყენებს პარალელურ გადატანებს საპროცენტო განაკვეთებში სხვადასხვა სცენარების რაოდენობის გამოყენებით. ICAAP ფარგლებში, თიბისი ბანკი ინარჩუნებს კაპიტალს შესაძლო პარალელური შემოსავლის მრუდის ცვლის უარყოფითი ეფექტის მოცულობით წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ერთი წლის განმავლობაში ბაზელი II კვილარი 2 კაპიტალის გამოთვლის მიზნებისთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, ბანკმა განსაზღვრა სათანადო ლიმიტები. ბანკი ამომწებს ლიმიტებთან შესაბამისობას და ამზადებს პროგნოზებს. აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც აუცილებელია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისთვის და თვალყურს ადევნებს მის განხორციელებას. პერიოდული ანგარიშგება წარედგინება მმართველი საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს რისკის, ეთიკისა და კონტროლის კომიტეტს.



### 36. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გამრქელება

**ლიკვიდურობის რისკი.** ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ თიბისი ბანკს ან არ აქვს ყველა თავისი ვალდებულებების შესრულებისთვის საკმარისი რესურსები, როცა მათი შესრულების დრო დადგება, ან ხელი მიუწვდება ასეთ რესურსებზე მხოლოდ მაღალ ფასად. ლიკვიდურობის რისკი იმართება ფინანსური რისკის მართვისა და სასაზიანო დეპარტამენტების მიერ და კონტროლდება ჯგუფის აქტივი/ვალდებულების მართვის კომიტეტის მიერ.

თიბისი ბანკის ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკის მთავარი მიზნებია: (i) უზრუნველყოს სახსრების ხელმისაწვდომობა საიმისოდ, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნები, რომლებიც წარმოიქმნება მთლიანი ვალდებულებებისა და არასაბალანსო ვალდებულებების (როგორც ფაქტობრივი, ასევე ფაქტორებიდან გამომდინარე) შედეგად ეკონომიკურად ხელსაყრელ ფასად; (ii) აღიაროს ნებისმიერი სტრუქტურული შეუსაბამობა, რომელიც არსებობს თიბისი ბანკის ფინანსური ანგარიშების პოზიციებში და განსაზღვროს მონიტორინგის კოეფიციენტი კარგად ბალანსირებულ ზრდასთან ერთად დაფინანსების მართვის მიზნით; და (iii) გააგრძელოს ლიკვიდურობისა და დაფინანსების კონტროლი საიმისოდ, რომ გარანტირებული იყოს დამტიცივებული ბიზნეს მიზნების შესრულება ბანკის რისკის პროფილის კომპრომისის გარეშე.

ლიკვიდურობის რისკი იყოფა ორი ტიპის რისკად: ლიკვიდურობის რისკის დაფინანსება და საბაზრო ლიკვიდურობის რისკი.

**ლიკვიდურობის რისკის დაფინანსება** არის რისკი, რომ თიბისი ბანკი ვერ შეძლებს ეფექტურად შეასრულოს როგორც მოსალოდნელი, ასევე მოულოდნელი მიმდინარე და მომავალი ფულადი ნაკადებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნები ისე, რომ გავლენა არ მოახდინოს მის ყოველდღიურ ოპერაციებზე და მის ფინანსურ პირობებზე. იმისთვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკის დაფინანსება, თიბისი ბანკმა შიდა ფარგლებში შეიმუშავა ბაზელ III-ის შესაბამისად განსაზღვრული მოკლევადიანი ლიკვიდურობის მაჩვენებელი და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი. გარდა ამისა ბანკი ახორციელებს სტრეს- ტესტს, და „რა-თუ“ სცენარების ანალიზს და სებ-ის მიერ განსაზღვრული მინიმალური ლიკვიდურობის კოეფიციენტები. 2017 წელს ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნებისთვის, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შემოიღო მოკლევადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტი („NBG LCR“), სადაც ბაზელ III-ის გაიდლაინების გარდა გამოყენებული იქნა კონსერვატიული მიდგომები ძირითადი რეზერვების შეწონვის და დეპოზიტების ამორების კოეფიციენტებზე, კლიენტის ჯგუფის კონცენტრაციის მიხედვით. 2017 წლის 1 სექტემბრიდან ბანკი ასევე ახორციელებს NBG LCR ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგს.

მოკლევადიანი ლიკვიდურობის მაჩვენებელი გამოიყენება მოკლევადიანი ლიკვიდურობის რისკების მართვის დასახმარებლად. ბანკის ლიკვიდურობის რისკის მართვის სტრუქტურა შექმნილია საიმისოდ, რომ ყოველდღიურად დაგეგმოს ფულის ნაკადები, რომლებიც წარმოიქმნება აქტივების, ვალდებულებებისა და არასაბალანსო მაჩვენებლების შედეგად გარკვეულ დროის დიაპაზონში და უზრუნველყოფს, რომ ამოქმედდეს სებ-ის მოკლევადიანი ლიკვიდურობის მაჩვენებლის ლიმიტები. თიბისი ბანკი ასევე ახორციელებს ლიკვიდურობის შედეგების სტრეს-ტესტს სებ-ის მიერ განსაზღვრულ დიდი შოკური სცენარების საშუალებით.

წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი გამოიყენება გრძელვადიანი ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის, რათა ხელი შეუწყოს სტაბილურობას უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე თიბისი ბანკისთვის დამატებითი სტიმულირებისთვის, საიმისოდ რომ მუდმივად დაეყრდნოს უფრო სტაბილურ დაფინანსების წყაროებს. თიბისი ბანკი ასევე განსაზღვრავს დეპოზიტის კონცენტრაციის ლიმიტებს უფრო დიდი დეპოზიტებისთვის და არაქართული რეზიდენტების დეპოზიტებისთვის თავის სადეპოზიტო პორტფელში.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ძლიერი და დივერსიფიცირებული დაფინანსების სტრუქტურა არის თიბისი ბანკის ერთერთი დიფერენციატორი. ბანკი ეფუძნება შედარებით სტაბილურ დეპოზიტებს საქართველოდან, როგორც დაფინანსების მთავარი წყაროდან. ვალდებულების სტრუქტურის შენარჩუნებისა და შემდგომი სტრუქტურისთვის თიბისი ბანკმა თავის სტრატეგიაში განსაზღვრა საცალო დეპოზიტების მიზნები და განსაზღვრა სესხის დეპოზიტთან შეფარდების ლიმიტები.

სესხის დეპოზიტთან შეფარდება (განსაზღვრული როგორც წმინდა სესხების მთლიანი ღირებულება გაყოფილი დეპოზიტების მთლიან ღირებულებაზე) 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის შესაბამისად არის 104.3% 89.1% და 92.3%.

**დაფარვის ვადების ანალიზი.** ქვემოთ ცხრილი აჩვენებს 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადებში დაფარვის ანალიზს კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული დარჩენილი ვალდებულებების საფუძველზე. შეტყობინებას დაქვემდებარებული თანხის დაბრუნება უნდა მოხდეს მყისიერი შეტყობინების საფუძველზე. თუმცა, ჯგუფი მოელის, რომ ბევრი კლიენტი არ მოითხოვს თანხის დაბრუნებას იმაზე ადრე, ვიდრე ამის გაკეთება შეუძლია ჯგუფს და ეს ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელიც ასახულია ჯგუფის დეპოზიტის ჩაბრუნების ისტორიაში.

**36. ფინანსური და სხვა რისკის მართვა** **გაგრძელება**

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ათას ლარში	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ვალდებულებები</b>					
სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში	1,590,089	616,417	3,724,084	435,233	<b>6,365,823</b>
კლიენტის ანგარიშები – ფიზიკური პირები	3,407,952	1,658,316	699,554	27,344	<b>5,793,166</b>
კლიენტის ანგარიშები – სხვა	3,722,452	339,114	250,328	142,043	<b>4,453,937</b>
სხვა ფინანსური ვალდებულებები	85,338	6,151	4,917	-	<b>96,406</b>
სალიზინგო ვალდებულებები	4,367	12,508	57,058	11,988	<b>85,921</b>
სუბორდინირებული ვალი	2,351	55,182	1,283,737	2,330,270	<b>3,671,540</b>
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	1,213,598	-	<b>1,213,598</b>
მთლიანი დაფარული ფორვარდები	1,476,685	552,630	164,099	-	<b>2,193,414</b>
შესრულების გარანტიები	115,901	332,833	909,599	100,551	<b>1,458,884</b>
ფინანსური გარანტიები და აკრედიტივი	84,103	176,822	89,342	590	<b>350,857</b>
სხვა საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები	1,150,110	-	-	-	<b>1,150,110</b>
<b>სულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული პოტენციური მომავალი გადახდები</b>	<b>11,639,348</b>	<b>3,749,973</b>	<b>8,396,316</b>	<b>3,048,019</b>	<b>26,833,656</b>

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ათას ლარში	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ვალდებულებები</b>					
სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში	950,084	372,517	1,909,587	187,454	<b>3,419,642</b>
კლიენტის ანგარიშები – ფიზიკური პირები	3,152,851	1,408,710	628,831	27,397	<b>5,217,789</b>
კლიენტის ანგარიშები – სხვა	3,821,862	208,250	137,274	195,007	<b>4,362,393</b>
სხვა ფინანსური ვალდებულებები	72,399	5,806	-	-	<b>78,205</b>
სუბორდინირებული ვალი	5,573	71,519	415,090	588,197	<b>1,080,379</b>
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	366	13,847	-	-	<b>14,213</b>
მთლიანი დაფარული ფორვარდები	567,259	16,008	-	-	<b>583,267</b>
შესრულების გარანტიები	119,994	349,354	671,333	55,166	<b>1,195,847</b>
ფინანსური გარანტიები და აკრედიტივი	105,973	-	-	-	<b>105,973</b>
სხვა საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები	769,863	-	-	-	<b>769,863</b>
<b>სულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული პოტენციური მომავალი გადახდები</b>	<b>9,566,224</b>	<b>2,446,011</b>	<b>3,762,115</b>	<b>1,053,221</b>	<b>16,827,571</b>

არადისკონტრირებული ფინანსური ვალდებულებების ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია ისტორიულად მოხდა იმაზე გაცილებით დიდი ხნის წინ, ვიდრე ეს წარმოდგენილია ზემოთ ცხრილში. ეს ნაშთები ზემოთ ცხრილში შეტანილია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში დასაფარ თანხებში.

კლიენტის ანგარიშებში შეტანილი ვადიანი დეპოზიტები კლასიფიცირებულია კონტრაქტით გათვალისწინებული დაფარვის ვადების მიხედვით, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ფიზიკურ პირებს აქვთ უფლება გამოიტანონ თავიანთი დეპოზიტები მათი გადახდის ვადის დადგომამდე, თუ ისინი ნაწილობრივ ან მთლიანად უარს იტყვიან დაგროვილ პროცენტზე და ჯგუფი ვალდებულია დააბრუნოს ასეთი დეპოზიტი მენაბრის მოთხოვნისთანავე. ისტორიულ გამოცდილებასთან ერთად, მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ბევრი კლიენტი არ მოითხოვს თანხის დაბრუნებას ვადაზე ადრე და შესაბამისად, ცხრილი არ ასახავს ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას ბანკის მიერ მითითებულ დეპოზიტის შეკავების ისტორიის ფაქტობრივი ფულადი სახსრების ნაკადებისადმი.

ჯგუფი არ იყენებს ზემოთ მითითებულ არადისკონტრირებული ფინანსური ვალდებულებების ანალიზს ლიკვიდურობის მართვის მიზნით. სანაცვლოდ ჯგუფი აკონტროლებს ლიკვიდურობის დეფიციტის ანალიზს დაფარვის მოსალოდნელი ვადის საფუძველზე. კერძოდ, კლიენტების დეპოზიტები განაწილებულია მოცემულ დაფარვის ვადებში წყვეტას შორის მათი ბიჰვივიორული ანალიზის შესაბამისად.

### 36. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გარემოება

მოსალოდნელი პოზიცია შეიძლება შეჯამდეს 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირად:

ათას ლარში	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>აქტივები</b>					
ფული და ფულის ექვივალენტები	994,479	-	-	-	994,479
სასრები სხვა ბანკებში	12,685	-	2,912	-	15,597
სავალდებულო სალარო ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	1,591,829	-	-	-	1,591,829
კლიენტებზე გაცემული კრედიტები და ავანსები	1,303,715	2,307,064	5,108,649	3,629,971	12,349,399
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	985,293	-	-	-	985,293
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები	122,889	215,711	555,379	127,589	1,021,568
ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანებები	34,448	70,398	148,542	3,272	256,660
